# მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2.1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი · 1971 · ТБИЛИСИ

# МАЦНЕ

ВЕСТНИК

Серия истории, археологии, этнографии и истории искусства

2.1971

# მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2. 1971

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), შ. მესხია, გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*,
Г. А. Меликишвили *(редактор)*, Ш. А. Месхиа, Л. А. Чилашвили, Г. С. Читая

პასუხისმგებელი მდივანი გ. ღლონტი
*Ответственный секретарь* Г. А. Глонти

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.IX.71; შეკვ. № 1346; ანაწყობის ზომა $7 \times 11^1/_2$;
ქაღალდის ზომა $7 \times 108^1/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 12,87; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 18,27; უე 01375; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

# შინაარსი

## წერილები


დ. მაისურაძე, ისტორიული ნიშანსვეტი კომუნიზმის გზაზე . . . . . . 7
ა. ათანელიშვილი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საკითხი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში . . . . . . . . . . 24
გ. ჩხაიძე, საბჭოთა საქართველოში ირიგაციის ლენინური გეგმის განხორციელების ისტორიიდან . . . . . . . . . . . . . . 41
თ. პაპანაძე, ღონისძიებები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საბჭოთა საქართველოში . . . . . . . . . . . . 54
ლ. გიუნაშვილი, საიდ ნაფისის ისტორიული შეხედულებანი . . . . 68
რ. შმერლინგი, პ. ზაქარაია, სამი უცნობი ძეგლი . . . . . 78


## დისკუსია და განხილვა


პ. ყორანაშვილი, საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის საკითხისათვის . . . . . . . . . . . . . 85


## ცნობები და შენიშვნები


გ. ალასანია, საქართველო „ჯიჰან-ნუმას“ კავკასიის რუკაზე . 98
მ. ახობაძე, ქუთაისის მაზრის გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან . . . 107
რ. პიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ . 115
ნ. ხაზარაძე, ჰეროდოტე და მატიენების ლოკალიზაციის საკითხი . . 123
ნ. ბრეგაძე, ზღაპრის ფანტასტიკა და ეთნოგრაფია . . . 133


## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია


ვ. თოვოშვილი, წიგნი ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების რევოლუციურ თანამეგობრობაზე . . . . . . . . . . . 138
რ. თოდუა, ქართული მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული საკითხები . 140
ი. ანდრეევი, ლ. იოსელიანი, გორტინის კანონები . . . . . 143


## ქრონიკა და ინფორმაცია


პროფ. ვ. გაბაშვილის დაბადების 60 წლისთავი . . . . . . . . . 148
ჯ. ოდიშელი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი 1970 წელს . . . . . . . . . . . . . 148
მ. ნიკოლეიშვილი, ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი . . . . . . . . . . . . . . 158
რ. აბრამიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები დიღმის ხეობაში . . . . . . . . . . . 166
დ. ხახუტაიშვილი, ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი საკავშირო სესია . . 169
ნ. ზუკაკიშვილი, პროფ. ვ. დონდუას სახელობის კაბინეტში . . . 174


## კონსულტაცია


რ. რამიშვილი, უკეთ დაეიცვათ ჩვენი კულტურის ძეგლები . 177

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ

Д. МАЙСУРАДЗЕ, Историческая веха на пути к коммунизму . . . 7
А. АТАНЕЛИШВИЛИ, Вопрос о победе Советской власти в Грузии в буржуазной историографии . . . . . . . . . . . . 24
Г. ЧХАИДЗЕ, Из истории осуществления Ленинского плана ирригации в Советской Грузии . . . . . . . . . . . 41
Т. КАПАНАДЗЕ, Мероприятия по ликвидации неграмотности в Советской Грузии в 1921—1925 гг. . . . . . . . . . . . 54
Л. ГИУНАШВИЛИ, Исторические воззрения Саида Нафиси 68
Р. ШМЕРЛИНГ, П. ЗАКАРАЯ, Три неизвестных памятника 78

## ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Г. КОРАНАШВИЛИ. К вопросу о роли географической среды в развитии общества . . . . . . 85

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. АЛАСАНИА, Грузия на карте Кавказа «Джихан-нюма» . . 98
М. АХОБАДЗЕ, Из истории крестьянского движения в Кутаисском уезде . 107
Р. КИКНАДЗЕ, Об одном грузинском источнике Парсадана Горгиджанидзе 115
Н. ХАЗАРАДЗЕ, Геродот и вопрос о локализации матиенов . 123
Н. БРЕГАДЗЕ, Фантастика сказки и этнография 133

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. ТОГОШВИЛИ, Книга о революционном содружестве грузинского и северокавказского народов . . . . . . . . . 138
Р. ТОДУА, Культурно-исторические вопросы грузинского животноводства 140
Ю. АНДРЕЕВ, Л. Иоселиани, Гортинские законы . . . 143

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

60-летие со дня рождения проф. В. Габашвили . . . . . . . . . 148
Дж. ОДИШЕЛИ, Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили в 1970 году . . . . . . . . . . 148
М. НИКОЛЕЙШВИЛИ, Кутаисский историко-этнографический музей им. Н. А. Бердзенишвили . . . . . . . . . . 158
Г. АБРАМИШВИЛИ, В. НИКОЛАЙШВИЛИ, А. РАМИШВИЛИ, Археологические раскопки в Дигомском ущелье . . . . 166
Д. ХАХУТАЙШВИЛИ, Всесоюзная научная сессия по Древнему Востоку 169
Н. ЗУКАКИШВИЛИ, В кабинете им. проф. В. Д. Дондуа . 174

## КОНСУЛЬТАЦИЯ

Р. РАМИШВИЛИ, Больше внимания охране памятников культуры 177

დავით მაისურაძე

## ისტორიული ნიშანსვეტი კომუნიზმის გზაზე

საბჭოთა ხალხი, კომუნისტები, მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობას. და ეს გასაგებიც არის. ყრილობა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, მშრომელთა მრავალმილიონიანი მასის ნაცადი ბელადის და ორგანიზატორის, სოციალიზმის პირველი ქვეყნის მმართველი პარტიის უმაღლეს ორგანოს.

ყრილობები უდიდესი მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რევოლუციურ-გარდამქმნელ მოღვაწეობაში, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. თითოეული მათგანი მოასწავებს ახალ ეტაპს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში, ისტორიულ ნიშანსვეტს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

ვ. ი. ლენინის აზრით, „პარტია თავის ყრილობებზე უნდა აჯამებდეს საზოგადოებრივი განვითარების პერიოდებს, იყენებდეს მათ მიმართ კვლევის მარქსისტულ მეთოდებს"[1]. სკკპ XXIV ყრილობა გახდა თეორიისა და პოლიტიკისადმი ასეთი ნამდვილად ლენინური მიდგომის ნიმუში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში, გამოიმუშავა ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და სულიერი ცხოვრების მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა, მისი საგარეოპოლიტიკური კურსი, კომუნისტები და ყველა მშრომელი შეაიარაღა მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით უახლოეს რამდენიმე წლის მანძილზე.

ჩვენი პარტიის მდიდარ გამოცდილებას, რომელიც შეიძინა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობასა და ახალი საზოგადოების შექმნაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. ამიტომ ჰქონდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს ფართო საერთაშორისო რეზონანსი. მას ჩვენი მეგობრები შეხვდნენ დიდი აღფრთოვანებით და სიხარულით, ხოლო კლასობრივი მტრები — გაბოროტებით.

სკკპ XXIV ყრილობა მიმდინარეობდა იმ პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა მერვე ხუთწლედი და ენთუზიაზმით შეუდგა ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებას. ყრილობამ შეაჯამა პარტიისა და ხალხის საქმიანობის შედეგი XXIII ყრილობის შემდეგ, მოგვცა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი, განსაზღვრა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 245.

კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანები და დასახა ჩვენი საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების ძირითადი მიმართულებანი და მიჯნები 1971—1975 წლებისათვის.

კომუნისტური პარტია, რომელიც ეყრდნობა საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობას და მხარდაჭერას, თავის მორიგ ყრილობაზე მოვიდა ერთიანი და მონოლითური, გამოწრთობილი მარქსისტულ-ლენინური თეორიით და პრაქტიკული გამოცდილებით. ყრილობის მუშაობამ ერთხელ კიდევ მკაფიოდ დაადასტურა ვ. ი. ლენინის დებულება, რომ „მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, — თუ ის ნამდვილად არის რევოლუციური კლასის ავანგარდი, თუ ის ამ კლასის ყველა საუკეთესო წარმომადგენელს შეიცავს, თუ ის სავსებით შეგნებული და თავდადებული, მედგარი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით განათლებული და გამობრძმედილი კომუნისტებისაგან შედგება, თუ ამ პარტიამ შეძლო განუყრელად დაკავშირებოდა თავისი კლასის მთელ ცხოვრებას, მისი მეშვეობით კი... მთელ მასას და სრული ნდობა შთაეგონებინა ამ კლასისა და მასისათვის — სწორედ ასეთ პარტიას შესწევს უნარი უხელმძღვანელოს პროლეტარიატს“[2].

სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული პოლიტიკური გეზი — ეს არის კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ ჩვენი პარტიის ლენინური გენერალური კურსის თანმიმდევრული განგრძობა, საბჭოთა ადამიანების ყველაზე საჭირბოროტო, ყველაზე საარსებო ინტერესების დაკმაყოფილება.

კომუნიზმის მშენებლობა რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. მისი აუცილებელი პირობაა საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარება, უხვი მატერიალური დოვლათი, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის გადაზრდა კომუნისტურში, სულიერი კულტურის უმაგალითო აყვავება, ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა აღზრდა. ამასთან ცენტრალურ ამოცანად, პრობლემათა მთელი კომპლექსის ძირითად რგოლად პარტიას მიაჩნია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. პირველყოვლისა სოციალისტური ეკონომიკის მძლავრ განვითარებაზე არის დამოკიდებული კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის ტემპები, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, სოციალიზმის სრული გამარჯვება ორი მოწინააღმდეგე მსოფლიო სისტემის შეჯიბრებაში, ჩვენი ქვეყნის წვლილი მსოფლიო რევოლუციურ პროცესში.

სკკპ XXIV ყრილობამ მოისმინა და განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მთლიანად და სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა. აგრეთვე მოიწონა საანგარიშო მოხსენებაში მოცემული წინადადებანი და დასკვნები. დამტკიცებულ იქნა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლის ირგვლივ ყრილობაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. მიღებულია დადგენილება სკკპ წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ. ყრილობამ მიიღო მიმართვა „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს“! და განცხადება „ახლო აღმოსავლეთ-

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 217—218.

ში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის“. არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური ორგანოები.

ყრილობის დელეგატები წარმოადგენდნენ ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგს და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, კომუნისტების ყველა თაობას. ამიტომ შესაძლებელი გახდა დასახულ პრობლემათა ფართოდ განხილვა და მათი გადაწყვეტის ყველაზე უფრო სწორი გზის გამონახვა. მაღალი პრინციპულობა, კოლექტიურობა, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების, სოციალური პროცესების ყველა საარსებო საკითხის გადაწყვეტისადმი მეცნიერული მიდგომა, ყოველდღიურ პრაქტიკასთან თეორიული დასკვნების ორგანულად დაკავშირება — აი ის თვისებები, რაც ახასიათებდა ყრილობის მუშაობას.

სკკპ XXIV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 91 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და მემარცხენე სოციალისტურ პარტიათა 102 დელეგაცია. მრავალი უცხოელი სტუმრის გამოსვლამ ყრილობას მისცა მშვიდობის, დემოკრატიის და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლთა საერთაშორისო ფორუმის ხასიათი. საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა თავიანთ გამოსვლებში დიდად მოიწონეს ჩვენი პარტიის კურსი, მიმართული მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისაკენ, რევოლუციურ ძალთა დარაზმვისაკენ.

XXIV ყრილობამ მიღებულ რეზოლუციაში საანგარიშო მოხსენების გამო კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკკპ პროგრამისა და XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის თანმიმდევრული და ბეჯითი ბრძოლის შედეგად მიღწეულია დიდი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში. ჩვენმა ხალხმა ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. 1966—1970 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა სწრაფი ტემპებით და უფრო ეფექტიანად ვითარდებოდა, ვიდრე წინა ხუთწლედში. არსებითად დაჩქარდა მოსახლეობის ცხოვრების მატერიალურ პირობათა ზრდის ტემპები. ეროვნულმა შემოსავალმა 1970 წელს 41 პროცენტით გადააჭარბა 1965 წლის დონეს. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1,5-ჯერ გაიზარდა. მარტო ერთ, 1970 წელს გამოშვებულ იქნა დაახლოებით ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ყველა ომამდელი ხუთწლედის განმავლობაში ერთად. წარმოების მოცულობა ჩვენს ქვეყანაში ახლა უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია და იტალია ერთად[3]. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მერვე ხუთწლედში 33 პროცენტით გადიდდა დასახული 30 პროცენტის ნაცვლად[4].

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ახლანდელ ეტაპს მნიშვნელოვან

---

[3] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ლენინიზმი მოქმედებაში, ამხანაგ კ. თ. კატუშევის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, გაზეთი „კომუნისტი“, 23, IV.

[4] სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1971, 11, IV.

წილად განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც სწრაფად ვითარდება.

სერიოზული წარმატებანი იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. არსებითად გადიდდა მარცვლეულის, ბამბის, ხორცის, რძის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და ეკონომიური სტიმულირების დიდი ღონისძიებანი.

1966—1970 წლებში ჩვენს ქვეყანაში აშენდა 518 მილიონი კვადრატული საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის შედეგადაც საბინაო პირობები გაიუმჯობესა 55 მილიონმა კაცმა[5].

დიდი წარმატებანია მოპოვებული ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში.

ყრილობამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დიდ წარმატებებთან ერთად იყო ნაკლოვანებანიც. მთლიანად ვერ შესრულდა ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმები, ჯერ კიდევ დიდია სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და ათვისების ვადები, მიღწეული არ არის დასახული დონე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებაში, ყველა საწარმოში როდი იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ხარჯების შემცირებისათვის[6].

გასულ ხუთწლედში ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგის მიღწევებმა შესაძლებელი გახადა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში ბევრი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა. შეიქმნა და წარმატებით გამოყენებულია მანქანების მაღალი წარმადობის კომპლექსები, ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ხარჯების შემცირებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. მთელ რიგ დარგებში ამოქმედდა საწარმოების, რთული ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებით. საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი თვალსაჩინო მიღწევები ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონის დამაჯერებელი დადასტურებაა.

პარტიას მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის საშინაო განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო ასპარეზზე არსებულ მდგომარეობასთან. ამიტომ იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო საკითხებს. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზანი, როგორც იგი ჩამოაყალიბა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა, ის არის, რომ უზრუნველყოს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები: განამტკიცოს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, მათი მეგობრობა და ძმობა; მხარი დაუჭიროს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და განა-

5 სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1971, 11, IV.

6 რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, გაზ. „კომუნისტი“, 1971, 10. IV.

ხორციელოს ყოველმხრივი თანამშრომლობა ახალგაზრდა განვითარებად სახელმწიფოებთან; თანმიმდევრულად დაიცვას სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, თავიდან ააცილოს კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომი[7].

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების, მათი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცება. პარტიას მიაჩნია, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა წარმოადგენს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტ ძალას, ჩვენი დროის ყველა რევოლუციურ მოძრაობათა საიმედო ბურჯს. იმპერიალისტური რეაქციის დამარცხება მსოფლიო მასშტაბით დამოკიდებულია სოციალისტურ სახელმწიფოთა ძლიერების ზრდაზე, მათ შეთანხმებულ მოქმედებაზე, ინტერნაციონალურ სოლიდარობაზე.

სოციალისტურ თანამეგობრობაში დამკვიდრდა ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა, რომლის საფუძველია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ძმური მეგობრობის და ურთიერთდახმარების პრინციპები. ამ პრინციპების განუხრელად დაცვის, მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების დიდ უპირატესობათა გამოყენების, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შედეგად მოძმე ქვეყნების ხალხებმა თავისი ნაცადი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის მეთაურობით გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს კაპიტალიზმთან ისტორიულ შეჯიბრებაში: არსებითად გაიზარდა სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური პოტენციალი, განმტკიცდა სოციალიზმის პოლიტიკური საფუძვლები, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა, კიდევ უფრო განვითარდა კულტურა და მეცნიერება.

მოძმე ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება გახდა სოციალისტური ინტეგრაცია, რაც გულისხმობს სოციალისტურ სახელმწიფოთა სახალხო-სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გეგმაზომიერ გაფართოებას და გაღრმავებას, სახალხო-სამეურნეო გეგმების უფრო მჭიდროდ შეთანხმებას.

პარტიის XXIV ყრილობამ მოგვცა თანამედროვე იმპერიალიზმის ყოველმხრივი შეფასება: უკანასკნელი წლების მოვლენებმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ უცვლელია იმპერიალიზმის რეაქციული, აგრესიული ბუნება, რომ იგი კვლავ რჩება ხალხების, საზოგადოებრივი პროგრესის, თავისუფლების მტრად. განსაკუთრებული რეაქციული და აგრესიული ხასიათით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, რომელიც ასრულებს ექსპლუატაციის და ტანჯვის საერთაშორისო სისტემის დამცველის როლს, არღვევს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს, ცდილობს საკუთარი ნება-სურვილი თავს მოახვიოს სხვა სახელმწიფოებს და მსოფლიოს მთელ რაიონებს.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მთავარი ბოროტმოქმედებაა აგრესია ვიეტნამელი, კამბოჯელი და ლაოსელი ხალხების წინააღმდეგ, რომელიც კვლავ გრძელდება. მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დახოც-

---

[7] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბ., 1971, გვ. 5.

ვა, ასიათასობით ტონა ნაპალმით სამხრეთ ვიეტნამის მთელი რაიონების გადაბუგვა, ქიმიური იარაღის გამოყენებით თითქმის მილიონნახევარი ვიეტნამელის მოწამვლა — აი თანამედროვე კოლონიზატორთა სისხლიანი კვალი.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მეორე მწვავე პრობლემაა კრიზისი, რომელიც წარმოიქმნა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე, სირიასა და იორდანიაზე ისრაელის თავდასხმის შედეგად. სულ უფრო ცხადი ხდება უღირსი როლი ამერიკის იმპერიალიზმისა, რომელიც აქეზებს ისრაელ ექსტრემისტებს და საერთაშორისო სიონიზმისა, რომელიც აგრესიული იმპერიალისტური წრეების იარაღია.

მაგრამ იმპერიალიზმის ცდები თავის სასარგებლოდ შეაბრუნოს ისტორიის მსვლელობა განწირულია ჩასაფუშავად. საბჭოთა კავშირი, რომელიც თავისი ინტერნაციონალური, ლენინური სამშვიდობო პოლიტიკის ბოლომდე ერთგულია, ძმურ დახმარებას უწევს გმირ ვიეტნამელ ხალხს, გადაჭრით მოითხოვს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის შეწყვეტას. ვერავითარი ძალა ვერ გატეხავს ვიეტნამელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას იყოს საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონი. ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაციის“ — „აზიელთა ხელით აზიელთა დახოცვის“ მზაკვრული პრინციპის განხორციელება ვერ უშველის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს დანაშაულებრივი მიზნის მიღწევაში. ინდოჩინეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სიმტკიცე და ვაჟკაცობა, რასაც აძლიერებს საბჭოთა ხალხის, სოციალიზმის სხვა ქვეყნების ხალხების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მთელი პროგრესული ძალების უცვლელი მხარდაჭერა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი გამარჯვების გარანტიაა.

სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ აილაგმონ არაბ ხალხთა საძულველი აგრესორები და მათი მფარველები, რაც შეიძლება დაჩქარდეს პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა ახლო აღმოსავლეთში.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ფრონტი განუხრელად იზრდება და ფართოვდება. როგორც ყოველთვის, რევოლუციური ძალების ნაცადი მებრძოლის ავანგარდის როლს ასრულებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობა. ფართო გაქანება მიიღო მუშათა კლასის გამოსვლებმა მონოპოლიათა წინააღმდეგ საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ძლიერდება ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ძალთა შეტევა იმპერიალიზმის ბატონობაზე აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. გასული ხუთი წლის მანძილზე წარმოიქმნა კიდევ 10 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ბევრ ქვეყანაში პრაქტიკულად გადაზრდას იწყებს ბრძოლად ექსპლუატატორული, როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური, ურთიერთობის წინააღმდეგ. აზიასა და აფრიკაში უკვე ბევრი ქვეყანა დაადგა განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, ესე იგი, აიღეს პერსპექტიულად სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზის[8].

---

[8] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას, გვ. 24.

საზოგადოებრივ ცვლილებათა მრავალფეროვანი პროცესი მიმდინარეობს ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში. პერუს და ბოლივიის მთავრობებმა მიზნად დაისახეს გაანთავისუფლონ თავიანთი ქვეყნები შეერთებული შტატების მონოპოლიათა ბატონობისაგან, განახორციელონ ინდუსტრიალიზაცია და გააფართოვონ აგრარული რეფორმის ჩარჩოები. ჩილეში, პირველად ამერიკის კონტინენტის მთელი ისტორიის მანძილზე, შეიქმნა სახალხო ერთიანობის ფრონტის მთავრობა, რომელშიც შედიან კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებიც. ჩილეს სახალხო მთავრობამ გადაწყვიტა მოსპოს თავის ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობა, მოახდინოს ეკონომიკის გადამწყვეტი დარგების ნაციონალიზაცია, მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს სოციალისტურ სახელმწიფოებთან. მემარცხენე ძალების გამარჯვება ჩილეში პროგრესულმა საზოგადოებრიობამ შეაფასა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ლათინურ ამერიკაში კუბის რევოლუციის შემდეგ.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა. უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ სხვა მოძმე პარტიებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ განემტკიცებინა კომუნისტური რიგების ერთიანობა და შეკავშირება. ამასთან ერთად, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ჯერ კიდევ როდია დაძლეული ნეგატიური მოვლენები. წინანდებურად აქტუალურია ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული, კვლავაც განახორციელებს ისეთ ხაზს საერთაშორისო საქმეებში, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო იმპერიალისტური ბრძოლის შემდგომ აქტივიზაციას, ყველა მისი მონაწილის საბრძოლო ერთიანობის განმტკიცებას.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა და დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული კურსი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში. იმ პირობებში, როცა ჩინეთის ხელმძღვანელები იყენებენ თავიანთ განსაკუთრებულ, ლენინიზმთან შეუთავსებელ იდეურ-პოლიტიკურ პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, საერთაშორისო კომუნისტური და მთელი ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გათიშვას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაიკავა ერთადერთი სწორი პოზიცია — მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების თანმიმდევრულად დაცვის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის ყოველნაირად განმტკიცების, სოციალისტური სამშობლოს ინტერესების დაცვის პოზიცია. ყრილობამ გადაჭრით დაგმო ჩინეთის პროპაგანდის ცილისმწამებლური მონაჩმახები ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის გამო. ამავე დროს ჩვენი პარტია მხარს უჭერს ურთიერთობის ნორმალიზაციას სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, კეთილმეზობლობისა და მეგობრობის აღდგენას საბჭოთა და ჩინელ ხალხებს შორის. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესება შეესაბამება ორივე ქვეყნის ძირეულ, ხანგრძლივ ინტერესებს, მსოფლიო სოციალიზმის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ შეწყდეს როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი გამა-

ლებული შეიარაღება, აიკრძალოს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი, როგორც გარდუვალი ბოროტება, მოისპოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, ბოლო მოეღოს იმპერიალიზმის აგრესიული ბლოკების მილიტარისტულ მზადებას და პროვოკაციებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას.

საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოქმნილ ტერიტორიულ და პოლიტიკურ რეალობათა აღიარების საფუძველზე. ამისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და გაღრმავებას. ჩვენს კონტინენტზე უშიშროების უზრუნველყოფის მიმართულებით გადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია 1970 წელს დადებული საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება, რომელთა რატიფიკაცია ხელს შეუწყობს ვითარების გაჯანსაღებას ევროპაში.

საბჭოთა ხალხმა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარულმა ადამიანებმა აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ XXIV ყრილობის ტრიბუნიდან ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: ჩვენ არა გვაქვს ტერიტორიული პრეტენზიები არავის მიმართ, არავის არ ვემუქრებით და არავისზე თავდასხმას არ ვაპირებთ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ხალხის თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას. მაგრამ ნურც ჩვენთან გაბედავს ვინმე ულტიმატუმებისა და ძალის ენით ლაპარაკს.

ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც გვესაჭიროება — პატიოსანი სამშვიდობო პოლიტიკაც, სამხედრო ძლიერებაც და საბჭოთა ხალხის შეკავშირებაც, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი საზღვრების შეუვალობა ყოველგვარი ხელყოფისაგან, დავიცვათ სოციალიზმის მონაპოვარნი“[9].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ განსაზღვრა პოლიტიკური ხაზი და მუშაობის კონკრეტული პროგრამა მორიგი ხუთწლეულისათვის. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება პარტიის პოლიტიკის უმაღლესი მიზანია და ეს კურსი განსაზღვრავს ჩვენს საქმიანობას არა მარტო მომავალი ხუთი წლისათვის, არამედ აგრეთვე ქვეყნის განვითარების საერთო ორიენტაციას ხანგრძლივი პერსპექტივისათვის[10].

ახალ ხუთწლედში მრეწველობის ძირითადი ამოცანაა გააფართოოს და სრულყოს სოციალისტური ეკონომიკის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების ინდუსტრიული ბაზა, აამაღლოს წარმოების ტექნიკური დონე და ეფექტიანობა, ძირეულად გა-

---

9 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას, გვ. 39.

10 იქვე.

აუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. მრეწველობის ყველა დარგის განვითარება უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა ხალხის საარსებო მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულ დაკმაყოფილებას, რისთვისაც გათვალისწინებულია მრეწველობის იმ დარგების უფრო სწრაფი ზრდა და ხვედრითი წონის გადიდება, რომლებიც აწარმოებენ სახალხო მოხმარების საქონელს, ნედლეულს, მანქანებსა და მათი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობას. ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზრდება 42—46 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოება 41—45 პროცენტით, მოხმარების საგნების წარმოება — 44—48 პროცენტით[11]. ეს ღონისძიება, რა თქმა უნდა, არ ცვლის წარმოების საშუალებათა წარმოების დაჩქარებული განვითარების საერთო გეზს. განსაზღვრავს რა მრეწველობის ძირითადი პროპორციების თანაფარდობას, პარტია ხელმძღვანელობს თითოეული ცალკეული ეტაპის კონკრეტული მოთხოვნილებებითა და რეალური შესაძლებლობებით[12].

მძიმე ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპები კვლავ ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში ვინაიდან მძიმე მრეწველობა არის ჩვენი სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველი. იგი ასრულებს და კვლავაც შეასრულებს წამყვან როლს თანამედროვე ტექნიკით ეკონომიკის ყველა დარგის აღჭურვაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. წარმოების საშუალებათა მრეწველობის შემდგომი განვითარების გარეშე წარმოუდგენელია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის დაჩქარება.

ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მყარი და სწრაფი აღმავლობა მისი ინტენსიფიკაციის საფუძველზე. ხუთწლედის მანძილზე სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ხაზით სოფლის მეურნეობაში დაბანდებული იქნება 129 მილიარდამდე მანეთი, ანუ იმდენივე, რამდენიც დაბანდებული იყო ორი წინა ხუთწლედის მანძილზე ერთად[13]. სოფლის მშრომელებმა მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება უნდა გაზარდონ სულ ცოტა 195 მილიონ ტონამდე, ხოლო მისი შესყიდვა მყარი გეგმითა და გეგმის გადამეტებით გადიდებულ ფასებში — 80—85 მილიონ ტონამდე. ხორცის საშუალო წლიურმა წარმოებამ ხუთწლეულის მანძილზე უნდა გადააჭარბოს 14 მილიონ ტონას, რძის წარმოებამ — 92 მილიონ ტონას, კვერცხისა 46 მილიარდ ცალს[14].

ყრილობამ მიიჩნია, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა და მოუწოდა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს, მრეწველობის მუშაკებს გულმოდგინედ განახორციელონ პარტიის მიერ დასახული პროგრამა სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების დარგში.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მშრომელთა ფულადი შემოსავლის შემდგომ ზრდას უმთავრესად შრომის ანაზღაურების გადიდების ხარჯზე.

---

11 სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები.

12 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას, გვ. 62.

13 იქვე, გვ. 66.

14 იქვე.

მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი გადიდდება საშუალოდ 20—22 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში — 30—35 პროცენტით. შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავლის გადიდების გარდა, სერიოზულად გაიზრდება საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც მოხმარდება სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, მოზარდი თაობის განათლებას და აღზრდას. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ახალ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელფასისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან გადასახდელების გაფართოების ხაზით მიმდინარე ხუთწლედში გამოიყოფა 22 მილიარდი მანეთი მერვე ხუთწლედის 10 მილიარდი მანეთის ნაცვლად[15].

ხუთწლეულში აშენდება 565—575 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის შედეგადაც საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს 60 მილიონი კაცი.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გადიდდება 39—42 პროცენტით. ამასთან უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება მანქანათმშენებლობის არალითონტევადი დარგები და ქიმიური მრეწველობა. ელექტროენერგიის წარმოება გადიდდება 1,7-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 2,3-ჯერ, ქიმიური ბოჭკოებისა — 1,6-ჯერ, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებებისა 3,4-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 2,3-ჯერ, შიფერისა 2-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 1,5-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა — 1,4-ჯერ და ავეჯისა — 2-ჯერ[16].

ამოქმედდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პირველი ელექტროსადგური, დაიწყება ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა. დამთავრდება მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა, აშენდება ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა, გადიდდება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრე.

1975 წლისათვის განზრახულია ჩაის წარმოება გადიდდეს 285 ათას ტონამდე, აგრეთვე გაიზრდება ყურძნის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა წარმოება. საექსპლუატაციოდ გადაეცემა 70 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, ამოშრობილ იქნება 50 ათასი ჰექტარი გადამეტტენიანებული მიწები, უმთავრესად მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად. გადიდდება ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება, განმტკიცდება მეცხოველეობის საკვები ბაზა[17].

თავის სიტყვაში სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მოიყვანა მონაცემები, რომლებიც მკაფიოდ მეტყველებენ ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს

15 ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას.

16 სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები.

17 იქვე.

ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დარგში: მერვე ხუთწლედში საქართველოში მშენებლობისათვის დაბანდებულ იქნა 5 მილიარდამდე მანეთი, ანუ 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში. აშენდა და რეკონსტრუირებულია 280-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და საამქრო, საექსპლუატაციოდ გადაეცა 9 მილიონამდე კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საქართველოს მეჩაიეებმა დაამზადეს მილიონ 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მევენახეებმა — მილიონ 478 ათასი ტონა ყურძენი, ბაღებმა და პლანტაციებმა მოგვცეს 712 ათასი ტონა ხილი, 207 ათასი ტონა ციტრუსები[18].

„მაგრამ უნდა ვაღიაროთ, — თქვა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ, — რომ ჩვენს რესპუბლიკაში, რაც სამართლიანად აღინიშნა საანგარიშო მოხსენებაში, მთლიანად ვერ ვიყენებთ მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობებს. აქედან ჩვენ გამოვიტანთ შესაბამის დასკვნებს და ყოველი ღონისძიებებით ვეცდებით კიდევ უფრო განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი“[19].

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღინიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე თბილისში ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ქართველ მუშათა და გლეხთა, საქართველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მიედინება თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, ცხინვალისა და რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქის საწარმოთა მარკიანი მრავალფეროვანი სამრეწველო ნაწარმი. საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყურძნისა და ციტრუსოვანთა, თამბაქოსა და ჩაის, ტუნგოს ზეთისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების საერთო-საკავშირო წარმოებაში.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ ქართველი მეცნიერები. აქ შეიქმნა მათემატიკური, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო სკოლები, რომლებიც საბჭოური მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ საქართველოს ახლა აქვს არა მარტო შესანიშნავად მოწყობილი ინსტიტუტები, არამედ ჰყავს მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერები, რომლებსაც სხვა რესპუბლიკების მეცნიერთა თანამეგობრობით უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში“[20].

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ზეიმის ღირსსახსოვარ დღეს ორგზის

---

18 ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა სკკპ XXIV ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1971, IV.

19 იქვე.

20 ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა საიუბილეო სხდომაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1971, 15. V.

ლენინის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სკკპ XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დასახულ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებელი პირობაა მატერიალური წარმოების, მისი ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდა[21].

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას ახალი ხუთწლედის განმავლობაში, სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შემდგომი რაციონალიზაციაა.

სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი პირობაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოება. ეს უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი პრინციპის რეალიზაციას — საზოგადოების, კოლექტივის ინტერესების შეხამებას თითოეული მშრომელის ინტერესებთან[22].

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მძლავრი ბერკეტია მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი. სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა გავაფართოოთ ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა, უფრო სრულად გამოვიყენოთ მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები, განუხრელად და გეგმაზომიერად განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალი შეიარაღება მაღალი წარმოების თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე, ყოველი ღონისძიებით შევამციროთ ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების ვადები. უფრო აქტიურად გამოვიყენოთ მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილება[23]. ჩვენს ეპოქაში თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე, როცა სულ უფრო მეტად ვლინდება მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის როლი, უკვე მთავარია არა მისი ცალკეული მიღწევები, რაც უნდა ბრწყინვალე იყოს ისინი, არამედ მთელი წარმოების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე. ყრილობამ დასახა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები ორგანულად დავუკავშიროთ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებს, უფრო ფართოდ განვავითაროთ წარმოებასთან მეცნიერების კავშირის ჩვენი, სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ფორმები[24].

ყრილობის დოკუმენტებში მოცემულია საბჭოთა მეცნიერების მიღწევების, ქვეყნის ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში მისი წვლილის მაღალი შეფასება.

---

21 რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, გაზ. „კომუნისტი", 1971, 10.IV.

22 სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობების განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის მოხსენება 1971 წლის აპრილს გაზეთ „კომუნისტი", 1971, 7.IV.

23 რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა.

24 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას, გვ. 79.

მთელ რიგ ძალიან დიდმნიშვნელოვან დარგებში ჩვენმა მეცნიერებმა მოწინავე პოზიციები მოიპოვეს მსოფლიოში. საუკეთესო ავტომატური ხაზები და ლაზერის ტექნიკა, ახალი ტიპის ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები, სასარგებლო წიაღისეულის უდიდეს საბადოთა აღმოჩენა — ყოველივე ეს და ბევრი სხვა მისცეს ჩვენს სამშობლოს საბჭოთა მეცნიერებმა.

ჩვენი საზოგადოების განვითარების საფუძველია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. უკანასკნელ წლებში პარტიამ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ მეცნიერულად დაესაბუთებინა და დაეკონკრეტებინა კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემები, განევითარებინა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. თეორიული აზროვნება გამდიდრდა ახალი დასკვნებით და დებულებებით ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, როგორიც არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზები, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სახალხო მეურნეობის მართვა, აგრარული პოლიტიკა. დიდი ყურადღება ეთმობოდა პარტიის შესახებ მეცნიერების განვითარებას. მოძმე პარტიებთან ერთად დამუშავდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების პრინციპული პრობლემები, გამოკვლეულ იქნა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მომხდარი ახალი მოვლენები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დაწესებულებების ქსელი. ეს სამეცნიერო დაწესებულებები უმთავრესად იკვლევდნენ თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების აქტუალურ პრობლემებს[25].

ამ სასიხარულო წარმატებებთან ერთად ყრილობაზე აღინიშნა არსებითი ნაკლოვანებანიც სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობაში. „საიდუმლო როდია, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ არიან ისეთი მეცნიერი მუშაკებიც, რომელთა საქმიანობა დღემდე საგრძნობლად მოწყვეტილია როგორც ჩვენი ქვეყნის უშუალო პრაქტიკულ საჭიროებებს, ისე მეცნიერების ფუნდამენტური დარგების ჭეშმარიტ ინტერესებს. გამოდის რაღაც ფუჭი მუშაობა. ამას, რა თქმა უნდა, ვერ შევურიგდებით“[26].

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მომუშავე საბჭოთა მეცნიერებს პარტიამ დაუსახა ამოცანა: კიდევ უფრო ავამაღლოთ საკვლევაძიებო მუშაობა ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის დარგში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ისტორიული პროცესის შესწავლას. საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა, რომლებიც ვითარდებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე, უნდა გააძლიერონ ბრძოლა კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერების განვითარება კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. მეცნიერთა მეცადინეობა უნდა მოხმარდეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას. პარტიამ დაგვისახა ამოცანა კიდევ უფრო განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, დავაჩქაროთ მისი მიღწევების გამოყენება სახალხო მეურნეობაში. საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ ინსტიტუტების, კათედრებისა და ლაბო-

---

25 მ. ვ. კელდიში, სიტყვა სკკპ XXIV ყრილობაზე, გაზ. „პრავდა“, 1971, 2.IV. მისივე, მეცნიერება უცქერის ხვალინდელ დღეს, გაზ. „პრავდა“, 1971, 22. V.

26 ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას, გვ. 119.

რატორიების მუშაობის ეფექტიანობა, მივაღწიოთ იმას, რომ თითოეულ მეცნიერულ კოლექტივში შეიქმნას ნამდვილი შემოქმედებითი ვითარება, ნაყოფიერი დისკუსიების, მეცნიერთა ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო.

უნდა განვამტკიცოთ იმ მეცნიერთა ურთიერთგავლენა, რომლებიც მუშაობენ ბუნებისმეტყველების, ტექნიკისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში"[27].

პარტიის თეორიული აზრის განვითარება, კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების დამუშავება მკაფიოდ არის ასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დოკუმენტებში. შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო ნიმუშია სკკპ XXIV ყრილობის მასალები. მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა 1969 წელს, რომლის მომზადებასა და მუშაობაში ყველაზე ქმედითი მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ცენტრალურ ამოცანად რჩება მშრომელებისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი იდეურ-პოლიტიკური თვისებების, კომუნისტური მორალის ნორმების ჩანერგვა.

პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, შეურიგებელი შეტევითი ბრძოლა ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

იდეურ-პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია შრომისადმი და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარება, შეგნებული დისციპლინის და ორგანიზებულობის განმტკიცება.

ყრილობამ დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნია განათლების მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ახალ ხუთწლედში დამთავრდება საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება. ამ ამოცანის გადაწყვეტას უდიდესი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება ფართო შესაძლებლობას მისცემს თითოეულს აირჩიოს პროფესია მოწოდების მიხედვით, რაც შეიძლება უკეთ გამოიყენოს თავისი ნიჭი მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას. კიდევ უფრო განვითარდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. გათვალისწინებულია მომზადდეს 9 მილიონამდე სპეციალისტი, მათ შორის მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებათა სპეციალისტები.

ყრილობამ აღნიშნა ლიტერატურისა და ხელოვნების მზარდი როლი სოციალისტური საზოგადოების სულიერი სიმდიდრის შექმნაში. საბჭოთა ხალხი

---

27 რეზოლუცია სკკპ XXIV ყრილობისა.

დაინტერესებულია ისეთი ნაწარმოებების შექმნით, რომლებშიც სიმართლით იქნება ასახული სინამდვილე, დიდი მხატვრული ძალით დამკვიდრდება კომუნიზმის იდეები.

პარტიის პოლიტიკას ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში საფუძვლად უდევს პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები. პარტია მხარს უჭერს სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე გამომუშავებული ფორმისა და სტილის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. იგი დიდად აფასებს ხელოვანის ნიჭს, მისი შემოქმედების იდეურ-კომუნისტურ მიმართულებას, შეურიგებლობას ყოველივე იმისადმი, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში.

მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის დიდი ყურადღება აქვს დათმობილი წიგნების გამოშვებას, ჟურნალ-გაზეთების ტირაჟის შემდგომ გადიდებას, მათი იდეური დონის ამაღლებას, რადიოსა და ტელევიზიის საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, თეატრების, კინოთეატრებისა და კინოდანადგარების ქსელის განვითარებას, კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ განვლილ პერიოდს ახასიათებდა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი პროგრესი და შემდგომი დაახლოება. სსრ კავშირის ხალხთა შესანიშნავი მიღწევები მათი ერთობლივი შრომის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგია. სოციალისტური მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთიანობა — საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა სოციალისტურ ერებს აქვს საერთო სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირი, საერთო ეკონომიური ბაზა — სოციალისტური მეურნეობა, საერთო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, საერთო მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო მიზანი — კომუნიზმის აშენება. ბევრი საერთო ნიშანია საბჭოთა სოციალისტური ერების სულიერ ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში. ამავე დროს საბჭოური იდეოლოგია დიდი პატივისცემით ეპყრობა ეროვნულ თავისებურებებს და ეროვნულ კულტურას.

თავის ეროვნულ პოლიტიკაში პარტია გამომდინარეობს იმ ლენინური დებულებიდან, რომ სოციალიზმი არა მხოლოდ არ სპობს ეროვნულ სხვაობას და თავისებურებებს, არამედ პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებას და აყვავებას.

ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხს პარტია სწყვეტს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე. პარტია არ დაუშვებს არც ეროვნულ თავისებურებათა უგულვებელყოფას, არც მათ გაზვიადებას.

პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის არსი მარტო ის კი არ არის, რომ უზრუნველყოს ერთა პოლიტიკური თანასწორობა, არამედ ისიც, რომ მტკიცე მატერიალური საფუძველი შეუქმნას ხალხთა ნამდვილ თანასწორუფლებიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

პარტია უზრუნველყოფს საბჭოთა ერების სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და ურთიერთდახმარებას ცხოვრების ყველა სფეროში, ყოველი ღონით ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის განმტკიცებას, ყოველმხრივ სრულ-

ყოფს ჩვენი ქვეყნის ხალხების სახელმწიფოებრივ ფორმას, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირის იმ რაიონებს, რომლებიც უფრო სწრაფ განვითარებას საჭიროებენ.

კომუნისტური მშენებლობის პროცესში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლის, ეკონომიკასა და შრომის ხასიათში დიდი ძვრების პირობებში ხდება დიდმნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები. უმჯობესდება მუშათა და გლეხთა პროფესიული მომზადება და ოსტატობა, მაღლდება მათი განათლებისა და კულტურის დონე; თანდათან ერთმანეთს უახლოვდება ქალაქისა და სოფლის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, იზრდება ინტელიგენციის, განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის რიგები, სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა.

პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს — საბჭოთა წყობილების საფუძველს. ახლოებს ყველა კლასსა და სოციალურ ჯგუფს, ამასთან პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მუშათა კლასის წამყვანი როლის უზრუნველყოფას.

კომუნიზმის მშენებლობის პროცესში მუშათა კლასის, როგორც საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალის როლი, განპირობებულია იმით, რომ იგი ქმნის საზოგადოებრივი პროდუქტის ყველაზე მეტ წილს, იმყოფება ტექნიკური პროგრესის მოწინავე ხაზზე და დასაქმებულია საზოგადოებრივი წარმოების გადამწყვეტ დარგებში. ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მუშათა კლასის წამყვანი როლი განისაზღვრება იმითაც, რომ იგი არის მშრომელი მასების საერთო საარსებო ინტერესების გამომხატველი. ამ საფუძველზე, მუშათა კლასის გარშემო მჭიდროდ ირაზმებიან ყველა სოციალური ჯგუფები, რომლებიც მას შეიცნევენ თავის ხელმძღვანელ ძალად. დაბოლოს, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი განპირობებულია მისი რიცხობრივი უპირატესობით საბჭოთა ხალხის საერთო მასაში.

მუშათა კლასისა და გლეხობის ძმური კავშირის განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში, მათი მჭიდრო თანამშრომლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აცამტვერებს ბურჟუაზიული პროპაგანდისტების ყველა მონაჭორს სოციალისტური კლასების არსისა და მათი ურთიერთობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც 14,5 მილიონ პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს აერთიანებს, მუდამ გრძნობს ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემას, იცის მშრომელთა მისწრაფებანი, მათი აზრი და საჭიროებანი, გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებს. მასებთან კავშირი პარტიის საქმიანობის კანონია.

თავისი რიგების სიწმინდე, მისი თვისობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, კომუნისტების აღზრდა პარტიის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანია. პარტია განუხრელად ახორციელებს შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვის, კომუნისტთა აქტივობის ამაღლების გეზს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებას გავრცელდეს სკკპ წესდების დებულება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების შესახებ ყველა საპროექტო ორგანიზაციის, საკონსტრუქტორო ბიუროს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, სასწავლო, კულტურულ-

საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე.

სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა კომუნისტური მშენებლობის გიგანტური პროგრამა უახლოესი წლებისათვის. მეცხრე ხუთწლედი კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს. ამ გეგმის განხორციელებას ექნება უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და საერთაშორისო მნიშვნელობა. იგი დიდი წვლილი იქნება კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პოზიციათა განმტკიცების საერთო საქმეში.

არჩილ ათანელიშვილი

# საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საკითხი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია რუსეთის კაპიტალიზმმა კავკასია ჩაითრია მსოფლიო საქონელბრუნვაში, მოახდინა მის ადგილობრივ თავისებურებათა ნიველირება[1]. ამიტომ, საკითხი ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ობიექტური წანამძღვრების შესახებ არ შეიძლება მოვწყვიტოთ რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას.

რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია განსაკუთრებული მონდომებით უარყოფს ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ მხარეებში, კერძოდ საქართველოში, სოციალისტური რევოლუციისათვის ისტორიული წანამძღვრების არსებობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების აუცილებლობის უარყოფის მიზნით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოში თითქოს რევოლუციის გარეშეც იყო შესაძლებელი, საერთო-სახალხო კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნა[2]. ასეთი სახელმწიფო, მათი აზრით, ითვალისწინებდა „სოციალურ ზავს“ და არა ძირეულ სოციალურ გარდაქმნებს, ამიტომაც ცდილობდნენ 1917 წელს კონტრრევოლუციური ძალები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჩარჩოებით შემოეფარგლათ რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, დაებრკოლებინათ მისი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებას ქართველი ხალხი, მუშათა კლასი და გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა.

საქართველოში მშრომელი მასების რევოლუციურ განწყობას ვერ მალავდენ ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენლები. საყურადღებოა 1917 წ. მარტში თბილისში მყოფი ინგლისელი ჟურნალისტის მოგონება, იგი წერს: „ცნობა რევოლუციის შესახებ თბილისში, ამიერკავკასიის კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრში, მიღებულ იქნა 15 მარტს (ძველი სტილით), მან ხალხის მასებში მეორე დღესვე ჰპოვა გამოძახილი... დემოსის სულიერი განწყობილება ცალკეულ პიროვნებებიდან საშუალო საუკუნეების მონტანიერთა და მეოცე საუკუნის მუშათა უდიდეს გაერთიანების ფორმამდე ამაღლდა,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 704; ტ. 19, გვ. 602.

[2] Mitteilungen des Instituts für Orientforschung. Bd. XIII, Hf. 3, 1963, Berlin, გვ. 373.

ეს ყველაფერი კი მათ ძმობისა და მშვიდობის იდეებმა შთაუნერგა"[3]. მეორე ბურჟუაზიული მოღვაწის შეხედულებით, „დემოკრატიამ მოიცვა თითოეულის აზრი და ის პირზე ეკერა ყველას. ეწყობოდა მასობრივი მიტინგები, რომლებზედაც სახელდახელოდ წარმოშობილ ძმობის კავშირში ერთიანდებოდნენ სომხები, ქართველები, აზერბაიჯანელები და სხვა ხალხების უამრავი წარმომადგენლები"[4].

ამიერკავკასიაში ბოლშევიკები იატაკქვეშეთიდან გამოსვლისთანავე შეუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოების — საბჭოების შექმნას.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების რევოლუციური როლი მიჩქმალულია თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსების მიერ. ისინი შეგნებულად ამცირებენ ხალხთა მასების რევოლუციური გავლენის ძალას. კაპიტალიზმის აპოლოგეტები მოვლენებს მათთვის სასურველი ელფერით ხატავენ და საბჭოებს თავიდანვე დროებითი მთავრობის დანამატად მიიჩნევენ. ასე მაგალითად, ჯორჯ ბრინკლეის აზრით: „ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც 1917 წელს ხელთ იგდო მმართველობის სადავეები და, რომელსაც გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა... უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებული იყო ქართველ მენშევიკთა ძლიერ ორგანიზაციაზე, რომელიც მთელს მხარეში კონტროლს უწევდა საბჭოებს"[5]. საბჭოებში მენშევიკთა გაბატონებულ მდგომარეობაზე წერს კოულიც: „...კომისარიატი თავისი შემადგენლობით სოციალისტური არ იყო და მმართველობის ფუნქციებს „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა" სამხარეო საბჭოს მხარდამხარ ასრულებდა, მასში კი გაბატონებული მდგომარეობა ქართველ მენშევიკებს ეკავათ"[6].

როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიული ისტორიკოსები უარყოფენ საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობას. ისინი მხოლოდ ბურჟუაზიისა და შემთანხმებლური პარტიების ხელისუფლებას ხედავენ. მათ სურთ უგულებელყონ რევოლუციის დღეებში ხალხის რევოლუციური შემოქმედებით შექმნილი ხელისუფლების ახალი ორგანოები. ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს არ აწყობთ საბჭოებში მყოფი რევოლუციური უმცირესობისა და რევოლუციური მასების როლის აღიარება. სინამდვილეში კი „საბჭოები მასების ზეგავლენით ატარებდნენ მთელ რიგ რევოლუციურ ღონისძიებებს: ზღუდავდნენ გარკვეულ ფარგლებში კაპიტალისტთა და მემამულეთა თვითნებობას, ებრძოდნენ სპეკულიანტებს, გზავნიდნენ სასურსათო კომიტეტებში თავიანთ წარმომადგენლებს, იბრძოდნენ პირველი მოთხოვნილების საგნების ნიხრის დარღვევის წინააღმდეგ. მუშები, ჯარისკაცები და გლეხობა საბჭოებს თავის ორგანოდ

---

[3] M. Philips-Price. War and Revolution in Asiatic Russia. London, 1918, გვ. 280, 282.

[4] The Struggle for Transcaucasia (1917—1921) by Firuz Kazemzadeh. New-York, 1951, გვ. 32.

[5] The Volunteer army and allied intervention in South Russia. 1917—1921 A Study of Diplomacy of the Pussia. Civil War by George Brinkley, Notre Dame, 1966, გვ. 14.

[6] A History of socialist thought. Vol. IV. Part I, Communism and social-Democracy 1914—1931. by. G. D. H. Cole. London, 1958, გვ. 205.

თვლიდნენ, ხშირად უგზავნიდნენ მათ მხურვალე მისალმებებს და უწევდნენ მატერიალურ დახმარებას[7].

მუშათა და ბოლშევიკთა გავლენაზე მიგვითითებს აგრეთვე წითელი გვარდიის შექმნის საკითხი. რევოლუციის მონაპოვარის გასამტკიცებლად და რევოლუციის საქმის ბოლომდე მისაყვანად საჭირო იყო შეიარაღებული ძალა, მშრომელთა არმია. ბოლშევიკებს თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო მუშათა კლასის შეიარაღებული ძალების — წითელი გვარდიის შექმნა. ამ ღონისძიების გატარების წინააღმდეგ გამოვიდნენ ესერები, მენშევიკები და სხვა შემთანხმებლური პარტიები. მიუხედავად ამისა, მუშათა ზეგავლენითა და ბოლშევიკების მტკიცე მოთხოვნით თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული შეიქმნა მიეღო წითელი გვარდიის ჩამოყალიბების გადაწყვეტილება[8]. მაგრამ, შემდგომში, რევოლუციის მტრებმა შეძლეს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ წითელი გვარდიის შექმნის იდეა. მენშევიკებმა მუშათა და ბოლშევიკთა წინააღმდეგ შექმნეს შეიარაღებული ძალა, რომელიც განსაზღვრულ დროს წითელი გვარდიის მხოლოდ სახელს ატარებდა, შემდეგ კი სახალხო გვარდიის სახელით კონტრრევოლუციის დასაყრდენ ძალად იქცა საქართველოში[9].

ბოლშევიკებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს აგრეთვე კავკასიის ჯარის ნაწილებში. მათ მოკლე დროის განმავლობაში დაარწმუნეს ჯარისკაცთა უმრავლესობა, რომ ბოლშევიკების პოზიცია ომისა და ზავის საკითხებში ერთადერთი სწორი პოზიცია იყო, რომ ესერები, მენშევიკები და სხვა შემთანხმებლური პარტიები ხალხის ინტერესების გამცემლურ პოლიტიკას ატარებდნენ და ა. შ. ჯარის ნაწილებში ბოლშევიკთა გავლენის ზრდამ მენშევიკები და ესერები აიძულა ეღიარებინათ კავკასიის არმიაში ესერულ-მენშევიკური გავლენის დაცემა, ესერულ-მენშევიკური საბჭოებისა და კომიტეტებისადმი ჯარისკაცთა ნდობის შერყევა; სამაგიეროდ გაიზარდა ბოლშევიკთა პოპულარობა. ბურჟუაზიული ისტორიკოსის კაზემზადეს მიხედვით: „ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებმა ჯარისკაცთა მასებზე გავლენა მოიპოვეს, ნიშნავდა მათ კონტროლს არმიის იმ ორგანოების დამორჩილებას, სადაც რაღაც შვიდი თვის წინ მენშევიკები და ესერები გაბატონებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ“[10].

არმიის მორალური და პოლიტიკური განწყობილების, არმიაში ბოლშევიკების მოღვაწეობის, ჯარისკაცთა დეპუტატების საქმიანობის, სადელეგატო კრების მოღვაწეობისა და სხვათა ამსახველი მასალები და დოკუმენტები[11], აშკარად წარმოგვიდგენენ კავკასიის არმიას, როგორც რევოლუციურ შეიარაღებულ ძალას.

---

7 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. II, თბ., 1961, გვ. 175.

8 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 4—5/9—10, 1924, გვ. 209—210.

9 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში. თბ., 1922, გვ 122—123; Н. Н. Ж о р д а н и я, За два года (1-го марта 1917 годл по 1-е марта 1917)- Документы и Речи, Тифлис, 1919, გვ. 95.

10 The Struggle.., დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

11 „Борьба за победу Советской власти в Грузии“, Документы и материалы (1917—1921 гг.), Тбилиси, 1968, საქმე, №№ 4, 9, 17, 23, 24, 25, 27, 84, 90, 92, 100, 101, 108, 120, 128, 136, 143, 162, 169, 175, 177, 178, 179, 183 და ა. შ.

კაპიტალიზმის აპოლოგეტების განცხადებით, მენშევიკებს ხელისუფლება კლასთა ბრძოლაზე უარის თქმითა და „გონიერი“ და „თავისუფალი დემოკრატიის“ გატარებით მოუპოვებიათ. თითქოს, „საქართველოს მმართველობას ის რჩეული ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ახორციელებდნენ, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი გონიერი და თავისუფალი დემოკრატიით[12]. „ისევე, როგორც 1905 წლის რევოლუციის დროს, საქართველოს რევოლუციური ორგანიზაციები 1917 წლის დაძაბულ მდგომარეობაშიც ზომიერად და ხალხის განწყობილებისადმი შესაფერისად მოიქცნენ“... „საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობამ თავის დროზე უარყო ბოლშევიკთა ექსტრემისტული ლოზუნგები კლასთა ბრძოლის შესახებ და გეზი ეროვნულ გაერთიანებისაკენ აიღო[13]. ამრიგად, 1) მენშევიკებმა კლასთა ბრძოლაზე უარის თქმით უღალატიათ რევოლუციისათვის, როგორც 1905, ასევე 1917 წელს; 2) 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს და მის შემდგომ მენშევიკები არათუ „ხალხის განწყობილებისდა შესაფერისად“ არ იქცეოდნენ, ისინი ებრძოდნენ მშრომელთა რევოლუციურ განწყობას, ეშინოდათ მისი და რევოლუციური ფრაზეოლოგიის შემწეობით მას რევოლუციის განვითარება-გაღრმავების საწინააღმდეგოდ მიმართავდნენ. 3) საქართველოს „რევოლუციური ორგანიზაციების“ ცნებაში ბურჟუაზიული ისტორიკოსები გულისხმობენ მენშევიკურს და არა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ყოველივე ეს მათ ესაჭიროებათ იმისათვის, რომ დაგვისაბუთონ ის პირობები, რომლებმაც მენშევიკები სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოაქცია და, რომლებიც მათ კანონზომიერად მიაჩნიათ, თურმე: „საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბატონებული ადგილი მენშევიკური მიმართულების სოციალ-დემოკრატებს ეკავათ“[14]. „... ამიერკავკასიის სამი ეროვნული პარტიიდან ქართველი მენშევიკები ყველაზე გამძლე და ხალხის უდიდესი მხარდაჭერის მქონე პარტია აღმოჩნდა“[15] და ა. შ.

საქართველოს ხელისუფლების ორგანოებში ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების გაბატონებას ხელი შეუწყეს: ამიერკავკასიის ჭრელმა ეროვნულმა შემადგენლობამ, ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ, მენშევიკებისა და ესერების პროპაგანდამ რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათისაა, სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობისა და სხვათა შესახებ[16]. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მენშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, შემდეგნაირად დაახასიათა ლენინმა: „ასე იყო ევროპის ყველა წინანდელ რევოლუციაში, როდესაც კულაკები, მუშების სისუსტის გამო, ახერხებდნენ საქმის უკან შემობრუნებას — რესპუბლიკიდან ისევ მონარქიისაკენ, მშრომელთა ხელისუფლებიდან ისევ ექსპლუატატორების, მდიდრების, მუქთახორების ყოვლისშემძლეობისაკენ. ასე მოხდა ჩვენს თვალ-

[12] A n d r e I b e l s. Liberons la Georgie...!, Paris, 1919, გვ. 18.

[13] D. M. L a n g, A Modern History of Georgia, London, 1962, გვ. 194.

[14] Demographic and Ethnographic changes in Transcaucasia 1897—1956. R. Pipes, 1959, გვ. 50.

[15] The Russian Revolution 1917—1921 by H. Chamberlin, London, 1935, VI. II, გვ. 408

[16] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 55, 56, 57.

წინ ლიტვიაში, ფინეთში, უკრაინაში, საქართველოში"[17]. დიდი როლი შეასრულა წვრილბურჟუაზიული სტიქიის გადამწყვეტმა გავლენამ, რომლის შესახებ ლენინი წერდა: „...მილიონებმა და ათეულმა მილიონებმა, რომელთაც ათეული წლებით ეძინათ პოლიტიკურად, დაბეჩავებულნი იყვნენ პოლიტიკურად ცარიზმის საშინელი ჩაგვრით და კატორღული შრომით მემამულეებისა და მეფაბრიკეებისათვის, გამოიღვიძეს და პოლიტიკისაკენ გაიწიეს. მერე, ვინ არიან ეს მილიონები და ათეული მილიონები? მეტწილად წვრილი მესაკუთრეები, წვრილი ბურჟუები, ადამიანები, რომლებიც კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შუა დგანან. რუსეთი ყველა ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა.

უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, დაიმორჩილა შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ესე იგი მუშათა ფრიად ფართო წრეებს გადასდო, შეჰყარა წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე"[18]. ეს სტიქია კი საქართველოში კიდევ უფრო ძლიერი იყო ვიდრე რუსეთში. თავისი როლი ითამაშა აგრეთვე ეროვნული საკითხის ბურჟუაზიულმა გადაჭრამ, რომელმაც ამიერკავკასიის ხალხები ნაციონალისტური შხამით მოწამლა, დაბოლოს, რეპრესიების შედეგად ბოლშევიკური ორგანიზაციების შედარებითმა სისუსტემაც ხელი შეუწყო ხელისუფლების გადასვლას მენშევიკებისა და მათ მოკავშირეთა ხელში.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიკოსები საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების კანონზომიერებას უარყოფენ იმ მოტივით, რომ აქ თითქოს არ იყო პოლიტიკური პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ქართველ მშრომელებს ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მათი აზრით: „კომუნიზმს არავითარი გავლენა არ ჰქონია საქართველოში. კომუნისტები აქ მხოლოდ მცირეოდენ მომხრეებს ითვლიდნენ"[19], ისინი „1917 წლის თებერვლისათვის რაღაც 15—20 კაცს შეადგენდნენ"[20] და ასე შემდეგ.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მენშევიკური პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის თანაფარდობის საკითხის შესახებ ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები სამართლიანად შენიშნავენ, რომ აღნიშნულ პერიოდში ბოლშევიკები შედარებით მცირერიცხოვან ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, მიუხედავად ამისა, იდეური დარაზმულობითა და დისციპლინით მათ ვერც ერთი პარტია ვერ შეედრებოდა.

მეფის ხელისუფლების მხრიდან სასტიკმა დევნამ, გადასახლებებმა და კატორღამ საგრძნობი დარტყმა მიაყენეს საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, მათ შემადგენლობას; ბევრიც ჯერ კიდევ ემიგრაციაში იმყოფებოდა და ა. შ.

მენშევიკები ბურჟუაზიასთან შემთანხმებლურ პოლიტიკას ადგნენ, რის გამოც, ცხადია, მთავრობა მათ ნაკლებად დევნიდა და ზოგჯერ მფარველობდა კი-

---

17 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 48.

18 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 52—53.

19 Der Terror gegen die sozialistischen parteien in Rußland und Georgien. R. A b r a m o v i t s c h. W. S u c h o m l i n. I. Z e r e t e l i. Berlin. 1925. Teil II, გვ. 85.

20 The struggle..., დასახ. ნაშრ., გვ. 41.

დეც. ასეთმა ვითარებამ მენშევიკებს საშუალება მისცა შეენარჩუნებინათ პარტიული კადრები და 1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროისათვის ბოლშევიკების მიმართ რიცხობრივი უპირატესობა მოეპოვებინათ.

ამ უპირატესობაზე დაყრდნობით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს უარყოს საქართველოში ისეთი მცირერიცხოვანი პოლიტიკური ძალის, როგორიც იყვნენ მაშინ ბოლშევიკები, პოლიტიკური გავლენა მასებზე.

თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებამ შექმნა პირობები ბოლშევიკების იატაკქვეშეთიდან გამოსვლისა და მათი აშკარა რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ისინი თავის უპირველეს ამოცანად პარტიული ორგანიზაციების სწრაფ აღდგენას ისახავენ. 1917 წლის 5 მარტს მოწვეულ ბოლშევიკთა პირველ საერთო კრებას დაესწრო 50 კაცი; კრება ღებულობს გადაწყვეტილებას თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის აღდგენის შესახებ, ირჩევს რსდმპ(ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტს და საინფორმაციო ბიუროს[21]; თბილისის ბოლშევიკების მეორე საერთო კრებას, რომელიც 1917 წლის 6 მარტს იქნა მოწვეული, ორჯერ უფრო მეტი პარტიული მუშაკი დაესწრო[22]; რამდენიმე თვეში ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრთა რიცხვმა სამი ათას კაცამდე მიაღწია[23]. ბოლშევიკთა რაოდენობრივ ზრდასთან ერთად იქმნება პარტიული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული ორგანოები. ბოლშევიკების საქალაქო კომიტეტი თავისი შექმნის პირველი დღეებიდანვე სათავეში ჩაუდგა დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მათი განმტკიცების საქმეს საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში. ბოლშევიკები, მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა, თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ჩამოყალიბების ინიციატორებად და ორგანიზატორებად გვევლინებიან. მათი ინიციატივით რევოლუციის პირველსავე დღეებში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები იქმნება ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში და სხვაგან. მენშევიკები საბჭოების შექმნის აუცილებლობასა და მნიშვნელობას უარყოფდნენ, მაგრამ, როცა ისინი შეიქმნა, მაშინ შეეცადნენ საბჭოები ხელთ ეგდოთ და გაბატონებულიყვნენ იქ[24]. მენშევიკები ბოლშევიკებთან ერთად შეუდგნენ საბჭოების ჩამოყალიბებას საქართველოში. მაგრამ, ბოლშევიკები თუ საბჭოებს რევოლუციის ხელმძღვანელ ორგანოდ თვლიდნენ, მენშევიკები პირიქით, მათ ქალაქის გამგეობას დაქვემდებარებულ, ე. ი. ბურჟუაზიის კონტრრევოლუციის ქვეშ მყოფ ორგანოდ მიიჩნევდნენ. ისტორიამ

---

21 ს. კ ვ ა ჭ ა ძ ე, თბილისის ბოლშევიკები 1917 წელს, თბ., 1967, გვ. 33. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი ფ. 8, აღწერა 2, საქმე 50. ფურც. 20; ფ. 14, აღწ. 5, საქმე 451, ფურც. 41, 44, 55; საქმე 462, ფურც. 51; ფ. 8, აღწ. 2. ნაწ. 2, საქმე 325, ფურც. 56, ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", № 4—5 (9—10), 1924, გვ. 210.

22 ს. კ ვ ა ჭ ა ძ ე, დასახ. ნაშ., გვ. 34; მლისფპა, ფ. 8, აღწ. 2, ნაწ. 2, საქ. 325. ფურც. 57—58.

23 К. Иванидзе, Первый краевой съезд большевистской организации Кавказа, Тб., 1969. გვ. 10.
(ეს რიცხვი დადგენილია ავტორის მიერ პარტიის VI ყრილობისა და რსდმპ/ბ-ის კავკასიის სამხარეო პირველი ყრილობის მონაცემების მიხედვით — ა. ა.).

24 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ოთხი წლის წინათ, გაზ. „კომუნისტი", 1921, № 10.

ცხადყო, რომ როგორც თვით ნოე ჟორდანია, ისე მთელი მენშევიკური პარტია, ესერებთან ერთად ამ შეხედულებებს ახორციელებდნენ[25].

საქართველოში ამ დროს ყველაზე რევოლუციურ ძალას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. მათი პოლიტიკური ხაზი რევოლუციის შემდგომ განვითარებას, მის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდას ისახავდა მიზნად. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი მენშევიკური პარტია კი რევოლუციას დამთავრებულად მიიჩნევდა, მას ბურჟუაზიული რევოლუციის ჩარჩოებით ფარგლავდა და სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის წინააღმდეგ იბრძოდა.

1917 წლის თებერვალსა და მარტში სულ უფრო და უფრო ძლიერდება ბოლშევიკთა გავლენა, იზრდება მათ მომხრეთა რიცხვი. მარტის 11 რიცხვში იქმნება ბოლშევიკური ორგანიზაციის მებრძოლი ორგანო გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი"; ბოლშევიკებმა გავლენა მოიპოვეს მელითონეთა, ელექტრიკოსთა, მეთამბაქოეთა კავშირებში; მათი გავლენით იწყება მუშათა კონტროლისა და შრომის დაცვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების აღმოცენება საწარმოებში; მიუხედავად მენშევიკური ხელისუფლების მხრიდან დევნისა, ბოლშევიკები წარმატებას აღწევენ პროფკავშირებში, არმიაში და ა. შ.[26] „... ბოლშევიზმი უკვე 1914 წლის დამლევიდან ულმობლად ამხელდა სოციალ-შოვინიზმისა და „კაუცკელობის"... საზიზღრობას, სისაძაგლეს და გათახსირებას, მასები კი შემდეგ საკუთარი გამოცდილებით სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ ბოლშევიკების შეხედულებათა სისწორეში"[27]. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკთა გავლენა იმდენად აშკარა გახდა, რომ ქართველი მენშევიკები ფედერალისტებთან და ეროვნულ-დემოკრატებთან ერთიანი ბლოკით გამოდიან ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლშევიკთა გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ჩქარა „... ამიერკავკასიის შეძლებულმა კლასებმა თვალნათლივ დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლებას გარდუვალი სიკვდილი მოაქვთ მათთვის. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა მათთვის, ხოლო „სოციალისტური" ესერულ-მენშევიკური ინტელიგენცია ... ავტომატურად მოექცა შეძლებულ კლასებთან კავშირში.

ასე შეიქმნა ანტისაბჭოთა კოალიცია ამიერკავკასიაში"[28].

საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი. კერენსკის მთავრობის ჩამოვდებისა და ოქტომბრის რევოლუციის მიმართ — ბურჟუაზიული ისტორიკოსის განცხადებით — „საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტე-

---

25 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, 1927, გვ. 4.

26 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1957, გვ. გვ. 393—392; ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წ.წ) თბ., 1954, გვ. გვ.92—95; 114—118. გ. ვ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, თბ., 1948, გვ. 54—56, 64—66. Н. Б. М а х а р а д з е, Победа социалистической революции в Грузии, Тб., 1955, გვ, 31—39.

27 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ.გვ. 15—16.

28 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 57.

ტების რეაქცია მკვეთრი და მტრული იყო. 1917 წლის 8 ნოემბერს „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა" დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის, თბილისის სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკების) აღმასრულებელი კომიტეტის მიტინგი ადგენს, რომ რევოლუციის ინტერესებისათვის ბოლშევიკთა ამბოხის ლიკვიდაციაა აუცილებელი"[29] მეორე ისტორიკოსის მტკიცებით „1917 წლის ბოლშევიკთა ნოემბრის რევოლუცია არ იქნა მიღებული ამიერკავკასიის მოსახლეობის მიერ..."[30], რომ „საბჭოების სამხარეო ცენტრმა წესრიგის შენარჩუნებისა და გაერთიანებისაკენ მოუწოდა რევოლუციონურ დემოკრატიას... ამიერკავკასიის საბჭოების ხელმძღვანელთა მიერ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციის აზრი თავის დროზე მტკიცედ იქნა გატარებული"[31], მენშევიკებმა „გაბატონებული კლასების პარტიებთან — ნაციონალ-დემოკრატებთან, მუსავატისტებთან და დაშნაკებთან შექმნეს ერთიანი ფრონტი მუშათა და გლეხთა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ"[32].

„ბოლშევიკთა ამბოხის" ლიკვიდაციისათვის საქართველოს „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა" დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის, თბილისის სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკების) აღმასრულებელი კომიტეტების მიტინგის დადგენილება სინამდვილეში არსებულ, ბურჟუაზიულ წყობილების დაცვას, რევოლუციის მეორე ეტაპზე — სოციალისტურ რევოლუციაზე უარის თქმასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. ამ უკანასკნელს თვით ბურჟუაზიული ისტორიკოსები გვიდასტურებენ იმის აღნიშვნით, რომ მენშევიკებმა ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ განსაკუთრებული ღონისძიებები დასახეს და რეაქციულ პარტიებთან ერთიანი ფრონტი შექმნეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგო.

ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცებას, რომ „რევოლუცია არ იქნა მიღებული ამიერკავკასიის მოსახლეობის მიერ-ო", აქარწყლებს ის გამოხმაურება, რომელიც მოჰყვა ცნობას საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შესახებ. 27 ოქტომბერს თბილისის არსენალის რაიონის საერთო კრება ოთხი ათასი კაცის შემადგენლობით მხურვალედ მიესალმა პეტროგრადის მუშების, ჯარისკაცების და მეზღვაურების აჯანყებას; ასევე მოიქცა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშათა კრება 500 კაცის მონაწილეობით, აგრეთვე მბეჭდავთა კავშირის მუშები[33] და სხვები. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მიესალმა ბათუმის მუშათა კრება, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელები. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოს გლეხობა იარაღით ხელში გამოდის მენშევიკთა წინააღმდეგ, რომელთა „მმართველობაც ისეთივე იყო, როგორიც თეთრგვარდიელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე"[34].

---

29 D. M. Lang.., დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

30 Andre Ibels..., დასახ. ნაშრ., გვ. 19.

31 The Struggle..., დასახ. ნაშრ., გვ. 54.

32 A. S. Martinov, Die liquidation des Menschevismus in Georgien, Wien, 1924, გვ. 23.

33 გ. ვ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90—92.

34 Andrew Rothstein, A History of the USSR, Middlesex, 1950, გვ. 141.

საქართველოს მშრომელთა რევოლუციური გამოსვლებით შეშინებული რეაქციული ძალები 29 ნოემბერს იკავებენ არსენალს; 9 თებერვალს არბევენ და კრძალავენ ბოლშევიკურ გაზეთებს; 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში ხვრეტენ მუშათა მიტინგს და აპატიმრებენ ხელმძღვანელ ბოლშევიკებს. მთელ საქართველოში მძლავრმა საპროტესტო მოძრაობამ იფეთქა. იქმნება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები, მენშევიკები მიხვდნენ, რომ ძალაუფლება ხელიდან ეცლებოდათ და დახმარებისთვის იმპერიალისტურ გერმანიას მიმართეს. გერმანელი ჯარისკაცების შემწეობით მათ სისხლში ჩაახშეს საქართველოს მშრომელთა გამოსვლები. აღნიშნული დროისათვის „ბოლშევიკები საქართველოს მმართველი პარტიის ასე თუ ისე სერიოზულ მოწინააღმდეგეს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა 1917 წლის ნოემბერში ხელისუფლების ხელში ჩაგდების ცდის დროს მარცხი განიცადეს, მათ ისეთი აქტიური მოღვაწეობა გააჩაღეს, რასაც სხვა რიცხობრივად სუსტი ჯგუფი ძნელად თუ შეძლებდა. 1918 წლის გაზაფხულზე მათ გლეხთა აჯანყებებით სცადეს ესარგებლად, მაგრამ ამავე წლის მაისში გერმანელების მოსვლამ ყველა მათი გეგმა პრაქტიკულად არარაობად აქცია“[35].

გერმანელების წასვლის შემდეგ მენშევიკებმა საქართველოს მშრომელების რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ საბრძოლველად ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მიმართეს დახმარებისათვის. მაგრამ ვერც ინგლისისა და ვერც საფრანგეთის ჯარებმა ვერაფერი გააწყეს რევოლუციურ მოძრაობასთან, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირობების მრუდე სარკეში ასახვის პირველ მერცხლებად II ინტერნაციონალის ბელადებისა და მენშევიზმის აპოლოგეტების შრომები მოგვევლინენ. მათ შორის აღსანიშნავია კარლ კაუცკის, ა. მერჰეიმის, პიერ რენოდელის, ჟ. ბ. სევერაკის, ე. ვრენიეს, ჟ. რენარის, ლ. მარტოვის, ვლ. ლებედევის[37] და სხვათა ნაწერები, რომლებმაც ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დასაბამი მისცეს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ძალით გასაბჭოების ვერსიას. ამ ვერსიას განსაკუთრებული მონდომებით იცავს თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსების დიდი უმრავლესობა[37].

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა ძალებმა — ქართველმა მენშევიკებმა, აზერბაიჯანელმა მუსავატისტებმა და სომეხმა დაშნაკებმა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასია რუსეთის მუშათა მოძრაობას მოწყვიტეს. იცავდნენ რა გაბატონებული კლასების ინტერესებს, მათ საბჭო-

---

[35] The Struggle..., დასახ. ნაშრ. გვ. 204.

[36] L'Internationale Socialiste et le Georgie, I. La Georgie Socialiste decrite par la Delegation Internationale; II. Internationale Socialiste et l'invasion de la Georgie par les armees bolchevistes; Paris. გვ. 197—291.

[37] Le proletariat Georgien contre l'imperialisme Bolcheviste. Constantinople. 1921, გვ. 3. Voyage au baut de l'Europe. La Georgie grandeur d'une petite Nation. par Gerard Garitte, Louvain 1967, გვ. 3. Soviet Russia and the East 1920—1927. Xenia Jaurkoff and Robert C. North, Stanford, California, 1957, გვ. 25; The consience of the Revolution. Communist opposition in Soviet Russia. R. V. Daniels. Cambridge. Massachusetts, 1960, გვ. 177. The Soviet Regime. Communism in Practice. W. W. Kulski. Siracusse, 1954, გვ. 102 და სხვ.

თა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შექმნეს თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციასთან და უცხოელ ინტერვენტებთან. ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციის გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო, ფინანსიური და დიპლომატიური დახმარების შედეგი იყო.

ბურჟუაზიული ისტორიკოსების უმრავლესობის აზრით საქართველოს ბოლშევიკები მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებს მიმართავდნენ და სრულიად ჩქმალავენ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეიარაღებულ აჯანყებას ბოლშევიკებმა მაშინ მიმართეს, როცა მშვიდობიანი გზით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ყველა საშუალება ამოიწურა. „თებერვლის რევოლუციის შემდეგ — წერს დემეტრიო ბოერსნერი — საქართველოს მართავდა მენშევიკური მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერდა მოსახლეობის უმრავლესობა და რომელმაც რუსეთიდან გამოყოფა გამოაცხადა. ბოლშევიკთა უმცირესობამ ორჯერ სცადა ხელთ ეგდო კონტროლი საქართველოს მუშათა და გლეხთა საბჭოებში და ქვეყანა ხელახლა რუსეთთან შეეერთებინა. ბოლშევიკების აზრით რევოლუციის პირველი ეტაპიდან — „ბურჟუაზიულ“ თვითგამორკვევიდან ეხლა „პროლეტარულ“ ეტაპზე უნდა გადასულიყვნენ და დიდი რუსეთის მშრომელთა სახელმწიფოს შეერთებოდნენ. ვინაიდან საქართველოს საბჭოებში კონტროლის ხელში ჩაგდების ცდისას მარცხი განიცადეს, ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს შეიარაღებული აჯანყება მოეწყოთ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ“[38]. ამის გამო ბოერსნერი ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის „ძირითად ბერკეტად“ მიიჩნევს „ძალადობას“. როგორც ვხედავთ იგი წინააღმდეგობაში ვარდება, ეს უკომენტაროდაც ცხადია.

1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში იქმნება ის პირობები, რომლებიც ახასიათებენ უშუალო რევოლუციურ სიტუაციას: მენშევიკურ მთავრობას აღარ ძალუძს მართოს ძველებურად, რევოლუციური ლოზუნგებითა და სოციალური რეფორმების პროპაგანდით უკვე აღარ შესწევს უნარი მოატყუოს მუშათა კლასი და გლეხობა, გაჭირვებამ უკიდურესად დაძაბა ხალხის მასები, ამ უკანასკნელთ უკვე აღარ სურთ იცხოვრონ ძველებურად. მენშევიკების ბატონობის მთელ პერიოდში თანდათან ხშირდებოდა მუშათა გაფიცვები, საქართველო გლეხთა აჯანყებების ალში იყო გახვეული. მენშევიკურ მთავრობას აღარ შეეძლო საკუთარი ძალებით ჩაეხშო ხალხის რევოლუციური მოძრაობა და დახმარებისათვის მიმართა ერთა ლიგაში მყოფ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მთელი თავისი ბატონობის დროს მენშევიკური მთავრობა საქართველოს მშრომელი მასების წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალისტურ ძალებს ეყრდნობოდა. ამიტომაც, სავსებით კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს მშრომელებმა მენშევიკური მთავრობისა და უცხოელ იმპერიალისტთა უღლის მოსაშორებლად საბჭოთა რუსეთს მიმართეს — ეს ისტორიული მოვლენების მსვლელობის ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარეობდა.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილის, რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური ძალადობა იყო. ამიტომაც, წითელი არ-

---

[38] Demetrio Boersner, The Bolsheviks and the National and Colonial question, 1917—1928, Geneva, Paris., გვ. 62.

მიის დახმარებით საქართველოს მშრომელთა მიერ მენშევიკური ხელისუფლების დამხობა ახალი საზოგადოებრივი წყობის, სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლის გზაზე გადადგმულ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ზოგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას „ძალადობის" გარდა სხვა „საშუალებებითაც" ხსნის. ასე მაგალითად, დასავლეთის ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსის აზრით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და, საერთოდ, საბჭოთა რუსეთის მიერ მეფის რუსეთის ყოფილი ტერიტორიების დაბრუნება, კომუნისტური პარტიის ცალკეულ ხელმძღვანელთა ნება-სურვილზე დამოკიდებული აქტია. ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი იმასაც კი აცხადებს, რომ საქართველოში აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ერთობა სუფევდა და გამორიცხული იყო იქ ბოლშევიზმის აღმოცენება. ასე მაგალითად, გუნთერ შტოკლის განცხადებით: „...საქართველოში არ არსებობდა ანარქია და ქაოსი, რათა მათ გზა გაეკაფათ ბოლშევიკური ბატონობისათვის"[39], ოტო ბაუმჰაუერის შენიშვნითაც: „... საქართველოში მენშევიკური საბჭოების მიერ ახალ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილებასა და ნაციონალიზმს შორის კავშირის საფუძველზე შექმნილ იქნა სტაბილური სახელმწიფო"[40].

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას მენშევიკური საქართველოს „სტაბილურ" სახელმწიფოდ აღიარება იმისთვის სურს, რომ უარყოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების კანონზომიერება, რაც მას ბოლშევიკთა „აკვიატებულ თეორიად" მიაჩნდა. მენშევიკური საქართველოს „სტაბილურობის" შესახებ კი თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსებისგან განსხვავებით II ინტერნაციონალისა და მენშევიზმის ზოგიერთი ბელადი სხვა ცნობებს გვაწვდის. მათი აზრით მენშევიკური საქართველო როგორც ეკონომიურად ისევე პოლიტიკურადაც უფსკრულის პირას იდგა და დიდი დრო არ იყო საჭირო მისი ბოლშევიზაციისათვის[41]. თანამედროვე კაპიტალიზმის აპოლოგეტები ოპორტუნისტ ლიდერთა ან აღიარებას „ჭეშმარიტებისაგან" გადახვევად მიიჩნევენ და ბოლშევიზმის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს ბრალს დებენ ბოლშევიკური შეხედულებების გაზიარებაში.

ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, როგორც აღინიშნა, ცდილობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება დაუკავშიროს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს. ს. რ. ტომპკინსის აზრით ბოლშევიკები თანახმა არ იყვნენ დაეკარგათ ოლქები, რომელთა სტრატეგიული მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრე ხელს შეუწყობდა მთელი ქვეყნის კეთილდღეობასა და განვითარებას. ეს ოლქები — ასკვნის ის — უკრაინა, ამიერკავკასია და ცენტრალური აზიაა, რომლებიც კვლავ შეუერთეს ცარიზმის ყო-

---

[39] Günther Stökl, Russische Geschichte, Von der Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart, 1965, გვ. 667.

[40] Otto Baumhauer, UdSSR, Geschichte und Entwiklung der Sowjetunion, Bremen, 1965, გვ. 69.

[41] გაზ. „ერთობა", 1920, № 235; ამ დროს საქართველოში მყოფმა კ. კაუცკიმ მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ნახა ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის ნგრევა, განაცხადა, რომ „საქართველო ბოლშევიზმისკენ მიექანებაო".

ფილ იმპერიას...“[42] ამასვე ამტკიცებს გრეიც: „სამხრეთით საბჭოთა მთავრობამ უფრო წარმატებით შეძლო რუსეთის საზღვრების შენარჩუნება“[43].

ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ნაწილი ამიერკავკასიის და სხვა ხალხების მიმართ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის დადებით შედეგებზე თვალებს ხუჭავენ. მათ არ სურთ იმის დანახვა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გატარდა მიწისა და მრეწველობის ნაციონალიზაცია; გლეხობამ უსასყიდლოდ მიიღო მიწა, ფაბრიკა-ქარხნები ხალხის საკუთრებად იქცა, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გატარების შედეგად საქართველო ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა. განათლების მხრივ ქართველმა ხალხმა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა — ყოველივე ეს კი მიღწეულ იქნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად. ბურჟუაზიული ისტორიკოსები „ვერ ამჩნევენ“ გიგანტურ ნაბიჯებს საქართველოს ეკონომიკაში, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში, რის გამოც ტენდენციურობისა და ფაქტების გაყალბების ტყვეობაში რჩებიან.

კაპიტალიზმის აპოლოგეტთა ერთი ნაწილი უგულებელყოფს რა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ობიექტურად არსებულ პირობებს, ცდილობს მოგვაჩვენოს ის კომუნისტური პარტიის ცალკეული ლიდერების ი. ბ. სტალინის, ს. ორჯონიკიძისა და სხვების ნება-სურვილზე დამოკიდებულ მოვლენად[44]. მათი აზრით მენშევიკური ხელისუფლება დამხობილ იქნა იმიტომ, რომ ი. ბ. სტალინმა ვერ მოითმინა „საუკეთესო მენშევიკური მთავრობის არსებობა ბოლშევიკური ტერიტორიის სიახლოვეს“[45] და მას „პირადი მტრობა ჰქონდა ქართველ მენშევიკებთან“[46]. ასეთი აზრები საერთოდ დამახასიათებელია ჩვენ მიერ დასახელებული დასავლეთელი ისტორიკოსებისათვის.

1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის თებერვალში საქართველოში იქმნება უშუალო რევოლუციური სიტუაცია. რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური პირობების მომწიფების ვითარებაში საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან შეიარაღებულ აჯანყებაზე უარის თქმა შეცდომა იქნებოდა. საქართველოს მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობითა და საბჭოთა რუსეთის დახმარებით სოციალისტური რევოლუციის საკითხი თავიანთ სასარგებლოდ გადაჭრეს. ლაპარაკი იმაზე, რომ ი. ბ. სტალინმა მოისურვა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდაო, რევოლუციური სიტუაციის, რევოლუციის გამარჯვების ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა უარყოფაა, ისტორიაში პიროვნების როლის უპრეცედენტო გაზვიადებაა.

---

[42] S. R. Tompkins, Russia through the ages. From the Scythians to the Soviets. New-York, 1940, გვ. 594.

[43] The first fifty years Soviet Russia 1917—1967 by Jan Grey. Hodden and Stougton, გვ. 176.

[44] Lenin on the question of Nationality by Alfred D. Low, New-York. 1958, გვ. 134; The Soviet Revolution 1917—1939. by R. R. Abramovitch, London. 1962, გვ. 280—281. Jan Grey..., დასახ. ნაშრ., გვ. 195.

[45] I. N. Westwood, Russia, 1917—1964, London, გვ. 61.

[46] The New Imperialism. A. Background book. Hugh Seton-Watson. Chester Springs, Pennsylvania, 1951, გვ. 50.

ინგლისელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ვალტერ კოლარცი ცდილობს გააანალიზოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ დასავლეთში არსებული შეხედულებები. ის წერს: „... მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატები იმ ფარულ აზრს ელოლიავებოდნენ, რომ პატარა მენშევიკური საქართველო სოციალიზმს უფრო დიდი წარმატებით განახორციელებდა, ვიდრე მთელი ბოლშევიკური რუსეთი. ისინი იმასაც მოელოდნენ (და ამის მაგალითად საქართველოს ასახელებდნენ), რომ გლეხებსა და მუშებს შორის ურთიერთობის საკითხი დემოკრატიული საშუალებებით უფრო უკეთესად გადაიჭრებოდა, ვიდრე ქვეყნის მოსახლეობაზე სახელმწიფო პროლეტარიატის გაბატონების ბოლშევიკური იდეით. მოკლედ, თბილისს უნდა გაეგრძელებინა ის შეჯიბრი, რომელშიც დემოკრატიულმა სოციალიზმმა პეტროგრადსა და მოსკოვში მარცხი განიცადა.

ასეთ ვითარებაში მენშევიკური საქართველოს იარაღის ძალით განადგურება ბოლშევიკ ლიდერთა მსოფლმხედველობისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შექმნით მათ ერთდაიმავე დროს რამდენიმე მიზანს მიაღწიეს, „...ბრიტანეთის იმპერიალიზმს მეტად საგრძნობი დარტყმა მიაყენეს იმით, რომ ამიერიდან რუსეთისათვის შუა აღმოსავლეთის მისადგომი კარი გაიღო; ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ რუსეთის ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ „მსოფლიო მენშევიზმი" დაამარცხა და ამრიგად, მან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მუშათა კლასზე თავისი გავლენა უფრო განამტკიცა"[47].

როგორც ვხედავთ, კოლარცი „მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატებთან" ერთად საქართველოს მენშევიკურ მთავრობას რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობის მემკვიდრედ გვიხატავს და პეტერბურგსა და მოსკოვში „სოციალ-დემოკრატიის" დამარცხების შემდეგ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თბილისს — (ანუ ქართველ მენშევიკებს) — წამყვან როლს აკუთვნებს.

ქართველმა მენშევიკებმა მთელი თავისი ძალები ბოლშევიკთა წინააღმდეგ მიმართეს და ყოველნაირად ცდილობდნენ მათ ფიზიკურ განადგურებას. მათ მიერ საქართველოში გატარებული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებები მიზნად ისახავდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს საფუძვლის განმტკიცებას. მენშევიკურმა მთავრობამ სოფლად კულაკობის სახით თავისი დასაყრდენი შექმნა, ქალაქად კი დემოკრატიაზე ყიჟინით, მოსყიდვით და სხვა მეთოდებით შეძლო მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილის მოტყუება. დროთა განმავლობაში მუშებისა და გლეხების უდიდესი უმრავლესობა თანდათან დარწმუნდა მენშევიკური მთავრობის დაპირებების უსაფუძვლობაში. ეს სრულიად შემთხვევითი არ ყოფილა. მენშევიკები ზრუნავდნენ არა მუშების ინტერესებზე, არამედ ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად. ამ საკითხში ნაპდვილად დაეჯერება ბურჟუაზიულ ისტორიკოსს კოულის, რომელიც წერს, რომ მენშევიკებს არ უცდიათ საქართველო სოციალისტურ ქვეყნად ექციათ. იმის მაგიერ, რომ სახელმწიფოში სოციალისტური ხელისუფლება დაემყარებინათ კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის დაფუძნებისათვის ხელის შეწყობას უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდნენ. ... ქვეყნის განმტკიცებისათვის მენშევიკური ხელისუფლების მიერ გატარებულ მეთოდებს კი საერთო არაფე-

---

[47] Walter Kolarz., Die Nationalitätenpolitik der Sowjetunion, Frankfurt am Main., 1956, გვ. 267.

რი ჰქონდა მთლიანად სოციალიზირებულ ხელისუფლებასთან[48]. ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო გლეხთა რევოლუციური აჯანყებების ალში გახვია. გახშირდა მუშათა გაფიცვები. მენშევიკური მთავრობა სასტიკ რეპრესიებს მიმართავს აჯანყებულთა და გაფიცულთა წინააღმდეგ. ენდრიუ როტშტეინი წერს, რომ მენშევიკურ საქართველოში „გლეხების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნა და გაფიცულთა სისხლში ჩახშობა დამახასიათებელ თავისებურებად იქცა“[49].

დასავლეთის ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში საფრანგეთმა და ინგლისმა გაიყვეს რუსეთში მოჰავალი გავლენის სფეროები, ბრიტანეთის „გავლენის სფეროში“ აღმოჩნდა საქართველო[50]. ბურჟუაზიული ისტორიკოსების ერთი ნაწილი თავიანთ შრომებში აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ საფრანგეთსა და ინგლისს საქართველოში სურდათ შეექმნათ ისეთი ბუფერული სახელმწიფო, რომლის საშუალებითაც საბჭოთა რუსეთზე შეიარაღებულ თავდასხმას განახორციელებდნენ, უფრო მეტიც, თავიანთ ბატონობას გაავრცელებდნენ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხებზე. „ბრიტანეთი და საფრანგეთი ყველაფერს აკეთებდნენ ადგილობრივი ბარიერის შექმნისათვის ბოლშევიკთა შეტევის საწინააღმდეგოდ, ხელს უწყობდნენ და აგრძელებდნენ დენიკინის მოხალისეთა არმიის საქონლით მომარაგებას..., უკრაინას, კავკასიას და ცენტრალურ აზიას დასავლეთ ევროპის მხრიდან განიხილავდნენ, როგორც ბარიერს რევოლუციურ რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის“[51].

საფრანგეთისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა ვერ განახორციელეს რა თავიანთი გეგმები, შეეცადნენ საბჭოთა რუსეთისათვის დაეპირისპირებინათ თურქეთისა და მენშევიკური საქართველოს კოალიცია.

„ქემალისტების ბრძოლამ ანტანტასთან — წერდა ი. ბ. სტალინი — აიძულეს ანტანტა მნიშვნელოვნად შეერბილებინათ თავისი პოლიტიკა ქემალისტების მიმართ.

სომხეთის განადგურება ქემალისტების მიერ ანტანტის აბსოლუტური „ნეიტრალიტეტის“ დროს, ხმები თურქეთისათვის თრაკიისა და სმირნის მოსალოდნელი დაბრუნების შესახებ, ხმები ქემალისტებსა და ანტანტის აგენტ სულთანს შორის მოლაპარაკების შესახებ და კონსტანტინოპოლის მოსალოდნელი დაცლის შესახებ, ბოლოს, სიწყნარე თურქეთის დასავლეთის ფრონტზე — ყოველივე ეს სიმპტომებია, რომლებიც მოწმობენ ანტანტის სერიოზულ ლაციცს ქემალისტებთან“[52].

მიუხედავად „გონიერი ტერიტორიული დათმობის“ შესახებ დაპირებებისა, ანტანტის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ლონდონის კონფერენციაზე (1921 წლის 21 თებერვლიდან — 14 მარტამდე) ვერ შეძლეს ჩაეთრიათ ქემალისტური თურქეთი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

[48] A History of..., დასახ. ნაშრ., გვ. 142.

[49] Andrew Rothstein, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

[50] Anglo-Russia Relations 1689—1943. by Sir J. A. B. Marriot. London, 1944, გვ. 177.

[51] The Volunteer army..., დასახ. ნაშრ., გვ. 232; Soviet Russia. An Introduction. by Kathleen Gibbard, London, New-York, 1942—1946, გვ. 103:

[52] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 447—448.

საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ ამ ორ ქვეყანას შორის მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებები, გამოეწვიათ მათ შორის კონფლიქტი და ლონდონის კონფერენციის მონაწილე იმპერიალისტური ქვეყნების ზრახვებისათვის ფრთები შეესხათ. თურქეთის რეაქციული ძალები მარტო პოლიტიკური მიზნებით არ კმაყოფილდებოდნენ, მათ ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის დაპყრობის გეგმებიც ამოძრავებდათ. რაც შეეხება საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, ის თავის გადარჩენის ერთადერთ შანსს საბჭოთა და თურქეთის ჯარების შეჯახებაში ხედავდა. ამიტომაც, ომის გამოწვევისთვის მენშევიკურმა მთავრობამ უკიდურეს ზომას მიმართა: ბათუმში შემოუშვა თურქეთის ჯარის ნაწილები.

მარტის პირველ რიცხვებში ბათუმის მესაზღვრეთა II რაზმის ლიმანის განყოფილების უფროსის მოხსენებით მასთან მისულ თურქ ოფიცრებს თურქეთის არმიის სარდლის თხოვნით საქართველოს ტერიტორიაზე გავლა და ართვინსა და არდაგანში გატარება უთხოვიათ. საღამოს მიღებულ იქნა მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის თანხმობა. მიუხედავად, ურთიერთშეთანხმებისა, არსად შეჩერებულიყვნენ, თურქები იკავებენ ბორჩხას[53] და იქ რჩებიან ბათუმში შესვლამდე. 10 მარტს თურქებმა მოითხოვეს გაეშვათ ისინი ბათუმისკენ; ისინი არ დაელოდნენ ნებართვის მიღებას და გაემართნენ ქალაქისკენ. იმავე დღეს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გადასცა ლიმანს, რომ ამ რაიონში ძალების არყოლის გამო თურქებისთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ[54].

მენშევიკური მთავრობისა და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელთა მოლაპარაკებისას ლორთქიფანიძემ ორახელაშვილის კითხვაზე შეუშვა თუ არა მენშევიკურმა მთავრობამ თურქები ბათუმში—კატეგორიული უარი განაცხადა. მისი სიტყვებით, „ბათუმში მთავრობის თანხმობით შემოშვებულ იქნა ანგორის ჯარების მცირე ჯგუფი“, რომელსაც „ბათუმის ოკუპაციის განზრახვა არა აქვს“ და მისი ქალაქში დარჩენა მთავრობაზეა დამოკიდებული. თვით ქალაქში, სიმაგრეში, ასევე ოლქშიც, მენშევიკთა მთლიანი ბატონობაა, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე სამხედრო მნიშვნელობით[55]. როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობის განცხადება „ამ რაიონში ძალების არყოლის გამო თურქებისათვის წინააღმდეგობის არ გაწევის“ შესახებ და მისი წარმომადგენლის სიტყვები ერთმანეთს არ შეესაბამება, ასევე არალოგიკურია ბათუმში თურქეთის ჯარის შეშვების უარყოფაც. რაც შეეხება ბათუმში თურქების დარჩენის საკითხს, ისიც მენშევიკურ მთავრობაზე არ იყო დამოკიდებული. პირიქით, თურქეთის ჯარის მთავარსარდალი ქიაზიმ-ყარა-ბექირი ბათუმის ოლქს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებს თურქეთთან შეერთებულად აცხადებდა და მათ პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად თურქეთის ეროვნულ მთავრობას უქვემდებარებდა[56].

---

53 თურქების მიერ ბორჩხის დაკავებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მათ დაიკავეს და გადასჭრეს ბათუმისკენ მიმავალი გზა, შესაძლებლობა მიეცათ ეწარმოებინათ მარმხრივი ეტევა ბათუმისკენ და, გადამლობი ზონა შეექმნათ მომავალი საბჭოთა ჯარის ნაწილებისათვის (ა. ა.).

54 საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1864, აღწ. 1, საქ. 104, ფ. 34—35.

55 Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы 1917—1921), Батуми, 1961, საქ. № 251, გვ. 365—371.

56 საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1864, აღწ. 1. საქ. 104, ფურც. 33.

საზღვარგარეთ გასაქცევად გამზადებული მენშევიკური მთავრობა მოვლენების მსვლელობით დარწმუნდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის კონფლიქტს არ გამოიწვევდა, ბათუმი კი შეიძლება თურქეთის ხელში დარჩენილიყო. თურქებისგან ბათუმის განთავისუფლების მიზნით ჟორდანიას მთავრობამ ქალაქში მყოფ კომუნისტებს მიმართა. საპყრობილედან გამოუშვეს ს. ქავთარაძე და ათასამდე სხვა კომუნისტი. 17 მარტს ბოლშევიკები ქმნიან ბათუმის რევოლუციურ კომიტეტს[57]. ბათუმის რევკომის საშუალებით შეკრებილ იქნა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში გაფანტული მენშევიკთა ჯარის ნაწილები. ბოლშევიკებმა დარაზმეს ისინი და ძალთა დიდი დაძაბვით განდევნეს თურქები ქალაქიდან.

ამრიგად, საქართველოს რევოლუციური ძალებისა და წითელი არმიის სწრაფი და ენერგიული მოქმედების შედეგად ჩაფუშულ იქნა მენშევიკური მთავრობის ვარაუდები. საბჭოთა ხელისუფლება დაცული და გამტკიცებული იქნა — ომი კი თავიდან აცილებული.

საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტურმა წრეებმა ვერ შეძლეს წინ აღსდგომოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ვერც თურქეთ-საქართველოს კოალიციისა და ვერც ამიერკავკასიაში სამხედრო ბაზის შექმნის იდეა დააგვირგვინეს წარმატებით.

კაპიტალიზმის აპოლოგეტებმა გადაწყვიტეს სხვანაირად „აეხსნათ" საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში. ცნობილია, რომ გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის ბრესტ-ლიტოვსკში დადებული საზავო ხელშეკრულებით, კერძოდ მისი IV მუხლით ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების ბედი, მათი საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა უნდა გადაწყვეტილიყო ამ ოლქების მოსახლეობის ნება-სურვილით, პლებისციტის გზით. მოსახლეობას თვითონ უნდა განესაზღვრა იქნებოდნენ თურქეთის, საქართველოსა თუ სომხეთის ტერიტორიის ფარგლებში[58].

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია თავგამოდებით ცდილობდა საზოგადოებისათვის ბრესტის ზავის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის საქართველოს განაწილებად მოეჩვენებინა.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შესახებ ცნობის მიღებისთანავე ამიერკავკასიის მთავრობამ მსოფლიოს ყველა დიდ სახელმწიფოს დაუგზავნა დეპეშები და აცნობა, რომ ამიერკავკასია არ ცნობს და არ თვლის თავისთავის სავალდებულოდ ბრესტის ზავს და რომ ის ზავის თაობაზე თვითონ აწარმოებს მოლაპარაკებას თურქეთთან. ამიერკავკასიის მთავრობის ასეთმა განცხადებამ თურქეთს მისცა საშუალება დაერღვია ბრესტის ზავის პირობები და განეხორციელებინა თავისი დაპყრობითი ზრახვები ამიერკავკასიის მიმართ. როდესაც საბჭოთა მთავრობამ თურქეთს პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ თურქეთი არდაგანისა და ბათუმის ოლქებში შემოჭრით არღვევს ბრესტის ზავს, თურქებმა თავი იმართლეს, რომ ამიერკავკასიამ არ სცნო ბრესტის ზავი და მასთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის მოქმედების შედეგად ასე იქნა დაკარგული ხელსაყ-

---

[57] Борьба за победу..., დასახ. ნაშრ., დოკ. № 255, გვ. 273; „მნათობი", 1957, № 11, გვ. 146.

[58] Документы внешней политики СССР, т. 1, М., 1957, გვ. 490—491.

რელი საშუალება აღნიშნულ ოლქებში საერთაშორისო წესების მტკიცე დაცვით ჩატარებულიყო პლებისციტი. საფიქრებელია, რომ ის სასარგებლო აღმოჩნდებოდა საქართველოსა და სომხეთისათვის.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ საქართველოში შემოჭრილმა თურქებმა რამდენიმე ხნის შემდეგ ამიერკავკასიის მთავრობას ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე ისეთი მოთხოვნები წაუყენეს, რომ მათი განხორციელება ამიერკავკასიის ოკუპაციას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, ულტიმატუმის ის მუხლები, რომლებიც საქართველოს ეხებოდა, მიიღო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ და თურქეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საზღვარი ამ ორ სახელმწიფოს შორის გავიდა მდინარე ჩოლოქზე, აჭარა-მესხეთის ქედზე, (საქართველოს ფარგლებში აბასთუმნის დატოვებით) აწყურზე, ტაბაწყურის ტბაზე, თავკეთილისა და სამსარის მწვერვალზე. ამავე ხელშეკრულებით ოსმალეთმა უფლება მიიღო ესარგებლა საქართველოს რკინიგზებით და მათზე თავისი სამხედრო კონტროლი დაეწესებინა[59].

მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა აჯანყებამ და საბჭოთა რუსეთის მხრიდან შეიარაღებული დახმარების გაწევამ ქართველი ხალხი განსაცდელისაგან იხსნა. წითელი არმიის ნაწილები საქართველოში მოქმედებდნენ საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამის ნათელი დადასტურებაა წითელი არმიის ღონისძიებანი, რომელნიც მიმართული იყო თურქეთის მიერ ბათუმისა და ბათუმის ოლქის დაკავების წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვის 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით თურქეთის საზღვრებში დარჩა ბათუმის ოლქის მხოლოდ სამხრეთი ნაწილი, ართვინისა და არდაგანის ოლქები. ბათუმის ოლქის დიდი ნაწილი და ნავსადგური ბათუმი საქართველოს ფარგლებში დარჩა. ამას საქართველოსათვის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თანმიმდევრულ დაცვას.

---

59 ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1963, გვ. 201.

ზურაბ ჩხაიძე

# საბჭოთა საქართველოში ირიგაციის ლენინური გეგმის განხორციელების ისტორიიდან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მორწყვის განვითარების აუცილებლობას.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის პირველ ლენინურ მონახაზებში საირიგაციო მშენებლობანი განიხილება როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობათა ძველი ფორმის ახალ სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. „მორწყვა, — წერდა ლენინი კავკასიის კომუნისტებს 1921 წლის აპრილში, — ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“[1]. ამასთან დაკავშირებით ვ. ლენინი მითითებას აძლევდა: „ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები“[2].

ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა ირიგაციის განვითარებას ი. ბ. სტალინი, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე, 1921 წლის 6 ივლისს აღნიშნავდა, რომ სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების საქმეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და ეს საქართველოს კომუნისტების უმნიშვნელოვანესი ამოცანააო[3].

საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის თეზისებში, „ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში“, ხაზგასმულია ირიგაციის დიდი მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის[4].

მორწყვას დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე (1922 წლის იანვარ-თებერვალი), აქ ფ. მახარაძე აღნიშნავდა: „მთავარი ზომები, რომლებიც ჩვენ უნდა გავატაროთ მეურნეობის გასაუმჯობესებლად არის მელიორაცია და ელექტროფიკაცია. ჭაობების ამოშრობა და სარწყავი არხების გაყვანა—არის ჩვენი უახლოესი მიზნები. უამისოდ შეუძლებელია ბრძოლა გვალვასთან, ამ სტიქიურ უბედურებასთან... საერთოდ ჩვენ ინჟინრებს შემუშავებული აქვთ დიდი გეგმები... მაგრამ ამას უნდა ათეული წლები, ჩვენ კი ეხლავე უნდა დავიწყოთ მუშაობა პატარა მასშტაბით მაინც. მუშაობის დაწყება საჭიროა ერთ რაიონში და ერთ დგილას. ეს მალე

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 400.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 400.

3 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 103.

4 „საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა“, ტფ., 1922, გვ. 110.

მოგვცემს სასურველ ნაყოფს. გლეხობამ კარგად შეიგნო მოუსავლიანობის მიზეზები, შეიგნო აგრეთვე ამ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება. საჭიროა მხოლოდ მაგალითის ჩვენება, სპეციალისტებით დახმარება, რომ გლეხობამ თვითონ მოჰკიდოს ხელი ამ დიდ საქმეს“[5].

მენშევიკურ საქართველოში წყალთა მეურნეობა თითქმის განადგურებამდე იყო მისული. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა. მას უნდა მიეღო მთელი რიგი სასწრაფო, რადიკალური ზომები მძიმე მემკვიდრეობის გამოსასწორებლად.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ძველი, უუნარო წყალთა მეურნეობის აპარატის შეცვლა ახლით, უფრო მოქნილი და სიცოცხლის უნარიანი აპარატით, რაც რიგ ეკონომიურ და ფინანსურ სიძნელეთა ფონზე, არც თუ ისე ადვილად მოსაგვარებელი ჩანდა.

1921 წლის 8 მარტიდან შექმნილ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელობა დაეკისრა სპეციალურ განყოფილებას.

1921 წლის 11 მარტს, რევკომის ბრძანებით საქართველოს სახალხო მეურნეობის რეგულირებისა და ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო[6]. ამ ორგანოსთან 1921 წლის აპრილში დაარსდა ცალკე განყოფილება — „ჰიდრომშენი“, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სამელიორაციო სამუშაოთა წარმოება საქართველოში[7].

„ჰიდრომშენი“ შეუდგა რიგი საირიგაციო სამუშაოების ჩატარებას, მაგრამ სახსრების და სათანადო სამშენებლო მასალების უქონლობა საშუალებას არ იძლეოდა მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლისათვის. საკმარისი არ აღმოჩნდა გლეხური მოსახლეობის რევოლუციური პათოსი. ასეთ პირობებში მხოლოდ უმარტივესი ტიპის ხელოვნური საირიგაციო ნაგებობების გაკეთება თუ შეიძლებოდა, რომელიც ძალიან ჩქარა გამოდიოდა მწყობრიდან.

წყალთა მეურნეობის მოწესრიგებას გარდა აღნიშნულისა, ხელს უშლიდა მის ხელმძღვანელობაში დაშვებული პარალელიზმი, რაც აღნიშნულ ორ ორგანოს შორის დაუსრულებელ დავას იწვევდა.

აღნიშნულ ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება და მისი გამოსწორების გზები დასახა მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებათა და გლეხთა წარმომადგენელთა I ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 5—9 თებერვალს გაიმართა თბილისში.

ყრილობამ საქართველოში ირიგაციის აღდგენა-განვითარებისათვის საჭიროდ ჩათვალა შემდეგი სამუშაოების ჩატარება: 1. ყოფილი არხების შეკეთება და შესწორება, წყლით სარგებლობის მოწესრიგება; 2. მელიორაციის საქმის განვითარებაში მოსახლეობის თვითმოქმედებისა და ინიციატივისადმი მხარდაჭერა მთავრობის მხრივ; აგიტაციის გაშლა გლეხთა შორის მათი კოოპერატივებში გაერთიანების სასარგებლოდ; 3. განსაკუთრებული სამელიორაციო ფონდის შექმნა კოოპერატივებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და სხვ.[8].

---

5 გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 4 თებერვალი.

6 საქ. სსრ ცსა (თბილისი), ფ. 303, ან. I, ფ. 1.

7 ცსა (თბილისი), ფ. 288, ან. 1, საქ. 2390, ფ. 7.

8 მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებათა და გლეხთა წარმომადგენელთა I ყრილობა, ტფ., 1922, გვ. 56.

ყრილობის ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შესასრულებლად 1922 წლის 12 აპრილს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი „საქართველოს ტერიტორიაზე წყალთა მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ“, სადაც ნათქვამია: „წყალთა მთელი მეურნეობის გამგებლობა როგორც არსებულ სისტემათა ექსპლოატაციის, ისე ახალი სისტემების მოწყობის მხრივ გაერთიანებულ იქნეს ცენტრსა და ადგილობრივ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა განყოფილებაში“[9].

წყალთა მეურნეობაში, როგორც მშენებლობის, ისე წყლით სარგებლობისა და წყლის მფლობელობის საქმეთა კონცენტრაციას ერთ დაწესებულებაში, არ შეიძლებოდა მდგომარეობის გაჯანსაღება და მელიორაციის საქმის გაუმჯობესება არ გამოეწვია. 1922 წლის მეორე ნახევრიდან ჩქარი ტემპებით იწყო ზრდა სარწყავი არხების მშენებლობამ. აგრეთვე უმჯობესდებოდა ძველი არხების შეკეთების საქმე და მატულობდა მორწყული ფართობი.

წყალთა მეურნეობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ამიერკავკასიის მასშტაბით ერთი საერთო ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბების საკითხი. ეს განპირობებული იყო თვით სამელიორაციო სამუშაოთა სპეციფიკით. მტკვარზე ჩატარებული საირიგაციო სამუშაოები გავლენას ახდენდა მეორე რესპუბლიკის (აზერბაიჯანის) წყალთა მეურნეობაზე, ანდა საირიგაციო სისტემის სარწყავი არე (ყარაიაზის) სცილდებოდა ერთი რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო წყალთა მეურნეობის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც რეგულირებასა და ხელმძღვანელობას გაუწევდა მელიორაციის საქმეს მთელ ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ გადაწყდა ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს“ („ზაკვოდხოზი“) შექმნა“[10]. ამ ორგანოს კომპეტენციაში შევიდა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობისადმი საერთო ხელმძღვანელობა, მორწყვა და ამოშრობა. წყლის რესურსების დაცვა, სოფლის მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა, ჰიდრომეტრიული და კვლევითი სამუშაოების ჩატარება და არსებული რწყვის სისტემების გამგებლობა.

ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით გაუქმდა ეროვნულ რესპუბლიკებში წყალთა მეურნეობის ორგანოები და ჩამოყალიბდა წყალთა მეურნეობის რწმუნებულთა სამმართველოები. საქართველოში წყალთა მეურნეობის რწმუნებულთა სამმართველო ჩამოყალიბდა მხოლოდ 1924 წლის 1 ოქტომბრიდან. მანამდე მის ფუნქციებს ასრულებდა უშუალოდ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო[11].

ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ საქართველოში გააგრძელა „ჰიდრომშენის“ მიერ დაწყებული საირიგაციო სამუშაოები. გარდა ამისა დაიწყო ახალი სარწყავი არხების მშენებლობაც.

საირიგაციო სამუშაოთა მასშტაბების გაზრდასთან ერთად, აუცილებელი შეიქმნა რესპუბლიკებს შიგნით, ფართო უფლებების მქონე წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბება, იგი დადებითად გადაწყვიტა ამი-

---

9 ჟურნ. „მოამბე...“, 1922, № 33, გვ. 2.

10 ცსა (თბილისი), ფ. 675, ან. 1, საქ. 8, ფ. 219.

11 ცსა (თბილისი), ფ. 591, ან 4, საქ. 1, ფ. 1.

ერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წლის 13 ივლისს[12].

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში იქმნებოდა ნაციონალური წყალთა მეურნეობის სამმართველოები, რომლებსაც ევალებოდათ ოპერატიული სამუშაოების და სამეცნიერო კვლევა-ძიების ჩატარება რესპუბლიკებს შიგნით. რაც შეეხება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, იგი რჩებოდა როგორც საერთო ხელმძღვანელი სადირექტივო ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევდა და მოაწესრიგებდა რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოების მუშაობას[13].

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიისა და მთავრობის ხანგრძლივი და დაძაბული მოღვაწეობით შეიქმნა წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის ახალი სახელმწიფო აპარატი, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ახლად შექმნილმა წყალთა მეურნეობის სახელმწიფო აპარატმა შეძლო შედარებით მოკლე ხანში აღედგინა განადგურების პირას მისული წყალთა მეურნეობა.

საქართველოში საირიგაციო არხების მშენებლობათა დაწყება დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საბჭოთა ქვეყანა იმუშებდა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის შედეგად მიღებულ ჭრილობებს და ხელს ჰკიდებდა დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენას. საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობას. ამ უკანასკნელის აღდგენა-განვითარება კი შეუძლებელი იყო სარწყავი არხების მშენებლობის გარეშე. 1921 წლისათვის საქართველოში ირწყვებოდა მხოლოდ 95 000 ჰექტარი მიწა[14]. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მიექცა ყურადღება სარწყავი არხების მშენებლობას, მაგრამ სარწყავი არხების მშენებლობის საწარმოებლად არ იყო სათანადო თანხები, სამუშაო იარაღები და საშენი მასალა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ირიგაციის საქმის სათანადო მცოდნე პირთა ნაკლებობა. ყოველივე ეს არ იძლეოდა ირიგაციის საქმის დაუყოვნებლივ აღორძინების საშუალებას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დახმარებისათვის მიმართეს მშრომელ გლეხობას, მათ უსასყიდლოდ უნდა მიეღოთ მონაწილეობა სარწყავი არხების აღდგენა-მშენებლობაში, ხოლო თავის მხრივ მთავრობა აღუთქვამდა დახმარებას საშენი მასალით, ტექნიკითა და კვალიფიციური სპეციალისტებით.

საქართველოს რევკომის 1921 წლის № 149 დადგენილებით გლეხობას არხის მშენებლობაზე უსასყიდლოდ უნდა შეესრულებინა მიწის სამუშაოები და გამოეყვანა საქონელი საშენი მასალის გადასაზიდად.

გლეხობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა სარწყავი არხების აღდგენა-მშენებლობის საქმეს. ისინი თავიანთი ნება-სურვილით ანაზღაურების გარეშე ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს და გადაჰქონდათ საშენი მასალა. 1921—1922 წლებში გლეხობამ უსასყიდლოდ შეასრულა სულ 1 220 000 კუბ. მეტრი მი-

12 ცსა (თბილისი), ფ. 675, ან. 1, საქ. 988, ფ. 13.

13 იქვე, ფ. 288, ან. 1, საქ. 2390, ფ. 8.

14 Советская Грузия, Стат-экон. сборн., Тб., 1961, стр. 92.

წის სამუშაო, რაც ფულზე გადატანით (იმდროინდელი კურსით) უდრიდა დაახლოებით 600 000 მანეთს[15].

1921—1922 წლებში „ჰიდრომშენის" მისამართით მოდიოდა მრავალი თხოვნა საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, გლეხობა ითხოვდა სარწყავი არხების გასაყვანად ტექნიკურ ხელმძღვანელობას, ამასთანავე ისინი მზად იყვნენ უფასოდ შეესრულებინათ მიწის სამუშაოები[16]. გორის მაზრის სოფელ მარიანეულის მცხოვრებთა თხოვნაში ნათქვამია: „არხის გაყვანა ჩვენს ოცნებად არის გადაქცეული. ამ ადგილას, სარწყავი არხი რომ იყოს გაყვანილი, ჩვენი მოსავალი ერთი ორად გაიზრდებოდა, ჩვენც დიდი სარგებლობა მოგვეცემოდა და სახელმწიფოსაც. ამიტომ გთხოვთ დაგვეხმაროთ. ჩვენ მზად ვართ ჩვენს თავზე მივიღოთ ყველანაირი სამუშაო, თქვენგან კი ვთხოულობთ დახმარებას მასალითა და მცოდნე პირთა რჩევით"[17]. ანალოგიური სურვილი იყო გამოთქმული ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭანიეთის მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაში, გლეხები თხოულობდნენ მდინარე აჭისწყლიდან სარწყავი არხის გამოყვანას. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სოფელ ხოვლეს მცხოვრებთა 1922 წლის 23 აპრილის განცხადება, მდინარე თეძმიდან სარწყავი წყლის გამოყვანის თაობაზე, რომელსაც ხელს აწერს 388 კაცი. ასევე საყურადღებოა სოფლების: დოესის, გრაკალის და ხანდაკის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადებები და ა. შ.

მშრომელი გლეხობისათვის დახმარების გასაწევად და სარწყავი არხების მშენებლობისათვის რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა 1921 წლის 5 ნოემბერს „ჰიდრომშენს" გამოუყო 1 მილიარდ 135 მილიონი მანეთი[18], ამ სახსრებით „ჰიდრომშენმა" 1921—1922 წლებში ხელი მოჰკიდა შემდეგი სარწყავი არხების მშენებლობას: „I საბჭოთა არხი", რომელსაც უნდა მოერწყა 9 000 დესეტინა; მაშველის (12 000 დეს.), მათხოჯის (2 000 დეს.,), კულაშ-დანირის (2 500 დეს.), ხოხოულის ჭალების (2 500 დეს.), დიმი-როკითის (1 200 დეს.), ლამი-მისაქციელის (3 000 დეს.), სკრა-ქარელის (3 300 დეს.), დოეს-გრაკალის (2 000 დეს.), მაჯადიას არხი (1 600 დეს) და ყარაიაზის სარწყავი სისტემის შეკეთებას[19].

„ჰიდრომშენის" მიერ ჩატარებული საირიგაციო სამუშაოთა განხილვის დროს უნდა აღინიშნოს, რომ სამელიორაციო სამუშაოები ტარდებოდა ყველგან დაკვრითი წესით, ნაჩქარევად, ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობის, მეცნიერული კვლევა-ძიებისა და სათანადო პროექტირების გარეშე. შენდებოდა მეტად გაუბრალოებული, ადგილობრივი ტიპის პრიმიტიული ნაგებობანი, რომელნიც ძალიან მალე გამოდიოდა მწყობრიდან, და საჭიროებდა მუდმივ შეკეთებას.

1923 წლის დასაწყისიდან სარწყავი არხების მშენებლობის საქმე თანდათანობით უმჯობესდება. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს

---

15 ს. ქვარიანი, სამელიორაციო მუშაობა საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1928, № 7, გვ. 113.

16 საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის IV სესია (სტენოგრ. ანგარიში), ტფ., 1923, გვ. 217

17 ცსა (თბილისი), ფ. 303, ან. 9, საქ. 35, ფ. 2.

18 იქვე, ფ. 303, ან. 1. საქ. 221, ფ. 163.

19 А. Камараули, Водное хозяйство ССР Грузии, Т., 1928, გვ. 18.

ჩამოყალიბებამ დადებითი როლი ითამაშა საირიგაციო მშენებლობაზე. ადგილებზე შეიქმნა წყალთა ადმინისტრაცია, რომელიც მტკიცედ უწევდა კონტროლს საირიგაციო მშენებლობებს, უგეგმობისა და უწესრიგობის ნაცვლად მყარდებოდა გეგმიანობა და წესრიგი. უმჯობესდებოდა სამუშაოთა ხარისხი და იზრდებოდა სამელიორაციო მშენებლობათა მასშტაბებიც. ამ პერიოდში უკეთესი მდგომარეობა შეიქმნა სამშენებლო მასალების მომარაგების მხრივაც. ცალკეული მშენებლობანი უკვე საკმაო რაოდენობით მარაგდებოდა ცემენტით, ხე-ტყით და სხვა მასალებით.

წყალთა მეურნეობის სამმართველომ თავი მოუყარა და საქმეში ჩააბა მელიორაციის დარგში გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რამაც გააუმჯობესა სამეცნიერო კვლევისა და მშენებლობათა პროექტირების ხარისხი.

ამასთან ერთად, თანდათანობით მცირდება სარწყავი არხების მშენებლობაზე მოსახლეობის უფასოდ მუშაობა და სიმძიმის ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტზე გადადის. უკვე საკმაოდ მომძლავრებულმა საბჭოთა სახელმწიფომ შესაძლებლობა გამონახა, რომ თანდათანობით გაედიდებინა წყალთა მეურნეობაში დაბანდებული სახსრები. ყოველწლიურად იზრდებოდა საქართველოში საირიგაციო მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხები ამიერკავკასიის და საკავშირო ბიუჯეტიდან. 1922—23 წელს გამოყოფილი იყო საირიგაციო მშენებლობისათვის 11 491 მანეთი, 1923—24 წელს კი — 311 804 მანეთი, 1924—25 წელს — 725 000 მან. 1925—26 წელს — 19 870 500 მან. 1926—27 წელს — 2 085 214 მანეთი[20].

საქართველოს წყალთა მეურნეობის დაფინანსების გაუმჯობესებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სარწყავი არხების მშენებლობის ტემპის გაძლიერებასა და სარწყავი ფართობის ზრდაზე.

საქართველოში საირიგაციო მშენებლობაში დიდი როლი ითამაშა სამელიორაციო ამხანაგობების ჩამოყალიბებამ.

სამელიორაციო ამხანაგობათა ჩამოყალიბების მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის აქტივობისა და თვითმოქმედების უკეთ გამოყენება სამელიორაციო მშენებლობის საქმეში.

სამელიორაციო ამხანაგობათა ინსტიტუტი საერთოდ ახალი არ არის წყალთა მეურნეობებში. იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში არსდება დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში. მაგალითად, ცნობილია 1834 წელს გამოცემული ჰესენის კანონი სამელიორაციო ამხანაგობათა შექმნის შესახებ. სამელიორაციო ამხანაგობათა ჩამოყალიბებას მიეძღვნა სპეციალური კანონები პრუსიაში 1848 წელს, ბავარიაში 1869 წელს, საფრანგეთში 1888 წელს, ბადენში 1899 წელს, იტალიაში 1900 წელს და სხვ.[21].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დიდი ყურადღება მიექცა სამელიორაციო ამხანაგობათა ჩამოყალიბებას. ანიჭებდა რა სამელიორაციო ამხანაგობათა ორგანიზაციას პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, საქართველოს რევკომმა 1922 წლის 31 იანვარს დაამტკიცა დებულება „სამელიორაციო ამხანაგობების შესახებ", რომელ-

---

[20] ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 2, საქ. 21, ფ. 55.

[21] იქვე, ფ. 675, ან. 1, საქ. 709, ფ. 60.

შიც განსაზღვრული იყო „ამხანაგობის“ ჩამოყალიბების პირობები, საქმიანობის ხასიათი და წევრების უფლება-მოვალეობანი[22].

„ამხანაგობის“ ადმინისტრაციული ზედამხედველობა, ფინანსური კონტროლი და საერთო ხელმძღვანელობა 1928 წლამდე მთლიანად დაკისრებული ჰქონდა წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

1928 წლის 21 აგვისტოს, საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე, სამელიორაციო ამხანაგობათა ხელმძღვანელობის ფუნქციები განაწილდა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსა და „სოფლის კავშირს“ შორის. „ყოველგვარი ჰიდროტექნიკური სისტემის აგება-გამოყენებისა და შეკეთება-დაცვის საქმეში სამელიორაციო ამხანაგობა ექვემდებარება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დარგში „სოფლის კავშირს“. ამ უკანასკნელ სფეროში შევიდა აგრეთვე ამხანაგობის საორგანიზაციო, სამეურნეო და მთელი რიგი საწარმოო საკითხების მოგვარება.

სამელიორაციო ამხანაგობებს გააჩნდა შემდეგი საშუალებანი: 1) სამელიორაციო ფონდი და 2) საექსპლუატაციო თანხები.

სამელიორაციო ფონდი წარმოადგენდა მიზნობრივ კრედიტებს და იხარჯებოდა მხოლოდ მშენებლობაზე.

საექსპლუატაციო თანხები კი შედგებოდა წყლის სარგებლობის გადასახადებისაგან და იხარჯებოდა სისტემის მომსახურე პერსონალის შენახვაზე და სისტემის მორიგ გაწმენდა-შეკეთებაზე.

პირველ სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსება იწყება 1921 წლიდან. გლეხობა სამელიორაციო ამხანაგობის დაარსებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. მოკლე ხანში ათეულობით სოფლის მოსახლეობა გაერთიანდა სამელიორაციო ამხანაგობებში.

ერთ-ერთი პირველი სამელიორაციო ამხანაგობა, რომელიც ამ დროს იქნა ჩამოყალიბებული იყო „მაშველი“, იგი დაარსდა ქუთაისში 1921 წლის 11 სექტემბერს და რეგისტრირებულ იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში იმავე წლის 22 დეკემბერს[23].

სამელიორაციო ამხანაგობა „მაშველი“ მიზნად ისახავდა ხელოვნური სარწყავი არხის მშენებლობასა და მის ექსპლუატაციას. „ამხანაგობა“ აერთიანებდა 5 თემს, რომელშიც შედიოდა 10 სოფელი 4590 კომლით. საერთო სარწყავი ფართობი უდრიდა 16 000 დესეტინას. „მაშველში“ უმთავრესად გაერთიანებული იყვნენ ფარცხანაყანევის, ზედა-ქვიტირის, ქვედა-ქვიტირის, მაღლაკის, დიდი ჯიხაიშის და სხვა ახლო მდებარე სოფლების გლეხობა. „ამხანაგობის“ წევრები „მაშველის“ სარწყავი არხის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ისინი უსასყიდლოდ ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს და გამოყავდათ გამწევი საქონელი ტვირთის გადასაზიდად. მათ მარტო 1921—22 სამეურნეო წელს შეასრულეს მთელი მიწის სამუშაოების ნახევარი, რაც იმდროინდელ ფულის კურსზე გადაყვანით უდრიდა 93 715 მან. და 15 კაპ[24].

---

22 ცსა, (თბ.), ფ. 675, ან. 1, საქ. 140, ფ. 374; ფონდი 591, ან. 4, საქ. 29, ფ 24.

23 ცსა, ფ. 591, ან. 4, საქ. 13, ფ. 5.

24 იქვე, ფ. 675, ან. 1, საქ. 4, ფ. 226.

„მაშველის" სარწყავი არხის მშენებლობას აფინანსებდა 1921—1922 წლებში „ჰიდრომშენი", 1923—1924 წლებში ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო, ხოლო 1925—1926 წლებში საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო.

1921 წელს ჩამოყალიბდა „პირველი საბჭოთა არხის" სამელიორაციო ამხანაგობა, რომლის გამგეობის ადგილსამყოფელი იყო ქუთაისის მაზრის სოფელი ტყაჩირი. ამხანაგობის ჩამოყალიბების მიზანი იყო „პირველი საბჭოთა არხის" მშენებლობა, რომელიც დაიწყო 1922 წელს. სარწყავი არხი სათავეს იღებდა რიონის მარჯვენა ნაპირიდან სადგურ რიონთან ახლოს, გადადიოდა რკინიგზის ხიდის ცოტა ზემოთ სოფელ გეგუთის ჩრდილოეთით და ერთვოდა ისევ მდინარე რიონს სოფელ ბაშთან. ნავარაუდევი იყო 9000 დესეტინა ფართობის მორწყვა.

„პირველი საბჭოთა არხის" სამელიორაციო ამხანაგობა მოიცავდა 7 სოფელს, რომელიც შეადგენდა 2156 კომლს[24]. ამხანაგობაში გაერთიანებულმა მუხიანის, პატრიკეთის, ოფშკვითის, გეგუთის, ტყაჩირის და სხვა ახლო მდებარე სოფლის გლეხობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სარწყავი არხის მშენებლობაში. ისინი უფასოდ ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს. მარტო 1921—1922 წლებში მათ მიერ უფასოდ შესრულებული იყო 14000 კუბ. საჟენი მიწის სამუშაო, რაც ფულზე გადაყვანით უდრიდა (მაშინდელი კურსით) 55 967 მანეთს და 10 კაპ[25].

1927 წლის 9 ოქტომბერს „მაშველის" და „პირველი საბჭოთა არხის" სამელიორაციო ამხანაგობები გაერთიანდნენ და ეწოდა „საბჭოთა-მაშველის" სამელიორაციო ამხანაგობა. გამგეობის მუდმივ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა ქუთაისი.

სახელმწიფომ დიდი დახმარება აღმოუჩინა „ამხანაგობას" სარწყავი არხის მშენებლობაში. „მაშველის" არხზე 1927 წლამდე ამიერკავკასიის ბიუჯეტიდან დაიხარჯა სულ 61 598 მანეთი, ხოლო „პირველ საბჭოთა არხზე" ამავე ბიუჯეტიდან — 40 904 მან[26].

„საბჭოთა-მაშველის" სამელიორაციო ამხანაგობა სანიმუშო ორგანიზაცია იყო მთელ საქართველოში, რომელმაც დიდი როლი შეასრულა, როგორც სარწყავი სისტემის მშენებლობაში, ისე მის ექსპლუატაციაში.

1921 წლის 28 მარტს ხონში დაარსდა ხონი-სამტრედიის სამელიორაციო ამხანაგობა, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „მრწყველი". ამხანაგობა აერთიანებდა 9 თემს, რომელიც შეადგენდა 25 სოფელს, სულ „მრწყველში" გაერთიანებულ წევრთა რიცხვი უდრიდა 7 500 კაცს[27].

„ამხანაგობა" ემსახურებოდა 350 ვერსის საერთო სიგრძის სარწყავი არხების ექსპლუატაციაში. ხონის, კუხის, ქარსაბის და ნარღვევის სარწყავი არხები აგებული იყო ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე 1892, 1898, 1902 და 1906 წლებში და ადგილობრივი ტიპის ნაგებობებს წარმოადგენდნენ.

---

[24] ცსა, ფ. 591, ან. 4, საქ. 13, ფ. 49.

[25] ცსა (თბილისი), ფ. 675, ან. 1, საქ. 4, ფ. 243.

[26] იქვე, ფ. 591, ან. 4, საქ. 21, ფ. 56.

[27] იქვე, ფ. 591, ან. 4, საქ. 12, ფ. 25.

სამელიორაციო ამხანაგობა „მრწყველის“ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა სარწყავი არხების ექსპლუატაციიდან შემოსული თანხა. 1021—1922 წლებში ექსპლუატაციის შედეგად შემოსული თანხის რაოდენობა ერთ ქცევაზე უდრიდა 30 კაპ. 1924—1925 წლებში — 50 კაპ. 1927 წელს — 60 კაპ. ამავე წელს წლიური შემოსავალი შეადგენდა 29 992 მან. და 37 კაპ.[28].

1923 წელს სამელიორაციო ამხანაგობის „მრწყველის“ წევრთა მონაწილეობით და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობით გაყვანილ იქნა ორი ახალი არხი: ახალი მათხოჯის და კულაშის.

რადგანაც „ამხანაგობის“ გამგებლობაში მყოფი სარწყავი არხები არაინჟინრული, ადგილობრივი ტიპის ნაგებობანი იყო, ყოველწლიურად საჭიროებდა წმენდასა და შეკეთებას. ამიტომ, ზემოთ აღნიშნული შემოსავალი არ კმაროდა ამ სამუშაოთა შესასრულებლად. ამის გამო, „ამხანაგობის“ გამგეობა წყალთა მეურნეობის სამმართველოსაგან ხშირად ითხოვდა გრძელვადიან სესხებს. ხონი-სამტრედიის სამელიორაციო ამხანაგობას 1927 წელს სამელიორაციო ფონდიდან მიეცა სესხად არხების შესაკეთებლად 10 000 მან. ხოლო 1928 წელს — 20 000 მან.[29].

1921 წელს ჩამოყალიბდა აგრეთვე დიმი-როკითის სამელიორაციო ამხანაგობა, რომელსაც ეწოდა „დახმარება“, გამგეობის ადგილსამყოფელი იყო სოფელი დიმი. აღნიშნულმა ამხანაგობამ მხოლოდ 1924 წლის 7 ივლისს მიიღო წესდება.

„ამხანაგობის“ ჩამოყალიბება მიზნად ისახავდა დიმი-როკითის არხის მშენებლობას, რომელიც დაიწყო 1921 წლის 22 აგვისტოს სათავე ნაგებობის აგებით მდ. ხანის წყალზე, სამელიორაციო ამხანაგობა ძირითადად მოიცავდა ბაღდადის თემს, — რომელშიც შედიოდა 15 სოფელი, 2900 კომლით[30].

„ამხანაგობა“ ფინანსდებოდა 1923 წლიდან ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ხოლო 1926 წლიდან — საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს სამელიორაციო ფონდიდან.

სამელიორაციო ამხანაგობა „დახმარებაში“ გაერთიანებულმა დიმის, როკითის, დიდველის, ბაღდადის, ნერგეთის, შუბანის, ფერსათის, როხის და სხვა ახლო მდებარე სოფლის გლეხობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სარწყავი არხის მშენებლობაში. მათ 1923 წლისათვის უფასოდ შესრულებული ჰქონდათ მთელი მიწის სამუშაოების 69 პროცენტი[31].

გლეხობას დიდ დახმარებას უწევდა სახელმწიფო. 1927 წელს „ამხანაგობას“ მიეცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 40 148 მან. და სამელიორაციო ფონდიდან — 94 921 მან. აღნიშნული დახმარების შედეგად „ამხანაგობამ“ დიდ წარმატებას მიაღწია არხის მშენებლობაში. მარტო 1927—28 წელს მათ მიერ შესრულდა 2 823 58 კუბ. მეტრი მიწის სამუშაო[32]. „ამხანაგობაში“ გაერთიანებული გლეხობის თავდადებული შრომის შედეგად 1928 წელს დიმი-როკითის არხი გადაეცა ექსპლუატაციაში.

28 ცსა, (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 13, ფ. 28.

29 ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი, სამელიორაციო ამხანაგობანი საქართველოში, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 9, გვ. 129.

30 ცსა, თბ., ფ. 591, ან. 4, საქ. 13, ფ. 16.

31 იქვე, ფ. 675, ან. 1, საქ. 4, ფ. 248.

32 საქართველოს სსრ მთავრობის 1926/27 და 1927/28 წწ. მოქმედების ანგარიში, ტფ., 1929, გვ. 99.

სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში ჩამოყალიბდა აგრეთვე სვირის სამელიორაციო ამხანაგობა, რომელიც აერთიანებდა სვირის, ობჩის, სიმონეთის, საქარის, და თერჯოლის თემებს, სულ 700 წევრს[33].

სვირის სამელიორაციო ამხანაგობა ემსახურებოდა მეფის დროინდელი ორი ძველი არხის ექსპლუატაციას. 1921 წელს დაიწყო ახალი სარწყავი არხის მშენებლობა, რომელზეც „ამხანაგობის" წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. აღნიშნული არხის მშენებლობა დამთავრდა 1923 წელს. მიწის სამუშაოები მთლიანად უფასოდ შეასრულა გლეხობამ. გარდა ამისა, მათ უფასოდ გამოჰყავდათ მშენებლობაზე საქონელი, საშენი მასალებისა და სხვა ტვირთის გადასაზიდად.

შევეხეთ მხოლოდ რამდენიმე სამელიორაციო ამხანაგობას, რომლებიც ჩამოყალიბდნენ 1921 წელს. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს შექმნის შემდეგ სამელიორაციო ამხანაგობათა ჩამოყალიბებას კიდევ უფრო დიდი ყურადღება ექცევა. 1927 წლიდან განსაკუთრებით იზრდება სამელიორაციო ამხანაგობათა რიცხვი. მარტო ამ წელს დაარსდა 19 სამელიორაციო ამხანაგობა. აღმოსავლეთ საქართველოში 15, დასავლეთში — 4. ამ რაოდენობიდან ხუთი სამელიორაციო ამხანაგობა დაარსდა წყალსადენის გაყვანის მიზნით, ხოლო დანარჩენი 14 მორწყვისა და ამოშრობისათვის[34].

1927 წელს სამელიორაციო ამხანაგობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს. ამ წელს სამელიორაციო ამხანაგობათა დასახმარებლად მთავრობამ გამოჰყო 211 000 მანეთის რაოდენობით კრედიტი. აქედან დიმი-როკითის ამხანაგობას მიეცა 105 000 მან., „მაშველის" ამხანაგობას — 34 000 მან. „საბჭოთა" ამხანაგობას — 5 000 მან., ხონი-სამტრედიის ამხანაგობას — 10 000 მან., სვირი-აჯამეთის ამხანაგობას — 43 000 მან. და სხვ.[35].

სამელიორაციო ამონაგებთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა 1928 წელს. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ექსპლუატაციის განყოფილებასთან 1928 წლის აპრილში შეიქმნა სპეციალური ქვეგანყოფილება, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა და აწესრიგებდა სამელიორაციო ამხანაგობათა საქმიანობას. აღნიშნულ სამმართველოს დიდ დახმარებას უწევდა მაზრების აღმასრულებელი კომიტეტები.

1928 წელს ჩამოყალიბდა 10 სამელიორაციო ამხანაგობა, აქედან 8 სამელიორაციო ამხანაგობა — აღმოსავლეთ საქართველოში, 2 — დასავლეთში. გარდა ზემოაღნიშნულისა ამავე წლის ივლის-სექტემბერში აჭარაში დაარსდა 26 წვრილი სამელიორაციო ამხანაგობა[36].

სამელიორაციო ამხანაგობათა რიცხვის გაზრდასთან ერთად გაიზარდა დახმარება სახელმწიფოს მხრივ. 1928 წელს სამელიორაციო ფონდიდან სამელიორაციო ამხანაგობებს მიეცათ სესხი 500 000 მანეთის ოდენობით. აღნიშნული თანხა ცალკეულ ამხანაგობათა შორის ასე განაწილდა: დიღმის სამელიორაციო ამხანაგობას გამოეყო 202 000 მანეთი, ყარაიაზის — 90 000 მან., ქსნის — 32 000 მან. ინგურ-გალის — 80 000 მან. დიმი-როკითის — 30 000 მან., დო-

33 ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 13, ფ. 51.

34 ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 21, ფ. 43—44.

35 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., თბ., 1967, გვ. 372.

36 ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი, სამელიორაციო ამხანაგობანი საქართველოში (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1928, № 9, გვ. 127).

ეს-გრაკალის — 26 000 მან., მირიანეულის — 10 000 მან., ხონი-სამტრედიის — 20 000 მან, მუხრანის ამხანაგობას — 10 000 მან. და ა. შ.[37].

1928 წელს დაარსებული სამელიორაციო ამხანაგობებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მაღალი ორგანიზებულობით რიგმა ამხანაგობებმა. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ყარაიაზის ფ. მახარაძის სახელობის სამელიორაციო ამხანაგობა, რომელიც შეიქმნა 1928 წლის 21 თებერვალს. ამხანაგობა აერთიანებდა 12 სოფლის 2 000 წევრს. ამხანაგობაში შედიოდნენ, უმთავრესად: ერთობის, მიხაილოვკის, ქესალოს, ნაზარლოს, ულიანოვკის და ჯანდარის სოფლების გლეხები.

ყარაიაზის სამელიორაციო ამხანაგობის მიზანი იყო არსებული საინჟინრო ნაგებობის — ყარაიაზის სარწყავი სისტემის მოვლა და მისი ექსპლუატაცია. იგი რწყავდა ყარაიაზის ველის დაახლოებით 16 599 ჰექტარ მიწას, რომლის მესამედი ნაწილი შედიოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში.

ყარაიაზის სამელიორაციო ამხანაგობას ამ დიდი სისტემების შესაკეთებლად 1928 წლის გაზაფხულზე გამოეყო სამელიორაციო ფონდიდან 90 000 მანეთი[38].( აღნიშნული სისტემა 1928 წლის მარტიდან გადავიდა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში).

ამ პერიოდში შექმნილ სამელიორაციო ამხანაგობათაგან ერთ-ერთი მოწინავე იყო გორის წყალთა მეურნეობის ოლქში 1928 წლის 23 აპრილს ჩამოყალიბებული დოეს-გრაკალის სამელიორაციო ამხანაგობა. იგი აერთიანებდა 143 წევრს[39], უმთავრესად დოესის, ხანდაკის, ფაშიანთ-კარის და ყარალაჯის სოფლის გლეხებს. არჩეული გამგეობის ადგილსამყოფელი იყო სოფელ დოესში.

დოესის სამელიორაციო ამხანაგობის ამოცანას წარმოადგენდა დოეს-გრაკალის სარწყავი არხის რეკონსტრუქცია და მისი ექსპლუატაცია. არხის მშენებლობა დაწყებული იყო 1921 წელს „ჰიდრომშენის" მიერ, მაგრამ 1926 წლის სტიქიური უბედურების შედეგად, არხის სათავე მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან.

ადგილობრივი მოსახლეობის თავდადებული შრომითა და მთავრობის მიერ გაწეული სათანადო დახმარებით, მოკლე ხანში მოხერხდა სარწყავი არხის აღდგენა და მისი საექსპლუატაციოდ გადაცემა. 1928 წლისათვის მაგისტრალური არხის სიგრძე უდრიდა 15 კმ და რწყავდა 1 345 ჰექტარს[40]. 1828 წელს სამელიორაციო ფონდიდან დოეს-გრაკალის სამელიორაციო ამხანაგობას გამოეყო 26 000 მანეთი.

1928 წლის 28 აპრილს აფხაზეთში ჩამოყალიბდა ინგურ-გალის (სამურზაყანოს) სამელიორაციო ამხანაგობა, რომელიც აერთიანებდა 1102 წევრს, გამგეობის ადგილსამყოფელი იყო ქ. გალი.

„ამხანაგობას" მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირიდან უნდა გამოეყვანა 17კმ-ის სიგრძის სარწყავი არხი, რომელიც მორწყავდა 12 000 დესეტინა მიწის ფართობს.

---

37 ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 27, ფ. 203.

38 ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი, სამელიორაციო ამხანაგობანი საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1928, № 9, გვ. 129.

39 ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 12, ფ. 26.

40 საქართველოს სსრ სარწყავი სისტემები, ტფ., 1931, გვ. 81.

„ამხანაგობა“ დიდი ენთუზიაზმით შეუდგა სარწყავი არხის გამოყვანას. 1928 წელს მას სამელიორაციო ფონდიდან მიეცა სესხად 80 000 მანეთი. გლეხობის თავდადებული შრომის შედეგად 1928 წლის ბოლოსათვის შესრულდა 29 170 კუბ. მეტრი მიწის სამუშაოები. ხოლო ბეტონის სამუშაოები — 1,111 კუბ. მეტრის ოდენობით[41].

ამავე წლის 18 სექტემბერს ჩამოყალიბდა გარდატენის სამელიორაციო ამხანაგობა გორის მაზრაში. იგი აერთიანებდა დიდი და პატარა გარდატენის სოფლების მოსახლეობას. ამხანაგობის წევრთა რიცხვი უდრიდა 115 კაცს. ამხანაგობის მიზანი იყო ვერის ხევიდან გამოყვანილი გარდატენის არხის ექსპლუატაცია და ახალი სარწყავი არხის გამოყვანა მდინარე ტანადან, რომელიც მორწყავდა 165 ჰექტარ მიწას[42]. გარდატენის სამელიორაციო ამხანაგობამ ამ მიზანს შედარებით მოკლე ხანში მიაღწია.

შევეხეთ მხოლოდ ზოგიერთ სამელიორაციო ამხანაგობას, რომლებიც ჩამოყალიბდნენ საქართველოში 1921—1928 წლებში, ყველას განხილვა შეუძლებელი იყო, რადგან 1928 წლის ბოლოსთვის მათი რიცხვი 82-მდე ავიდა[43].

სამელიორაციო ამხანაგობების საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, სარწყავი არხების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გაუმჯობესებას.

სამელიორაციო ამხანაგობები იყო სოფლად გლეხთა საწარმოო კოლექტიური გაერთიანების უმარტივესი ფორმა. რომელიც წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს გლეხთა უმაღლესი საწარმოო გაერთიანების — სასოფლო-სამეურნეო არტელისაკენ.

საქართველოს მშრომელთა თავდადებული შრომით, შედარებით მოკლე ხანში საირიგაციო მშენებლობის საქმეში მიღწეულ იქნა თვალსაჩინო წარმატებები, ექსპლუატაციაში გადაეცა მთელი რიგი ახალი სარწყავი არხები. 1924 წლის 16 ივლისს ქუთაისში დიდი ზეიმით გაიხსნა მაშველის სარწყავი არხი. 1925 წლის 14 ივნისს დაიწყო მოქმედება „პირველმა საბჭოთა არხმაც“. ამავე პერიოდში მწყობრში ჩადგა აგრეთვე მათხოჯის, დიმი-როკითის, სკრა-ქარელის, დოეს-გრაკალის, ლამი-მისაქციელის და სხვა სარწყავი არხები, რამაც საქართველოს სოფლის მეურნეობას ახალი ნაყოფიერი მიწის ფართობი შემატა.

1925 წლის ბოლოსათვის თითქმის მიაღწიეს სარწყავი ფართობის ოდენობის ომამდელ დონეს. 1925 წლის 5 დეკემბერს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობაზე ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა: „ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ვლადიმერ ილიჩი თავის წერილში, როგორც თქვენ გახსოვთ, გვეუბნებოდა: იბრძოლეთ მორწყვისათვის და დაღუპული ტექნიკური კულტურების აღდგენისათვის. ჩვენ შეძლებისამებრ ხელი მოვკიდეთ ამ საქმეს, ჩვენ ახლა თითქმის მთლიანად მივაღწიეთ ომამდელ დონეს“[44].

---

41 საქართველოს სსრ მთავრობის 1926/27 და 1927/28 წწ. მოქმედების ანგარიში, ტფ., 1929, გვ. 98.

42 ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 12, ფ. 26.

43 ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი, სამელიორაციო ამხანაგობანი საქართველოში, „ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 9, გვ. 123.

44 ს. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, ნაწ. I, თბ., 1957, გვ. 534.

შემდგომ წლებში დიდ საირიგაციო მშენებლობათა ჩატარების შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობას კიდევ შეემატა ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწის ფართობი, 1926 წლის ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე ს. ორჯონიკიძე ამბობდა „საირიგაციო მუშაობის სფეროში მივყვებოდით რა ამხ. ლენინის პირდაპირ დირექტივებს, ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ ძველი, მოშლილი ქსელი მორწყვის სისტემისა, არამედ აშენებულია და შენდება მთელი რიგი ახალი არხები, დიდდება ვარგისი მიწების ფართობები"[45].

1927—28 წლებში სარწყავი ფართობი 1921 წელთან შედარებით 35 000 ჰექტარით გაიზარდა. აქედან 12 700 ახალი ფართობი მიიღეს ახალი სარწყავი არხების გაყვანის შემდეგ, 12 300 ჰექტარი — ძველი არხების შეკეთების შედეგად, დანარჩენი 10 000 ჰექტარი ფართობი საექსპლუატაციო ღონისძიებების გაუმჯობესების შედეგად. პირველი ხუთწლედის დასაწყისში ირწყვებოდა 130 440 ჰექტარი მიწა[46]. 1927/28 სამეურნეო წლისათვის საქართველოში სულ იყო 235 სარწყავი არხი. მათი საერთო სიგრძე უდრიდა 1925,5 კილომეტრს. აქედან 231 არხი იყო ადგილობრივი ტიპის და 4—საინჟინრო ტიპის.

მიწების მორწყვის შედეგად მკვეთრად ამაღლდა მოსავალი. შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებითკი, ძვირფასი ტექნიკური კულტურების განვითარება, პირველი ხუთწლედის დასაწყისში ირწყვებოდა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის შემდეგი ფართობი: 48 382 ჰექტარი — საშემოდგომო მარცვლეულისათვის, 11 678 ჰ.—საგაზაფხულო მარცვლეულისათვის, 37 662 ჰ — სიმინდისათვის, 9 017 ჰ — ბაღ-ვენახებისათვის, 6 273 ჰ — ბამბეულისათვის, 3,645 ჰ. — ბაღჩეულისათვის, 483 ჰ. — ნათესი ბალახებისათვის, 8484 ჰ. — სათიბისათვის და 4 781 ჰექტარი სხვა ნათესებისათვის[47].

აღნიშნული მიღწევები მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა თავდადებული შრომით და პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარებით.

---

[45] Стенографический отчёт ширского краевого Закавказского партсовещания, Т., 1926, გვ. 144.

[46] ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 19, ფ. 9.

[47] ცსა (თბილისი), ფ. 591, ან. 4, საქ. 19, ფ. 27.

**თინათინ კაკანაძე**

# ღონისძიებები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საბჭოთა საქართველოში 1921—1925 წ.წ.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ კულტურული მშენებლობის სფეროში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია[1].

მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა; ის წარმოადგენდა პირობას, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო სოციალისტურ მშენებლობაში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ჩაბმა და შეგნებული აქტიური მონაწილეობა. ვ. ი. ლენინი პირდაპირ აცხადებდა, რომ „წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენება არ შეიძლება"[2].

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ თვეებშივე დაიწყო. უკვე მარტში პროფესიულ კავშირებს დაევალათ ცნობების შედგენა წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობის შესახებ, მათი ასაკისა და ეროვნების ჩვენებით. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი" იუწყებოდა: ახლო მომავალში განზრახულია ცენტრებში მთელი რიგი სკოლების გახსნა მუშებში, მათი შვილების და საზოგადოთ ოჯახის წევრთა შორის წერა-კითხვის გასავრცელებლად-ო[3]. 1921 წლის 31 მარტს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული წითელი არმიის ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. 12 აპრილიდან მუშაობას შეუდგა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგან-

---

[1] აღნიშნული საკითხი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ წარმოადგენდა სპეციალური კვლევის საგანს, ხოლო მეტ-ნაკლებად ზოგადად განხილულია შემდეგი ავტორების შრომებში: Ц. Каландадзе, Культурная революция в Грузии, Тб., 1963; ზ. ბაბუნაშვილი, საქართველოს კომპარტია საბჭოთა კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში; თბ., 1960. Д. Маисурадзе, Культура советской Грузии, Т б., 1965; უ. ობოლაძე, სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1961, მ. ბურჭულაძე, მოზრდილთა განათლების ქსელის შექმნა და განვითარება, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1962, № 1 და სხვ.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი 31, გვ. 377.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 1 აპრილი.

გებო კომისია, ხოლო მაისის შუა რიცხვებიდან თბილისში უკვე მოქმედებდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები[4].

1921 წლის 4 ივლისს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი „მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ".

„რათა რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას საშუალება მიეცეს მიიღოს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეგნებული მონაწილეობა — ნათქვამი იყო დეკრეტში — საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ადგენს: რესპუბლიკის ყველა, წერა-კითხვის უცოდინარი მცხოვრები, ჰასაკით 14-დან 50 წლამდე ვალდებულია შეისწავლოს წერა-კითხვა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის მიერ დაარსებულ სკოლაში"[5].

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება წერა-კითხვის შესწავლას აცხადებდა სავალდებულოდ და უცოდინართ სწავლებისათვის ყოველგვარ პირობებს უქმნიდა. დაქირავებულ მომუშავეებს (გარდა სამხედრო წარმოებათა მუშაკებისა), რომლებიც ჩაბმული იქნებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, სამუშაო დღე უმცირდებოდათ ორი საათით ხელფასის შენარჩუნებით.

დეკრეტმა ფართო უფლებებით აღჭურვა განათლების სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები; მათ უფლება ეძლეოდათ წერა-კითხვის უცოდინართა სწავლებისათვის შრომის ბეგარის წესით გაეწვიათ ყველა წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქე (ჯარში მოსამსახურეთა გარდა) შრომის სათანადო ანაზღაურებით. უფლება ეძლეოდათ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გამოეყენებინათ როგორც არსებული სკოლები, ისე სხვა შესაფერი შენობები. მომარაგების ორგანოებს ევალებოდათ, უპირატესობა მიეცათ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო დაწესებულებებისათვის სხვა დაწესებულებებთან შედარებით.

განათლების სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში მონაწილეობისათვის იწვევდნენ პროფესიულ კავშირებს, პარტიის ადგილობრივ უჯრედებს, კომკავშირს, ქალთა შორის მომუშავე კომისიებს.

დეკრეტი ითვალისწინებდა მკაცრ სასჯელს ყველა იმ პირთა მიმართ, ვინც განუდგებოდა დაწესებულ ბეგარას ან ხელს შეუშლიდა წერა-კითხვის უცოდინართა სწავლებას.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას საბჭოთა საქართველო ქვეყნის მძიმე სამეურნეო ვითარებაში იწყებდა. განადგურებული მრეწველობა და ტრანსპორტი, გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა, შიმშილობა მთელ რიგ სიძნელეებს წარმოშობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის სფეროშიც; მასწავლებელთა ნაწილი მატერიალური ხელმოკლეობის გამო დაიქსაქსა. ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის წლებში ბევრმა მათგანმა დატოვა სკოლა და ხელი მოჰკიდა უფრო შემოსავლიან საქმეს, როგორიც იყო, მაგალითად, ერობაში მუშაობა,

---

[4] Газ. „Правда Грузии", 13 декабря 1921 г.

[5] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 12 ივლისი.

ვაჭრობა, მიწის დამუშავება და სხვ[6]. განათლების სახალხო კომისარიატს კი სა-შუალება არ გააჩნდა თავის მუშაობაში მოეზიდა ისინი, რადგანაც მასწავლებ-ლის ისედაც დაბალ ხელფასს საბოლოოდ აუფასურებდა სისტემატურად მისი დაგვიანებითი გაცემა, მაშინ როცა ყოველდღიურად მაღლა იწევდა საბაზრო ფასები ფართო მოხმარების საგნებზე[7]. შემორჩენილ მასწავლებელთა მნიშვ-ნელოვანი ნაწილი პოლიტიკურად მოუმზადებელი იყო და არ ჰქონდათ მოზრ-დილებთან მუშაობის ჩვევები, ამიტომ საჭირო ხდებოდა მათი გადამზადება კურსების მოწყობითა და სხვა საშუალებებით. აქაც ფინანსური დაბრკოლება იჩენდა თავს.

იგრძნობოდა საწერი ქაღალდისა და სხვა სასწავლო მოწყობილობათა ნაკ-ლებობა.

მაგრამ, გარდა ეკონომიური ხელმოკლეობიდან გამომდინარე სიძნელეები-სა, საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას სხვა ხასიათის სიძნელეებიც ახლდა თან. საქართველო ჭრელი ნაციონალური შემადგენლო-ბის ქვეყანა იყო. მას ამ მხრივ პირველი ადგილი ეკავა ამიერკავკასიის რესპუბ-ლიკათა შორის. გარდა ქართველებისა, აქ ცხოვრობდნენ სომხები, აზერბაიჯა-ნელები, ოსები, რუსები, აფხაზები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები და სხვ. თითოეულ მათგანს თავისი ენა, თავისებური ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება ჰქონდა და კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგა. ეროვ-ნულ უმცირესობათა რაიონები საგრძნობლად განიცდიდნენ კულტურული ძა-ლების ნაკლებობას.

მაშასადამე, აქედან გამომდინარე საბჭოთა ხელისუფლებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უნდა გადაეწყვიტა შემდეგი საკითხებიც: შეექმნა მათთვის ადგილობრივ (უკიდურეს შემთხვევაში ადგი-ლობრივი ენების მცოდნე) მასწავლებელთა კადრები, მასწავლებელ-ქალთა კად-რები, რასაც თხოულობდა ზოგიერთი კუთხისა და ეროვნების ხალხის ყოფა-ცხოვრებითი ხასიათი (ქალისა და მამაკაცის ერთად სწავლის დაუშვებლობა), გამოეცა სახელმძღვანელოები ადგილობრივ ენებზე და სხვ.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც თავის მუშაობაში ეყრდ-ნობოდა საბჭოთა რუსეთის გამოცდილებას, შეძლო ყველა ამ სიძნელის თან-დათანობით გადალახვა.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის ხელმძღვანელო-ბისათვის შეიქმნა სპეციალური ორგანო — წერა-კითხვის უცოდინარობის სა-ლიკვიდაციო საგანგებო კომისია. მალე კომისიის საქმიანობის სფეროს ჩამოს-ცილდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წითელი არმიის რიგებში და გადაეცა იგი ჯარის პოლიტიკურ განყოფილებას.

1921 წლის აგვისტოში საგანგებო კომისიის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგი იყო: ცენტრალური საგანგებო კომისია (თავმჯდომარე, 3 წევრი, 12 ინსტრუქტორი და ტექნიკური პერსონალი), ადგილებზე სამთა კომისიები თავ-მჯდომარის, მოადგილის და ერთი წევრის შემადგენლობით, სამაზრო კომი-სიები, რომლებიც შექმნილი იყო 12 მაზრაში და საქალაქო კომისიები თბი-ლისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში[8].

6 ჟურნ. „განათლება“, 1919, № 1, გვ. 55, 70, № 2, გვ. 104.

7 საქ. სსრ ცსა, ფ. 300, ან. 1, საქ. 8, ფურც. 50—51.

8 იქვე, ფ. 300. ან, 1, საქ. 25, ფურც. 1, 14, 20;

დეკრეტით სამთა კომისიები წარმოადგენდნენ განსახკომის უფლებამოსილ აპარატს, მათ წევრებს ირჩევდნენ განსახკომის ორგანოები და ამტკიცებდა რევკომი.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია სკოლების გახსნასთან ერთად ბეჭდავდა სახელმძღვანელოებსაც. დაბეჭდა ანბანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომელთაც მოწონება დაიმსახურეს გამართულ კონკურსზე. შემდეგ დაბეჭდა ქართული ანბანი, გამოსცა აგრეთვე რუსულიდან გადმოკეთებული „საკითხავი წიგნი", პრაქტიკული სახელმძღვანელო „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორთა მიმართ" და სხვ.[9].

კომისია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლათა მასწავლებლების მოსამზადებლად დროგამოშვებით ლექციებსაც ატარებდა[10]. კონტაქტი დაამყარა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ დახმარებას უწევდა კომისიის მუშაკებს მუშაობაში. საქართველოს რევკომმა ცირკულარით დაავალდებულა სასურსათო სახალხო კომისარიატი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მუშაკები უზრუნველეყოთ პირველი კატეგორიის სასურსათო ულუფით, ხოლო კომისიის ინსტრუქტორები, ამასთან ერთად, თბილი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით (მაზრაში ორ-ორი ინსტრუქტორი, ქალაქში კი თითო ინსტრუქტორი ყოველ 25 000 მცხოვრებზე)[11].

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში თავიდანვე ჩაებნენ და დიდ დახმარებას უწევდნენ საგანგებო კომისიას პროფესიული კავშირები. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მიჩნეულ იქნა კავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის უპირველეს და დაკვრით ამოცანად. პროფკავშირული ორგანიზაციები თავდაპირველად აწარმოებდნენ უცოდინართა აღრიცხვას და სიებს უდგენდნენ საგანგებო კომისიას[12]. შემდეგში მათი როლი კავშირებში ორგანიზებულ მუშათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში დიდად გაიზარდა. მაგალითად, 1922 წლის 1 ნახევარში სკოლების გახსნასთან დაკავშირებულ მთელ ორგანიზაციულ მუშაობას ატარებდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სკოლების გახსნის დამტკიცება, პედაგოგების დანიშვნა, სკოლების მომარაგება სასწავლო ნივთებით კომისიის კომპენტენციაში შედიოდა[13]. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სისტემატურად იხილებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის საკითხები[14]. კავშირების კულტგანყოფილებებს ევალებოდათ თვალყურის დევნება სკოლებში დასწრებაზე, მეცადინეობის მიმდინარეობაზე, შრომის დეზერტირების დასჯაზე და აგრეთვე მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებაზე.

---

[9] გაზ. Правда Грузии", 13 декабря 1921 г.
[10] გაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 12 თებერვალი.
[11] საქ. სსრ ცსა, ფ. 281, ან. 1, საქ. 98, ფურც. 40.
[12] იქვე, ფ. 819, ან. 1, საქ. 50, ფურც. 17.
[13] იქვე, ფ. 819, ან. 1, საქ. 271, ფურც. 5.
[14] იქვე, ფ. 819, ან. I, საქ. 444, ფურც. 5.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა კომკავშირის II ყრილობის (1922 წლის ივნისი) შემდეგ. ყრილობამ ყურადღება გაამახვილა კომკავშირის რიგებში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მიღებაზე. ეს ღარიბი ახალგაზრდობა კი უფრო ჩამორჩენილი და ნაკლებად აქტიური იყო, ამიტომაც საჭირო ხდებოდა მათი მომზადება.

„არც ერთი სახის პოლიტიკური მეცადინეობა არ შეიძლება დადგეს თავის სიმაღლეზე, სანამ კავშირის წევრთა საკმაო რაოდენობა უცოდინარი იქნება... უსაფუძვლოა პოლიტიკური წრეების დაარსება და პოლიტეკონომიის შესწავლის დაწყება ისეთ მასაში, რომლის საგრძნობმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცის" —წერდა კომკავშირული გაზეთი „სპარტაკი"[15]. კომკავშირის წევრთა 1/3, ზოგიერთ მაზრებში (მაგალითად: გორის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს და სხვა). 2/3-დიც კი წერა-კითხვის უცოდინარი იყო[16].

1921 წლის დეკემბერში, არაზუსტი ცნობებით, საქართველოში იყო 500 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც 12000 მსმენელი იყო ჩაბმული. აქედან 34 სკოლა ქალაქ თბილისში მოქმედებდა, ხოლო 466 პროვინციებში[17].

1922 წლის თებერვალში თბილისში მუშაობდა 35 სკოლა, პროვინციებში კი მათი რაოდენობა 220-ს არ აღემატებოდა. ამას ემატებოდა მხოლოდ რამდენიმე სარაიონო სკოლა[18].

1922 წლის პირველ ნახევარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის შენელებას ადგილი ჰქონდა რსფსრ-შიც. რაც იმის შედეგი იყო, რომ პროლეტარული სახელმწიფო ფინანსური რესურსების ნაკლებობას განიცდიდა და უაღრესი მომჭირნეობის პოლიტიკას აწარმოებდა. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი გადაყვანილ იქნა ადგილობრივ ბიუჯეტზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული. ამას კი მოჰყვა საგანმანათლებლო ქსელის მნიშვნელოვანი შეკვეცა, ადგილებზე კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ეს აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში კერძო მწარმოებლები უარს აცხადებდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მსმენელთათვის დეკრეტით გათვალისწინებული შეღავათების (2 საათით განთავისუფლება სამუშაოდან ხელფასის შენარჩუნებით) მიცემაზე. ამ საათების ანაზღაურება უძნელდებოდა სამეურნეო ანგარიშზე გადასულ სახელმწიფო საწარმოებსაც. ეს ის დრო იყო, როცა სახალხო განათლების ბევრი მუშაკი მოითხოვდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გადადებას უკეთეს დრომდე[19].

---

15 გაზ. „სპარტაკი", 1922 წლის 13 აგვისტო.

16 იქვე.

17 გაზ. „Правда Грузии", 13 декабря 1921 г.

18 გაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 12 თებერვალი.

19 В. А. Куманев, Социализм и всенародная грамотность, М., 1967, გვ. 107—108.

1923 წლის 4 იანვარს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „ფურცლები დღიურიდან“, რომელშიც რევოლუციის ბელადი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „პირველ რიგში უნდა შევამციროთ არა განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯები, არამედ სხვა უწყებების ხარჯები იმ ანგარიშით, რომ განთავისუფლებული თანხები განათლების სახალხო კომისარიატის საჭიროებებს მოხმარდეს“[20].

1923 წლის აგვისტოში გამოვიდა სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დეკრეტი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავისათვის. რის საფუძველზეც საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილებები (1924 წ. 5 მაისი, 18 ივნისი)[21]. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ასაკი განისაზღვრა 18—40 წლამდე[22].

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის გამოცოცხლება საქართველოში დაიწყო 1923-24 სასწავლო წლიდან.

ამ წლიდან რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობას პოლიტიკური განათლების მთავარმმართველობა ხელმძღვანელობდა სასკოლო განყოფილების მეშვეობით, რომელიც მოზრდილთა განათლების ერთიან სისტემაში აერთიანებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო, მცირემცოდნეთა და მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლებს. ხოლო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია გაუქმებულ იქნა.

1923—24 სასწავლო წელი ითვლება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში გეგმიანი მუშაობის დასაწყისად. 1922 წლის ქალაქისა და 1923 წლის სოფლის მოსახლეობის აღწერათა მონაცემების საფუძველზე (მანამდე არ მოიპოვებოდა მეტ-ნაკლებად ზუსტი სტატისტიკური ცნობები წერა-კითხვის უცოდინართა შესახებ, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ხელმძღვანელობა) პოლიტიკური განათლების მთავარმმართველობამ შეადგინა სამუშაო გეგმები როგორც წლიური საკონტროლო ციფრები, ისე პერსპექტიული გეგმა. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სრულ ლიკვიდაციას 1927 წლისათვის.

პოლიტიკური განათლების მთავარმმართველობის მიერ შემუშავებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა განიხილა და დაამტკიცა სრულიად საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობამ (1924 წ. იანვარი). პირველი წლის განმავლობაში წერა-კითხვა უნდა შეესწავლა უცოდინართა 10 პროცენტს. ამასთან ყრილობამ სავალდებულოდ ჩათვალა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 18—24 წლის ახალგაზრდათა შორის პირველივე წლის განმავლობაში. დასახული გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით ყრილობამ დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი[23].

---

20 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 545.

21 თანამგზავრი წ.-კ. უ. და მცირედ-მცოდნეთა სკოლების სახელმძღვანელოდ, თბ., 1925, გვ. 71—73.

22 რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა იმას, რომ წერა-კითხვის შესწავლის მსურველნი სხვა ასაკობრივი ჯგუფებიდან არ იქნებოდნენ დაშვებული სასწავლებლად.

23 საქ. სსრ ცსა, ფ. 300, ან. I, საქ. 80, ფურც. 19.

პროფკავშირის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით პოლიტიკური განათლების მთავარმმართველობასა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც პოლიტგანი ვალდებულებას იღებდა გაეხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და მცირემცოდნეთა სკოლები როგორც თბილისში, ისე პროვინციებში და ამ სკოლებში საერთო წესით მიეღოთ კავშირის წევრები, უზრუნველეყოთ ისინი სასწავლო ნივთებით. ყოველ კურსდამთავრებულზე სათანადო კავშირი გადაიხდიდა გარკვეულ თანხას. კავშირები ახდენდნენ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვას და მათ განაწილებას სკოლებზე. თვალყურს ადევნებდნენ მსმენელთა დასწრებას მსმენელთა კომიტეტების საშუალებით[24]. შემდეგში ასეთივე ხელშეკრულებები დაიდო ადგილებზეც.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა რამდენიმე ხაზით წარიმართა. მასში ჩაებნენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოითხოვდა თანხებს, რისი გაღებაც საკმაო რაოდენობით ჯერ კიდევ არ შეეძლო საბჭოთა სახელმწიფოს — მის წინაშე სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანა იდგა. საჭირო ხდებოდა ამ მუშაობის გადაქცევა მშრომელთა ფართო მასების თვითშემოქმედების საქმედ, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობა, შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა. ამ მიზნით შეიქმნენ რსფსრ და უკრაინაში წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი ნებაყოფლობითი მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოებრივი ძალებისა და სახსრების საშუალებით დახმარებას უწევდნენ სახელმწიფოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში.

1924 წლის 26 მარტს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პრეზიდიუმმა დაადგინა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების დაარსება[25].

საზოგადოების საინიციატივო, დამფუძნებელი კრება შედგა 28 მაისს, რომელზეც საზოგადოების ორგანიზაციული ჩამოყალიბებისა და წინასწარი მუშაობისათვის შეიქმნა ცენტრალური საორგანიზაციო ბიურო — დროებითი ცენტრალური გამგეობა, ხოლო საზოგადოების სრულიად საქართველოს პირველ ყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი) არჩეულ იქნა მისი სრულუფლებიანი ორგანოები — ცენტრალური გამგეობა 35 წევრის შემადგენლობით (გამოიყო პრეზიდიუმი) და ცენტრალური სარევიზიო კომისია[26]. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფილიპე მახარაძე.

„წერკუმსი" — ასე ეწოდებოდა საზოგადოებას შემოკლებით 1927 წლამდე — როგორც აღნიშნული იყო მის წესდებაში, მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო მთავარპოლიტგანის მუშაობისათვის სკოლის გარეშე განათლების საქმეში, რისთვისაც თავის მუშაობის პირველ ხანებში მთავარ ყურადღებას აქცევდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, მიაჩნდა რა ეს მუშაობა ჩვენი ქვეყ-

---

24 საქ. სსრ ცსა, ფ. 819, ან. I, საქ. 558, ფურც. 1—2.

25 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, საქ. 881, ფურც. 212.

26 საქ. სსრ ცსა, ფ. 598, ან I, საქ. 124, ფურც. 38—42.

ნის კულტურულ-სამეურნეო განვითარებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთ უმთავრეს ეტაპად[27].

საზოგადოების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა წერა-კითხვის გავრცელება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნითა და ჯგუფურ-ინდივიდუალური სწავლების მოწყობით. ამ მიზნის მისაღწევად დღიდან დაარსებისა საზოგადოების მუშაობა უმთავრესად სამი მიმართულებით წარიმართა; საორგანიზაციო მუშაობა (წევრთა მიღება, უჯრედების ქსელის, რაიბიუროების, სამაზრო განყოფილებათა შექმნა. საბჭოთა და პარტიულ საზოგადოებრიობის ჩაბმა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში), სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა (ცოდნის შეძენის აუცილებლობის აგიტაცია უცოდინართა შორის, კამპანიების ჩატარება საზოგადოების იდეების პოპულარიზაციისა და დახმარების მიღების მიზნით) და მატერიალურ საშუალებათა მოპოვება.

საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ფართოდ გამოეხმაურა საზოგადოების შექმნას. ქალაქად და სოფლად არსდებოდა საზოგადოების უჯრედები. დროებით ცენტრალურ გამგეობას წლისთავზე უკვე რეგისტრირებული ჰქონდა 339 უჯრედი და 13 881 წევრი, ხოლო 1925 წლის დეკემბრისათვის — 506-მდე უჯრედი და 24052 წევრი[28].

„წერკუმსის“ პოპულარიზაციას დიდად უწყობდა ხელს მისი სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, რომელიც ხორციელდებოდა როგორც ზეპირი, ისე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებებით. „წერკუმსის“ დაარსებისთანავე დროებითმა ცენტრალურმა გამგეობამ საქართველოს ყოველ კუთხეში და წარმოება-დაწესებულებებში დაგზავნა მოწოდებები, პლაკატები და ერთდროული გაზეთი „სინათლისაკენ“. „წერკუმსის“ ლოზუნგები მოეფინა ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებს, სოფლებსა და ქალაქებს. ამავე დროს ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს დაევალებია პარტკომებისათვის პარტიული უჯრედების სხდომებზე მოხსენებების გაკეთება „წერკუმსის“ ამოცანების შესახებ. ასეთივე შუამდგომლობით მიმართა კომკავშირის ცკ-ს და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს. „წერკუმსის“ ამოცანების შესახებ ტარდებოდა მოხსენებები, სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები პრესაში და ა. შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „წერკუმსის“ კვირეულებს. თუ რა ფართო ამოცანებს ისახავდა ეს კვირეულები, ჩანს მათი გეგმებიდან. ერთი კვირით ადრე პრესაში უნდა დაწყებულიყო აგიტაცია, შემდეგ კლუბებში, თეატრებში, დაწესებულება-წარმოებებში იკითხებოდა მოხსენებები ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მიერ გამოყოფილი სათანადოდ მომზადებული მუშაკების მიერ. ეწყობოდა ინსცენირებები, აგიტ-გასამართლება, საღამოები და სხვ. პლაკატები და ლოზუნგები იკვრებოდა წარმოება-დაწესებულებებში, რკინიგზის სადგურებში. მატარებლებზე, ტრამვაის ვაგონებზე. ტარდებოდა საერთო კრებები „წერკუმსის“ უჯრედებისა და რაისაბჭოების მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და მომავალი მუშაობის გეგმების შემუშავების მიზნით. კვირეულის დღეებში კრებებსა და კონფერენციებზე პირველ

---

27 საქ. სსრ ცსა, ფ. 598, ან. 1, საქ. 123, ფურც. 2.

28 იქვე, ფ. 598, ან. I, საქ. 124, ფურც. 38—42.

რიგში უნდა გაშუქებულიყო წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის მნიშვნელობა და ამოცანები. კვირეულის დღეებში წარმოებდა საზოგადოების უჯრედების ჩამოყალიბება და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნა. მატერიალური ფონდის გაძლიერების მიზნით ეწყობოდა კონცერტები და წარმოდგენები, კინოსეანსები, ლატარეა, ხდებოდა ნებაყოფლობით შემოწირულებათა აკრება და სხვა[29].

1925 წელს „წერკუმსის" კვირეული დაკავშირებული იქნა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულთან (კვირეულების ჩატარება დადგინდა ყოველწლიურად 1—7 ნოემბრამდე), რომლის დროსაც „წერკუმსის" წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საერთო დემონსტრაციაში „წერკუმსის" პლაკატებითა და ლოზუნგებით. კვირეულის ორგანიზაციისათვის გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია. მაზრებში კვირეულის ხელმძღვანელობისათვის დაგზავნილ იქნენ ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლები. გამოშვებულ იქნა მრავალი სააგიტაციო მასალა: „თანამგზავრი წერკუმსის მუშაკთათვის", სააგიტაციო თეზისები და ლოზუნგები, პლაკატი „რა გააკეთე შენ წერკუმსისათვის" და სხვ. კვირეულის ჩატარების შემდეგ საზოგადოების წევრთა რაოდენობა თითქმის ერთიორად გაიზარდა[30].

„წერკუმსის" სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა დიდ როლს ასრულებდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისადმი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაციის საქმეში.

1924-25 სასწავლო წელს „წერკუმსის" ზოგიერთმა სამაზრო გამგეობამ (გორის, ლეჩხუმის, შორაპნის) უკვე შეძლო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 9 სკოლის გახსნა და 300 მსმენელის გამოშვება, ხოლო ცენტრალურმა გამგეობამ 1925 წლის ზაფხულში თბილისის პოლიტგანს გადასცა თანხა 8000 მანეთამდე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ხარჯების დასაფარავად. 1925 წლის 1 დეკემბრისათვის ცენტრალურ გამგეობას გახსნილი ჰქონდა 447 სკოლა, ადგილობრივ უჯრედებს 88 სკოლა[31].

„წერკუმსმა" წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და მცირემცოდნეთა სკოლებისათვის გამოსცა სახელმძღვანელოები. აგრეთვე საგლეხო ლიტერატურა სასოფლო-სამეურნეო თემებზე, რომლის მიზანს შეადგენდა გლეხობისათვის სალიკვიდაციო სკოლების დამთავრების შემდეგ საკითხავი წიგნების მიწოდება მათთვის საინტერესო პრაქტიკულ საკითხებზე.

„წერკუმსმა" კავშირი გააბა პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებული მუშაობის საწარმოებლად. თავის მუშაობაში ჩააბა მთელი რიგი სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიული, სავაჭრო, საწარმოო და სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები.

პირველი ფინანსური დახმარება „წერკუმსმა" მიიღო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსაგან.

---

29 საქ. სსრ ცსა, ფ. 598, ან. I, საქ. 124, ფურც. 46.

30 ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების სამეცნიერო-დამხმარე ფონდი (ანგარიში წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების — წერკუმსის ცენტრალური გამგეობის მუშაობისა 1926 წლის 1 მარტამდე).

31 იქვე.

საქ. კპ(ბ) ცკ-მა ცირკულარებით დაავალდებულა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები გაეწიათ ყოველგვარი დახმარება წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოებისათვის. იქ სადაც საზოგადოების უჯრედები არ არსებობდა, მიეღოთ ზომები მის შესაქმნელად. მიეღოთ აქტიური მონაწილეობა კვირეულის ჩატარებაში[32].

კვირეულის ჩატარებაში ორგანიზაციისათვის „წერკუმსის" ცენტრალური გამგეობის ინსტრუქტორებთან ერთად ადგილებზე დაიგზავნენ პოლიტგანათლების მთავარმმართველობის ინსტრუქტორებიც.

კვირეულის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება და კავშირების ცენტრალური გამგეობები[33].

მთელმა რიგმა სამეურნეო ორგანიზაციებმა გაიღეს ერთდროული დახმარება ან ჩაირიცხნენ საზოგადოების იურიდიულ წევრებად.

„წერკუმსის" წევრები აქტიურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობას. ამრიგად, „წერკუმსის" უჯრედი და მისი წევრები ხდებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობასთან გამართული ბრძოლის „უდიდეს საზოგადოებრივ მეთვალყურედ"[33ა], და ამ მხარესაც — ორგანიზატორული, საზოგადოებრივი ჩვევების დანერგვას — მშრომელთა ფართო მასებში სოციალისტური მშენებლობის ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პირველ რიგში ხდებოდა პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის წევრებში, დელეგატ ქალებში, ამასთან სოფლად მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხობაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას წვევანდელთა შორის. პოლიტგანათლების მთავარმმართველობასთან დაარსდა კომისია წვევანდელთა და ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხელმძღვანელობისათვის. ადგილებს დაეგზავნათ ცირკულარი და ინსტრუქცია ანალოგიური სამაზრო და სათემო კომისიების დაარსების შესახებ[34].

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები მსმენელებს აძლევდა წერა-კითხვის და არითმეტიკის ელემენტარულ ცოდნას. სალიკვიდაციო სკოლების მუშაობის მიზანს შეადგენდა აგრეთვე მსმენელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა — მსმენელებში კლასობრივი თვითშეგნებისა და საბჭოთა აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის სურვილის გაღვიძება[35]. ამიტომ საკითხავი ტექსტები პოლიტიკური შინაარსის იყო, გარდა ამისა სასწავლო გეგმაში შედიოდა საუბრები პოლიტგანათლებაზე და საბჭოთა აღმშენებლობის საფუძვლებზე. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ტარდებოდა საუბრები შემდეგ თემებზე: ოქტომბრის რევოლუციის შედეგები, საბჭოების მნიშვნელობა ცხოვრებაში, რატომ გვიჭირს ჯერ კიდევ ცხოვრება, ოქტომბრის რევოლუ-

---

32 გაზ. „კომუნისტი", 1925 წლის 15 იანვარი და 4 ოქტომბერი.

33 საქ. სსრ ცსა, ფ. 819, ან. I, საქ. 558, ფურც. 3.

33ა იქვე, ფ. 598, ან. I, საქ. 124, ფურც. 47—48.

34 იქვე, ფ. 300, ან. I, საქ. 126, ფურც. 28.

35 თანამგზავრი... გვ. 8.

ციის მნიშვნელობა მუშათათვის, კაპიტალი და კაპიტალისტური წარმოება, შრომის კანონთა კოდექსის შესახებ და ა. შ.[36]. სკოლები ერთგვარ წარმოდგენას აძლევდნენ მსმენელებს ისეთ ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებზეც, როგორიცაა გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება, ზოგ შემთხვევაში მედიცინაც და ა. შ.[37].

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების პროგრამა 4 თვიანი სწავლების კურსის მიხედვით იყო შედგენილი (კვირაში 12 საათი). მეცადინეობა წარმოებდა უმეტესად ზამთარში. სკოლები ნავარაუდევი იყო 30 მსმენელზე. მოჯამაგირეთა და სხვა სასოფლო სამეურნეო და სატყეო მეურნეობის მუშებისათვის, რომლებიც გაფანტული იყვნენ სამუშაო პირობების გამო, მათი თავმოყრის ადგილებში იხსნებოდა სპეციალური სკოლები მსმენელთა ნაკლები რაოდენობით, უფრო სწორად ჯგუფები.

სტაციონალურ სკოლებს გარდა არსებობდა მოძრავი სკოლებიც.

მსმენელები უფასოდ მარაგდებოდნენ სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით.

მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო საქართველოს რევკომმა ცირკულარით დაავალდებულა სასურსათო სახალხო კომისარიატი მოემარაგებინა სალამოს სკოლების მსმენელები დამატებითი სანოვაგით[38].

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლათა კურსდამთავრებულები ღებულობდნენ სათანადო მოწმობებს და შეძლებისდაგვარად წარმოებდა მათი ჩაბმა მცირემცოდნეთა სკოლებში.

მცირემცოდნეთა სკოლები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების შემდეგ საფეხურს წარმოადგენდა. აქ ხდებოდა შეძენილი ცოდნის განმტკიცება-გაფართოება. სასწავლო გეგმაში შედიოდა ეკონომიური გეოგრაფია, პოლიტ-ცოდნა, სხარტი წერა-კითხვა და ანგარიში[39]. მეცადინეობა გრძელდებოდა 6 თვეს. ჩვეულებრივ, მცირემცოდნეთა სკოლები იხსნებოდა ქალაქებში და მსხვილ სათემო ცენტრებში. მცირემცოდნეთა სკოლები წარმოადგენდა ყველაზე რადიკალურ საშუალებას წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში, მაგრამ მათი მასობრივი გახსნა ჯერ კიდევ არ ხერხდებოდა მატერიალური და ტექნიკური მიზეზების გამო.

თუმცა წერა-კითხვის შესწავლა დეკრეტით სავალდებულოდ იქნა გამოცხადებული, მაგრამ სწავლება ნებაყოფლობითი წესის საფუძველზე წარმოებდა. სკოლებში უცოდინართა ჩაბმა ხდებოდა ახსნა-განმარტებით და მორალური ზემოქმედებით. იშვიათად, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ადმინისტრირების მეთოდების გამოყენებასაც, რაც რასაკვირველია არამიზანშეწონილი იყო[40].

უცოდინართა სკოლებში ჩაბმისა და სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით გამოყენებული იყო სხვადასხვა წამახალისებელი საშუალებანი: აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭომ მსმენელებს მისცა მთელი რიგი შეღავათები; პირველ რიგში მათ აკმაყოფილებდა სასოფლო-სამეურნეო კრედიტით, ათავისუფლებდა საზოგადოებრივი დავალებებისაგან და მისცა იარაღის ტარების უფ-

36 საქ. სსრ ცსა, ფ. 820, ან. I, საქ. 38, ფურც. 7—8, ფონდი 819, ან. 1, საქ. 635, ფურც. 1, გაზ. „მუშა", 1923 წლის 26 ივნისი.

37 იქვე, ფ. 820, ან. 1, საქ. 38, ფურც. 4—8.

38 იქვე, ფ. 281, ან. I, საქ. 98, ფურც. 40.

39 თანამგზავრი გვ. 58—67.

40 საქ. სსრ ცსა, ფ. 826, ან. 1, საქ. 138, ფურც. 64.

ლება[41]. გაგრის მაზრაში მსმენელები უფასოდ სარგებლობდნენ კინოთი, თეატრით და სხვ.[42].

საუკეთესო მსმენელებს (რომლებიც არ აცდენდნენ) ეძლეოდათ პრემიები. პრემიები ეძლეოდათ აგრეთვე მასწავლებლებსაც. აჭარაში 1923—24 სასწავლო წელს პრემია დაენიშნა მასწავლებლებს, რომლებიც გამოუშვებდნენ მსმენელთა თავდაპირველ რაოდენობას, ხოლო საჩუქრები იმ სამაზრო და სათემო პოლიტგანათლების საბჭოებს, სადაც გამოშვება სასურველად ჩატარდებოდა[43].

სკოლების გამოშვება საზეიმო ვითარებაში წარმოებდა. გამოცდებს იბარებდნენ გამომცდელი კომისიები. კომისიებში შედიოდნენ: პოლიტგანათლების სამაზრო საბჭოს, პარტიული ორგანიზაციის, „წერკუმსის" სამაზრო გამგეობის ან უჯრედის, სასოფლო საბჭოს წარმომადგენელი და სხვ.[44]. პროფკავშირის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ან მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დროს კომისიებში შედიოდნენ პროფკავშირის და პოლიტგანის წარმომადგენლები.

სკოლების გახსნას და გამოშვებას უფრო ხშირად დღესასწაულის დღეებს 7 ნოემბერს, 8 მარტს, 1 მაისს და ა. შ. უკავშირებდნენ.

წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სკოლები უმთავრესად არსდებოდა შრომის სკოლის შენობებში და მასწავლებლებადაც შრომის სკოლის მასწავლებლებს იყენებდნენ, რომლებიც დღისით ბავშვებთან მეცადინეობდნენ, ხოლო საღამოს საათებში მოზრდილებთან. ეს მასწავლებლები 1923—24 სასწავლო წლამდე ირიცხებოდნენ შტატში და მთელი წლის განმავლობაში ღებულობდნენ ხელფასს. ამ წლიდან შემოღებულ იქნა ხელფასის სალექციო-საათობრივი გადახდის სისტემა, რაც სახელმწიფოს დიდ ეკონომიას აძლევდა[45].

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმოებდა სკოლების გარეშეც ინდივიდუალურ-ჯგუფური სწავლების გზით. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის ამ ფორმამ შემდეგ წლებში მიიღო განსაკუთრებით ფართო ხასიათი.

სწავლას მოწყურებული მშრომელი ხალხი — მუშები და გლეხები დიდ ლტოლვას და სწრაფვას იჩენდნენ სკოლებისადმი. 1925 წლის თებერვალში გაზეთი „კომუნისტი" წერდა: „საგარეჯოს თემის ყველა სოფლებში 1 ნოემბ-

---

41 აფხაზეთის ასსრ ცსა, ფ. 8, ან. I, საქ. 168, ფურც. 38—40.

42 იქვე, ფ. 8, ან. I, საქ. 234, ფურც. 144—145.

43 აჭარის ასსრ ცსა, ფ. р-6, ან. 1, საქ. 17, ფურც. 21.

44 გაზ. „კომუნისტი", 1924 წლის 17 აპრილი. აჭარის ასსრ ცსა, ფ. р-6, ან 1, საქ. 10, ფურც. 13. საქ. 29, ფურც. 4.

45 ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების სამეცნიერო-დამხმარე ფონდი (მოხსენება სსსრ პოლიტგანათლების მთავარმმართველობის მუშაობის შესახებ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში 1926/27 სასწავლო წლამდე).

რიდან გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ამ სკოლებს მშრომელი გლეხობა მრავლად მიაწყდა. სურვილი სწავლისადმი იმდენად გაცხოველდა, რომ ზოგ მასწავლებელს უხდებოდა 60 კაცთან მეცადინეობა[46].

ამავე სასწავლო წელს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ აღნიშნავდა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მოსახლეობის დიდ სწრაფვაზე თელავის მაზრაშიც[47].

„თუ აქამდის სწავლის მიღების სურვილი არ ჰქონდათ ახალგაზრდა ქალებს, — ვკითხულობთ ჟურნალში „ჩვენი გზა“ — ეხლა მოხუცებულებიც, ახალგაზრდებიც ეწერებიან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, და უნდა გამოვიდნენ სიბნელიდან“[48].

ანალოგიური წერილები მრავლად გვხვდება იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა რა მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა ჩაბმას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებსა და წრეებში. ამ მხრივ სათანადო მუშაობას პარტიულ კომიტეტებთან არსებული ქალთა განყოფილებები ატარებდნენ. 1924 წელს ქალთა განყოფილებამ, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეებში ჩააბა დიდი უმრავლესობა უცოდინარი დელეგატი ქალებისა[49].

საბჭოთა ხელისუფლებამ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ქალთა ჩაბმის მიზნით გაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა; ქალთათვის ცალკე იხსნებოდა სკოლები იქ, სადაც ამას ადგილობრივი სპეციფიკური პირობები მოითხოვდა. ქალთა ასეთი სკოლები აჭარაში პირველად გაიხსნა 1923 წელს ორთაბათუმსა და ქობულეთში[50]. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეები შეიქმნა მუსულმან ქალთა კლუბებთან[51], გლეხ ქალთა კუთხეებთან. უფრო მეტიც. ქალთა შორის სწავლისადმი ინტერესის გაღვიძების მიზნით შეიქმნა განსაკუთრებული ტიპის სკოლები ე. წ. ჭრა-კერვის სკოლები, რომლის უმთავრესი დანიშნულება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია იყო, მაგრამ ამასთან ერთად ისწავლებოდა ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა. ეს სკოლები დიდად იზიდავდა ქალებს და მათ გავრცელება ჰპოვეს შემდეგ წლებში. გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური სწავლების მეთოდებიც.

---

46 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 8 თებერვალი.
47 გაზ. „Заря Востока“, 26 декабря 1924 г.
48 ჟურნ. „ჩვენი გზა“, 1924, № 10, გვ. 10.
49 ჟურნ. „ჩვენი გზა“, 1924, № 8—9, გვ. 14.
50 აჭარის ასსრ ცსა, p-6, ან. I, საქ. 10, ფურც. 13.
51 ჟურნ. „ჩვენი გზა“, 1924, № 4, გვ. 42.

1923—24 და 1925—26 სასწავლო წლების განმავლობაში საქართველოში ავტონომიური ერთეულების ჩაუთვლელად წერა-კითხვა შეისწავლა 17 801, ხოლო მცირემცოდნეთა სკოლები გაიარა 1276 ქალმა[52].

სულ 1923—24 და 1925—26 სასწავლო წლებში წერა-კითხვა შეისწავლა 90 780 უცოდინარმა[53].

ხოლო 1921—22 სასწავლო წლიდან 1926—27 სასწავლო წლამდე — 139 224 უცოდინარმა[54].

ამრიგად, საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარობის პრობლემა ერთბაშად არ გადაწყვეტილა მას კიდევ წლები და დიდი და დაძაბული შრომა დასჭირდა.

1921—1925 წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში გაიტეხა ყამირი, დაგროვდა გამოცდილება, შემუშავდა მეთოდები და მოპოვებულ იქნა პირველი წარმატებანი, რაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შემდგომი გაშლის და გაღრმავების მტკიცე საფუძველი იყო.

---

52 საქ. სსრ ცსა, ფ. 300, ან 1, საქ. 126, ფურც. 53.

53 აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყ-ბის სამეცნიერო-დამხმარე ფონდი (მოხსენება სსსრ პოლიტგანათლების მთავარმმართველობის მუშაობის შესახებ წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში 1926/27 სასწავლო წლამდე).

54 საქ. სსრ მთაერობის 1925-26 წ. მოქმედების ანგარიში, თბ., 1927, 244—245.

Л. С. ГИУНАШВИЛИ

# ИСТОРИЧЕСКИЕ ВОЗЗРЕНИЯ САИДА НАФИСИ

История Ирана на протяжении нашего столетия характеризуется значительными переменами в области общественной и культурной жизни. 1905—11 годы, тридцатые годы, сороковые годы, пятидесятые годы — это вехи бурных подъемов и спадов демократической активности и антиимпериалистической деятельности иранского народа. В сложных условиях борьбы национальных сил с внешней и внутренней реакцией рождалась новая историческая литература, росло самосознание иранской интеллигенции.

Жизнь и творчество С. Нафиси (1896—1966), крупнейшего иранского ученого-филолога, прогрессивного писателя и поэта падают на этот период истории Ирана. Эта эпоха не могла не наложить яркого отпечатка на все творчество С. Нафиси, человека чуткого к запросам современности, как на его литературоведческие, исторические, публицистические труды, так и на его художественные произведения.

С. Нафиси уделял большое внимание истории. «Без изучения минувшего — говорил он, — нельзя строить и будущее»[1]. С. Нафиси были досконально известны исторические труды его предшественников и современников, как восточных, так и европейских авторов. В его исторических сочинениях часто упоминаются имена Бейхаки, Гардизи, Ибн ал-Асира, Истахри, Мукаддаси, Наршахи, Сам'ани, Табари, В. Бартольда, Р. Гиршмана, И. Маркварта, В. Массона, В. Минорского, С. Толстова, А. Христенсена, А. Якубовского и др.

Изучая историю своей страны С. Нафиси был полон захватывающего интереса к ней, считал, что она свидетельствует о величии его предков, его народа. Очень важно, что С. Нафиси призывал к разработке истории Ирана в то время (30-ые годы), когда складывалось новое, современное направление в иранской науке, — как раз в это время он пишет свою «прекрасную работу»[2] о Медресе Низамие в Багдаде. Он сам явился одним из пионеров этого дела, в частности был одним из первых, кто воплотил в художественных образах славное историческое прошлое страны[3]: в 1934 году им была написана одна из его исторических новелл, объединенных позднее в единый сборник под заглавием «Нахшабская луна»». С. Нафиси придавал большое значение изучению отечественной истории, которая по его мнению пробуждает в человеке национальное самосознание, воспитывает в нем чув-

---

[1] С. Нафиси, Социальная и политическая история Ирана в современную эпоху, т. I, Тегеран, 1956, стр. д (на перс. яз.).

[2] Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1960, стр. 495.

[3] См. свидетельство самого С. Нафиси в предисловии к книге «Нахшабская луна», Тегеран, 1955 (на перс. яз.).

ство гордости за деяния, совершенные предками, которые действительно достойны уважения и память о которых должна сохраняться у потомства. Глубокие раздумья С. Нафиси над современностью в ее связи с историческим прошлым страны нашли свое отражение в проблематике исторических новелл Борясь за национальную самобытность, С. Нафиси придавал большое значение разработке тем исторического прошлого иранского народа. Своим историческим новеллам С. Нафиси придает публицистическое звучание, нужное и близкое по его мнению, современности. Цель, преследуемая новеллами С. Нафиси — сделать историю своей страны школой благородного патриотизма для молодежи. С. Нафиси считал необходимым изучать былые судьбы народа, помогая ему тем самым верно определить свое место в настоящем. С. Нафиси не просто любуется реликвиями прошлого, он пытается позаимствовать из него то, что лучше всего подходит современности, он связывает историю с современностью.

Труды С. Нафиси являются результатом разного подхода автора к изучению истории, различных исторических событий. В исторической науке, как известно, значительное место занимает «описание происходивших явлений и повествование о совершившихся событиях»[4]. Из фактического изложения событий прошлого в той последовательности, в которой они произошли на самом деле создается нечто вроде справочника, учебного пособия. К такого рода трудам можно отнести «Бахрейн»[5] С. Нафиси, написанный в 1953—54 годах, в период, когда развернулась борьба за иранскую нефть. С. Нафиси подробно излагает историю Бахрейна, начиная со времен появления Аршакидов, далее переходит к Сасанидам, описывая действия Ардашира Папакана и Шапура II в отношении этого острова. В строго хронологическом порядке он представляет историю острова Бахрейна (многочисленные войны, переход от одного владетеля к другому, периоды иранского, португальского, английского правления островом) на основе восточных и западно-европейских источников и исследований. Не оставлены без внимания также вопросы истории культуры и идеологические проблемы острова, возникшие в процессе изменения его исторических судеб, в частности С. Нафиси освещает борьбу различных религиозных направлений. Подобным образом история острова изложена вплоть до начала XX века.

Тоже самое можно сказать о другом произведении С. Нафиси— «Ездигерде III», написанном в 1933 году. Книга состоит из трех глав — 1. Ездигерд III; 2. Конец Ездигерда; 3. Жены и дети Ездигерда III. Опираясь на источники, С. Нафиси излагает события, связанные с недолгим и тусклым правлением последнего из Сасанидов, описывая все злоключения царя вплоть до его смерти. Излагая события, С. Нафиси не высказывает своего к ним отношения: хорош, к примеру, был царь или плох, он лишь приводит фактический материал исторических хроник.

Другой разновидностью исторических работ С. Нафиси являются такие, в которых он дает критический анализ источников, стремясь отобрать из них только верные (по его мнению). Сюда можно причислить такую его работу, как исторический очерк о феодальной семье Микали[6], в которой на основе тщательного изучения и сопоставления

---

[4] И. С. Кон, Философский идеализм и кризис буржуазной исторической мысли, М., 1959, стр. 308.

[5] С. Нафиси, Бахрейн, Тегеран, 1954 (на перс. яз.).

[6] История Бейхаки, т. III, Тегеран, 1953, стр. 969—1008 (на перс. яз.).

данных известных историков А. Бейхаки, Ибн Фундука, Якута, Сам'ани, Са'алиби, Гардизи, Ибн ал-Асира и многих других дается детальная история рода Микали с времен Сасанидов до последнего видного представителя этой семьи Хасанака — известного везира Султан Махмуда Газневи. На основе критического использования источников исследователь идентифицирует имена деятелей, устанавливает точные даты рождения, смерти, определяет должности, род занятий и т. д. При этом С. Нафиси широко использует специальную литературу на европейских языках, в частности работы Ф. Юсти, А. Фреймана и Э. Цамбауера.

В некоторых же своих трудах С. Нафиси пытается философски осмыслить исторический процесс и его развитие. Знакомство С. Нафиси с работами многих видных мыслителей-философов и размышления над путями развития человеческого общества и его судьбами подводили С. Нафиси к представлению о закономерностях общественной жизни. В своих ранних трудах С. Нафиси несколько переоценивал роль идей в историческом развитии. Но его исторические воззрения претерпели значительные изменения в процессе эволюции его творчества. Они органически связаны с его прогрессивными общественно-политическими убеждениями, в основе которых лежала защита интересов Ирана, с его деятельностью, направленной на развитие страны и расцвет национальной культуры.

В более поздних своих трудах С. Нафиси высказывает глубокую мысль о важном значении материальных потребностей, видя в них движущую силу развития общества. С. Нафиси уделяет большое внимание экономическому фактору и выяснению его роли в историческом развитии.

По мнению С. Нафиси в основе всех мировых процессов лежат материальные нужды человека и их удовлетворение[7]. Таким образом, во главу угла С. Нафиси ставит материальные интересы общества[8].

Материальные нужды, интересы общества, по мнению С. Нафиси, порождают и всякого рода соответствующие философские, общественные мнения, теории, мысли, способствуют их развитию и распространению. Эти идеи, мысли, никогда не являются чем-то абстрактным, оторванным, независимым от общества и его нужд, они всегда, зависели и зависят от общественной экономики строя и обслуживают этот строй. Но каждый новый общественно-экономический строй, по мнению С. Нафиси, имеет свою, свойственную именно ему идеологию, которая не может обслуживать другой строй и умирает вместе с строем ее породившим. На смену ей приходит новая идеология, соответствующая новому общественно-экономическому укладу[9]. Таким образом, следует отметить как положительный факт (сравнительно с другими историками-современниками С. Нафиси) оценку им экономического фактора в развитии общества.

Исторический процесс, рассматривается С. Нафиси как единый, цельный, события, его как взаимообусловленные, взаимосвязанные С. Нафиси отмечает, что невозможно вырвать одно какое-либо собы-

---

[7] С. Нафиси, Социальная и политическая история..., I, стр. 1.

[8] Ср. «Люди делают свою историю вовсе не затем, чтобы шествовать по заранее начертанному пути прогресса и не потому, что должны повиноваться законам какой-то отвлеченной эволюции. Они делают ее стремясь удовлетворить свои нужды», Г. В. Плеханов, О материалистическом понимании истории, М., 1948, стр. 11.

[9] С. Нафиси, Социальная и политическая история... I, стр. 1.

тие из цепи исторического процесса и рассматривать его изолированно, в отрыве от самого процесса[10].

Понимание С. Нафиси связи прошлого, настоящего и будущего весьма интересно и своеобразно. Настоящее, по его мнению, всегда связано с прошлым, имеет в нем свои корни. Без досконального же знания своей прошлой истории общество не сможет правильно строить свое будущее. Отсюда — важность изучения былых судеб своего народа, и те проблемы, которые вставали перед историками и писателями в этой связи. С. Нафиси связывает прошлое с современными задачами. «Из мира истории, — писал А. Герцен, — двери отворяются прямо в деятельность, в собственное участие в современных вопросах»[11].

Постановка С. Нафиси исторических проблем определялась задачей обоснования великого прошлого иранцев, призванной уяснить молодежи верные пути будущего развития страны, демократизации и борьбы против разного рода гнета. С. Нафиси придавал большое значение патриотизму как чувству органически присущему людям и как важному фактору общественного развития. Он также считал, что любовь к отчизне надо растить, воспитывать в молодежи. Результатом этого явился сборник его исторических новелл «Нахшабская луна», патриотическая драма «Последняя память о Надир-шахе»[12]. Именно в истории своего народа, в его героической борьбе за единство и независимость родины, в его исторически сложившихся национальных качествах, той роли, которую он сыграл, черпал С. Нафиси веру в будущность. С. Нафиси считал, что действительная и самоотверженная любовь к родине, подлинный патриотизм являются неотъемлемым качеством народа. Проявление активной деятельности народа С. Нафиси видел в его борьбе со своими угнетателями. Народные массы были для С. Нафиси носителями высоких моральных качеств. Они являлись для С. Нафиси выразителями подлинных стремлений и национальных особенностей. Именно в них видел он человечность и благородство[13].

Из исторических деятелей С. Нафиси особенно привлекали к себе вожди народных восстаний против иноземных захватчиков. В обращении в своем творчестве к образам тех героев, о которых другие писатели и историки предпочитали умалчивать, проявился прогрессивный дух С. Нафиси. Он посвятил ряд новелл Муканне, Бабеку (ему посвящен также отдельный, исторический очерк), Абу Муслему и др. С. Нафиси волновала и захватывала их судьба, очаровывал их моральный облик и порою увлекшись, писатель слишком идеализировал их, приписывая им то, чем на самом деле они не обладали. Они иногда представлены в некоем романтическом ореоле, многие из них такие, как Афшин, Я'куб Лейс вырастают из описаний С. Нафиси в могучие индивидуальности, в значительной мере предопределившие ход развития истории Ирана.

Существование могучего централизованного государства в условиях раннего средневековья С. Нафиси считал явлением весьма положительным. Указывая на последствия арабского завоевания (завоевания высококультурного государства варварами-кочевниками), С. Нафиси акцентирует внимание читателей на одной из причин падения Ирана — изменах крупных феодалов, переходивших на сторону ино-

---

[10] С. Нафиси, Социальная и политическая история... I, стр. 1.

[11] А. Герцен, Соч., т. IV, стр. 377.

[12] Книга выдержала 9 изданий, последнее издание вышло в 1947 году.

[13] См. его роман «Фарангис» и сборник новелл «Нахшабская луна».

земцев, и тем самым ослаблявших централизованную власть, власть царя-самодержца, ослаблявших в конечном счете государство. Одним из важных факторов укрепления централизованного государства С. Нафиси считал ликвидацию такого рода измен, борьбу с антипатриотическими настроениями крупных феодалов (см. «Ездигерд III»).

С. Нафиси привлекает образ справедливого царя, он представляется ему олицетворением независимости нации и свободы народа. С. Нафиси написал исторический очерк «Ездигерд III», а также новеллу «Последний Саманид», где эта тенденция его творчества проявилась достаточно ярко. Это своеобразная идеализация, но за ней скрывается прогрессивная по своей сути антизахватническая направленность идеи С. Нафиси: обращением к прошлому он предостерегает настоящее и будущее своего многострадального народа и его руководителей, С. Нафиси как бы подтверждает свои положения опытом истории.

Можно предположить, что обращения С. Нафиси к истории средних веков было мерой осуждения несправедливых кровавых войн, несущих страдания и гибель народам. Характеристика средневековья у С. Нафиси довольно многосторонняя. Восторгаясь великим прошлым своего народа, он раскрывает и мрачные стороны этого периода в истории человечества: кровопролитие, зверскую борьбу за власть, корону и т. д. Касаясь арабского господства в Иране, С. Нафиси сравнивает политику халифов с колониальной политикой европейских держав[14]. С. Нафиси дал также соответствующую оценку многочисленных захватнических и опустошительных войн этой эпохи. Он показал их губительность, приносивших народу бедствия, разорение. С. Нафиси подчеркивал неизбежность борьбы угнетенных народов, против своих поработителей (См. «Смелый ситоделальщик», «Нахшабская луна», «Хорасанский витязь» и др.). Захватническим войнам С. Нафиси противопоставляет войны освободительные, ставящие своей целью защиту от порабощения угнетенных народов.

Свои размышления о прошлом и настоящем своего народа С. Нафиси воплощал в художественных образах и научных изысканиях. Особое место в его творчестве занимают труды, посвященные деятелям просвещения, культуры, литературы, науки, как Рудаки, Фирдоуси, Авиценна, Хайям и т. д. Следует отметить, что на описании многих исторических деятелей С. Нафиси лежит печать идеализации. Собственные мнения С. Нафиси о том или ином историческом лице являются порою источником субъективным и не совсем надежным. К примеру, многих видных исторических деятелей С. Нафиси причисляет к благороднорожденным, хотя исторические данные говорят о другом (Абу Мослем, Я'куб Лейс, Муканна). С. Нафиси был убежден, что благороднорожденные, стоящие у власти лица, по духовному уровню выше своих подчиненных. Чертой, органически присущей им, является стремление к просвещению, покровительство наукам и литературе. Эта черта особенно характерна для раннего творчества С. Нафиси (мы имеем в виду его исторические новеллы, где образы исторических деятелей не совсем соответствуют исторической истине и не подтверждаются историческими источниками). Позднее С. Нафиси неоднократно высказывались весьма прогрессивные мнения относительно того, как должен освещать факты историк, с какими мерками он должен подходить к их оценке. Здесь С. Нафиси полностью отказывается от субъек-

[14] С. Нафиси. Жизнь, деятельность и эпоха Ибн-Сины, Тегеран, 1954, стр. 107 (на перс. яз.).

тивизма в истории, подтасовки исторических фактов, безосновательного возвеличивания одних деятелей и унижения других. Он считает необходимым строго следовать исторической правде[15].

Историческое мировоззрение С. Нафиси довольно сложно. Оно лишено цельности. Он ищет, колеблется. С. Нафиси не встал на путь, по которому шла передовая общественная мысль его времени, но и не перешел в консервативный лагерь, куда его могло завлечь общественное положение, происхождение. Историческое мировоззрение С. Нафиси явно эволюционизирует с течением времени[16]. Так в своих ранних исторических новеллах С. Нафиси стоит на позициях исторического идеализма в вопросах роли личности в истории: по его мнению ход исторических событий определяется в конечном счете сильной личностью. В одном из его последних трудов встречаем иную трактовку этого вопроса: человек, личность, по мнению С. Нафиси, не может самовластно по своему желанию управлять историческим процессом. С. Нафиси подчеркивает ограниченные возможности личностей повлиять на события истории. Сам исторический процесс неизменно и незаметно увлекает их за собою[17], отсюда делается вывод, что «подлинной задачей истории является изучение жизни широких слоев народа (аммейе мардом) и общественной жизни»[18]. Исторические взгляды С. Нафиси могут быть поняты только в свете его общего мировоззрения: его исторические воззрения неразрывно связаны с социально-политическими и противоречивость первых объясняется непоследовательностью вторых. В исторических трудах С. Нафиси обращает на себя внимание почти полное отсутствие социального подхода к явлениям действительности. Исторические события и личности, как правило, интересуют С. Нафиси не с точки зрения социально-политического характера и значения. Здесь скорее мы находим художественное восприятие и литературное преломление, причем восприятие часто субъективное со значительным налетом идеализации.

Развенчание, например, последнего сасанидского царя Ездигерда III как героя не отвечало общеисторическим, общефилософским представлениям С. Нафиси. Ему кажется очень привлекательной легенда о царе-изгнаннике, которого вероломно предали приближенные, хотя порою С. Нафиси сам видимо осознает неточность, зыбкость его образа. С. Нафиси не дает анализа (с социально-экономических позиций) деятельности Ездигерда и причин падения сасанидского Ирана, несмотря на то, что на протяжении всего очерка, так подробно описывает все события, связанные с последним сасанидом. Говоря о народе (в историческом плане) С. Нафиси не приводит четкого различия между национальным и социальным значением этого термина. С. Нафиси с уважением относился к национальным традициям и национальным особенностям отдельных народов, считал необходимым их внимательное изучение. С. Нафиси сочувствует борьбе народов против гнета, однако он понимал, что полного удовлетворения интересов народных масс не было в прошлом и не могло быть в его время вследствие неравенства, нищеты и бесправия трудящихся[19].

---

15 См. Предисловие книги «Социальная и политическая история...», I.

16 См. высказывание самого С. Нафиси по этому поводу в предислови к книге «История Тахиридов», Тегеран, 1956, стр. 4 (на перс. яз.).

17 См. предисловие к книге «Социальная и политическая история...»,I.

18 Жур. «Рахнамайе Кетаб», Тегеран, 1963, № 8, стр. 555 (на перс. яз.).

19 С. Нафиси, Жизнь, деятельность и эпоха Ибн-Сины, стр. 107

Однако несмотря на отсутствие в исторической концепции С. Нафиси глубокого социального содержания, в основе ее лежало полнокровное чувство любви к своей родине. С. Нафиси как гражданину было дорого свое отечество, он верил в свою родину и считал, что лучшим доказательством величия Ирана служит его история. Опираясь на великое историческое прошлое Ирана, его былую мощь, С. Нафиси иногда считает делом самым законным территориальное расширение Ирана, рост его пределов, усиление, таким образом, его могущества, возврат Ирану на основе исторических доказательств его былых территорий. Например, основной целью С. Нафиси при написании «Бахрейна» было «доказать историческое право Ирана на владение Бахрейном»[20]. С. Нафиси порою забывает, что в истории Ирана бывало и воссоединение утраченных ранее в силу различных обстоятельств частей, происходило и включение в его состав народов, к нему тяготевших, но, бывали и прямые захваты чужих территорий. К примеру, мнение С. Нафиси доказать бесспорную принадлежность острова Бахрейн иранцам не разделяется другими учеными-историками, так как пока еще трудно сказать, какому народу принадлежала археологически засвидетельствованная культура Бахрейна, есть много оснований полагать, что «речь может идти об арабах»[21].

Следует отметить, что отсутствие социального подхода характерно для С. Нафиси и при оценке им исторических личностей, которые как правило интересуют С. Нафиси не с точки зрения социально-политического характера и значения их деятельности. У него мы находим не социальный анализ исторической действительности, а скорее художественное восприятие и литературное преломление человеческого характера, причем иногда, как отмечалось выше, восприятие чисто субъективное.

У С. Нафиси мы не всегда встречаем органическое соединение беспристрастного критического изучения исторических событий и фактов с их художественным изображением. Чаще последнее затмевает первое и тогда порою исторические данные становятся жертвой поэтического воодушевления. Это происходит потому, что в С. Нафиси сочетались многочисленные дарования: он был известным литературным критиком, общественным деятелем, писателем, поэтом, ученым.

У С. Нафиси встречаем в подходах к историческому прошлому переплетение методов ученого-исследователя и писателя-художника. Историческое прошлое С. Нафиси воспринимает прежде всего как художник. Он воссоздает в своих новеллах образы и картины прошлого. Но С. Нафиси много трудился и как ученый-историк в области культуры Ирана, истории династий, истории религии и это, естественно, не могло не отразиться соответствующим образом на его работах. Именно поэтому его труды представляют собой как бы органический сплав исторического исследования с художественной формой, в которую оно было облечено. С. Нафиси таким образом воспроизвел в своем творчестве два метода: научный анализ и синтез и художественно-образное обобщение.

С. Нафиси рассматривает исторический процесс как прогрессивный, развивающийся в результате борьбы нового со старым. Однако он считает приемлемыми далеко не все формы этой борьбы. С. Нафиси иногда терялся в многообразии явлений общественной жизни, он

---

20 В. В. Трубецкой, Рец. в жур. «Советское востоковедение», № 4, 1957, стр. 173—176.

21 В. Л. Бодянский, Бахрейн. М., 1962, стр. 5.

считал невозможным овладеть законами движения общества с тем, чтобы действуя на их основе, добиваться социального переустройства. Недовольный существующим общественным порядком, С. Нафиси все же не признает революционные перевороты, он считает их вредными, губительными для общества и завоеваний культуры, хотя иногда он все же вынужден признать, что в результате этих революционных преобразований, в частности, в Октябре «были заложены основы социальной справедливости.. было установлено абсолютное равенство людей»[22].

С Нафиси не склонен к компромиссу с реакцией, но он осуждает революцию и заодно тех, кто вступил на этот тернистый путь. Отрицая революцию С. Нафиси создал ряд сатирических образов ее участников, доходящих до карикатурности[23]. Однако своими работами, в особенности художественными творениями он неоднократно доказал, что людям трудно жить в современных условиях, которые угнетают и калечат их, а, следовательно, невольно толкал читателей к мысли о негодности этих условий. Исследования С. Нафиси по некоторым историческим вопросам, несмотря на отсутствие в них социального подхода, анализа имели важное положительное значение, поскольку в них ставились животрепещущие темы.

Большой заслугой С. Нафиси в области исторической науки является его стремление обогатить ее новыми фактическими данными, путем тщательного изучения первоисточников. С. Нафиси полагал, что при надлежащем изучении рукописного наследства можно получить представление «не только о шахах и тысяче придворных, но и о всем народе и об обществе этого времени»[24]. По сути дела это положение С. Нафиси приближается к определению исторических источников «как памятников прошлого, отражающих реальные явления общественной жизни»[25].

С. Нафиси часто вводит в научный оборот выдержки и данные из неопубликованных и малоизвестных рукописей. С. Нафиси были изданы с соответствующим научным аппаратом такие исторические сочинения, как «Заин ул-ахбар». «Тарих-е Гитигоша», «Тарих-е Бейхаки», «Дастур ол-возара» и др. Интересен и сам выбор источников. Ведь «История Бейхаки», например, занимает «совершенно особое место в мусульманской исторической литературе»[26]. При подготовке к изданию этого памятника С. Нафиси проделал титаническую текстологическую и редакторскую работу. Примечания и комментарии С. Нафиси, которые в большинстве своем являются самостоятельными исследованиями историко-филологического характера почти всегда «сделаны обстоятельно»[27]. Объем их около 900 страниц крупноформатной книги, набранной мелким шрифтом.

С. Нафиси занимался топонимикой и исторической географией, когда изучал историю своей страны. Ему приходилось листать груды

---

22 «Пейаме Ноу», 1947, № 11, стр. 139.

23 Например, образы муджахидов в романе «Скрытые огни».

24 «Фарханге Иранзамин», 1953, стр. 70.

25 Л. В. Черепнин, Лаппо-Данилевский — буржуазный историк и источниковед, «Вопросы истории», № 8, 1949, стр. 49.

26 В. В. Бартольд, Сочинения, т. I, М., 1963, стр. 67.

27 А. К. Арендс, Введение к кн. Абул-Фазл Байхаки, История Мас'уда, М., 1969, стр. 60.

литературы, чтобы собрать нужные сведения о древних названиях городов, сел, местностей своей родины[28].

С. Нафиси никогда не упускал из своего поля зрения те вопросы, которые так или иначе были связаны с распространением просвещения в народе, ростом его культуры. С конца 20-ых годов он активно выступал за реформу персидской письменности на базе латинской графики, а в 1959 году он становится во главе «Общества сторонников изменения персидского алфавита»[29].

С. Нафиси уделял большое внимание популяризации вопросов культуры и истории среди масс при помощи радио. Он организовал при тегеранском радиовещании с 1939 г. регулярные передачи на эти темы[30].

С. Нафиси также прекрасно понимал воспитательную роль преподавания истории как весьма важного фактора формирования общественных взглядов юного поколения. Поэтому он внимательно следил за учебной литературой и решительно критиковал недобросовестно составленные учебные пособия. Он сам был автором и соавтором многих учебников.

Будучи сторонником изучения исторических памятников и распространения исторических знаний, С. Нафиси уделяет должное внимание старинным народным обычаям. Ему принадлежат многочисленные интересные статьи и исследования о народных древних празднествах, (саде, ноуруз, мехрган) народных нравах, обычаях[31]. Произведения живописи, скульптуры, архитектуры волнуют С. Нафиси, они вызывали в его сознании представления о минувшем, в его воображении возникали образы былого. К архитектуре С. Нафиси обращался не раз. В этом аспекте интересен его труд «Культура Сасанидского Ирана»[32].

С Нафиси был страстным библиофилом, он любил книги, в которых по его мнению отразилась история человеческой культуры, человеческой мысли, человеческого разума. Библиотека его была столь обширна и столь интересно подобрана, что даже такие крупные деятели культуры современного Ирана, как Дашти, Ясеми, Фальсафи, Минови, которые сами были обладателями прекрасных библиотек, систематически часами, с чувством большого удовлетворения работали в библиотеке С. Нафиси[33].

С. Нафиси заботливо растил молодых ученых и по возможности снабжал их необходимой литературой из своей личной библиотеки, не жалел даже редких уникальных рукописей[34].

Оценки и характеристики исторических явлений, отдельных событий, исторических деятелей, даваемые С. Нафиси, в своей совокупности составляют определенную систему исторических воззрений, определенную историческую концепцию. С. Нафиси, освещая вопросы

---

[28] С. Нафиси, Социальная история Ирана..., Тегеран, 1963, стр. 8—11 (на перс. яз.).

[29] См. С. М. Алиев. Отношение Ахмеда Кесрави к проблеме реформы современного персидского языка и письменности, КСИНА, М., 1961, стр. 96—97.

[30] З. Саджади, жур. «Маджалейе Данешкадейе...», № 55, стр. 361—364, (на перс. яз.).

[31] «Пейяме Ноу», I, № 7, стр. 1—10; № 8, стр. 72—84.

[32] «История Сасанидской культуры», т. I, Тегеран, 1954; «Приложение» к т. I. Тегеран, 1965 (на перс. яз.) .

[33] А. Мейкаде, жур. «Маджалейе Донешкадейе...», № 55, стр. 299.

[34] Дж. Хомай. там же, стр. 270.

отечественной истории, стремится конкретизировать их суть, всесторонне проникнуть в их глубину, увидеть их содержание, взаимосвязь, определить тенденцию развития тех или иных явлений. Размышляя над проблемой исторического процесса, С. Нафиси порою сочетает верное восприятие процессов общественной жизни с надуманными схемами, в которые он пытается втиснуть ее. Субъективные взгляды С. Нафиси иногда вступают в противоречие с объективной действительностью, которая не могла пройти мимо внимательного взгляда С. Нафиси. Однако несмотря на всю сложность и противоречивость своих исторических воззрений, С. Нафиси был положительным явлением в исторической науке Ирана. Как ученый, исследователь он, конечно, не мог совершенно освободится от круга представлений, современной ему историографии, которой свойственны многие пороки. Иранские историки, как правило, «почти не занимаются социальной и экономической историей Ирана»[35]. Характерным для современной иранской историографии является то, что «историческая наука рассматривается как наука надклассовая, стоящая вне политики..., в ней на первый план выдвигается деятельность великих людей»[36]. Отсутствие социального подхода к явлениям исторического процесса, отрицание действия объективных экономических законов, затушевывание классовой борьбы, проповедь догм ислама, — вот что свойственно большинству творений современных иранских историков. С. Нафиси во многом преодолел идейные и политические основы современной ему историографии, как в общей концепции исторического процесса, так и в оценке роли народных мас и т .д. В решении целого ряда вопросов С. Нафиси «более объективен, чем большинство иранских историков»[37]. Один же из его последних исторических трудов, «Социальная и политическая история Ирана в современную эпоху, I», по мнению специалистов, «значительно отличается от ординарных трудов многих буржуазных историков»[38].

С. Нафиси всегда проявлял живой интерес к истории, в первую очередь как к источнику, питающему чувство национального самосознания и содействующему его активному проявлению в настоящем, обогащению и развитию. Эрудиция С. Нафиси в исторической области и та положительная роль, которую он сыграл в развитии современной исторической науки в Иране, не оставляют никаких сомнений. «Исторические заслуги, — писал В. И. Ленин, — судятся не по тому, чего не дали исторические деятели сравнительно с современными требованиями, а по тому, что они дали нового сравнительно с своими предшественниками»[39].

---

[35] Е. А. Дорошенко, Об исторической науке в Иране, «Вопросы истории», № 7, М., 1955, стр. 188.

[36] Там же, стр. 189.

[37] В. В. Трубецкой, «Советское востоковедение», № 3, 1958, стр. 180.

[38] Там же, стр. 181.

[39] В. И. Ленин, Сочинения, т. 2, стр. 166.

Р. ШМЕРЛИНГ, П. ЗАКАРАЯ

# ТРИ НЕИЗВЕСТНЫХ ПАМЯТНИКА: ЦЕРКВИ В СЕЛ. ХАНДО, ЦИНКИБЕ И АЦРИСХЕВИ

Рассматриваемые в настоящем очерке три небольшие церкви, расположенные в разных частях нагорных районов Шида Картли, особенно интересны по однотипным формам сохранившихся в них алтарных преград и как примитивное деревенское отражение художественного решения архитектурных форм перекрытия прямоугольной алтарной части в ряде памятников VIII—X веков[1]. Все три церкви небольших размеров, расположенные довольно высоко в горных ущельях: Хандо — в ущелье р. Хандо, правого притока р. Арагви в Душетском районе; Цинкибе — в Чуртском ущелье Ленингорского района и Ацрисхеви — в ущелье Малой Лиахви Цхинвальского района.

В архитектуре этих трех церквей много общего, особенно связывает их оригинальное решение алтарной преграды.

Церковь Хандо расположена на высокой горе по левому берегу одноименной реки. Раньше на этом месте была деревня; вокруг церкви, и особенно по ее южной стороне, видны развалины каменных зданий. Северо-западнее, на расстоянии двух шагов от церкви находится, распространенная в горной части Шида Картли, башня с «круглой спиной».

Церковь зальная, средних размеров (рис. 1, табл. $I_1$, $II_2$). Ее план трапециеобразного очертания, с восточной короткой стеной. Интерьер церкви сложный, хороших пропорций, но сейчас восприятию внутреннего пространства мешает возведенная впоследствии стена, подпирающая свод. Цилиндрический свод покоится на подпружной арке, расположенной на середине. Углы этой арки и арки конхи обработаны желобками.

Церковь освещалась четырьмя окнами, восточным, западным и двумя южными. В церкви три входа: по одному с севера, юга и запада. Существование трех дверей в этой маленькой церкви вызвано боковыми пристройками. Западная и южная двери внутри имеют арочные перекрытия, у основания которых лежат балки больших размеров, что создает впечатление тимпана.

Стены сооружения выведены из бутового камня, но в притолоках входов, окнах, пилястрах и арках применен тесаный камень.

Церковь имела сначала боковые пристройки, которые ныне не сохранились. От южной пристройки кое-где остались следы, северная же разрушена до основания и об ее существовании свидетельствует

---

[1] Рассмотрение художественных примеров зальных церквей с прямоугольным алтарем, перекрытым конхой на угловых тромпах, было впервые дано на первой научной сессии Института истории грузинского искусства 17 января 1946 г. в докладе Н. Г. Чубинашвили: Клики-Джвари (Квемо Картли) и Гвиара (Рача) — памятники VIII—IX вв. (см. тезисы).

только выступающая нижняя часть стены церкви, на которую опирался свод пристройки.

Вокруг церкви Цинкибе в свое время также, как и в Хандо была деревня. В ее развалинах различаются два комплекса: больший из них с жилыми домами и двумя безабсидными церквами, располо-



Рис. 1. Хандо. План, разрез на юг и разрез на восток.

жен выше к северу, а второй — в ста метрах от первого вниз. Главным элементом второго комплекса является снова башня с «круглой спиной». Церковь же расположена на расстоянии двух шагов от нее к востоку. Дальше на северо-восток кое-где видны следы крепостной стены. Аналогично верхнему комплексу построек, эта стена окружала нижний комплекс.

Церковь Цинкибе зальная, небольшого размера (рис. 2, табл. $I_2$). В плане она вроде Хандо трапециеобразного очертания. Зал церкви перекрыт низким, приплюснутым сводом. Церковь освещается тремя окнами, расположенными по одному с востока, юга и запада. Единствен-

ная дверь помещена в северной стене, что, как известно, в грузинских церквах составляет исключение. В данном случае расположение церкви не препятствовало строителю в выборе места для входа. Как видно, в данном случае это решение обусловлено подходом со стороны деревни.




Рис. 2. Цинкибе. План и разрез на восток.

Внутренние стены церкви выложены из бутового камня и покрыты фресковой росписью. Ныне роспись наполовину обвалилась, но восстановить некоторые сюжеты все же удается. Так, на южной стене изображены ктиторы с надписями асомтаврули.

Вдоль всей северной стены церковь имела четырехугольную в плане пристройку позднего времени.

Третий памятник, церковь Ацрисхеви так же, как и две описанные выше церкви, расположена высоко на горе, но в отличие от них не на территории сельбища, но обособленно; вокруг видны только могильные плиты.

Церковь зальная и по размерам меньше остальных двух (рис. 3, табл. $II_1$, $II_3$). Боковые стены церкви разделены пилястрами; сводчатое перекрытие зала покоится на подпружной арке, опирающейся на пилястры, а с запада — на пристенной арке, покоящейся на кронштейнах.



Рис. 3. Ацрисхеви. План, разрез на юг и разрез на восток

Церковь освещалась тремя окнами, расположенными по одному в восточной, западной и южной стене. Единственная дверь, перекрытая архитравом, расположена в западной части южной стены.

Стены сооружения изнутри были как и в Цинкибе оштукатурены, но следов росписи не видно.

В рассматриваемой группе памятников церковь Ацрисхеви принадлежит к типу церквей с прямоугольным алтарем, а в церквах Хандо и Цинкибе углы не с полукруглым алтарем, а с уплощенным полукружием.

Такие церкви представляли для Грузии исключение и в основном были распространены в горных районах исторического Шида Картли (в ущельях рек Арагви, Ксани, Рехула, Меджуда и Лиахви) и в Хеви. В этих районах нами зафиксировано более двадцати памятников безабсидных и с закругленными углами. Несколько таких церквей можно встретить: в Нижней Картли, Сванети и Кахети. Эпоха распространения церквей этого вида, в основном, ограничивается IX—X веками. В памятниках этого рода обычно, за исключением нескольких объектов, алтарь заканчивается конхой, — этим мастера отдают дань традиционным для церковной архитектуры формам. Вопрос перехода от прямоугольника к полусфере конхи некоторые мастера решают просто, некоторые же избирают более сложное и художественное решение. В первом случае в углах алтаря поперек, на высоте 1,5—2 метра, кладут плоский камень, а затем постепенно переходят к кругу (Ацрисхеви,

Ломиса). Во втором случае примерно на той же высоте устраиваются «тромпы» разных размеров, которые создают переход на окружность (Уканубани, Земо Захори). В художественном отношении этот вариант оставляет впечатление другого самостоятельного решения.

Рассматриваемые здесь три церкви представляют определенный интерес и с точки зрения устройства в них алтарной части. Алтарь повышен над полом церкви на одну (Ацрисхеви), и три (Цинкибе, Хандо) ступени. Алтарная преграда воздвигнута на линии начала алтаря. В Ацрисхеви и Цинкибе она сообщалась с алтарем не одним, как обычно в церквах небольшого размера, а двумя входами (проход около северной стены, по-видимому, был пробит впоследствии). Особый интерес представляет наличие во всех трех церквах не только престола, утвержденного при стене под окнами алтаря, но и жертвенника, редко сохраняющегося в древних церквах. В Ацрисхеви жертвенник представляет собой также как престол монолитный блок, отесанный ввиде правильного четырехгранника, занимающего место в северо-восточном углу прямоугольного в плане алтаря, также и в Хандо, где алтарная часть имеет очертания сильно уплощенного полукружия. В Цинкибе же роль жертвенного столика играет пониженный сравнительно с престолом отступ последнего, отличающийся своей протяженностью.

Сохранившийся в церкви Хандо деревяный крест высотой в 5 м., в свое время покрытый живописью, ныне смещенный со своего первоначального места перед алтарем, является характерной принадлежностью грузинской церкви. Обычай водружать перед алтарем крест свое начало берет еще с IV в. «Но, видно, в XVII в. в Грузии этот обычай прекращен усилиями оффициальной церкви»[2].

Алтарная преграда церкви Хандо представляет возвышающиеся по обеим сторонам прохода в алтарь невысокие стенки, на которых установлены четыре (по две с каждой стороны прохода) короткие, круглые, коренастые колонки с капителями ввиде толстого жгута, на которых утвержден антаблемент, прорезанный тремя полуциркульными арочками. Антаблемент украшен. Глубоко врезанные бороздки очерчивают обрамление арочек, имеющее форму толстого валика, смыкающегося у стен с таким-же обрамлением прямоугольной верхней части антаблемента; кроме того, две слегка дугообразные борозды рисуют над двумя средними колонками как бы замкнутую плиту. Передняя стенка преграды в левой, северной части, прорезанная позднее дополнительным проходом в алтарь, снабжена выступами, — можно думать, назначенными для установки на них икон и других предметов церковного обихода.

Близкое этой преграде ограждение алтаря церкви Цинкибе имеет ту же структуру, т. е. состоит из снабженной выступами невысокой, глухой стенки, на которой установлены такие же, как в Хандо, то-есть короткие, круглые, толстые колонки, несущие антаблемент, прорезанный, как в Хандо, тремя арочками не совсем правильного полуциркульного очертания. Капители колонок сформированы здесь иначе, чем в Хандо: они состоят из круглой подушки, покрытой квадратной плитой. В отличие от преграды Хандо у левой стороны царских врат мастер нарушил симметрию, поместив не одну, а две плотно сближенные колонки, что вызвало значительное расширение этого межароч-

---

[2] Г. Н. Чубинашвили, Один из памятников первостепенного значения грузинской чеканки в Сванети, Ars Georgica, 3, 1950, стр. 95.

ного простенка против отвечающего ему справа. В сочетании с менее, чем в Хандо, правильными формами и менее четкими линиями, эти своеобразные, но не обладающие художественной выразительностью приемы оставляют впечатление меньшей отработанности конструктивной формы и декоративного оформления преграды Цинкибе, ее, сравнительно с преградой Хандо.

Третья преграда, украшающая интерьер церкви Ацрисхеви, отличается от обеих описанных преград тем, что вместо четырех (в Цинкибе при пяти колонках сохранено членение на четыре) колонок применены две, помещенные по сторонам «царских врат», тогда как при северной и южной стенах арки переходят в гладкие поверхности пристенных выступов; кроме того, между пятами арочек, подчеркнутыми небольшим выступом, и абакой капителей оставлен промежуток — перешеек ввиде круглого стержня, как бы продолжающего стержни колонок над их капителями. Оригинальным добавлением к структуре преграды в Хандо и Цинкибе (в случае, разумеется, если оно одновременно ей) является невысокая стенка, закрывающая примерно на одну треть южную стену[3].

Несмотря на простоту и невыразительность архитектурных форм церквей Цинкибе и Ацрисхеви, некоторые особенности их планировки позволяют связать эти два памятника с определенным этапом в истории грузинского зодчества. Тем не менее, основным объектом для данной группы памятников можно считать церковь Хандо: именно в этой церкви налицо то благоприятное соединение выдержанных в нормах определенного времени планировки здания и оформления его внутреннего пространства с выразительными приемами украшения одного из фасадов, что дает возможность наметить дату возведения этого памятника и, исходя из него, датировать и обе, рассматриваемые рядом с ним, церкви.

В этом направлении характерна организация и декоративное оформление интерьера церкви Хандо. Подпружная арка делит свод на две равных половины; вместо того, чтобы опереть ее пяты на пристенные пилястры, что является обычным приемом в архитектуре зальных церквей Грузии, строитель опирает их на одну из двух декоративных арок неравной ширины: арка, примыкающая к абсиде, ощутительно уже соседней, включающей вход и служащей опорой подпружной арке свода. В результате этого оригинального решения впечатление членения свода и стен церкви на две симметричные части (см. расположение окон на южной стене) оказывается нарушенным. В нижней части стены равновесие этих частей уступает место неспокойному ритму: простенок между западной стеной и аркой, заключающей вход, оставляет впечатление более узкого, чем обрамленный аркой восточной части стены, а площадь стены в обрамлении соседней арки кажется ощутительно более широкой, чем площадь каждого из этих участков. В разбивке арками северной стены здания этот ритм подчеркнут резче, чем в разбивке южной, что является результатом отсутствия строительной точности.

Рассмотренный строительный прием обусловлен эпохой. Потребность членения внутреннего пространства и стен зальной церкви пролетами разной ширины, создающими впечатление прихотливого, различными приемами организованного ритма, наблюдается в грузинском зодчестве IX—X вв. Примерами могут служить зальные церкви

[3] Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, стр. 104—105, табл. 20.

Убиси и Недзви, построенные одна при жизни деятеля IX в. Григория Хандзтийского, а другая — его учеником[4].

Уже к концу X — началу XI в. на смену этому приему выдвигается принцип, выраженный в системе членения свода и стен здания на части арочными пролетами равной ширины или симметричное расположение арок одной ширины по сторонам средней, более широкой (Саване)[5].

Все три церкви имеют несложные фасады. Стены выложены слегка обработанным камнем, с соблюдением в основном горизонтальных рядов. Стены заканчивают прямоугольный карниз, а крыша перекрыта плоскими плитами. На стенах видны проемы ничем не украшенных окон. В этом отношении исключение представляет церковь Хандо, где западное окно заканчивается бровкой (табл. II₂).

Намечающееся, таким образом, место церкви Хандо в кругу произведений грузинского зодчества IX—X вв. находит подтверждение и в других его архитектурных и декоративных особенностях, — в присутствии при нем северного придела, связанного с алтарем дверью в восточной пристенной арке, — в системе оформления входов, снаружи и внутри имеющих вид арочного проема с посаженной в глубине его тимпанной плитой, — в приеме украшения западного окна.

Плита, в которой вырезано полукружие проема этого окна, украшена рельефной бровкой с лентообразно извивающимися концами горизонтальных отверстий (мотив, берущий начало в зодчестве VI — VII вв. — Джвари[6], Самцевриси[7]) и выступающим над плоскостью плиты диском, помещенным над бровкой по ее центру. Подобное украшение оконного проема связывается с распространенным в IX и X вв. приемом композиционного использования всей площади плиты, увенчивающей окно; ранний по своему происхождению мотив бровки с лентообразными, змееобразно извивающимися боковыми частями, используемый иногда и теперь и получающий порою самое фантастическое развитие, компонуется теперь так, чтобы максимально занять площадь плиты, венчающей окно (памятник первых годов X в. Берисакдари) или сопровождается, с той же целью, дополнительными декоративными элементами (переходящая в XI в., но стилистически целиком связанная с зодчеством X в. церковь с. Гостибе).

Исходя из этой датировки церкви Хандо, естественно отнести к этому же времени и церковь Цинкибе с ее алтарной преградой, ближайшим образом связанной с природой Хандо. Прямоугольный алтарь церкви Ацрисхеви, в свою очередь, определяет IX—X вв. как хронологическую границу возведения этого памятника.

Таким образом, группа рассмотренных здесь церквей по всем данным их архитектуры связывается со временем борьбы за объединение Грузии, во всех областях культуры и искусства отмеченным действенными исканиями каждого района страны новых решений, отвечающих новым вопросам времени.

Не все эти решения были приняты и использованы последующими поколениями. Именно такие примеры дают рассмотренные здесь церкви горных районов Картли.

---

[4] Р. Шмерлинг, К вопросу датировки храма в Убиси, Сообщения АН Груз. ССР, 1955, т. 16, № 2.

[5] В. Беридзе, Саване, Ars Georgica, I, 1942, рис. 3, 5.

[6] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, 1948, табл. 9, 10, 18.

[7] Н. П. Северов, Самцевриси, Ars Georgica, 2, 1948, рис. 4.



Рис. 1. Хандо. Алтарная преграда.



Рис. 2. Цинкибе. Алтарная преграда.



Рис. 1. Ацрисхеви. Алтарная преграда.



Рис. 2. Хандо. Западный фасад.



Рис. 3. Ацрисхеви. Юго-восточный фасад.

ზურაბ ყორანაშვილი

# საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის საკითხისათვის

საბჭოთა ლიტერატურაში, საზოგადოების ევოლუციაში გეოგრაფიული ფაქტორის როლის შესახებ, მრავალი ნაშრომი არსებობს[1]. მათში გადმოცემული ძირითადი აზრი იფარგლება ორი დებულებით: 1. გეოგრაფიული გარემო არაა გადამწყვეტი მიზეზი საზოგადოების განვითარებაში, ეს ფაქტორი მხოლოდ ანელებს ან აჩქარებს სოციალურ პროცესებს. 2. კაცობრიობის არსებობის მანძილზე გეოგრაფიული გარემო თითქმის არ შეცვლილა, მაშინ როცა ამ პერიოდში საზოგადოებამ განვითარების 5 საფეხური გაიარა. აქედან გამომდინარე, დაასკვნიან, ის რაც ასე უძრავია (გეოგრაფიული გარემო), არ შეიძლება იყოს ასეთი დინამიკურის (საზოგადოების) განვითარების მიზეზი. ამ არგუმენტების მოყვანით აღნიშნული პრობლემა, რომელზეც ბევრი თვალსაჩინო მეცნიერი მუშაობდა და მუშაობს, გადაწყვეტილად ეჩვენებოდათ. მაგრამ პრობლემის გადაჭრის საფუძვლიანობა მხოლოდ მოჩვენებითია. ის ფაქტი, რომ გეოგრაფიული გარემო აჩქარებდა ან ანელებდა საზოგადოების განვითარებას, იცოდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ბერძენმა მოაზროვნეებმა როგორც სხვა ქვეყნების, ისე საკუთრივ საბერძნეთის მაგალითზე. მათი აზრით, მთისა და ბარის, ზღვასთან ახლოს და მისგან დაშორებით მცხოვრები მოსახლეობის განვითარება არ შეიძლებოდა ერთნაირი ტემპით მომხდარიყო და ამის მთავარ მიზეზს ხედავდნენ გეოგრაფიულ გარემოში. აღარ შევჩერდებით შემდეგი ხანის მოაზროვნეებზე.

როცა მეორე არგუმენტს ეხებოდნენ, მოჰქონდათ ინგლისისა და სხვ. საზოგადოებათა მაგალითი, რომელთა ისტორია ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი დინამიზმით. მაგრამ აურაცხელი მაგალითების მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ კაპიტალიზმის ეპოქის განვითარებულ ხალხებთან კონტაქტებამდე ბევრმა საზოგადოებამ ერთი, სახელდობრ, არქაული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის სრული გავლაც კი ვერ მოახერხა, ხოლო ბევრი საზოგადოება იმყოფებოდა ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების საფეხურზე. კითხვა ისმის: რა იყო მიზეზი იმისა, რომ განვითარებულ კაპიტალიზმამდე კაცობრიობა ასე ვთქვათ, „სოციოლოგიურ მუზეუმს" წარმოადგენდა, რომლის ექსპონატები კონკრეტული საზოგადოებების სახით, სხვადასხვანაირ სურათს ქმნიდნენ?

---

[1] И. И. Иванов-Омский, Исторический материализм о роли географической среды в развитии общества, М., 1950; А. М. Восканян, О роли географической среды в развитии общества, Ереван, 1956; Ф. С. Худушин, Человек и природа, М., 1966; М. С. Козлов, общество и географическая среда, Воронеж, 1960; გ. ზარდალიშვილი, ადამიანი და გეოგრაფიული გარემო, თბ., 1952 და ა. შ.

ამაზე პასუხის გაცემა იმ აზრით, რომ აღნიშნული მოვლენის მიზეზი იყო უთანაბრობა ამ ხალხთა თვით წარმოების წესების განვითარებაში, არადამაკმაყოფილებელია. კვლავ დაისმის კითხვა: მაშ რა იყო მიზეზი ასეთი უთანაბრობებისა მათი წარმოების წესებში? ამაზე კი პასუხი უნდა გაეცეს გეოგრაფიული გარემოს, ანდა რასის, ან ნაციონალობის ჩვენებით. რასა ან ნაციონალობა აღნიშნულ პროცესებს სრულებით ვერ ხსნის. რჩება ერთადერთი მეცნიერული პასუხი: კაცობრიობის განვითარებაში მომხდარი დიდი უთანაბრობების საფუძველი ცალკეულ საზოგადოებათა შორის მდგომარეობდა გეოგრაფიულ ფაქტორში. ამ საკითხის გააზრებაზე ჩვენ შედარებით დაწვრილებით შემდეგ შევჩერდებით.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ლიტერატურაში შეინიშნება თვალსაჩინო ტენდენცია საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის ახლებური გააზრებისა. ინიციატორებად ამ საქმეში გამოდიან ძირითადად ისტორიკოსები და ეთნოგრაფები. კონკრეტული საზოგადოებების კვლევისას ისინი აწყდებიან ისეთი თეორიული სახის დაბრკოლებებს, რომელთაც ვერ ხსნის ჩვენში გავრცელებული თვალსაზრისი სოციალურ პროცესში გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ. როცა ეთნოგრაფი სწავლობს, მაგალითად, ჩუქჩების საზოგადოებას, მათი ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზის ახსნაში იგი იძულებული ხდება არახელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებზე შეჩერდეს. ანდა, კიდევ უფრო ახლობელი მაგალითი რომ მოვიტანოთ, ჩვენი ხევსურების ისტორიული ბედის გააზრებისას შეუძლებელია არახელსაყრელ რელიეფსა და კლიმატში არ დავინახოთ მათი ისტორიული ჩამორჩენის მთავარი საფუძველი[2].

1969 წელს ჟურნალმა „Вопросы истории" დაიწყო დისკუსია გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობაზე საზოგადოების განვითარებაში. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია ლ. შევლენკოს სტატია „Природный фактор и европейское общество V—X веков" (№ 10).

რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საზოგადოების ევოლუციაში გეოგრაფიული ფაქტორის როლზე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ, ძალზე მოკლედ შევჩერდებით საკითხის ისტორიოგრაფიაზე[4].

---

[2] ლ. ა. სედოვი წერს: „..Следует отметить что и фактор географической среды играет на ранних этапах развития человечества большую, а в дойсторический период, видимо, решающую роль в формировании социально-экономического и културного типа общества". Л. А. Седов, О социально-экономических типах развития. წიგნში: „Общее и особенное в исторической развитии стран Востока", М., გვ. 48. უფრო კატეგორიულია ა. ი. გურევიჩი, რომელიც აღნიშნავს: „В специальных исследованиях и учебниках и изображение исторических процессов сплошь и рядом оторвано от характеристики природной среды, и влияние его на общество подчас игнорируется. Проблема „общество и природа" (или „человек и природа") еще не разработана нашей наукой". А. Я. Гуревич, Общий закон и конкретная закономерность истории, ВИ, 1965, № 8, გვ. 19. შეგვეძლო გაგვეგრძელებინა ჩამოთვლა იმ მეცნიერთა, რომელთა აზრით აღნიშნული თეორიული პრობლემა ახლებურად გაშუქებას მოითხოვს (ე. ქუკოვი, ბ. რიბაკოვი, კ. ზელინი, მ. კოროსტოვცევი, ი. სტუჩევსკი და სხვ.).

[4] დაწვრილებით ე. ჰანტინგტონის შეხედულებების ჩათვლით ეს განხილულია პიტირიმ სოროკინის წიგნში — Contemporary Sociological Theories, 1928.

როგორც ეს არაერთგზის აღუნიშნავთ, სოციოლოგიაში გეოგრაფიულ სკოლას თავისი დროისათვის დიდი მეცნიერული გამართლება ჰქონდა. როდესაც ისტორიული აზროვნება გასცდა ქრონიკების ფარგლებს, ისტორიული პროცესების არა მარტო აღწერა, არამედ ახსნა და მასში საზოგადოების გარემომცველი გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის თუნდაც გადაჭარბებული ჩვენება პროგრესულ მომენტს წარმოადგენდა. უკვე ანტიკური ხანის მოაზროვნეები — ჰიპოკრატე, პლატონი, არისტოტელე, პოლიბიოსი, სტრაბონი და სხვ. საბერძნეთისა და გარემომცველი ქვეყნების ისტორიული განვითარების მთავარ მიზეზს ხედავდნენ გეოგრაფიული გარემოს ცალკეულ კომპონენტებში—კლიმატი, რელიეფი, ზღვა და ა. შ. საზოგადოებრივი პროცესების ახსნაში ამავე ფაქტორების ჩვენებით დაიწყო ახალი ხანა ევროპის მეცნიერულმა ისტორიოგრაფიამ და სოციოლოგიამ. ამ და უახლოესი ხანის გეოგრაფიული დეტერმინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ — ჟან ბოდენი, შარლ ლუი მონტესკიე, კარლ რიტერი, არნოლდ გიუიო, ჰენრი თომას ბოკლი, ლევ მეჩნიკოვი, ფრიდრიხ რაცელი, რუდოლფ ჩელენი, ა. მეხენი, ა. ჰანტინგტონი, კ. მილსი და სხვ. კონკრეტული საზოგადოების კვლევაში გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიას იყენებდნენ ჰ. თ. ბოკლი, — ინგლისის ისტორიის გადმოცემისას, — ს. სოლოვიოვი, ა. შჩაპოვი, ვ. კლუჩევსკი—რუსეთის ისტორიის გააზრებისას.

სოციოლოგიაში გეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლების ცდა, ისტორიული პროცესის მთავარი მხარეები გაეგოთ საზოგადოების გარემომცველი გეოგრაფიული პირობებით, მეცნიერების დღევანდელი განვითარების დონეზე არადამაკმაყოფილებელი. ამან თავი იჩინა, თვით ამ სკოლის შემდგომი ევოლუციის ბედზე. ერთი მხრივ იგი გადაიზარდა გეოპოლიტიკაში, რომელიც აშკარად დაუკავშირდა რეაქციული პოლიტიკური ძალების ინტერესებს, ჩამოშორდა რა ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვას[5], ხოლო მეორე მხრივ, უახლოესი ხანის ფრანგული გეოგრაფიული სკოლა (ვიდალ დე ლა ბლაში, დემანჟონი, ფ. ბროდელი, გ. მორაზე და სხვ.), მართალია, გამოდის სოციალურ ევოლუციაში გეოგრაფიული პირობების გათვალისწინების აუცილებლობიდან, მაგრამ ამ განვითარებაში მთავარ როლს მიაწერს საზოგადოებას, რომელზედაც, მათი აზრით, დამოკიდებულია ბუნების მიერ მოცემულ შესაძლებლობათა რეალიზაცია.

ისტორიოგრაფიაში და სოციოლოგიაში გეოგრაფიული მიმდინარეობის ევოლუციის ასეთი ბედი სავსებით გასაგებია. თუ აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ამ სკოლას გამართლება ჰქონდა საკითხის მეცნიერულ გააზრებაში, ახლა მან მეცნიერული საფუძველი დაჰკარგა. ამ სკოლის მთავარი ნაკლია სოციალურ პროცესში საზოგადოების პასიურ მხარედ წარმოდგენა. თუ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა რამდენჯერმე შეიცვალა, ამის ახსნაში გეოგრაფიული დეტერმინიზმი უძლურია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიული პროცესი მხოლოდ სა-

---

5 აშკარად და ცინიკურ ფორმაში ეს გამოხატა კარლ ჰაუსჰოფერმა, გერმანული გეოპოლიტიკის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა. „მეცნიერების ამოცანა არაა... — წერდა იგი — მისდიოს ცხოვრებისათვის უსარგებლო ობიექტურობას. მეცნიერება, განსაკუთრებით პოლიტიკური მეცნიერება უნდა იყოს დროისა და ხალხის გამოხატულება“ (ციტირებულია გიუნტერ ჰეიდენის წიგნის მიხედვით, გვ. 120—121). დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. Г. Гейден, Критика немецкой геополитики, М., 1960; Ю. Н. Семенов, Фашистская геополитика на службе американского империализма, М., 1952.

ზოგადოების აქტივობით აიხსნას. ამ საკითხში ჭეშმარიტების მიგნება უფრო ძნელია, ვიდრე ერთი უკიდურესობიდან მეორეზე გადასვლა.

ამ საკითხის გაშუქებისას, აუცილებლობა მოითხოვს, მივუთითოთ საზოგადოების ევოლუციაში გეოგრაფიული გარემოს როლის ჰეგელისეულ გააზრებაზე. ჰეგელის მიხედვით, თუმცა, კაცობრიობის არსებობა-განვითარებაში მთავარია სულის განვითარება, მაგრამ უკანასკნელისათვის ერთი და იგივე არაა ყოველგვარი ბუნებრივი პირობები. მისი შემდგომი განვითარება კანონზომიერად ხდებოდა მხოლოდ ზომიერ ზონაში, მაშინ, როდესაც ცხელ და ცივ ზონებში ასეთი განვითარება შეწყდა. ჰეგელის მიდგომა აღნიშნული მეცნიერული პრობლემისადმი ძირეულად განსხვავდებოდა ზემოთ ჩამოთვლილ მოაზროვნეთა მიდგომისაგან. მისი აზრით, გვაქვს არა უშუალო ზემოქმედება ბუნებისა საზოგადოებაზე, არამედ ამ ფაქტორებს შორის ჩნდება შუალედური რგოლი—სულის განვითარების გარკვეული სტადია, რომლის მეშვეობითაც გაიაზრება როგორც ბუნების ზემოქმედება საზოგადოებაზე, ისე უკანასკნელის ზეგავლენა ბუნებაზე. ჩვენ შემდგომ დავინახავთ, რომ ასეთი ხერხი მოცემული საკითხის გააზრებაში ძალზე ნაყოფიერ შედეგს იძლევა. ჰეგელმა შეამჩნია აგრეთვე შრომის იარაღების დიდი როლი ადამიანთა მიერ ბუნების ათვისებაში. „ისტორიის ფილოსოფიაში“ იგი წერდა: „რათა საგნებს თავი გაართვას, ადამიანი მათ შორის სვამს სხვა საგნებს, რომელნიც ბუნებაში არსებობენ, მაშასადამე, იგი იყენებს ბუნებას თვით ბუნებისავე წინააღმდეგ და ამ მიზნის მისაღწევად იარაღს იგონებს. ადამიანის ეს გამოგონებანი ეკუთვნის სულს. ასეთი იარაღი კი საჭიროა უფრო მაღლა დავაყენოთ, ვიდრე ბუნებაში არსებული საგანი. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი აზრი ჰეგელს სხვაგანაც ჰქონდა გამოთქმული, იგი მაინც შორს იყო შრომის იარაღების მნიშვნელობის გაგებისაგან ისტორიულ პროცესში.

მეცნიერების განვითარებაში ეს შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს მარქსმა და ენგელსმა. ეს პროგრესი გამოიხატა აგრეთვე საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული ფაქტორის როლის გააზრებაში. მათ მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი პრობლემის კვლევაში მდგომარეობდა არა საკითხისადმი, ასე ვთქვათ, რაოდენობრივად გაფართოებულ მიდგომაში, ე. ი. საზოგადოების განვითარებაში არა მარტო გეოგრაფიული გარემოს ცალკეული კომპონენტების როლის, არამედ ამ გარემოს ელემენტების მთელი კომპლექსის —გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, რელიეფი, ნიადაგები, მიწის წიაღი, მცენარეულობა, ცხოველთა სამყაროს ჰიდროგრაფია — ჩვენებაშიც. ეს ახალი მომენტი საკითხს დამაკმაყოფილებლად ვერ გადაჭრიდა. მარქსისა და ენგელსის მიერ საზოგადოების ახსნაში ახალი მიდგომა მდგომარეობდა ეკონომიკის, როგორც საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური და ა. შ. პროცესების საფუძვლის გაგებაში. თუ როგორია ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოების ფიზიონომია, ამას პირველ რიგში გვიხსნის არა უშუალოდ კლიმატი ან საერთოდ გეოგრაფიული გარემო, არამედ თვით უშუალო ცხოვრების წარმოება და კვლავწარმოება ამ საზოგადოების მიერ.

მაგრამ ისტორიის მატერიალური გაგების მიერ შემოტანილმა „ქმედითმა მხარემ“ თვითონ უშუალო ცხოვრების წარმოების სფეროში, სულაც არ დააყენა ჩრდილში საზოგადოების ევოლუციაში ბუნების მნიშვნელობა. ჩვენ დავინახეთ,

თუ რა როლი ეთმობოდა ბუნებას სულის განვითარებაში ჰეგელთან; მით უფრო კანონზომიერია ბუნების დიდი როლის გამოჩენა მატერიალური წარმოების განვითარებაში მარქსთან და ენგელსთან. ამ მოაზროვნეებთან მოხდა ის, რის შესახებაც ჰეგელი ამბობდა — საზოგადოების განვითარებაში ბუნების როლი არც უნდა გავაზვიადოთ და არც უნდა შევამციროთო. უპირველეს ყოვლისა, მიტოვებულ იქნა დაპირისპირება: ბუნება — საზოგადოება, რომლის მიხედვითაც მეორე დგას პირველის მიღმა. საზოგადოება, ადამიანი საბოლოო აზრით ესაა ფენომენები, წარმოშობილან თვით ბუნების ევოლუციითაც. ისინი დგანან არა უკანასკნელის გარეთ, არამედ მის შიგნით. ერთი სიტყვით, დაპირისპირებულობანი: ბუნება-საზოგადოება აზრს ინარჩუნებენ ჩვეულებრივ აზროვნებაში, ფილოსოფიური აზროვნებისას კი, მეორე პირველის შემადგენელ ნაწილად იქცევა. ჯერ კიდევ ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ხანაში მარქსი და ენგელსი წერდნენ: «Человек живет природой. Это значит, что природа есть его телс, с которым человек должен оставаться в процессе постоянного общения, чтобы не умереть. Что физическая и духовная жизнь человека неразрывно связана с природой, означает не что иное, так то, что природа неразрывно связана сама с собой, ибо человек есть часть природы»[6].

მარქსისა და ენგელსის აზრით, ადამიანები გამოეყოფიან ცხოველთა სამყაროს არა იმით, რომ აზროვნებენ, არამედ იმით, რომ აწარმოებენ. „შრომამ შექმნა თვით ადამიანი“, როგორც ცნობილია, ამბობდა ენგელსი. მაგრამ რა არის შრომა? იგია ადამიანთა მიზანდასახული საქმიანობა ბუნების რაიმე საგნის გარდასაქმნელად მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. ეს აქტი სრულდება ადამიანთა მიერ შრომითი ზემოქმედებით ბუნების საგნებზე. მაგრამ როგორც შრომის საშუალებანი, ისე შრომის საგნები უშუალოდ, ან შრომით გაშუალებულად ნედლი მასალის სახით ბუნებაში არიან მოცემულნი: ადამიანი თავისი შრომით მათ გარდაქმნის, აბსოლუტურად მათი შექმნა მას არ შეუძლია. შრომის დამოკიდებულება ბუნების ძალებზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში[7]. ამდენად, საზოგადოების გამოყოფა ცხოველთა სამყაროდან და შემდგომი ევოლუცია ხდება არა მარტო შრომით, არამედ ბუნების შემწეობითაც. ბუნება თავისი საგნებითა და ძალებით უბიძგებს ადამიანებს შრომის შემდგომი განვითარებისათვის, აძლევს რა წარმოების საშუალებებს ნედლი სახით. ბუნების ევოლუციამ შესაძლებელი გახადა არა მარტო ადამიანთა უშუალო წინაპრების ფიზიკური კონსტიტუცია და მათ მიერ შრომის პრიმიტიული სახეების დაწყება, არამედ Homo Sapiens-ის შემდგომი სულიერი განვითარება შრომის უფრო განვითარებული დარგების საფუძველზე. ბუნებამ არა მარტო ქვა და ჯოხი მისცა ადამიანებს სანადიროდ, არამედ გარკვეული აზრით გუთანიც, მახვილიც, გემიც და ა. შ. აქ გვეტყვიან: ესენი ხომ თვითონ ადამიანებმა შექმნეს ხელითო. რა თქმა უნდა. გუთანი, გემი და ა. შ. ბუნებას მზა სახით არ მოუცია, მაგრამ განა მას არ მიუძღვის წილი მათ შექმნაში? დედამიწის ზედაპირზე იმყოფებოდნენ მოსაშინაურებლად ვარგისი მცე-

---

[6] К. Маркс, Фр. Энгельс, Из ранних произведений, М., 1956, გვ. 565.

[7] მარქსი წერდა: „В земледелии в его докапиталистических формах, человеческий труд является скорее только помощником естественного процесса, который он не контролирует“, Из рукописного наследства К. Маркса, Коммунист, 1958, № 7, გვ. 21.

ნარევები და ცხოველები, მისი წიაღი შეიცავდა სპილენძს, რკინასა და სხვა მადნებს. ბუნებაში არსებობენ მდინარეები, ტბები, ზღვები და ოკეანეები, რომლებიც ადამიანთა თავებს უბიძგებდნენ გუთნისა და გემის შექმნისაკენ. წარმოვიდგინოთ რა დაემართებოდა კაცობრიობის ფიზიკური შრომის განვითარებას, ბუნებას რომ თავისი საშუალებანი არა ჰქონოდა მის განსავითარებლად. მარქსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბუნება იყო და რჩება კაცობრიობის განვითარების აუცილებელ პირობად. იგი არაა მხოლოდ სივრცე, რომელიც საზოგადოების locus standi-ა (დგომის ადგილი), ან საიდანაც მხოლოდ სასუნთქ ჰაერს, ანდა სასმელ წყალს იღებს.

ამიტომ იყო, რომ მარქსმა გააკრიტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (გოთას) პროგრამის დებულება, რომელიც ადამ სმიტიდან გამოდიოდა, სახელდობრ, მისი დებულებიდან: „შრომა არის წყარო ყოველგვარი სიმდიდრისა", საწინააღმდეგოდ ამისა, ისტორიის მატერიალისტური გაგების ერთ-ერთი ფუძემდებელი აღნიშნავდა: „შრომა არ არის წყარო ყოველი სიმდიდრისა, ბუნება ისევეა წყარო სახმარ ღირებულებათა (და ხომ ამათგან შედგება ნივთიერი სიმდიდრე!), როგორც შრომა, რომელიც თვით მხოლოდ ბუნების ერთ-ერთი ძალის, ადამიანის სამუშაო ძალის გამოვლინებაა.. რამდენადაც ადამიანს იმთავითვე ბუნების მიმართ—შრომის ყველა საშუალებისა და საგნის ამ პირველწყაროს მიმართ — ისეთი დამოკიდებულება აქვს, როგორც მესაკუთრეს, და იგი მას ექცევა როგორც თავის კუთვნილებას, იმდენადვე მისი შრომა ხდება სახმარ ღირებულებათა წყაროდ, მაშასადამე, აგრეთვე სიმდიდრის წყაროდაც"[8].

ფრიდრიხ ენგელსი წერდა: „შრომა არის წყარო ყოველი სიმდიდრისა, ამბობენ პოლიტიკური ეკონომისტები. ის მართლაც ასეთია ბუნებასთან ერთად, რომელიც მას მასალას აწვდის, ხოლო შრომა ამ მასალას სიმდიდრედ აქცევს"[9].

როგორც ვხედავთ, ეს აზრები წარმოადგენს ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის დაპირისპირებული თვალსაზრისების სინთეზს, და ამდენად, ამ საკითხში — უილიამ პეტის აზრის შემდგომ განვითარებას.

ამიტომაც, ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლები ასე დიდ ყურადღებას უთმობდნენ იმ ბუნებრივი პირობების გათვალისწინებას, რა პირობებშიც უხდებოდა ცხოვრება მოცემულ საზოგადოებას. უკვე „გერმანულ იდეოლოგიაში" ისინი წერდნენ: „ყოველი ისტორიული აღწერილობა უნდა გამოდიოდეს ამ ბუნებრივი საფუძვლებიდან და მათი იმ ცვლილებებიდან, რომელსაც ისინი განიცდიან ისტორიულ მსვლელობაში ადამიანთა მოქმედების მეოხებით"[10]. იგივე ნაწარმოებებში გვხვდება ასეთი აზრი: „განვიხილავთ რა ისტორიას ორი მხრიდან, იგი შეიძლება, დაყოფილ იქნას ბუნების ისტორიად და ადამიანთა ისტორიად. მაგრამ ორივე ეს მხარე განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირე-

---

8 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 11. „კაპიტალში" წერია: „მსგავსად იმისა, როგორც თავდაპირველად შრომის პროცესი მხოლოდ ადამიანსა და მის დაუხმარებლად არსებულ მიწას შორის წარმოებს, ახლაც შრომის პროცესში ჯერ კიდევ მონაწილეობენ წარმოების ისეთი საშუალებანიც, რომელნიც ბუნების მიერ არიან მოცემული და არ წარმოადგენენ ბუნების ნივთიერების შეერთებას ადამიანის შრომასთან" (ტ. I, 1954, გვ. 235).

9 რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 88.

10 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, 1948, გვ. 16.

ბული; სანამ ადამიანები არსებობენ, ბუნების ისტორია და ადამიანთა ისტორია ერთიმეორეს განაპირობებენ“[11].

რაც შეეხება გეოგრაფიული გარემოს როლს კაცობრიობის შემდგომ ევოლუციაში, ე. ი. საზოგადოების მიერ სხვადასხვა საფეხურების გავლაში, მარქსი აღნიშნულ ნაშრომში წერდა: „ეს ურთიერთობანი (გეოლოგიური, ორო-ჰიდროგრაფიული, კლიმატური და სხვა ბუნებრივი ურთიერთობანი გ. ყ.) განაპირობებენ ადამიანთა არა მარტო თავდაპირველ ბუნებრივად აღმოცენებულ ორგანიზაციას, რასობრივ განსხვავებებს მათ შორის, არამედ ყველა მათ შემდგომ განვითარებასა და განუვითარებლობას დღემდე“[12]. ამით ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლებმა ბევრად გაასწრეს იმდროინდელ მეცნიერებას, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა ახსნილი ცალკეული ხალხების განვითარება-განუვითარებლობაში გეოგრაფიული გარემოს დიდი მნიშვნელობა. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ იყო კლიმატის როლის გაგება, — ცხადია, მაინც არადამაკმაყოფილებლად,— ცხელი და ზომიერი ქვეყნების განვითარებაში. როცა ლუის მორგანმა დასავლეთი და აღმოსავლეთი ნახევარსფეროების მოსახლეობის განვითარების განსხვავებულობა ბარბაროსობის შუა საფეხურიდან მოყოლებული ფლორისა და ფაუნის თავისებურებებით ახსნა, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ ეს ახსნა უყოყმანოდ იქნა მიღებული.

აქ აღარ შევჩერდებით მარქსისა და ენგელსის მოსაზრებებზე სოციალურ ევოლუციაში გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ. შევეხებით მხოლოდ ერთ გარემოებას, რომელიც აღნიშნულ საკითხზე გ. პლეხანოვის შეხედულებასთან არის დაკავშირებული.

ჩვენში ფართოდ გავრცელდა აზრი, რომ საზოგადოების განვითარების ახსნაში გ. პლეხანოვი ძალზე აზვიადებდა გეოგრაფიული გარემოს როლს, და ამდენად, ამ შემთხვევაში იგი გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრე იყო. ეს საეჭვოა თუნდაც იმიტომ, რომ მარქსისა და ენგელსის მემკვიდრეობის ისეთ მცოდნეს, როგორიც იყო გ. პლეხანოვი, ადვილად შეეძლო გაერჩია გეოგრაფიული დეტერმინიზმი ისტორიული მატერიალიზმისაგან, ეს რომ ადვილი გასარჩევი ყოფილიყო, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ, მეორეც საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის ჩვენებისას გ. პლეხანოვი სულაც არ ყოფილა ორიგინალური და ამაში იგი ეყრდნობოდა მარქსისა და ენგელსის მემკვიდრეობას. საყოველთაოდ ცნობილია მარქსისა და ენგელსის შეხედულება სოციალურ პროცესში საწარმოო ძალების განვითარების დონის მნიშვნელობაზე. მაგრამ მეორე მხრივ, მათი აზრით, საწარმოო ძალების განვითარების დონე მაჩვენებელი იყო ბუნების ძალებთან დამოკიდებულებისა. ადამიანთა წარმოებითი აქტივობის წყალობით ბუნების ძალები იქცეოდნენ ძალებად „თავისთვის“, საწარმოო ძალებად. თუ არ იქნებოდა ადამიანთა წარმოებითი აქტივობის გარკვეული დონე, ბუნების ძალები ვერ იქცეოდნენ საზოგადოების საწარმოო ძალებად. ზუსტად ასევე თუ არ იქნებოდნენ ბუნების ეს ძალები „თავისთავად“ ადამიანები ვერ აქცევდნენ მათ „თავისთვის“, ამ შემთხვევაში, აქტივობის მიმართულება უაზრო იქნებოდა. მაგალითისათვის, თუ არ იქნებოდა საწარმოო საქმიანობის გარკვეული დონე, რომელიც ენგელსისა და ლ. მორ-

[11] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, 1948, გვ. 13.

[12] იქვე, გვ. 16.

განის თანახმად დაკავშირებული იყო ბარბაროსობის დაბალ საფეხურთან, არ მოხდებოდა მოსაშინაურებლად ვარგისი მცენარეული და ცხოველური სახეების მოშინაურება, თუ უკანასკნელნი არ იარსებებდნენ — ვერ მოხდებოდა ბარბაროსობის შუა საფეხურზე გადასვლა. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. და რაც მთავარია, ისტორიულ სინამდვილეში ამას ბევრჯერ ჰქონდა ადგილი, რაზედაც შევჩერდებით. თავისთავად ხელსაყრელი ახალი ბუნებრივი ძალა არ იქცეოდა საზოგადოების განმავითარებელ ძალად ადამიანთა აქტივობის გარეშე და როგორც ვთქვით, არც უკანასკნელი ვითარდებოდა უსაგნოდ.

საერთოდ, წარმოების წესის დახასიათება, საზოგადოების გარემომცველი ბუნებრივი პირობების გადმოცემის გარეშე, არაზუსტია. თუ მაგალითად, არქაული წარმოების წესის დახასიათებისას არ ვუჩვენებთ მცენარეულ და ცხოველურ სახეებს, მათ პოპულაციებს, ჰიდროგრაფიას და ა. შ.[13]. ასეთი წარმოების წესი მხოლოდ აბსტრაქციად წარმოგვიდგებოდა. ძველი ეგვიპტელების წარმოების წესის შინაარსი უაღრესად უფერული იქნება, თუ არ ვუჩვენეთ ქვეყანაში დასამუშავებლად ვარგისი მიწების რაოდენობა, მათი ნაყოფიერება, კლიმატი, სასარგებლო წიაღისეული და ა. შ. ეს პირდაპირ იქნა ფორმულირებული ენგელსის მიერ ვ. ბორგიუსისადმი გაგზავნილ წერილში (1894 წელს), სადაც ეკონომიური ურთიერთობების ცნების შინაარსის გახსნისას, მას ტექნიკის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად შეჰქონდა გეოგრაფიული საფუძველი.

დასასრულ გ. პლეხანოვთან აღნიშნულ საკითხზე მოკამათეებმა პასუხი უნდა გასცენ ჩვენს მიერ სტატიის დასაწყისში აღძრულ კითხვას: რა იყო მიზეზი კაცობრიობის ევოლუციაში წარმოშობილი უთანაბრობებისა? ამ კითხვაზე მათი პასუხი დამაჯერებელი არაა.

სანამ უშუალოდ ისტორიულ პროცესში გეოგრაფიული გარემოს როლის ჩვენებას შევუდგებოდეთ, შევჩერდებით თვითონ ცნება „გეოგრაფიული გარემოს“ შინაარსზე. ბევრი საბჭოთა ავტორის თანახმად, გეოგრაფიული გარემო საზოგადოების გარემომცველი ბუნებაა, რომელიც ძირითადად იცვლება მასზე ადამიანთა ზემოქმედებით. მაგრამ საზოგადოება და მისი გარემომცველი გეოგრაფიული გარემო ისტორიული კატეგორიები არიან. საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება მისი გეოგრაფიული გარემო, ე. ი. ხდება მისი გაფართოება სივრცეში, ახალი ძალების ათვისება განვითარებული სოციალური პრაქტიკის ბაზაზე[14]. არქაულ საზოგადოებაში გეოგრაფიული გარემო სხვა შინაარსისაა. თვითონ საზოგადოება აქ ყალიბდება ერთი ან რამდენიმე კოლექტივის კავშირის ფარგლებში. შესაბამისად ძალზე შეზღუდულია მათი გარემომცველი ბუნება. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის ინგლისისათვის ამ საზოგადოების გეოგრაფიულ გარემოს წარმოადგენდა თვითონ ეს ქვეყანა, გარემომცველი ქვეყნებითა და ზღვებით. კაპიტალიზმის ხანაში კი

---

13 პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკის გადმოცემისას გეოგრაფიული გარემოს როლს კარგად გადმოსცემენ ჰ. კუნოვი და ა. ბოგდანოვი, იხ. Г. Кунов, Всеобщая история хозяйства, М.-Л., 1929; А. Богданов и И. Степанов, Курс политической экономии, т. I, СПб., 1910.

14 გეოგრაფიულ გარემოს ასეთი ცვლადი შინაარსით წარმოიდგენენ ნ. მოროზოვი, ვ. ანუჩინი, ი. საუშკინი, ვ. ლიამინი და სხვები.

ინგლისის საზოგადოების განვითარების საფუძვლად იქცა ოკეანეები, სხვა კონტინენტები, მათი ბუნებრივი სიმდიდრენი. ასევე თუ მთელი კაცობრიობის გეოგრაფიულ გარემოდ ჯერ კიდევ რჩება ჩვენი პლანეტა, მომავალ საუკუნეებში იგი ძალიან გაფართოვდება გარემომცველი პლანეტებისა და მათი თანამგზავრების ათვისების შედეგად.

კაცობრიობის განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის გაგება საბჭოთა ლიტერატურაში იმითაცაა გაძნელებული, რომ საკითხზე მსჯელობისას, ძირითადად იფარგლებიან ზოგადი ცნებებით — გეოგრაფიული გარემო, საზოგადოება, წარმოება, პრობლემის გააზრება ბევრად მოიგებს თუ ჯერ გამოვალთ ცალკეული კონტინენტების, მათი ნაწილების, განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიური, წარმოების ფორმიდან და ამის შემდეგ გადმოვცემთ ზოგადთეორიული სახის დასკვნებს.

კაცობრიობის ისტორიაში არსებული პირველი ფორმაცია —პირველყოფილი კომუნისტური — განვითარდა ხუთსავე დასასახლებლად ვარგის კონტინენტზე. კონტინენტების ბუნება იძლეოდა საფუძველს ამ დროისათვის არსებული მეურნეობის ფორმების განვითარებისათვის. (შემგროვებლობა, ნადირობა, მეთევზეობა). რა თქმა უნდა, იყო განსხვავებანი ცალკეულ კონტინენტებზე დასახლებულ საზოგადოებებს შორის. მაგალითად, უკვე ამ ხანისათვის გამოჩნდა ავსტრალიის გეოგრაფიული გარემოს არახელსაყრელობა: — კონტინენტი სხვებთან შედარებით ღარიბი იყო მცენარეთა და ცხოველთა სახეებით, მათი პოპულაციებით. ჰიდროგრაფიული ქსელის სუსტად განვითარება იწვევდა თევზის რესურსების სიმცირეს. ძალზე ცოტა იყო დიდი ზომის ნადირიც. მეურნეობის არსებული ფორმებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები განაპირობებდა ავსტრალიელ აბორიგენთა ორგანიზაციის ,თავისებურებასაც. თუ სხვაგან ადგილი ჰქონდა წარმოებით გაერთიანებული გვარების წარმოშობას, თითოეულ გვარში რამდენიმე ათეული სულის რაოდენობით და ინტენსიურ კონტაქტებს მათ შორის, ავსტრალიის კონტინენტზე, ისევე როგორც კუნძულ ტასმანიაზე და სუბარქტიკის რაიონებში, ადამიანები ხანგრძლივად ერთიანდებოდნენ მხოლოდ პატარა ჯგუფებად. ავსტრალიელთა უმრავლესობა ერთიანდებოდა 2—3 ოჯახად, ე. ი. 6—9 მოსახლედ. მხოლოდ სამხრეთ ავსტრალიაში, შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობების გამო, იყო უფრო დიდი ჯგუფები. ასე მაგალითად, კურნაის ჯგუფი შედგებოდა 8 ოჯახისაგან, ვურუნჯერისა — 6 ოჯახისაგან. ტასმანიაში ასეთი ჯგუფები უმრავლეს შემთხვევაში შედგებოდა 3—4 ოჯახისაგან. თითოეულში სამი სულით[15]. თუ კი სხვა კონტინენტზე, აღნიშნული მიზეზის გარდა, ადამიანთა უფრო დიდ ჯგუფებად გაერთიანება აუცილებელი იყო დიდ მხეცზე კოლექტიური ნადირობისათვის (კენგურუ მშვიდობიანი ცხოველია და მასზე თითო-ოროლა კაციც ნადირობდა წარმატებით), აგრეთვე მტაცებელ ნადირთაგან თავდასაცავად, ავსტრალიელ აბორიგენებთან ასეთი გაერთიანების აუცილებლობა გამოირიცხებოდა ბუნებრივი პირობების გამო. ამიტომაც მათთან სისხლის ნათესაობა და წარმოებითი ურთიერთობანი არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს; არც გაერთიანებანი ყოფილა მყარი.

[15] Юлиус Лиис. Происхождение вещей, М., 1954, გვ. 99. ასევე მცირე ზომის ჯგუფები იყო ბუშმენებთან, ვედებთან, ნ-კ მალაკაზე, (იხ. იქვე).

შეინიშნებოდა განსხვავებანი ზომიერი და ცხელი ზონების მცხოვრებთა შორის. პირველ შემთხვევაში, წელიწადის ცივ და თბილ სეზონებად დაყოფის გამო უფრო მეტი იყო ბუნებრივად აუცილებელი მოთხოვნილებანი, რის გამოც ადამიანებს უფრო მეტი ენერგია ეხარჯებოდათ მათ დასაკმაყოფილებლად. მაგრამ საერთოდ, განსხვავებულობა ბუნებრივ საფუძველში ჯერ ვერ იწვევდა თვისობრივ განსხვავებებს კონტინენტების მოსახლეობას შორის კაცობრიობის ევოლუციის ამ პირველ საფეხურზე.

ლოგიკურად წარმოების შემდგომი განვითარება მდგომარეობდა მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლაში, ე. ი. ცხოველებისა და მცენარეების მოშინაურებასა და გამრავლებაში. მაგრამ ისტორიულად ეს ყველგან როდი მომხდარა ასე. ამ საფეხურს უკავშირდება უთანაბრობის გაჩენა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების საზოგადოებების განვითარებაში.

აზიის, აფრიკისა და ევროპის ფაუნა იძლეოდა შესაძლებლობას სხვადასხვა ცხოველის მოშინაურებისათვის. იყო პირობები აგრეთვე სხვადასხვა მცენარეების კულტივირებისათვის — აქ არსებობდა საკვებად გამოსადეგი თითქმის ყველა მარცვლეული. ერთი სიტყვით, მოხდა ერთ-ერთი დიდი მნიშვნელობის მქონე გადატრიალება კაცობრიობის მატერიალურ, — და არა მარტო მატერიალურ, — განვითარებაში, რომლის აღნიშვნისათვის მეცნიერებაში თანდათან მკვიდრდება ტერმინი „ნეოლითური რევოლუცია“. ამერიკის მატერიკზე ეს სტადია, რომელსაც ფრ. ენგელსი და ლ. მორგანი „ბარბაროსობის შუა საფეხურს“ უწოდებდნენ, გამოიხატა სიმინდის მოშენებაში. ანდების მაღალ ზონაში და პატაგონიის ცივ ველებში მოშინაურებულ იქნა ლამა (ცივი კლიმატის ცხოველია). თუმცა მატერიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში პრერიები და პამპასები ფართო საძოვრებს წარმოადგენდნენ, აქ ვერ მოხდა მესაქონლეობის განვითარება. აღნიშნული მატერიკების საზოგადოებებს შორის წარმოშობილმა ასეთმა განსხვავებამ განსაზღვრა შემდგომი სოციალური ევოლუციაც. ყველაფერი ეს უკვე იყო ახსნილი ფრ. ენგელსისა და ლ. მორგანის მიერ.

ამერიკის მატერიკთან შედარებით სოციალური განვითარებისათვის ბევრად უარესი აღმოჩნდა ავსტრალიის ბუნება. გარემომცველ ფაუნაში ავსტრალიელმა აბორიგენებმა ვერ ნახეს ვერცერთი მოსაშინაურებლად ვარგისი ცხოველი. შინაური მარცვლეულის დღეს გავრცელებული სახეებიდან არცერთი არ ყოფილა. ადგილობრივი სახეები კი (მუნიერუ და ნარდუ) უმნიშვნელო კვებითი ღირებულების იყო, რის გამოც ავსტრალიელ აბორიგენებს ისინი არ მოუშენებიათ. ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ მიუხედავად ტექნიკისა და შრომითი გამოცდილების საკმაოდ მაღალი დონისა, მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლა მათ ვერ მოახერხეს.

ცხადია, სხვადასხვა კონტინენტების მოსახლეობის განვითარებაში ასეთი უთანაბრობა მათ შორის კონტაქტებით დიდ ხანს ვერ იქნებოდა გადალახული. მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში მოხდა კონტინენტების მცხოვრებთა მატერიალური მიღწევების დიფუზია. ამრიგად, პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების დაშლა და კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა ყველა კონტინენტზე როდი მომხდარა. ეს რომ ასე მომხდარიყო, მარტო ადამიანთა წარმოებითმა აქტივობამ ვერ იკმარა. საჭირო იყო ხელსაყრელი გეოგრაფიული საფუძველიც, რათა ასეთ პროგრესს ჰქონოდა ადგილი. სწორედ ამ საფუძვლის არაერთგვაროვნებამ განსაზღვრა კაცობრიობის სხვადასხვა ნაწი-

ლების განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმამდელ ევოლუციაში. მეორე მხრივ, თუ ესა თუ ის ნაწილი კაცობრიობისა შეფერხდებოდა და ჩერდებოდა, საჭირო არ იყო მილიონი წლების გავლა, რა პერიოდშიც მოხდებოდა ბუნების შეცვლა. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები უკვე არსებობდა სხვაგან. სანამ საზოგადოება განვითარდებოდა, ე. ი. დიფერენცირებას განიცდიდა თავის თავში, ბუნება უკვე იყო დიფერენცირებული და განვითარებად საზოგადოებას სხვადასხვანაირ გარემოდ ევლინებოდა. ამ მხრივ ორგანული სამყაროსა და საზოგადოების განვითარება ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების როლი მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლაში. იგივე პირობების გათვალისწინება გვიხსნის ამ ხანის ერთ დიდ ფენომენს, სახელდობრ იმას, რომ ე. წ. „ნეოლითური რევოლუციის“ განვითარების 3—4 ათასი წლის მანძილზე საზოგადოება თვალსაჩინო კლასობრივი სტრატიფიკაციით სახელმწიფოს განვითარებით და ა. შ. ისტორიულ სინამდვილეში არ წარმოქმნილა. წინა და მცირე აზიაში, სადაც უპირველესად ჰქონდა ადგილი ახალ ეკონომიურ მოვლენას, ცივილიზაციის წარმოშობა ჯერჯერობით შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ სამიწათმოქმედო ტექნიკის განვითარების დაბალ დონეზე, შრომის ნაყოფიერება შედარებით უმნიშვნელო იყო და არ ქმნიდა ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვან რაოდენობას[16]. მაგრამ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გავრცელების პირობებში ტიგროსის, ევფრატის და ნილოსის ველებზე წარმოიქმნენ პირველი ცივილიზაციები. და ეს მოხდა სამიწათმოქმედო ტექნიკის თითქმის იგივე დონეზე. აი რატომ: პრიმიტიული თოხის მეშვეობით ნიადაგი ადვილად დასამუშავებელი იყო, თანაც მოსავლიანობას ადიდებდა მიწის მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერება და ირიგაცია. შედარებით ცხელი კლიმატის წყალობით ნაკლები იყო აუცილებელი შრომაც. ყველაფერი ამის გამო აღნიშნულ მდინარეთა ველებში მოსახლეობა სწრაფად გამრავლდა, მიწათმოქმედთა მრავალი კოლექტივი შევიდა ფართო პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში, მოხდა ფიზიკური შრომით დასაქმებული ხალხის მასიდან გონებრივი შრომის მუშაკების გამოყოფა, დიდი ქალაქების წარმოქმნა და ა. შ.

აქაც ვიმეორებთ, ტიგროსის, ევფრატისა და ნილოსის ველები არსებობდნენ მრავალი ათასი წლის წინათ. ამდენად არსებობდა ნიადაგის მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერება, ხელსაყრელი კლიმატი, სწორი რელიეფი ირიგაციისათვის. მაგრამ კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობას ამ გეოგრაფიულ არეალებში არა ჰქონია ადგილი. პირიქით: ისინი დიდი ხნის მანძილზე არაოპტიმალურ ბუნებრივ პირობებს წარმოადგენდნენ, უვარგისი იყვნენ ნადირობისა და შემდეგ მესაქონლეობისათვის. მატერიალური კულტურის განვითარების ამ სტადიაზე მხოლოდ მდინარის თევზის რესურსები შეადგენდა ღირებულებას საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს პლუსიც გაწონასწორებული იყო ცხოვრების არახელსაყრელი პირობებით კოლექტივების მცირერიცხოვნობისა და მდინარეთა ადიდებების გამო. მხოლოდ ძვ. წ. V—IV ათასწლეუ-

16 ჩვეულებრივ, ლიტერატურაში ძალზე აზვიადებენ „ნეოლითური რევოლუციის“ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ შინაარსს. აგროტექნიკის დაბალი დონე, განსაკუთრებით მაგარი ნიადაგების დამუშავების სიძნელე, ჩვენი აზრით, აპირობებდა ნაყოფიერების დაბალ დონეს.

ლებში სხვა არეალებიდან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, მოსახლეობის ზრდის, პოლიტიკური გაერთიანების და ირიგაციის ფართოდ გავრცელების, პირობებში იქცა აღნიშნულ მდინარეთა ველები ხელსაყრელ საფუძვლად ცივილიზაციის განვითარებისათვის. ეს დიდი პატივისცემის გრძნობით აღგვავსებს კაცობრიობის შემოქმედებითი გენიის მიმართ. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოების პრაქტიკის განვითარების იმდროინდელ დონეზე ცივილიზაციის წარმოშობა-განვითარება შეიძლებოდა მომხდარიყო შესაბამის ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებში.

იმ ქვეყნებში, სადაც ნიადაგები მაგარი და ნაკლებად ნაყოფიერი იყო, სადაც შედარებით ცივი კლიმატი ბევრ ბუნებრივ მოთხოვნილებას ბადებდა, აღნიშნული სახის დაბრკოლებანი ცივილიზაციის განვითარების გზაზე შეიძლებოდა გადალახულიყო ტექნიკის განვითარების მაღალი დონის პირობებში. ეს მოხდა დაახლოებით ძვ. წ. I ათასეულიდან მოყოლებული, როცა რკინის იარაღების შემწეობით გაჩეხილ იქნა ტყის დიდი მასივები, რკინის გუთანმა გაზარდა მიწათმოქმედების პროდუქტიულობა, რის გამოც გაიზარდა ხალხთმოსახლეობა და ა. შ. მაგრამ შრომითი იარაღების განვითარების ამ დონეზე საზოგადოება ბუნების ყველა დაბრკოლების წინაშე როდი ყოფილა ძლიერი. მატერიალური წარმოების ამ საფეხურზე საზოგადოება უძლური იყო თვითონ ევროპაში ისლანდიის, მთიანი, შვეიცარიის, ნორვეგიის, კავკასიის მთიანეთის, ტაიგისა და სუბარქტიკის ზონების ათვისებაში. კაცობრიობას კიდევ მეტი მატერიალური კულტურის დონის მიღწევა ესაჭიროებოდა ბუნების არსებული დაბრკოლებების გადასალახავად.

მას შემდეგ რაც საზოგადოებამ დაიწყო მტკიცე ბინადარი ცხოვრება და მიწათმოქმედება ეკონომიკის გადამწყვეტი დარგი გახდა, გამრავლდა მოსახლეობა, შედარებით განვითარებული სახე მიიღო სახელმწიფომ და ა. შ. ცივილიზაციის შემდგომი ევოლუცია მხოლოდ, ასე ვთქვათ, წმინდა სოციალურ მიზეზებზე არ ყოფილა დამოკიდებული. საჭირო იყო რელიეფისა და კლიმატის სხვადასხვაგვაროვნება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის. აუცილებელი იყო შედარებით ფართო ტერიტორია, სადაც გავრცელდებოდა კომპაქტური მოსახლეობა. ეს ხელს შეუწყობდა ხალხის თავდაცვისუნარიანობას გარეშე მტრების წინააღმდეგ, თანაც მით უფრო წარმატებულად, თუ ქვეყანას ბუნებრივი თავდაცვითი პირობებიც ექნებოდა. სოციალურ-პოლიტიკური პროცესები ბევრად უფრო დაჩქარებული ტემპებით განვითარდებოდნენ ზომიერ ზონაში, სადაც მოსახლეობას აუცილებელი ბუნებრივი მოთხოვნილებანი უფრო მეტი ექნებოდა დასაკმაყოფილებელი, ვიდრე ცხელ ზონაში. გეოგრაფიული დეტერმინისტების ეს აზრი სავსებით მისაღებია ისტორიული მატერიალიზმისათვის. ამის შესახებ მოვუსმინოთ მარქსს. „კაპიტალში" იგი წერდა: „მეტისმეტად გულუხვი ბუნება „ადამიანს, როგორც ბავშვს, ხელით ატარებს". იგი არ ხდის მის საკუთარ განვითარებას ბუნებრივ აუცილებლობად. კაპიტალის სამშობლოა არა ტროპიკული ჰავა მისი დიდმშვენიერი მცენარეულობით, არამედ ზომიერი ზონა"[17].

ცივილიზაციის შემდგომი ევოლუციისათვის სასაქონლო წარმოების მნიშვნელოვანი განვითარების საფუძველზე საჭირო იყო დიფერენცირებული ბუნებრივი პირობები. „კაპიტალში" მარქსმა განასხვავა ქვეყნის სიმდიდრეთა ორი

[17] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 647.

სახე — სიმდიდრე ცხოვრების საშუალებებით და წარმოების საშუალებებით. სასარგებლო წიაღისეულის სხვადასხვა სახეები, მათი სიმდიდრე, ტყეები, სანაოსნო მდინარეები, გარემომცველი ზღვა, ოკეანე, ქარები, ბუნებრივი წყალვარდნილები და ა. შ. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილების თვალსაჩინოდ განვითარებისათვის. ასეთი ბუნებრივი პირობების არარსებობის გამო დაყოვნდა ბევრი ძველი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის (ეგვიპტე, შუამდინარეთი, ძველი ინდოეთი და სხვ.) განვითარება. მეორე მხრივ კი, პროგრესის ცენტრებმა გადაინაცვლეს ჯერ სამხრეთ ევროპაში ანტიკურობის დროს, ხოლო შემდეგ ევროპის ფართო ტერიტორიებზე მომდევნო ფორმაციების დროს.

კაპიტალიზმამდელი ხანის კაცობრიობის ევოლუციაში, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა[18], საზოგადოების პროგრესი, ადამიანთა აქტივობასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული შესაბამისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით. ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობის გამო, სოციალური ევოლუცია არ ყოფილა ერთგვაროვანი ყველა კონტინენტზე. ყველაზე ხელსაყრელი ვითარება ამ მხრივ იყო ევროპაში. მაგრამ განვითარებული კაპიტალიზმის ხანაში მდგომარეობა შეიცვალა. როგორც ცნობილია, ამ დროს ბუნების უამრავი ძალა იქცა საწარმოო ძალად, შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მძლავრი საშუალებანი, მოხდა შრომის მსოფლიო დანაწილების თვალსაჩინო განვითარება. ამა თუ იმ ქვეყანას შეიძლება არ გააჩნდეს რომელიმე დარგის განვითარების ბუნებრივი საფუძველი, მაგრამ მას განავითარებს შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე. შეუძლებელია ყველა ქვეყანას ჰქონდეს ბუნებრივი პირობები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის, მაგრამ მოთხოვნილება ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე შეიძლება დაიკმაყოფილოს იმპორტის ხარჯზე. ასევე ითქმის დამამუშავებელი მრეწველობის მთელ რიგ დარგებზე. ბუნებრივი სახის დაბრკოლებანი გადალახულ იქნება წარმოებითი ურთიერთობების განვითარებით, რა პირობებშიც მოხდება კაპიტალის დაგროვება, კვალიფიციური მშრომელი კადრების, წარმოების ორგანიზატორების გაჩენა და ა. შ. მოხდება სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების გაერთგვაროვნება ყველა კონტინენტზე. ჩვენ ამ პროცესის მძლავრი განვითარების ხანაში ვიმყოფებით.

დასასრულ ერთი გარემოების შესახებ. საზოგადოების ასეთი პროგრესი სულაც არ ნიშნავს გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის დაკარგვას სოციალური ევოლუციისათვის, საზოგადოების „გამოთავისუფლებას" ბუნებისაგან. თავისუფლებას მიღწეული პროგრესი არ გულისხმობს ბუნების როლის არაფრად ქცევას საზოგადოებისათვის და უკანასკნელის მთლიანად თავის თავში განვითარებას. თავისუფლება აქ გულისხმობს აუცილებლობის ნიადაგზე განვითარებას. ბუნება, რომელიც აქამდე ადამიანებს უპირისპირდებოდა როგორც უცხო ძალა, ახლა შეცნობილი, „გაადამიანებული" და გამოყენებულია მათ მიერ. ასევე ითქმის მომავალი საზოგადოების მიმართ, როცა ადამიანის სამსახურში ჩადგება დედამიწისა და სხვა პლანეტების უამრავი ახალი ბუნებისეული ძალა.

---

18 უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი — გეოგრაფიული გარემოს როლი კაცობრიობის კაპიტალიზმამდელი ხანის ევოლუციაში, ცისკარი, 1969, № 10,

# ცნობები და შენიშვნები

გიული ალასანია

## საქართველო „ჯიჰან-ნუმას“ კავკასიის რუკაზე

1732 წელს სტამბოლში დაარსებულ სტამბაში ერთ-ერთ პირველ წიგნად გამოიცა XVII ს-ის ცნობილი თურქი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ქათიბ ჩელების ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულება „ჯიჰან-ნუმა“[1]. გამომცემელმა იბრაჰიმ მუთეფერიკამ დაურთო წიგნს შესავალი და რუკები, ხოლო ავტორის ტექსტი მნიშვნელოვნად შეავსო.

„ჯიჰან-ნუმას“ 39, 40, 41-ე თავები (გვ. 391—432) შეიცავს საინტერესო ცნობებს ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. აქვე, 431—432 გვერდებს შორის, მოთავსებულია კავკასიის რუკა, დასათაურებული შემდეგნაირად: „ულუ ნოღაის, ჩერქეზის და აბაზას ტომების მიწები, იალბუზის მთა, დაღესტნის, შირვანისა და მთელი საქართველოს ქვეყნები, განჯის, ერევნის, ყარსის, ჩილდირის, ტრაპიზონისა და არზრუმის ეიალეთების გამოსახულება“[2].

რუკის ფორმატი 33×24,5 სმ-ია, მასშტაბი წარმოდგენილია ხაზოვანი მასშტაბის 4 ვარიანტით: ფარსახებით (6—7 კმ), მილებით, მერჰალებით (ერთი დღის სავალი) და საათებით. დაანგარიშებით ირკვევა, რომ მასშტაბი დაახლოებით 1:5000000 უნდა შეეფარდებოდეს. რუკაზე წარმოდგენილი არ არის მერიდიანები და პარალელები, თუმცა შიდა და გარე ჩარჩოებს შორის ნათლად მოჩანს მათი გამოსახულებანი. მანძილი როგორც მერიდიანებს, ისე პარალელებს შორის თითო გრადუსს უტოლდება.

ბადის გარეგანი სახე კონუსურ პროექციაში შესრულებულს ჰგავს. ძნელი სათქმელია, რკალის სახე აქვს პარალელებს, თუ სწორ ხაზებად უნდა ვივარაუდოთ.

„ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე თბილისი მოთავსებულია $63^{0}\ 30^{1}$ გრძედზე, რაც იმას მოწმობს, რომ რუკის ავტორს გრძედები ფეროს მერიდიანიდან აქვს გამოთვლილი. რუკაზე წარმოდგენილია შავი და კასპიის ზღვები, ნაწილობრივ

---

[1] ქათიბ ჩელებისა და მისი თხზულებების შესახებ იხ: И. Ю. Крачковский, Турецкая географическая литература XV—XVII веков, Изд. соч., т. VI, М., 1957.

А. А. Папазян, Труды Кятиба Челеби как источник по истории Армении (XVII в.). Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1967.

გ. ალასანია, „ჯიჰან-ნუმას“ ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV,

[2] اولو نوغای چراکسه ابازه طائفه‌لرینك یرلری کوه البرز طاغستان شروان و تماماً کورجستان مملکتلری کنجه و روان و قارص و چلدر و طربزون و ارضروم ایالتلرینیك شکلیدر.

კი აზოვის ზღვაც. სამხრეთით უკიდურესი წერტილი მდინარეების არაქსისა და კოტურის შესართავია, ჩრთილოეთით—ქალაქი აზოვი.

შავსა და კასპიის ზღვებზე გამოსახულია მხარეთა მაჩვენებელი ვარდები. სანაპირო ხაზების გარდა რუკის შინაარსი წარმოდგენილია ჰიდროგრაფიული ქსელით. პირველი რიგის მდინარეებად იკითხება მტკვარი, არაქსი, რიონი, ყუბანი. დატანილია მათი პირველი და მეორეხარისხოვანი შენაკადები. შავი ზღვის სანაპირო ხაზს შემოვლებული აქვს მწვანე, ხოლო კასპიის ზღვას კი ყვითელი აშია. შესაბამისად არის შეფერილი მათი აუზის მდინარეებიც. რელიეფი ნაჩვენებია მეტად სქემატურად პერსპექტიული გორაკების სახით, რის მიხედვითაც ძნელია წარმოდგენის შექმნა მათ სიდიდესა და ზუსტ მდებარეობაზე. ქედებს არა აქვთ წარწერები, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა: კავკასიონის ქედი — كوه البرز (ელბორზის მთა), جبال الكزى (ლეკეთის მთები), جبال سرير اللان (სარირ ულ- ალანის მთები).

რუკაზე მოცემულია მთავარი გზები: 1. ტრაპიზონი — არზრუმი — ყარსი — ერევნის ციხე — ნახჭევანი. 2. ფოთი — ქუთაისი — გორი — თბილისი. 3. გონიო — ახალციხე— სურამი — გორი — თბილისი.

ავტორის მიერ გამოყენებულია ძირითადად სამი სახის პირობითი ნიშნები, რითაც იგი აღნიშნავს ციხეს, პატარა ციხეს და დაბას (იხ. რუკა). ტერიტორიული საზღვრები ყველგან წერტილოვანი ხაზით აღინიშნება.

როგორც რუკაზე მინაწერიდან ირკვევა, მისი ავტორია ვინმე ამილ აჰმედ ალ-კირამი, რომლის შესახებაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ჯერჯერობით ცნობა ვერ მოვიძიეთ.

ქათიბ ჩელების თხზულების ტექსტისა და რუკის მონაცემების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ ამილ აჰმედ ალ-კირამის რუკის შედგენის დროს არ გამოუყენებია „ჯიჰან-ნუმა“. ამავე დროს დგინდება, რომ არც ქათიბ ჩელები იცნობდა ალ-კირამის რუკას, რის სასარგებლოდაც შემდეგი ფაქტები ლაპარაკობენ:

1. ქათიბ ჩელების ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს კახეთისა და დაღესტნის მდებარეობაზე: იმერეთს „გარშემო ზაგემი (იგულისხმება კახეთი), დემირ-კაფუ, დაღესტანი და დადიანი მოუდის. დადიანი შავი ზღვის ნაპირზე აფხაზეთის მოსაზღვრე ქვეყანაა“[3]. ავტორს, რომ კავკასიის რუკა ნანახი ჰქონოდა, იგი ალბათ არ დაუშვებდა ამგვარ უზუსტობას.

2. რუკის მიხედვით, სამეგრელო ანუ „ვილაიეთი მეგრილ“ (ولايت مكريل) მდინარე კელასურიდან რიონამდე ვრცელდება. ქათიბ ჩელები ამის შესახებ განსხვავებულ იმფორმაციას გვაწვდის: „სამეგრელო არის ნაპიე, რომელიც მდებარეობს იმ ადგილას, სადაც ფაშის მდინარე შავ ზღვას უერთდება, საზღვარი კი გონიოს ემიჯნება“[4]. ე. ი. სამეგრელოდ ავტორი მიიჩნევს რიონსა და გონიოს შორის მდებარე ტერიტორიას, ანუ — გურიას. იმ მხარეს კი, რომელსაც რუკაზე „ვილაიეთი მეგრილ“ ჰქვია, ქათიბ ჩელები დადიანს უწოდებს. და შენიშნავს: „დადიანი შავი ზღვის ნაპირზე აფხაზეთის მოსაზღვრე ქვეყანაა. მათი გამგებელი ყოველთვის ებრძვის აფხაზეთს“[5].

---

3 ჯიჰან-ნუმა, გვ. 416.

4 იქვე.

5 იქვე.

ცნობილია, რომ ქათიბ ჩელების ხელი მიუწვდებოდა არაბულ, სპარსულ და ევროპულ ენებზე არსებულ ლიტერატურაზე. ამილ აჰმედ ალ-კირამის რუკა რომ ქათიბ ჩელების გარდაცვალებამდე (1657 წ.) იყოს შედგენილი, „ჯიჰან-ნუმას“ ავტორი მას გვერდს არ აუვლიდა.

რუკის დათარიღებაში გარკვეულ დახმარებას გვიწევს ის გარემოებაც, რომ მასზე დატანილ ღირსშესანიშნავ ციხეებს შორის არა გვხვდება ანაკლიის ციხე. ამავე დროს გამომცემელმა იბრაჰიმ მუთეფერიკამ კარგად იცის ამ ციხის არსებობა: „სოხუმის მახლობლად ანაკლიის ციხეს აშენებდნენ“[6], — მოგვითხრობს იგი. ქართული ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ანაკლიის ციხე თურქებმა ააშენეს 1703 წელს. ამ ციხის, როგორც სტრატეგიული პუნქტის მნიშვნელობაზე თურქებისთვის, მეტყველებს 1725 წელს მისი აღდგენა და განმტკიცება[7]. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამილ ახმედ ალ-კირამის არ სცოდნოდა თურქთა მიერ აგებული ეს მნიშვნელოვანი პუნქტი. ამიტომ სავარაუდებელია, რომ რუკა შედგენილი უნდა იყოს ანაკლიის ციხის აშენებამდე, ე. ი. 1703 წლამდე. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ რუკაზე ბათუმი საქართველოს ფარგლებშია ნაჩვენები. თურქების მიერ ბათუმის აღება თარიღდება 1703 წლით[8]; რუკა რომ ამ მოვლენის შემდეგ იყოს შედგენილი, მის ავტორს ეს არ გამორჩებოდა მხედველობიდან და ბათუმს ტრაპიზონის ეიალეთში მოათავსებდა.

გამოთქმული ვარაუდები გვაფიქრებინებს, რომ „ჯიჰან-ნუმას“ კავკასიის რუკა შედგენილი უნდა იყოს 1657-დან 1703 წლამდე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საზღვარი აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის რუკის მიხედვით მდინარე კელასურზე გადის, ხოლო, დამკვიდრებული აზრის თანახმად[9], XVII საუკუნის 80-იან წლებში საზღვარმა მდ. ენგურზე გადაინაცვლა, რუკის შედგენის ქრონოლოგიური ჩარჩო კიდევ უფრო დავიწროვდება და XVII ს-ის 57—90-იან წლებს შორის მოთავსდება.

„ჯიჰან-ნუმას რუკაზე, საკმაოდ სრულად არის ნაჩვენები შავი ზღვის სანაპირო, მის გასწვრივ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ აღნიშნულია აფხაზეთი (ابازه) და სამეგრელო (مكريل), სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთით — სვანეთი (صوان), აღმოსავლეთ საქართველოში კი შეტანილია თბილისის ოლქი და კახეთი (ايالت تفليس, كاخت).

„ჯიჰან-ნუმას“ ტექსტის მიხედვით აფხაზეთის საზღვრები სოჭიდან მდინარე კოდორამდე გრძელდება[10]. რუკაზე სოჭი არ არის დატანილი, მაგრამ ჩრდილოეთის საზღვარი ემთხვევა მის ადგილმდებარეობას. აფხაზეთის სამხრეთი საზღვრის შესახებ ტექსტისა და რუკის მონაცემები განსხვავდება: რუკაზე საზღვარი მდინარე კელასურზე გადის.

---

6 ჯიჰან-ნუმა, გვ. 415.

7 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.; 1941, გვ. 167 — 168.

8 ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი, 1958, გვ. 7; ქ. ჩხატარაშვილი, ტოპონიმ, „ბათომის“ და ბათომის მხარის ისტორიისათვის (თეზისები), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მე-18 სამეცნიერო სესია, თბ., 1969.

9 З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.) Сухуми, 1959, გვ. 297.

10 ჯიჰან-ნუმა, გვ. 414.

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ რუკაზე აღნიშნულ აფხაზეთის პუნქტებს შორის პირველია دربند (დერბენდი), რომელიც მდებარეობის მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს გაგრას. გაგრამ თავისი განსაკუთრებული მდებარეობის გამო, სახელწოდება „კაკკარი“ კარისაგან მიიღო[11]. სიტყვა „დერბენდიც“ სწორედ „ვიწრო ადგილს, ხეობას“ ნიშნავს. „ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე აღნიშნული დერბენდი რომ გაგრაა, ამას ადასტურებს ფ. დიუბუა დე მონპერეც: „ყოველთვის ერქვა თუ არა ამ ადგილს გაგრა? უფრო ძველ რუკებზე ჩვენ ვპოულობდით სხვა სახელებს, შარდენი ამ ადგილს ბალადაგს უწოდებს, რაც თურქულად მაღალ მთას ნიშნავს. იულიუს კლაპროტს თავის კავკასიის რუკაზე (1814 წ.) მოჰყავს დასახელება დერბენდი, რაც თურქულად „დეფილეს“ ნიშნავს“[12].

პუნქტი بوجونده (ბვჯვნდე) ტერიტორიულად ბიჭვინთას ემთხვევა, ხოლო მისი ფორმა „ბვჯვნდე“ ქართული ბიჭვინთის არაბული გრაფიკით გადმოცემის საკმაოდ წარმატებულ ცდას წარმოადგენს.

სანაპიროზე აღნიშნული صغوقصو (სოუკსუ) არც ტერიტორიულად და არც ქრონოლოგიის მიხედვით არ უნდა იყოს ლიხნი. სოუკსუ ლიხნს მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულს ეწოდა. ამდენად, ბუნებრივია რომ XVIII ს-ის რუკაზე აღნიშნული სოუკსუ არ შეიძლება იყოს XIX ს-ში სოუკსუდ ცნობილი ლიხნი. „ჯიჰან-ნუმას“ რუკის სოუკსუ მდებარეობის მიხედვით ბომბორის სრუტეს უფრო შეეფარდება.

XIX ს-ის რუკის ავტორებიც სოუკსუს ბომბორის სრუტეში ათავსებდნენ[13], თუმცა პ. უვაროვას აზრით, ისინი გარკვეულ უზუსტობას იჩენდნენ: „ლიხნის ტაძარი სამი ვერსითაა დაშორებული ზღვიდან, დაბა გუდაუთიდან და მდებარეობს რამდენიმე მანძილზე ბომბორის სრუტიდან, რომელსაც უახლესი რუკები შეცდომით უწოდებენ „სოუკსუს“[14]. ამ ავტორთა შეცდომა,“ შესაძლებელია იმავე წყაროთი იყოს გაპირობებული, რომლითაც თურქ კარტოგრაფსაც უსარგებლია.

„ ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე დატანილი اغچه (აღჩა) აფხაზეთის სანაპირო პუნქტებს შორის არ არის ცნობილი, ვახუშტი მოგვითხრობს, რომ „ანაკოფიის დასავლით დის აღაცოს წყალი. გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღვას ჩრდილოდამ“[15]. მდინარე აღაცო და ამავე სახელწოდების სოფელი დამოწმებული აქვს პ. ინგოროყვასაც“ ქართული წყაროების თანახმად აღაცოს წყალი ეწოდება მდინარეს გუდაუთის რაიონში. სახელწოდება მომდინარეობს სოფლის სახელიდან აღაცო“[16].

თურქული ენის ფონეტიკურ თავისებურებათა გამო არ არის გამორიცხული, რომ აღაცო ამილ აჰმედ ალ-კირამის აღჩად გადმოეცა, მით უმეტეს, რომ ღჩ (غچ) კომპლექსი თურქულ ენაში საკმაოდ ხშირად გვხვდება.

---

11 კ. ბ ე რ უ ლ ა ვ ა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951, გვ. 77.

12 Ф. Д ю б у а д е М о н п е р э, Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937, გვ. 99.

13 Дорожная карта Кавказского края, Тифлис, 1872; Кавк. край, Тифлис, 1895; Лоция Черного и Азовского морей, Николаев, 1892, გვ. 179.

14 П. У в а р о в а, Абхазия, „Материалы по археологии Кавказа“, IV, М., 1894, გვ. 13.

15 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 171.

16 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 180.

მიუხედავად იმისა, რომ აღჩა დატანილია დასავლეთით მდინარისაგან, რომელიც აფსტას (ბაკლანოვკა) შეესაბამება, ალაცო კი მის აღმოსავლეთით უნდა მდებარეობდეს, რუკებისა და წყაროთა შეჯერებით მივდივართ დასკვნამდე, რომ „ჯიჰან-ნუმას" აღჩა სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა ვახუშტის მიერ მოხსენიებული ალაცო.

სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით უახლოესი დასახელება არის ارسلانلر (არსლანლარ). საგულისხმოა, რომ მსგავსი სახელწოდების პუნქტის არსებობა აფხაზეთში არ დასტურდება. როგორც ცნობილია, ოსმალები ხშირად ამა თუ იმ ობიექტს თურქულ დასახელებას არქმევდნენ. მდებარეობით რუკის არსლანლარ ძლიერ უახლოვდება ახალ ათონს, ანუ ანაკოფიას. ბ. კუფტინის გადმოცემით[17], XIV—XV სს. საკომპასო რუკებზე სოხუმთან „უშუალო მეზობლად" დატანილია ანაკოფია. ავტორის აზრით, სოხუმსა და ათონს შორის რომ რაიმე მნიშვნელოვანი პუნქტი არსებულიყო, იმდროინდელ რუკებზე უსათუოდ ჰპოვებდა ასახვას. ვინაიდან არსლანლარ „ჯიჰან-ნუმას" რუკაზე მოთავსებულია სოხუმთან და მდებარეობით შეესაბამება ახალ ათონს, შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ XVII ს-ის თურქი ავტორები ანაკოფიას არსლანლარის სახელწოდებით იცნობდნენ.

სოხუმის ანუ سخوم (ცხუმის) მდებარეობა რუკის ავტორს შედარებით სწორად აქვს ნაჩვენები. მით უფრო გასაკვირია ის გარემოება, რომ წიგნის გამომცემელმა იბრაჰიმ მუთეფერიკამ არ გაითვალისწინა რუკის მონაცემები და ჩანართ ტექსტში სოხუმი მდინარე კოდორის შესართავთან მოათავსა. შეხედულება დიოსკურიის მდინარე კოდორის შესართავთან მდებარეობის შესახებ კარგა ხანია უარყოფილია მეცნიერებაში[18]. ამდენად, როგორც აღვნიშნეთ, რუკის მონაცემები ამ შემთხვევაში იბრაჰიმ მუთეფერიკას მოსაზრებაზე უფრო სწორი აღმოჩნდა.

ზღვიდან მოშორებით, ბიჭვინთის ჩრდილოეთით, რუკაზე აღნიშნულია نخل (ნხლ) მსგავსი დასახელების პუნქტი ვერც სხვა რუკებზე და ვერც წერილობით წყაროებში ვერ მოვიძიეთ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნხლ ზღვას მოცილებული ერთადერთი პუნქტია, რომელიც ავტორმა საჭიროდ ჩათვალა დაეტანა რუკაზე, იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. საუკუნეთა მანძილზე ამგვარ მნიშვნელოვან პუნქტს აფხაზეთში ლიხნი წარმოადგენდა.[19] ამიტომ XVII ს-ის მეორე ნახევარში შედგენილ რუკაზე მისი ჩვენება სავსებით ლოგიკური ჩანს. (თუმცა კი სახელწოდება რამდენადმე დამახინჯებულია და ტერიტორიულადაც შედარებით დასავლეთით არის გადაწეული).

რუკაზე აღნიშნულია ლევან II დადიანის მიერ აშენებული კელასურის კედელი, რომელსაც არა აქვს წარწერა.

მდინარე აფსტას შესართავთან დატანილი صولچ (სულჩის) იდენტიფიკაცია ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

---

[17] Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949, გვ. 126.

[18] Н. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, № 4, გვ. 105; М. Трапш, Древний Сухуми. Сухуми, 1959, გვ. 212.

[19] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964, გვ. 298-299.



ჯიჰან-ნუმას
კავკასიის
რუკა

„ჯიჰან-ნუმას“ რუკის მიხედვით, სამეგრელო მდინარე კელასურთან იწყება, როგორც ეს ლევან II დადიანის დროს (1611—1657 წწ) იყო[20]. კელასურსა და რიონს შორის რუკაზე დატანილია 6 მდინარე. მათგან მხოლოდ ორის სახელწოდებაა აღნიშნული كودور نهر, كمخل نهر (ქემხელი, კოდორი). დანარჩენების სახელები გასარკვევია.

რიონიდან ჩრდილოეთისაკენ პირველი მდინარის შესართავში მიწერილია —მდინარე ქემხელი. პუნქტი „კემხელი“ მოხსენიებულია ქართულ საბუთებში[21]. თ. ბერაძის აზრით, კემხელი უნდა რქმეოდა დღევანდელ ყულევს, რომელმაც ეს სახელი თურქული რედუტ-კალესაგან მიიღო[22]. თუ ქემხელი იგივე ყულევია, მაშინ რუკის ავტორის მიერ ქემხელად წოდებული მდინარე ხობი უნდა იყოს.

რუკაზე გამოსახული მეორე მდინარე რომ ენგურია, ამას ადასტურებს მის მარცხენა სანაპიროზე ნაჩვენები انقره (ანაკლია)[23].

ერთ-ერთი მდინარის მარჯვენა ნაპირზე მთის ძირში აღნიშნული დასახლება موقوى (მოქვი) მოწმობს, რომ თვით მდინარესაც მოქვი უნდა ერქვას. დასახლებული ადგილი „მოქვი“ რუკაზე არცთუ დიდი სიზუსტით არის ნაჩვენები. ფაქტიურად მოქვი მხოლოდ 7-8 კილომეტრით იყო დაშორებული ზღვიდან და კოლხეთის დაბლობის მცირე სიმაღლის ბორცვზე მდებარეობდა.

მოქვსა და ენგურს შორის აღნიშნული ორი მდინარე ჩვენი აზრით, ღალიძგა და ოქუმია.

ამგვარად, „ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე კოდორიდან რიონამდე დატანილი უნდა იყოს შემდეგი მდინარეები: მოქვი, ღალიძგა, ოქუმი, ენგური და ხობი.

რუკაზე დატანილ რიონის შენაკადებიდან ერთ-ერთი ცხენისწყალი უნდა იყოს, მეორე კი ყვირილა თავისი შენაკადებით (ძირულა, ჩხერიმელა).

ყურადღებას იქცევს „ჯიჰამ-ნუმას“ რუკაზე ფოთის ლოკალიზაცია. რიონის შესართავთან მოთავსებულია თურქებისთვის კარგად ცნობილი (ფაშის ციხე) დასახლებული პუნქტი აღნიშნულია მისგან აღმოსავლეთით. پوتی (ფუთი) ფორმით. დაახლოებით ასეთივე მდებარეობა აქვს ფოთს 1633—1640 წწ. მონაცემების მიხედვით შედგენილ არქ. ლამბერტის რუკაზე. ამავე დროს ლამბერტიმ იცის თურქული ციხის არსებობაც და ტექსტში ათავსებს მას რიონის შესართავთან: „ ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც ოსმალებმა 1576 წელს ციხე ააშენეს“[24].

ვახუშტის მიერ ფოთის მოხსენიება ოდიშის აღწერაში, ხოლო ფოთის ციხის გურიის ფარგლებში მოთავსება[25] ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს არსებობდა ფოთის ციხე და მისგან დამოუკიდებლად ქალაქი ფოთი. ამგვარ

---

20 თ. ბ ე რ ა ძ ე, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, „ძეგლის მეგობარი“, 21, 1970, გვ. 42.

21 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., 1921, 1, გვ. 1—2; ე ქ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, 1, ტფ. 1920, გვ. 27.

22 თ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

23 „ჯიჰან-ნუმას“ რუკისგან განსხვავებით, არქ. ლამბერტის მიხედვით, ანაკლია მდინარის ორსავე ნაპირზე ყოფილა განლაგებული.

24 ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 172.

25 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 167, 174.

ვარაუდს ეჭვის ქვეშ აყენებს იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებით 1737 წელს შედგენილი რუკის მონაცემი, სადაც აღნიშნულია მხოლოდ ციხე. („ქ. ფოთის ციხე: ქართულად, ძველად ქალაქიც ყოფილა. ფასუს ქვიან“[26]). აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ 1737 წლისთვის ქ. ფოთი აღარ არსებობდა.

„ ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე ფუთი აღნიშნულია პუსონით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის სოფელი, დაბა და არა ქალაქი. სოფელი ფუთი (იგივე პატარა ფოთი) დღესაც არსებობს სამეგრელოში ამავე მიდამოებში.

ამგვარად, არქანჯელო ლამბერტის და „ჯიჰან-ნუმას“ რუკის მონაცემები არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ზღვის ნაპირზე არსებობდა ციხე ხოლო მისგან მოშორებით ქალაქი ფოთი.

ღალიძგასა და ოქუმს შორის აღნიშნულია ترنت (თრნთე). ცნობილია, რომ სამეგრელოს ფარგლებში, მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზე მოთავსებული იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტი დრანდა[27], ჩვენი აზრით, „ჯიჰან-ნუმას“ რუკის თრნთე — დრანდაა, თუმცა ავტორი მას შეცდომით სრულიად სხვა ადგილას ათავსებს.

მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე აღნიშნული პუნქტი سبيا (სბია) მოგვაგონებს შარდენის მიერ მოხსენიებულ სიპიას (მდ. ენგურის აყოლებით, ანაკლიიდან 4,5 ეჯზე). „სიპია ორი პატარა ეკლესიის სახელია, ერთი მათგანი მეგრელებისაა და მეორე თეატინებს ეკუთვნის“[28]. შესაძლებელია სიპია (სიბია) არქ. ლამბერტის მიერ მოხსენიებული წიფურია იყოს“. უცხოური წყაროები მისიონის ცენტრს წიფურიას უწოდებენ. იგი მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე და შეესაბამება დღეს სოფელ მანარჯია-მუხურის ერთ უბანს.[29]

პუნქტი سبا (სბა) მდებარეობს სიბიას სამხრეთით, ზღვიდან ოდნავ მოშორებით, ამგვარი პუნქტის არსებობა სამეგრელოში არ დასტურდება. ტერიტორიულად შესაძლებელი იქნებოდა ამ პუნქტის მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სიდასთან გაიგივება, მაგრამ საამისოდ ჯერჯერობით არ მოიპოვება სხვა მონაცემი.

რიონსა და მდ. ხობს შორის მოთავსებული بجا (ბჯა) ფონეტიკურად ტრანსფორმირებული ბანძა უნდა იყოს. რუკაზე იგი აღნიშნულია როგორც ციხე. ვახუშტის გადმოცემით, „ცხენის წყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“[30].

რუკაზე მეტნაკლებად სწორად არის დატანილი اسقورجه بورنى , ايلعرى (ისკურიის ყურე და ილორი).

ბაღდადი (بغدادجق —თანამედროვე მაიაკოვსკი) ნაჩვენებია ქუთაისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნაცვლად სამხრეთისა. რაც შეეხება غغوت (გეგუთს), იგი მოთავსებულია ქუთაისიდან (كوتاتس) სამხრეთ-დასავლეთით

26 ი. მ ა თ უ რ ე ლ ი, იმერეთის მეფის ალექსანდრე V რუკა, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, IX 1949, გვ. 216.

27 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 169.

28 ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 18.

29 თ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

30 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 166.

რიონის მარცხენა მხარეს (უნდა ყოფილიყო ქუთაისის სამხრეთით, რიონის მარჯვენა ნაპირზე).

„ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე დარღვეულია პროპორციები. ბათუმი და გონიო, ისევე, როგორც მდ. ჭოროხის შესართავი, მნიშვნელოვნად არის გადაადგილებული ჩრდილოეთით და დაახლოებულია ფოთთან. საქართველოს ბარის მთავარი დასახლებული პუნქტები, მათ შორის თბილისი, გადაადგილებულია ჩრდილოეთისაკენ.

აღმოსავლეთ საქართველოში თბილისის გარდა აღნიშნულია შემდეგი პუნქტები: გორი, ჰლავრ, ზაგემი, ბახტრიონი, ყარაღაჯი, ჯარტლა.

თბილისის ჩრდილოეთით მტკვრის მარცხენა ნაპირზე დატანილი პუნქტი حلاور (ჰლავრ) არ უნდა იყოს ისტორიულ საბუთებსა და ვახუშტისთან მოხსენიებული ალავარი, ჰალავარი, ჰალვარი,[31] ავლავარი (მდ. ქციაზე)[32]. მდებარეობის მიხედვით „ჯიჰან-ნუმას“ რუკის ჰლავრი უფრო მეტად თბილისის ავლაბარს შეესაბამება.

მდინარეები არაგვი და ლიახვი, რუკაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით მოედინებიან, მაშინ როდესაც ფაქტიურად მათ სამხრეთი მიმართულება აქვთ.

კახეთი გადაადგილებულია თბილისიდან ბევრად სამხრეთ-აღმოსავლეთით. მისი ორი მდინარიდან ავტორი მხოლოდ ერთის სახელს აღნიშნავს. قناق (კნაკ). აღმოსავლურ წყაროებში კანაკად ალაზანი, ხოლო قبور (კაბურად) მდ. იორი იწოდებოდა. ამილ ახმედ ალ-კირამი კი ალაზნის სახელს მცდარად მიაკუთვნებს იორს.[33]

მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს აღნიშნულია جارطلا (ჯარტლა). მდებარეობის მიხედვით „ჯიჰან-ნუმას“ რუკის ჯარტლა არ შეიძლება იყოს ვახუშტისეული ჭართალის ხევი (მდინარე არაგვზე)[34]. ვინაიდან ჯარტლა რუკის ავტორს არავითარი პირობითი ნიშნით არა აქვს აღნიშნული, შესაძლებელია იგი ერთ რაიმე პუნქტს კი არ გულისხმობს, არამედ მთელ მხარეს. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „წინათ ჭართალი მარტო პატარა თემის კი არა, არამედ გაცილებით უფრო ფართო მიწა-წყლის სახელი ყოფილა და მთელ კახეთსაც სწოდებია“[35]...

იორის დასავლეთით რუკაზე ნაჩვენებია سكى (სქი) ეს უნდა იყოს შირვანის ცნობილი ქალაქი შაქი (شكى)[36]. რომელიც ავტორს დიაკრიტული ნიშნების გარეშე აქვს დაწერილი და მცდარად ლოკალიზებული.

რუკაზე არ არის სწორად ნაჩვენები ზაგემის მდებარეობა; იგი აღნიშნულია თბილისის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით თანამედროვე დუშეთის მიდამოებში.

---

31 ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 35; ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 401; 402; 403.

32 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

33 ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ს. ჯიქიას (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 124).

34 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 65.

35 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 17.

36 თანამედროვე ნუხა, აზერბაიჯანის სსრ სარაიონო ცენტრი.

საქართველოს გარდა ამილ აჰმედ ალ-კირამის რუკაზე ნაწილობრივ წარმოდგენილია ჩერქეზეთი, ალანეთი, ყაბარდო, ლეკეთი, ყუმუხი, დაღესტანი, შირვანი, მუღანი, განჯისა და ერევნის ოლქები, ყარსის, ჩილდირის, ტრაპიზონისა და არზრუმის ეიალეთები ზოგიერთი მნიშვნელოვანი პუნქტით.

Г. Г. АЛАСАНИЯ

# ГРУЗИЯ НА КАРТЕ «ДЖИХАН-НЮМА»


## Резюме

Статья касается одной из карт, приложенных к географическому произведению «Джихан-нюма» видного турецкого деятеля XVII века Кятиба Челеби (издано в г. Стамбуле в 1732 г.).

Автором карты Кавказа является Амил Ахмед Ал-Кирами. По картографическим признакам, а также историческим и топонимическим данным в статье карта датируется 1657—1690 годами.

На основе изучения карты и текста «Джихан-нюма» (описанию Кавказа посвящены 39, 40, 41 главы) и установления между ними существенной разницы автор приходит к выводу, что карта и сочинение составлены независимо друг от друга.

На карту нанесены главные города, поселки, реки и дороги Кавказа с соответствующими условными знаками.

Сличение с другими картами и с историческими источниками выявили ряд неточностей в передаче и локализации некоторых пунктов. Однако несмотря на это, карта представляет большой научный интерес для исторической географии.

მიხეილ ახობაძე

## ქუთაისის მაზრის გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან

საქართველოს მშრომელ გლეხობას რევოლუციური ბრძოლების მდიდარი ტრადიციები გააჩნია. იგი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მემამულეების, მეფის მოხელეების თუ სხვა სახის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ზოგჯერ მინელდებოდა და კვლავ ახალი ძალით იფეთქებდა. კლასობრივი ანტაგონიზმი განსაკუთრებით მწვავე და მასობრივ ხასიათს ატარებდა XIX საუკუნის 50—60-იან წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც ძველი, დრომოჭმული ცხოვრება თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ხოლო მის ადგილს კი ახალი იჭერდა — ფეოდალური ურთიერთობის ნანგრევებზე უფრო პროგრესული წარმოების კაპიტალისტური წესი მკვიდრდებოდა. ეს პროცესი ჩვენში მწვავე კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლების გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან თვალსაჩინო ადგილი უკავია სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის აჯანყებას. გლეხთა ამ აჯანყებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე არა მარტო საქართველოში, სადაც იგი მიმდინარეობდა, არამედ მთელს იმპერიაში. სამეგრელოს აღნიშნული აჯანყების გაგრძელებასა და გამოხმაურებას წარმოადგენდა გლეხთა აჯანყება ქუთაისის მაზრაში 1857 წელს[1] (ვანი, უხუთი, ზენობანი, ციხისუბანი, ამაღლება, ბაღდადი, გორა, სულორი, დიმი, ობჩა, ისრეთი, დვალიშვილები და სხვ.). მართალია ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა მღელვარების მოთავეებს, ბევრი მათგანი გაასახლეს შორეულ მხარეებში, მაგრამ ეს არ იყო მშვიდობის საიმედო გარანტია. ქუთაისის მაზრის გლეხობას არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. იგი 60-იანი წლების მეორე ნახევარში ახალი ძალით გაიშალა.

ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ და სხვა მომენტებმა აიძულა ხელისუფლება ეზრუნა გარკვეული ღონისძიების გატარებაზე საქართველოშიც. 1864 წლის 13 ოქტომბერს თბილისის, ხოლო ერთი წლით გვიან კი ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობა გაუქმებულად გამოცხადდა.

საგლეხო რეფორმის ადგილობრივი დებულების გამოცხადებას ბატონყმობის გაუქმების შესახებ ქუთაისის გუბერნიის გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

---

1 მ. გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე, საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში, 1857 წ. „საისტორიო მოამბე“, თბ., 1946, გვ. 33; მ. ა ხ ო ბ ა ძ ე, იმერეთის საბატონო ყმების აჯანყება 1857 წელს, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII-B, 1962.

ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების გზაზე უპირველესი ამოცანა საწესდებო სიგელების შედგენა იყო. დებულებით ნადელების გამოსყიდვამდე გლეხები მემამულეებთან დროებით ვალდებულებით ურთიერთობაში რჩებოდნენ. ეს ურთიერთობა საწესდებო სიგელით ფორმდებოდა. იგი გლეხთა დროებითი დამოკიდებულებითი ურთიერთობის იურიდიულ გაფორმებას წარმოადგენდა.

საწესდებო სიგელების შედგენისა და ცხოვრებაში გატარებისათვის დამტკიცებულ იქნა 47 მუხლისაგან შემდგარი სპეციალური წესები. სიგელების შედგენა უნდა დამთავრებულიყო თბილისის გუბერნიაში 1866 წ. 13 ოქტომბრისათვის, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1867 წლისათვის. პირველ ხანებში სიგელების შედგენა თვით მებატონეებს ევალებოდათ, მაგრამ უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, არ ჩქარობდნენ და საქმეს განზრახ აგვიანებდნენ.

საგლეხო რეფორმის ეს ღონისძიება სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. გუბერნიის მმართველობაში გამოიძახეს მომრიგებელ-შუამავლები, მიწისმზომელები და საგანგებო დავალებით გაგზავნეს სოფლებში. მთავრობას აშინებდა სოფლად შექმნილი მდგომარეობა, აწუხებდა ის ფაქტი, რომ სიგელების შედგენა გაძნელდა და გაჭიანურდა. ხელისუფლება მოითხოვდა იგი რაც შეიძლება დროულად დამთავრებულიყო, საქმეს კი დასასრული არ უჩანდა. მთავრობის ღონისძიებანი გლეხობის წინააღმდეგობას წააწყდა. გახშირდა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაცია, მეფის შეურაცხმყოფელი გამოსვლები, მომრავლდა გლეხი აგიტატორები.

სოფლად გაჩნდნენ ადამიანები, რომელნიც გლეხებს რეფორმის შესახებ სწორ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ, უხსნიდნენ მის მძარცველურ ხასიათს და მოუწოდებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. აგიტატორები სოფლის მკვიდრნი იყვნენ, კარგად ესმოდათ გლეხების ცხოვრება, მათი მდგომარეობა და ერთგულად იცავდნენ მათ ინტერესებს. სოფლად გაწეული აგიტაცია თანდათან დამაჯერებელი ხდებოდა. გლეხობა გრძნობდა, რომ „წამქეზებელთა“ მიერ წარმოთქმულ სიტყვებში ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე სრული ჭეშმარიტებით იყო ასახული დებულების ნამდვილი არსი, რეფორმის ბატონყმური ბუნება, მემამულეთა თვითნებობა, რომლის შედეგებსაც თვითონვე მწარედ განიცდიდნენ. გლეხობამ ირწმუნა აგიტატორთა ცოცხალი სიტყვა, გვერდში ამოუდგა მათ და ზოგჯერ იარაღით ხელში გამოდიოდა თავისი უფლებების დასაცავად. მთელ საქართველოს მოეფინა აგიტატორი გლეხები. შეურიგებელ ხასიათს ატარებდა რეფორმის საწინააღმდეგო აგიტაცია ქუთაისის გუბერნიაში[2].

თუ აგიტატორ გლეხთა ერთი ნაწილი თანამემამულეთა შორის მანიფესტისა და საგლეხო რეფორმის ადგილობრივი დებულების კრიტიკით შემოიფარგლებოდა, ურჩევდა გლეხებს უარი ეთქვათ, სიგელების ხელმოწერაზე, ნატურალურ და ფულად გადასახადებზე, მეორე ნაწილი უფრო გაბედულად მოქმედებდა, წერდა საჩივრებს, თვით მიდიოდა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოში, გლეხობის ინტერესების გამომხატველი და დამცველი იყო.

საქართველოს სოფელში რევოლუციურად განწყობილ ადამიანთა მოღვაწეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მან მალე თავისი შედეგი გამოიღო — ერთგვა-

---

[2] ცენტრალური სახელმწიფო არქივი (თბილისი), ფ. 5, საქმე 1302, ფურც. 3; ფ. 220, ანაწ. 1, საქმე 835.

რად შეაფერხა მთავრობის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება. თავი იჩინა იმ დროისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო გავრცელებულმა ფორმამ, უარის თქმამ ახალი ურთიერთობის დამკანონებელი სიგელებისათვის ხელმოწერაზე. ეს ბრძოლის სრულიად ახალი ფორმა დამახასიათებელი იყო ე. წ. „გარდამავალი პერიოდისათვის", რომელიც რეფორმის გატარების წლებს მოიცავდა.

ამრიგად, საგლეხო რეფორმის ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების დროს გლეხთა მღელვარებანი სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა, რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო მეტ მასას აერთიანებდა. საქართველოს სოფელი ღელავდა. იგი ამ დროს უპირატესად ყრუ საპროტესტო მოძრაობაში გამოიხატებოდა. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, რომ ამ ბრძოლის მონაწილე არ ყოფილიყო. გლეხთა გამოსვლები განუწყვეტელ ხასიათს ატარებდა.

გლეხები ცალ-ცალკე და ხშირად ჯგუფურად უარს ამბობდნენ ახალი ურთიერთობის დამკანონებელი სიგელების შედგენასა და ხელმოწერაზე. გლეხების მხრივ საწესდებო სიგელებზე ხელმოუწერლობა — საგლეხო რეფორმის ადგილობრივი დებულებისა და მანიფესტისადმი გლეხთა საპროტესტო მოძრაობის თავისებური გამოხატულება — კლასობრივი ანტაგონიზმის ახლებურად გამოვლინება იყო. 1869 წლის თებერვლისათვის ქუთაისის გუბერნიაში 43 316 კომლზე შედგენილ იქნა 11644 სიგელი. აქედან 27304 კომლმა ხელი მოაწერა 7218 სიგელს, ხოლო 16012 კომლმა კი არ მოაწერა ხელი 3436 სიგელს.

საგლეხო რეფორმის ამ პირველი ღონისძიების წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული სიმწვავით გაიშალა ქუთაისის მაზრაში, სადაც 7025 კომლიდან სიგელებს ხელი არ მოაწერა 4131 კომლმა (58,8%). ამ მხარეში მწვავე კლასობრივ ბრძოლაზე მიგვითითებს გუბერნატორის მოხსენების ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ხელმოუწერელ და ხელმოწერილ სიგელთა შეფარდებაზე. აქ ნათქვამია: „ქუთაისის მაზრაში ყოველი ორ სამ სიგელზე ერთი ხელმოუწერელია. ქუთაისის მაზრაში ხელმოუწერელ სიგელთა ასეთი დიდი რაოდენობა, — აღნიშნავდა გუბერნატორი,—ძირითადად აიხსნება ქალაქთან დიდი სიახლოვით, რადგანაც აქედან სულ უფრო ხშირად მოდიოდა სხვადასხვა ხმები დებულების შესახებ, რაც ადგილობრივი გლეხური მოსახლეობის მომრიგებელ-შუამავალთა მოქმედებისადმი უნდობლობას იწვევდა"[3].

ამ გარემოებას მართლაც შეეძლო გარკვეული როლი შეესრულებინა აქაურ მცხოვრებთა განწყობაზე, მაგრამ ძირითადი და მთავარი მაინც ის იყო, რომ ქუთაისის მაზრის გლეხები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამის მთავარ მიზეზს მცირემამულიან მებატონეთა სიმრავლე წარმოადგენდა, რომლებიც სულ იმას ცდილობდნენ, რომ ხელთ ეგდოთ მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც მათ გადატაკებულ გლეხებს გააჩნდათ.

საერთოდ სიგელების შედგენა დიდხანს გაჭიანურდა. იგი მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში ვერ ჩატარდა. ხელმოწერილ და ხელმოუწერელ სიგელთა შეფარდება საქართველოს სოფელში რეფორმის ირგვლივ კლასობრივი ბრძოლის სრულ სურათს მაინც ვერ იძლევა. სიგელზე „ხელმოწერის" ცნება პირობითია. ადგილი ჰქონდა მოტყუებას, მუქარასა და ძალადობას. ამიტომ ხელ-

3 ცსა (თბილისი), ფ. 220, საქ. 883, ფურც. 15.

მოუწერელ სიგელთა საერთო ციფრი ვერ ასახავს იმ დროისათვის შექმნილ მდგომარეობას; სხვადასხვა მაქინაციით გაფორმებული სიგელები „ნებაყოფლობით“ აქტად ითვლებოდა.

ადგილობრივი დებულების წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიაში ათასობით გლეხი აღსდგა მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ. არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, რომ გლეხთა ურჩობას არ ჰქონოდა ადგილი. სიგელების შედგენის დროს გლეხები გაერთიანებული ძალით ხვდებოდნენ მემამულეებსა და ადგილობრივ მოხელეებს, წინ ეღობებოდნენ მოძალადეთა ნება-სურვილს, ერთიანი ძალით იცავდნენ მამაპაპეულ მიწებს.

გლეხთა გამოსვლების იმ სერიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX ს-ის 60-იანი წლების საქართველოში, ერთ-ერთი საყურადღებო მომენტია დღემდე უცნობი, სოფ. ვანის (ქუთაისის მაზრის) 1866 წლის ივნისის გლეხთა მღელვარება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ არქივში კავკასიის მთავარმართებლობასთან არსებულ საგლეხო საქმეების მომწყობი კომისიის ფონდზე (220) მუშაობის დროს გამოვლენილი მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია დოკუმენტების ერთმა წყებამ, რომელიც სოფ. ვანის გლეხთა ზემოთ აღნიშნულ მღელვარებას ეხება. მიკვლეული დოკუმენტები უპირატესად წარმოადგენენ ოფიციალურ პირთა საქმიან მიწერ-მოწერას. ყურადღებას იქცევს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის სვიატოპოლკ-მირსკის მიერ შედგენილი 1866 წლის 2 ივნისითა და 6 ივლისით დათარიღებული მოხსენებითი ბარათები, გაგზავნილი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის ბარონ ნიკოლაის სახელზე, და აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც 1866 წლის 2 ივლისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკის გაეგზავნა[4].

ამ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი მიგვითითებენ, ჯერ ერთი, 1866 წლის ივნისის თვეში მომხდარ ისტორიულ ფაქტზე, მეორეც, მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე.

სამწუხაროდ, სადღეისოდ წარმოჩენილი მასალები მაინც ვერ იძლევა გლეხთა ამ მღელვარების ყოველმხრივ გაშუქების საშუალებას. მიუხედავად ამისა, მოპოვებული მასალებით მაინც შეგვიძლია მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვიდგინოთ გლეხთა ამ მღელვარების ზოგიერთი მხარე.

ადგილობრივი დებულებით ქუთაისის გუბერნიაში ახალი ურთიერთობის დამკანონებელი სიგელების შედგენა ფაქტიურად 1866 წლიდან დაიწყო. მემამულეები შეეცადნენ ეს მომენტი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. გლეხების კუთვნილი მიწები მათთვის ნადელებად მიეთვალათ. ამით მათ ორი კურდღლის დაჭერა უნდოდათ: ჯერ ერთი, ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ მიწის საკუთარი ფონდი და, მეორეც, გლეხებზე ერთხელ გაცემული მამულები მეორედ გაეყიდათ, ამგვარად ნადელების შესასყიდ ფულთან ერთად მიეღოთ ღალა და კულუხი, უზრუნველეყოთ თავისი მეურნეობა როგორც ფულით, ისე იაფი მუშახელით.

ამ გზას დაადგა სოფ. ვანში მცხოვრები მემამულე ნიკოლოზ ჩიჯავაძეც. 1866 წლის 15 ივნისს მან მოიწვია მიწისმზომელი და საწესდებო სიგელებს

---

[4] ცსა (თბილისი), ფ. 220, ანაწ. I, საქ. 895.

შედგენასთან ერთად შეუდგა გლეხთა მიწების მიზომვას. ჩქარა ყველაფერი ნათელი გახდა: მემამულე სრულიად ურცხვად, საგლეხო მიწებს გლეხებს ნადელებში უთვლიდა. გლეხკაცობა თავდაპირველად მოთმინებით ადევნებდა თვალს მოვლენათა მსვლელობას, მაგრამ როდესაც მემამულის თავნებობას საზღვარი არ უჩანდა, იძულებული გახდა მოძალადისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ბრძოლის გზას ჯერ ნიკოლოზ ჩიჯავაძის ნაყმევი სოფ. ვანში მცხოვრები აბრამიძეები დაადგნენ, შემდეგ კი ვაშაყმაძეები. მათ საჩივრით მიმართეს მომრიგებელ-შუამავალს, მოითხოვეს შეეჩერებინათ სიგელების შედგენა. საჩივართან ერთად გლეხებმა მომრიგებელ-შუამავალს წარუდგინეს ნადელში მიზომილი მიწების ნასყიდობის 67 ბარათი. გლეხების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან აშკარად ჩანდა, რომ მიწის ეს ნაკვეთები გლეხებისათვის მიუყიდია როგორც ნიკოლოზ ჩიჯავაძეს, ისე მის წინაპრებს. მემამულე ჩიჯავაძემ არ ცნო ეს ბარათები, ყალბად გამოაცხადა ისინი. იგი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა სიგელების შედგენასა და გლეხებისათვის სანადელო მიწების მიზომვის ბოლომდე მიყვანას. მემამულე ნიკოლოზ ჩიჯავაძის ამგვარ თვითნებობას მთელი სოფელი აღუდგა წინ. ნათელი გახდა, რომ ამ საქმის ისე მოგვარება, როგორც ეს ჩიჯავაძეს სურდა, შეუძლებელი იყო. მემამულემ ამჯერად სხვა ხერხს მიმართა: გადაწყვიტა სანადელო მიწების გამოყოფა გადაედო იმ დროისათვის, როცა მამაკაცები სოფლიდან იქნებოდნენ გასული. მიწისმზომელი და თავადაზნაურთა რაზმი საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, სათანადო განკარგულებას ელოდებოდნენ. 1866 წლის 15 ივნისს, მაშინ როდესაც ვანელი გლეხების დიდი ნაწილი სოფლის გარეთ იყო გასული, მემამულე ჩიჯავაძემ გადაწყვიტა თავისი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, საწესდებო სიგელების შედგენა და მასში საგლეხო მიწების ნადელებად მითვლა. იგი სასწრაფოდ შეუდგა მიწების გადაზომვას.

ჩიჯავაძის მოქმედების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ მოსახლეობას. სოფლად დარჩენილი გლეხები სახლებიდან გამოვიდნენ. მათ სხვებიც შეუერთდა. დიდი თუ პატარა ყველა ერთსულოვნად წინ გადაეღობა მემამულესა და მიწისმზომელს, ალყა შემოარტყეს მათ და მოითხოვეს სამუშაოს შეჩერება. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღით იმუქრებოდნენ.

გლეხთა ამ მღელვარების ძირითად ბირთვს აბრამიძეები და ვაშაყმაძეები შეადგენდნენ. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მღელვარე გლეხებს ჰყოლიათ წინამძღოლი. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ლევან ვაშაყმაძის პიროვნება. იგი თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული, წერა-კითხვის მცოდნე და თანასოფლელებს შორის კარგი ავტორიტეტის მქონე გლეხი ყოფილა. ადგილობრივ მოსახლეობას მისი სჯეროდა. გლეხობას იგი თავკაცად აურჩევია. ლევან ვაშაყმაძე თანასოფლელთა შორის ტრიალებდა და გლეხობას მემამულე ჩიჯავაძეების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. კიდევ მეტი, იგი საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანებდა თანასოფლელებს. როდესაც მემამულე ჩიჯავაძეები და მიწისმზომელი შეუდგნენ ვაშაყმაძეების მამულების გადამიჯვნას, ლევან ვაშაყმაძე „...თავად ჩიჯავაძის მიერ მოწვეულ მიწისმზომელს მიუხტა, ამოიღო ხანჯალი და სიკვდილით დაემუქრა მას“[5].

[5] ცსა (თბილისი), ფ. 220, საქ. 895. ფურც. 3.

ლევან ვაშაყმაძე თანასოფლელთა რწმუნებით თბილისში გაემგზავრა, იმის გასარკვევად და დასაზუსტებლად თუ „რამდენად მართალია ყველაფერი ის, რასაც აცხადებს ადგილობრივი ხელისუფლება რეფორმის შესახებ[6]. მოტანილი დოკუმენტიდან ყურადღებას იქცევს ორი გარემოება. ჯერ ერთი, ვაშაყმაძე ერკვევა არსებულ ვითარებაში, მეორეც, მას კარგად ესმის, რომ მემამულეები და ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად თვითნებურად წყვეტდნენ საკითხს; ამიტომ იგი უნდობლობას უცხადებს მათ და მეფისნაცვალთან მიემგზავრება. ლევან ვაშაყმაძის ასეთი მოქმედება, ერთი მხრივ, მის მაღალ საბრძოლო თვისებებსა და გამბედაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კი მის გულუბრყვილობაზე მეტყველებს. მას ჯერ კიდევ არ ესმოდა, რომ ხელისუფლების დაბალი და მაღალი ჩინის მოხელეებს ერთი ინტერესი ამოძრავებდათ, ერთ საქმესა და მიზანს ემსახურებოდნენ.

ლევან ვაშაყმაძეს თანაუგრძნობდა თანასოფლელები, გლეხების მოთმინების ფიალა თანდათან ივსებოდა და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო შეიარაღებული ინციდენტი. სოფელ ვანში შექმნილი ვითარება მალე გახდა ცნობილი ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოსათვის. მდგომარეობა თანდათან სერიოზულ სახეს იღებდა. მართალია, ამ გამოსვლაში პირველ ეტაპზე მონაწილეობდა 30 კომლი, მაგრამ ხელისუფლება სერიოზულად შეაშფოთა შექმნილმა მდგომარეობამ. ჩიჯავაძეს კვლავ მიეცა წინადადება განეხილა გლეხების მიერ წარდგენილი მიწის ნასყიდობის ბარათები. მემამულე ჯიუტობდა, უარს ამბობდა მოლაპარაკებაზე. მეფის მოხელეები შიშმა მოიცვა. ყოველგვარი ნიშნებით ჩანდა ვანელ გლეხთა მღელვარების გაფართოებისა და აჯანყებაში გადაზრდის საშიშროება. 1866 წლის 22 ივნისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლსკ-მირსკი კავკასიის მთავარმართებლობის უფროსს ბარონ ნიკოლაის წერდა: მომრიგებელ-შუამავლის ცდა მოერიგებინა მოდავე მხარეები უშედეგოდ დამთავრდა[7].

გლეხთა წინააღმდეგობა თანდათან ძლიერდებოდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით მღელვარების ადგილებში გაიგზავნა მაზრის უფროსის თანაშემწე ხოჯაშვილი. მისი ცდა — მშვიდობიანი გზით მოერიგებინა მემამულეებსა და გლეხებს შორის გამწვავებული მდგომარეობა—უშედეგოდ დამთავრდა. გადაწყდა მდგომარეობის შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით, რაც სავსებით შესაძლებელი იყო, ოპერატიული ზომების მიღება. მაზრის უფროსის თანაშემწემ შექმნილი მდგომარეობის შესახებ სასწრაფოდ მოახსენა ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს, ამ უკანასკნელმა — ქუთაისის გუბერნატორს, ხოლო თავის მხრივ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კი მოხსენებით ბარათს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს ბარონ ნიკოლაის.

გაიცა განკარგულება სოფ. ვანში ეგზეკუციის ჩაყენებისა და მოთავეების, პირველ რიგში კი ლევან ვაშაყმაძის, დაპატიმრების შესახებ. ხოჯაშვილის განკარგულებაში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი 25 კაზაკის შემადგენლობით. ხოჯაშვილმა სიტყვით მიმართა გლეხებს, იმუქრებოდა, მოუწოდებდა მათ ხელი აეღოთ ბრძოლაზე, სახლებში წასულიყვნენ, უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ მემამულეს, მაგრამ ამაოდ. თავის მხრივ გლეხობა მოითხოვდა ნადელების მიზომ-

6 ცსა (თბილისი), ფ. 220, საქ. 895, ფურც. 3.

7 ცსა (თბილისი), ფ. 220, საქ. 895, ფურც. 4.

ვის გადადებას. გლეხკაცობის ამგვარი მოქმედება გასაგებია. მათ იცოდნენ, რომ მემამულეები დათმობაზე არ წავიდოდნენ, მოსალოდნელ ბრძოლაში კი მათ ძალები არ ეყოფოდათ, ცდილობდნენ დრო მოეგოთ, თავი მოეყარათ სოფლის მცხოვრები ყველა გლეხისათვის. მაზრის უფროსის თანაშემწეს, რომელსაც გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა, კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა გლეხობის ასეთი განცხადება: თუ იმ გლეხებს, რომლებიც მემამულეების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გზას დაადგნენ, ნადელების მიზომვის გადავადების შემთხვევაში, დაემატებოდა სოფლიდან გასული გლეხებიც, წინააღმდეგობა უფრო გაძლიერდებოდა, მისი მასშტაბიც გაფართოვდებოდა. მაზრის უფროსის თანაშემწე თავდაპირველად ცდილობდა დაეშინებინა გლეხები, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა. მან დაინახა, რომ გლეხები არ აპირებდნენ უკან დახევას, კატეგორიულ უარს აცხადებდნენ სიგელების გაფორმებაზე და იარაღით იმუქრებოდნენ. აშკარად ჩანდა, რომ გლეხობის საბრძოლო განწყობა მაღალი იყო. ასეთ ვითარებაში იარაღის გამოყენება მართლაცდა მეტად სარისკო საქმე იყო, მით უმეტეს, რომ ვანელების მსგავსად უკმაყოფილებას აშკარად გამოთქვამდნენ სხვა სოფლის გლეხებიც. შეიძლება ეს ინციდენტი საყოველთაო სახალხო აჯანყების საბაბი გამხდარიყო. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ უმჯობესად მიიჩნია ნაწილობრივ უკან დახევა. მაზრის უფროსის თანაშემწის განცხადება ამ ეტაპზე უფრო ზომიერი ჩანს. მან მეორედ მიმართა გლეხებს და დაპირებას იძლეოდა, რომ გლეხთა საკუთრებაში არსებული მიწები ნადელებად არ იქნებოდა მიზომილი. იგი გლეხებს მოუწოდებდა, შეეგროვებინათ მიწის ნასყიდობის საბუთები, წარედგინათ მომრიგებელ-შუამავლისათვის და მოთმინებით დალოდებოდნენ მის განხილვას.

მართალია, დებულების ერთი მუხლი მემამულეებს უფლებას აძლევდა სადავო მიწები გლეხებისათვის ნადელებში მიეზომათ იმ პირობით, რომ, თუ გლეხები მასზედ თავის უფლებებს დაამტკიცებდნენ, უკანვე უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ გლეხთა წინააღმდეგობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მაზრის უფროსის თანაშემწე იძულებული გახდა უკან დაეხია. დებულების ამ პუნქტის ცხოვრებაში გატარება ამჯერად მან ვერ შეძლო. სოფ. ვანში დაბანაკებული დამსჯელი რაზმი ვერ ბედავდა იარაღის გამოყენებას; თავის მხრივ გლეხებიც ელოდებოდნენ მოვლენათა შემდგომ განვითარებას. მაზრის უფროსი შიშობდა და ცდილობდა დაეყოლებინა გლეხები. მან მეზობელი სოფლებიდან სასწრაფოდ მოიწვია „თავკაცები" და გაგზავნა მღელვარე გლეხებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ უშედეგოდ — გლეხები კვლავ განაგრძობდნენ წინააღმდეგობას.

1866 წლის ივნისის გლეხთა მღელვარებამ ვანში მეფის მოხელეებსა და ხელისუფლების ორგანოებში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ეს კარგად ჩანს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ ბარონ ნიკოლაის მისამართით გაგზავნილი ბარათიდან, სადაც ვკითხულობთ: „ვანში მცხოვრები ურჩი გლეხების საბრძოლო განწყობა თანდათან ძლიერდება და მან შეიძლება დიდი არეულობა გამოიწვიოს"[8]. მემამულე ჩიჯავაძისა და სოფ. ვანში მცხოვრებ ვაშაყმაძე-

---

[8] ცსა (თბილისი), ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 89, ფურც. 10.

აზრამიძეების ურთიერთობის საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა გუბერნიის მმართველობაში. ხელისუფლებას აშინებდა საქმის კიდევ უფრო გართულება. ამიტომ 1866 წლის 21 ივნისს ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს სხდომაზე საგანგებოდ იქნა გამოძახებული მემამულე ნიკოლოზ ჩიჯავაძე და მიეცა მითითება — მომრიგებელ-შუამავალთან ერთად სასწრაფოდ განეხილა გლეხების მიერ წარმოდგენილი ნასყიდობის ბარათები.

გუბერნიის სამმართველოშიც კი, სადაც გლეხების ინტერესების დაცვა არავის მოუვიდოდა აზრად, იძულებულნი გახდნენ ზოგიერთი მითითება მიეცათ მემამულეებისათვის. ერთ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს მიწერილობას გენერალ-გუბერნატორისადმი, ვკითხულობთ, რომ მემამულე ჩიჯავაძეს და გლეხებს შორის უკმაყოფილების აღმოფხვრის მიზნით ჩიჯავაძეს მიეცა წინადადება მშვიდობიანი მოლაპარაკება ეწარმოებინა გლეხებთან. ჩიჯავაძემ ასეთ მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა.

ამრიგად, გლეხობის მიერ წინააღმდეგობის გაწევამ აიძულა ხელისუფლება უკან დაეხია. მემამულეებმა ხელი აიღეს სადავო მიწების გლეხებისათვის ნადელებში მითვლაზე, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა.

სოფ. ვანის (ქუთაისის მაზრა) 1866 წლის ივნისის მღელვარება ერთი საყურადღებო მომენტი იყო გლეხთა იმ მასობრივი და მძლავრი მოძრაობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX ს-ის 60-იანი წლების საქართველოში და მიმართული იყო საგლეხო რეფორმის ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ.

რევაზ კიკნაძე

# ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ

ქართველ მემატიანეთაგან ფარსადან გორგიჯანიძემ პირველმა სცადა შეედგინა ჩვენი ქვეყნის ისტორია ძველი ხანიდან თავის დრომდე. მისი საისტორიო თხზულება, რომელიც XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშია შედგენილი, მოიცავს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიას ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII ს-ის მიწურულამდე. ასეთი ხანგრძლივი პერიოდის ამბების გადმოცემისას ავტორს, ბუნებრივია, სათანადო საისტორიო წყაროები უნდა გამოეყენებინა და გამოუყენებია კიდეც. ამ წყაროების ხასიათის მიხედვით აკად. ივ. ჯავახიშვილმა ფ. გორგიჯანიძის თხზულება პირობითად ოთხ ნაწილად დაყო და თითოეული ნაწილის შეფასებაც მოგვცა.

პირველ ნაწილად ივ. ჯავახიშვილმა მიიჩნია თხრობა თხზულების დასაწყისიდან თამარის გამეფებამდე. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების" მიხედვით არის შედგენილი. იგი თამარის გამეფებით იწყება და XIV ს-ის დამდეგამდე გრძელდება. მესამე ნაწილი მოიცავს XIV—XVII ს-ის პირველი მესამედის ამბებს და ძირითადად სპარსულ წყაროებს ემყარება. უკანასკნელ, მეოთხე ნაწილს შეადგენს თხრობა 1636 წლიდან ნაწარმოების დასასრულამდე. აქ ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანადამხდურია[1]. ასეთი დაყოფა ფარსადანის თხზულებისა ახლაც გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში[2].

აკად. ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა ფ. გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. მესამე და მეოთხე ნაწილების დიდი მნიშვნელობა XIV—XVII სს საქართველოს ისტორიის შესასწავლად. რაც შეეხება თხზულების პირველ ორ ნაწილს, ივ. ჯავახიშვილი, ვფიქრობთ, ზედმეტ სიმკაცრეს იჩენდა მათს შეფასებაში. მისი აზრით, პირველი ნაწილი „განსაკუთრებით ზეპირსა და „გაგონილ" ამბებზეა დამყარებული და ამის გამო მას ზღაპრული

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 291—298.

[2] В. Н. Габашвили, Историография Грузии (X—XVII вв.), წიგნში; Очерки истории исторической науки в СССР, М., 1955, გვ. 147; რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 96; დ. გვრიტიშვილი, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული კონცეფცია, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის II სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 7; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, თბ., 1968, გვ. 97—98.

ხასიათი აქვს"[3], ხოლო „მეორე ნაწილსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არცა ჰქონია და არცა აქვს, რადგან თვით მისი წყაროს დედანმა, საუცხოო ღირსებისამ[4], ჩვენამდის მოაღწია"[5].

უნდა აღინიშნოს, რომ ფ. გორგიჯანიძის ნაღვაწის მკაცრ შეფასებაში ივ. ჯავახიშვილს წინამორბედიც ჰყავდა და მიმდევრებიც. ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილი წერდა, რომ ამ ნაწარმოებში „თხრობა მეფე როსტომამდე შედგენილია ხალხური თქმულებების მიხედვით, თხრობის მკაცრი თანამიმდევრობის გარეშე და თარიღების აღუნიშნავად"[6]. ან კიდევ: „ცნობები მეფეთა შესახებ ვიდრე როსტომამდე, ამოღებულია ხალხური გადმოცემებიდან, მკაცრი თანამიმდევრობისა და კავშირის გარეშე და კრიტიკულ მიდგომას საჭიროებენ"[7]. როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილმა არათუ პირველი, მეორე და მესამე ნაწილებიც ხალხური გადმოცემების მიხედვით შედგენილად გამოაცხადა და საერთოდ უარყო ფარსადანის მიერ წერილობითი საისტორიო წყაროების გამოყენება.

პროფ. ს. კაკაბაძეც არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას ფ. გორგიჯანიძის თხზულების ე. წ. პირველსა და მეორე ნაწილებს. ის წერდა: „ფარსადანს განუზრახავს საქართველოს ისტორიის, უკეთ მატიანის დაწერა დაწყებული უძველეს დროიდან. მაგრამ თვით მის დროინდელ ლიტერატურულ სკოლის გაუვლელობის გამო ამ ამოცანისათვის ვერ უძლევია და ამიტომ მის ისტორიას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ნაწილებში, სადაც ფარსადანი რამოდენადმე სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით თავისებურს და ადგილობრივ გადმოცემათა მიხედვით შესაძლებელ გაშუქებას აძლევს ისტორიულ მოვლენებს"[8].

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემულ შეფასებას ემყარებიან ფ. გორგიჯანიძის თხზულების პირველი ნაწილის დახასიათების დროს აკად. ალ. ბარამიძე[9], პროფ. ვ. გაბაშვილი[10] და პროფ. დ. გვრიტიშვილი[11].

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია შეხედულება, თითქოს ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების პირ-

---

3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

4 ივ. ჯავახიშვილს ალბათ „ქართლის ცხოვრების" მარიამისეული ნუსხა ჰქონდა მხედველობაში.

5 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 292.

6 Д. Чубинов, Извести 0б историчэских сочинениях о Грузии на грузинском языке, и о тех, кои вошли в состав II части Истории Грузии. წიგნში: ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. მეორე, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. XVI.

7 იქვე, გვ. XXXII.

8 ს. კაკაბაძე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე", II, თბ., 1925, გვ. 198.

9 ალ. ბარამიძე, „ხოსროვ-შირინიანის" ქართული ვერსიებისათვის, „ლიტერატურული ძიებანი", I, თბ., 1943, გვ. 68.

10 В. Н. Габашвили, Историография Грузии (X—XVII вв.). გვ. 147.

11 დ. გვრიტიშვილი, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული კონცეფცია, გვ. 7 (თეზისებში ავტორი წერს: „პირველი ორი ნაწილი უფრო ფანტაზიას წარმოადგენს და ნაკლები მეცნიერული ღირებულებისაა"); დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, გვ. 97.

ველი ნაწილი, ე. ი. თხრობა ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან თამარის გამეფებამდე, მხოლოდ ზეპირ გადმოცემებზე იყოს დამყარებული. უნდა ითქვას, რომ ასეთი შეხედულება არ არის სწორი და მისი ასე ფართოდ გავრცელება თხზულების ტექსტის სრული შეუსწავლელობით აიხსნება.

ჩვენ ერთხელ უკვე გამოვთქვით აზრი გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. მეორე ნაწილის გამო და მისი ერთი მონაკვეთის ანალიზის საფუძველზე ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ იგი სრულიადაც არ არის მოკლებული მნიშვნელობას როგორც საისტორიო წყარო[12]. ამჯერად ფარსადანის თხზულების პირველ ნაწილს შევეხებით.

სავსებით სამართლიანად შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომ ამ ნაწილში ავტორს ბევრი უხეში შეცდომა აქვს დაშვებული. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ იგი საისტორიო წყაროებით არ სარგებლობდა. პირიქით, შეცდომების უდიდესი ნაწილი სწორედ ფარსადანის მიერ გამოყენებული წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ წყაროებს შორის, როგორც ჩანს, უპირატესი ადგილი სომხურ ენაზე არსებულ თხზულებებს ეჭირათ[13]. ამავე დროს ფ. გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონია აგრეთვე სპარსული ლიტერატურული წყაროები, საიდანაც ამოღებული აქვს მოთხრობა ხოსროვისა და შირინის მიჯნურობის შესახებ[14].

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი ფარსადანის მიერ თავისი თხზულების ე. წ. მეორე ნაწილის შესადგენად „ისტორიათა და აზმათა" და ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაწარმოების გამოყენების ფაქტი, მაგრამ პირველი ნაწილისათვის ქართული წყაროებით სარგებლობის საკითხი ჯერჯერობით დასმული არ ყოფილა[15].

ჩვენ სწორედ ერთ ასეთ ქართულ წყაროზე გვინდა შევჩერდეთ.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბის მოთხრობის

---

12 რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის.

13 ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ავტორს რომელიღაც შეცდომებით სავსე, მოკლე სომხური ხრონოგრაფი უნდა ჰქონოდა" (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 289).

14 ალ. ბარამიძე, „ხოსროვ-შირინიანის" ქართული ვერსიებისათვის, გვ. 68—69.

15 ს. კაკაბაძის აზრით, „ფარსადანი იცნობდა უსახელო შრომას ქართლის გაქრისტიანებისა და ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ, რომელიც შედგენილი უნდა იყოს მე-8—9 ს-ნის მიჯნაზე, რადგან მხოლოდ ამ შრომაშია ვახტანგის ჯაჭვის განახევის შესახებ მოთხრობილი... საზოგადოდ, ძველი ხანის შესახებ ქართული წყარო, გარდა ამ ცნობისა, ფარსადანს ხელთ არ უნდა ჰქონოდა" („საისტორიო მოამბე", II, გვ. 201). მოგვიანებით ს. კაკაბაძემ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ამავე ეპიზოდის გამო: „საფიქრებელია, რომ ეს თხრობა მან გადმოიღო პატარა თხრობათა შემცველ ერთ-ერთ სპარსულ ქრესტომატიიდან, სადაც ეს საქართველოს ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ამბავი შემთხვევით შემონახულა" (ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 62). ორივე ეს ვარაუდი მცდარია, რადგან მირიან მეფისა და ვახტანგის შესახებ თხრობის დასაწყისში ფარსადანი საგანგებოდ შენიშნავს: „აქა ცოტას რასმე ანბავს გაგონებულსა მირიან ქემწიფისასა და მისის შვილის (sic) ვახტანგ გორგასლისას დავსწერ, მაგრა წიგნი არ მინახავს. თუ ამათი ანბავი ვინმე წიგნათ ნახოთ, აქედამენ ჩაუმატეთ" (ხელნაწ. H 2492, ფ. 11v).

შემდეგ ფარსადანს მოტანილი აქვს სათაური: „რაც ანბავი ბაგრატონთა, რომ სომეხთ ცხოვრებაში სწერია მათი მოსვლა საქართველოში"[16].

ამ სათაურის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „თვით გორგიჯანიძე ერთს უცნაურად გამოთქმულს სათაურში ერთს თავის წყაროს ასახელებს. 28-ე გვერდზე[17] იგი წერს: „რაც (sic) ანბავი ბაგრატონთა (sic), რომ სომეხთ ცხოვრებაში სწერია მათი მოსვლა"[18]. ამ უთავბოლო წინადადებითგან მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს წყაროდ „სომეხთა ცხოვრება" ჰქონია. იქ წერებულა ის ცნობები, რომლითაც ასე უხვად ავსებს იგი თავისი თხზულების პირველს ნაწილს"[19].

დასახელებული სათაურის ქვეშ ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ „დარჩა დარბაზი და პალატნი საჴემწიფო უმამაცოთ და დედანი და ქალნი და მხლებელნი თავ-ცემით მტირალნი უპატრონონი. მოგროვდენ კარსა ჴემწიფისასა მეფენი, თავადნი და ერისთავნი; და ხევისბერნი და თემის უფროსნი ზოგნი ზოგთ მიუვიდნენ, ემსახურებოდნენ, ზოგნი ერთმანეთის ჯავრით არბევდნენ და აოჴრებდნენ თემსა; და მეფის კარით შიში და მორიდება აღარვის აქონდა. და ცხეთის ქალაქსა და საჴემწიფოს სახლსა და სალაროსა, ქვეყანასა და მოხელეებსა და მოსამსახურეთა დაეპატრონა კაცი სამღთო საქმის მეცნიერი, ჴკვიანი და წმინდათ გაზდილი და მართლმადიდებელი, სამართლის მოქმედი, მდიდართა და მდაბალთ შეფერებით პატივმცემელი, გლახათა და ქვრივ-ობოლთა შემბრალებელ-შემნახველი ბატონი კათალიკოზი მანაველ[20]. პატრონობდა სახლსა და ქვეყანას საჴემწიფოს მეფეთა მაგიერათ"[21]. შემდეგ ფარსადანი აღნიშნავს, რომ თითქოს ამ კათალიკოსმა მოიწვია კრება და მისი რჩევით, „გამოარჩიეს ქვეყნის თავად და თავიანთზედ უფროსად გურამ, ნათესავი დავითიანთ"[22].

შემდგომი ნაწყვეტის შინაარსმა გვაფიქრებინა მისი შედარება სუმბატ დავითის ძის თხზულების შესაბამის მონაკვეთთან. გამოირკვა, რომ ფარსადანს თითქმის სიტყვასიტყვით გადმოუწერია სუმბატის „ქრონიკის" ზოგიერთი ადგილი.

---

16 ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების პირველი და მეორე ნაწილი ჯერაც არ არის გამოცემული. ორ ნაწილად გაყოფილი ავტოგრაფული ნუსხა დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2492 და H 2140). ორი ხელნაწერი მოიპოვება აგრეთვე სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (H 23 და H 41).

17 ივ. ჯავახიშვილი H 23 ხელნაწერით სარგებლობდა.

18 ეს სათაური განსხვავებული პუნქტუაციით გამოქვეყნებული აქვს ს. კაკაბაძესაც: „რაც ამბავი ბაგრატონთა რომ სომეხთ ცხოვრებაში სწერია, მათი მოსვლა" („საისტორიო მოამბე", II, გვ. 202).

19 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 289.

20 ვახტანგის გარდაცვალების ჟამს კათალიკოსად იყო სამოელ I (474—502).

21 H 2140, ფ. 2v.

22 იქვე, ამგვარად, ფარსადანმა დაახლოებით სამი მეოთხედი საუკუნე გამოსტოვა და ერთ პირად წარმოიდგინა კათალიკოსები სამოელ I (ფარსადანთან — მანაველ) და სამოელ III (575—582).

| სუმბატ დავითის ძე | ფარსადან გორგიჯანიძე |
|---|---|
| § 8 მას ჟამსა კათალიკოსი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი, და გამოარჩიეს გუარამ დავითის ნათესავისაგან, მოწევნული ძმათა მისთა თანა ოსამს და ვარაზ-ვარდს, რომელნი იგი ზემო ვაქსენენით. § 9 ეს[ნი] წარმოეიდეს ეკლეცით, რომელნი მონათლა რაქაელ დედოფალმან ძმანი ჰური-ანნი ტყუეობით მოსულნი, ქუეყანით ფილისტიმით, და ნათელ იღეს ეკლეცს ჴელითა რაქაელ დედოფლისათა, რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი, რამეთუ ერთსა სახელსდვა მოშალე, და ერთსა ბაგრატ, რომელ არს მამა ბაგრატონიანთა, ერთსა აბგავარ, ერთი შემოიყუანა სიძედ, და ორნი მათგანნი ამზახნა სომხითის მეფესა. | ამან (კათალიკოსმა—რ.კ.) ქნა რჩევა და კრება. რაც ამან არჩია, ყველამ მოუსმინა და დაუჯერეს ბრძანება. გამოარჩიევეს ქვეყნის თავად და თავიანთზედ უფროსად გურამ, ნათესავი დავითიანთ, რომელი [მოსულიყო] ძმასთანა ილევეცითა, რომელმან მასთან ნათელი იღეს არაქიელ დედოფლისაგან, რომელი ზემორე დაიწერა. შვიდნი ძმანი ნათესავნი ჰურიანთა, მოსულნი ფილისტანითა არაქიელს თანა; სამმა (ხელნაწერებში: მამა) იცვალეს სახელები: ერთმან დაირქვა მუშიელ, მეორემ ბაგრატ, რომ მამა არს ბაგრატონთა, მესამემ დაირქვა აფქარ. ერთი თავისას მიიყვანა ზედსიძედ, ამათგან ორნი დაამზახლა სომეხთ მეფესა. |
| § 10 ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვაქსენეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად, და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატიავად კურაპალატობა. და ამან დასდვა საფუძველი ჯუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთა. | და ოთხნი ძმანნი წავიდნეს ქართლსა, ვითაც რომ ზემო დაიწერა. გურამ გააჩინეს ერისთავად და კურატპალატად დასვეს. მან დასდვა საფუძველი ჯვარი[ს] ეკლესიისა მცხეთისასა. |
| § 11 ხოლო სამი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საჰაკ დაემზახა ბაკურს, ძესა ნერსესსა, და უსამ [და] ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა [ბაჰარ ჩუბინისსა და ვეზან მოკლეს] და დაიპყრეს მათ კამბეჩანი. | და სამნივე ძმანი წაეიდნენ ნერსესისასა, ბაკურიძისასა, დაემძახლნეს. და უსამან და ვარაზამ და ვარდან კანბეჩოანით წავიდნეს ერზნგეს, ერისთავს ბაჰარ ჩუბინისასა, და ვეზან მოკლეს და დაიჭირეს კანბეჩოანი. |
| § 12 და იყო მას ჟამსა მცხეთას კათალიკოზი სამოეელ[23]. | იმ დროს სამოველ კათალიკოზი იჯდა მცხეთასა[24]. |

როგორც ვხედავთ, ფარსადანი ისე ბრმად მისდევს თავის წყაროს, რომ მისი მიბაძვით ორჯერ იმეორებს — „რომელი ზემორე დაიწერა“ და „ვითაც რომ ზემო დაიწერა“-ო, თუმცა კი ზემოთ არ უხსენებია ის ამბები, რომელთაც სუმბატი მართლაც ორჯერ გადმოგვცემს.

ამგვარად, ირკვევა, რომ თავისი საისტორიო ნაწარმოების შედგენის დროს ფ. გორგიჯანიძეს ქართული წყაროებიდან გამოუყენებია სუმბატ დავითის ძის „ქრონიკა“, თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ჟამთააღმწერლის თხზულება. აღსანიშნავია, რომ ვახტანგამდელი ნუსხებიდან ეს სამივე ნაშრომი მოიპოვება მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ და აგრეთვე უკანასკნელ ხანს აღმოჩენილ ნუსხაში, რომელიც 1697 წელს გადაუწერიათ მ ც ხ ე თ ი ს „ქართლის ცხოვრებიდან“[25] (არის აგრეთვე

23 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 27, თბ., 1949, გვ. 59.

24 ხელნაწერი H 2140, ფ. 2v.

25 ა. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 3, 1960.

მაჩაბლისეულ ნუსხაშიც, რომელიც თუმცა 1736 წ. არის გადაწერილი, მაგრამ შედგენილობითა და მოცულობით ძალიან ჰგავს მარიამისეულს). როგორც ჩანს, ფარსადანსაც ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ამავე ტიპის, ამავე შედგენილობის ნუსხა. ეს სავსებით ბუნებრივიც არის, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი ისტორიკოსი, მისივე თქმით, როსტომ მეფის გაზრდილი იყო[26] და სამეფო კარზე იმყოფებოდა იმ დროს, როცა მარიამ დედოფლის განკარგულებით „ქართლის ცხოვრების“ გადანუსხვა ხდებოდა.

ფ. გორგიჯანიძემ სუმბატის „ქრონიკის“ მხოლოდ ერთი მცირე მონაკვეთი გამოიყენა. ძნელი სათქმელია, ამ თხზულების მხოლოდ ეს ნაწყვეტიღა იყო დარჩენილი მის ხელნაწერში, თუ საჭიროდ არ სცნო დანარჩენის გადმოღება. სამაგიეროდ, სუმბატისაგან განსხვავებით, ფარსადანს მოეპოვება გუარამის ძმების მიერ ვეზანის მოკვლისა და კამბეჩოანის დაკავების ამბის ორიგინალური და საინტერესო გაგრძელება:

„ამაზედ თბილის ქალაქის უფროსნი და ქალაქთ უხუცესნი და მემკვიდრენი[27] იწყინეს და ნამეტნავად გაჯავრდნეს და იწყინეს მოკვლანი ვეზანისა. კაცნი აახლეს სამაველ კათალიკოზსა[28] და [აუწყეს] სტუმართა და მძახალთაგან სიკვდილი სახლის პატრონისა, კანბეჩოვანის პატრონის. იწყინა ესები კათალიკოზმან, ვითაც იუდა კარიოტელი, მწვალებელი იესოს ქრისტესი, შვიდ გზით დაჰკრულა და შეაჩვენა მრავლის წყევლით, და წარმოსთქვა სიტყვა ძნელი, და ძველნი ზნენი დავითიანთა — მოკვდინება მემშურნობითა თავისის ძმისა ურიასი, მეუღლის შვენებისათვის და სიტურფის დომისათვის მოსაკლავად გაგზავნა — კათალიკოზმან გაბედა ძნელად სათქმელნი სიტყვანი: გაცხადებით, მაღლის ხმით წამოიძახა მიუნდობლობა ნათესავთა დავითიანთა და საქმე მათი“[29].

საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფარსადანმა თვითონ შეთხზა ეს პასაჟი, უფრო მოსალოდნელია, რომ მან რაღაც წყაროთი ისარგებლა. მაგრამ, თუ დავითიანთა „ძველ ზნეთა“ ასეთი მკაცრი შეფასების ავტორად სუმბატ დავითის ძეს დავიგულებთ, მაშინ უთუოდ გადასასინჯი შეიქნება ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება ბაგრატიონთა გვარისადმი მისი კუთვნილების შესახებ.

ფარსადან გორგიჯანიძის მიერ სუმბატ დავითის ძის თხზულების გამოყენების ფაქტის დადგენა მრავალმხრივ არის საყურადღებო.

1. ირკვევა, რომ ფ. გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. პირველი ნაწილი ზეპირი და გაგონილი ამბების საფუძველზე არ არის შეთხზული. სომხურსა და სპარსულ წერილობით წყაროებთან ერთად ჩვენს ავტორს XI საუკუნის ქართული ძეგლიც გამოუყენებია.

---

26 „როსტომ მეფემ ვითაც შვილი გამზარდა“ (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოც., გვ. 297).
27 „მემკვიდრეს“ ფარსადანი მ კ ვ ი დ რ ი ს მნიშვნელობით ხმარობს.
28 იგულისხმება სამოელ IV (582—591).
29 ხელნაწერი H 2140, ფ. 2v—3r.

2. კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „უკვე XV—XVII სს ნუსხებში მოი-პოვება ზოგიერთი ის შესწორება და შევსება, რომელიც XVIII ს-ის ნუსხებს ახასიათებს“[30].

როგორც ცნობილია, სუმბატის „ქრონიკის“ სრული ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაშია დაცული[31]. ამ ნუსხის მიხედვით: „უსამ: ვარზავარად: წარვიდეს: კამბეჩოანს: და: გარდაუქციეს: ერი: ვეზა̄ნს: ერისთა-ვი: და: დაიპყრეს: მათ: კამბეჩოანი“[32]. „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში (XVIII ს-ის პირველი ნახ.), სადაც სუმბატის თხზულება ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ დაშლილად არის შეტანილი სხვადასხვა ადგილას, იკითხება: „ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩიანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერის-თავსა ბ ა ჰ ა რ ჩ უ ბ ი ნ ი ს ს ა დ ა ვ ე ზ ა ნ მ ო ჰ კ ლ ე ს, და დაიპყრეს მათ კამბეჩიანი“[33]. როგორც ვხედავთ, XVII ს-ის ნუსხისაგან განსხვავებით თე-იმურაზისეულში აღნიშნულია, რომ ვეზანი ბაჰრამ (ბაჰარ) ჩუბინის მიერ იყო დანიშნული ერისთავად და რომ ეს ვეზანი გუარამის ძმებმა მოჰკლეს. ფარსა-დანსაც უწერია: „უსამან და ვარაზამ და ვარდან კანბეჩოანით წავიდნეს ერზნ-გეს, ერისთავს ბ ა ჰ ა რ ჩ უ ბ ი ნ [ი]ს ა ს ა, დ ა ვ ე ზ ა ნ მ ო კ ლ ე ს და დაიჭირეს კანბეჩოანი“[34]. ამგვარად, ირკვევა, რომ ფ. გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონია ისეთი ხელნაწერი, სადაც ეწერა ზემოთ გახაზული სიტყვები, რომლე-ბიც არ არის მარიამისეულ ნუსხაში და ვახტანგისეული ნუსხებიდანაც მხო-ლოდ თეიმურაზისეულში მოიპოვება.

3. შესაძლებელი ხდება სუმბატ დავითის ძის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტება.

სუმბატი აღნიშნავს, რომ „ძმა მისი (გუარამის— რ. კ.) სახელით საჰაკ, წარ-ვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს“ (§ 4). ცოტა ქვემოთ კი იგი წერს: „სა-ჰაკ დაემზახა ბაკურს, ძესა ნერსესა“ (§ 11). ამგვარად, ერთი ცნობით, საჰა-კი ნერსეს დამოყვრებია, ხოლო მეორეთი — ბაკურს, ნერსეს ძეს[35]. ფარსადა-ნის მიხედვით, — „სამნივე ძმანი წავიდნენ ნერსესისასა, ბაკურიძისასა, დაემ-

30 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის ნუსხა, თბ., 1942, გვ. XLVI. შდრ. მ ი ს ი ვ ე, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955. გვ. 025; „ამიერიდან ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის მეცნიერ კაცებს ვერ მივაწერთ იმ შესწორებებს, რომლებსაც აქამდე ვაწერდით მათ. ამ შესწორებათა თუ დამატებათა ე რ თ ი ნ ა წ ი ლ ი უკვე „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოიპოვება“.

31 აგრეთვე მაჩაბლისეულ ნუსხაშიც.

32 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 339.

33 ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, I, მ. ბროსეს გამოც., სპბ., 1850, გვ. 165, შენ. 1 (ხაზგასმა ჩვენია).

34 ფარსადანთან სუმბატის „ქრონიკის“ ტექსტი შერყვნილია: საერთოდ არ იხსენიება საჰაკი, სახელი „ვარაზვარდ“ გაყოფილია ორად—ვარაზ და ვარდან; შეცდომით არის აღნიშ-ნული, რომ ძმები „კანბეჩოანით წავიდნეს ერზნგეს“ (უნდა: „კანბეჩოანს წავიდნეს ვეზანი-სას“).

35 ასევეა ე. თაყაიშვილის რუსულ თარგმანშიც: „Брат же Гуарама, по имени Саак, отправился в Кахетию и посредством брака породнился с Нерсесом“; „Саак породнился посредством брака с Бакуром, сыном Нерсеса“ (СМОМПК, 28, 1900, გვ. 121, 123).

ძახლნეს“[36]. ფ. გორგიჯანიძის ამ ჩვენების საფუძველზე, სუმბატის მეორე წინადადება (§ 11), ვფიქრობთ, შეიძლება ასე გაიმართოს: „საჰაკ დაემზახა ბაკურის ძესა ნერსეს“[37]. ამით მოისპობა წინააღმდეგობა სუმბატ დავითის ძის ორ ცნობას შორის. ასეთი გასწორება მით უფრო მართებული ჩანს, რომ ჯუანშერის ცნობით, სწორედ ამ ხანებში, VII ს-ის დამდეგს, კახეთის ერისთავად ყოფილა ადარნასე[38] ბაკურის ძე, რომელიც სტეფანოზ I-ის შემდეგ ქართლის ერისმთავარი გახდა[39].

4. რაც შეეხება ფ. გორგიჯანიძის მიერ მოხსენიებულ „სომეხთა ცხოვრებას“, მას, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არა აქვს სუმბატ დავითის ძის თხზულებასთან. როცა მიუთითებს, — „სომეხთ ცხოვრებაში სწერია მათი მოსვლა საქართველოში“-ო, ფარსადანს მხოლოდ იმის თქმა სურს, რომ ბაგრატიონთა საქართველოში მოსვლის[40] ადრე მოთხრობილი ამბავი, სომხური წყაროდან აქვს ამოღებული.

Р. К. КИКНАДЗЕ

## ОБ ОДНОМ ГРУЗИНСКОМ ИСТОЧНИКЕ ПАРСАДАНА ГОРГИДЖАНИДЗЕ

(Резюме)

Историческое сочинение Парсадана Горгиджанидзе, составленное в последней четверти XVII века, охватывает историю Грузии и соседних стран со времени распространения в Картли христианства до конца XVII в. В грузинской историографии распространено мнение, будто до сих пор не изданная, т. н. первая часть сочинения (от его начала до конца XII в.) основана лишь на устных преданиях и лишена всякого научного значения.

В настоящей статье установлено, что рассказ о появлении в Грузии представителей рода Багратиони заимствован Парсаданом Горгиджанидзе из сочинения Сумбата Давитис-дзе (XI в.). Таким образом, выясняется, что при написании первой части своего труда П. Горгиджанидзе использовал не только армянские и персидские сочинения (об этом также говорится в работе), но и грузинский источник.

---

36 როგორც ენახეთ, ფარსადანი არ იცნობს საჰაკ სახელს, ამიტომ მან სამივე ძმა „დაამძახლა“ ნერსეს.

37 შესაბამისად გასწორდება რუსული თარგმანიც: „Саак породнился посредством брака с Нерсе, сыном Бакура“.

38 საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზ. ალექსიძის ცნობით, ადარნასეს (ადრნერსე, ატრნერსე) ნაცვლად ნერსეს ხმარების შემთხვევა გვხვდება „ეპისტოლეთა წიგნის“ უხტანესისეულ ვერსიაშიც.

39 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 225.

40 ხელნაწერი H 2492, ფ. 4v—5r.

ნანა ხაზარაძე

# ჰეროდოტე და მატიენების ლოკალიზაციის საკითხი

მატიენების (Ματιηνοί, Ματιανοί, Matiani) ისტორია დღემდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი, თუმცა ჰეროდოტესეული მატიენების (Ματιηνοί) ლოკალიზაციის საკითხით არაერთი სპეციალისტი დაინტერესებულა.

ქართველი ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი და სხვ.) მატიენების ლოკალიზაციის საკითხს ძირითადად მოსხებისა და სასპეირების ადგილსაცხოვრისის შესწავლასთან დაკავშირებით ეხებიან.

ჰეროდოტეს ორი ცნობისა (I, 202, III, 94) და სხვა დამატებითი მონაცემების საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილი მატიენებს გვიანდელი ბასიანის მახლობლად, სასპეირების აღმოსავლეთით ათავსებდა[1].

ს. ჯანაშია მატიენების შესახებ ჰეროდოტესთან დაცული ცნობების (I, 72, 189, 202; III, 94; V, 49, 52; VII, 72—73) ურთიერთშედარების გზით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ბერძენი ისტორიკოსის წარმოდგენაში მატიენებს ეჭირათ მთელი ჩრდილოეთი მესოპოტამია, მერმინდელი სომხეთის სამხრეთი და ანატოლიის აღმოსავლეთი ნაწილები[2].

ჰეროდოტეს ცნობებს ეყრდნობა, როგორც ჩანს, გ. მელიქიშვილი, რომელსაც მატიენებს სასპეირების სამხრეთით, ვანის ტბის დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ათავსებს[3].

ე. ფორერი ჰეროდოტეს ერთ-ერთი ცნობის (I, 72) საფუძველზე, მატიენებს გვიანანტიკური ხანის კამანენეს ტერიტორიაზე, მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) აუზში ვარაუდობდა[4].

ი. დიაკონოვის აზრით, ჰეროდოტესეული მატიენები ბინადრობდნენ მდინარეების — ჰალისისა და არაქსის სათავეების მახლობლად (I, 72, 202; V, 49) და იმ ოლქში, სადაც სათავეს იღებს მდ. ტიგროსის ერთ-ერთი შენაკადი —

---

1 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 18.

2 ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, „შრომები“, II, თბ., 1952, გვ. 53—55 და სხვ.

3 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 266.

4 E. Forrer, Die Provinzeinteilung des assyrischen Reiches, Lpz., 1920, გვ. 77.

დიდი ზაბი (I, 189; V, 52)[5]. მიახლოებით ამავე რაიონებში ეგულება მატიენები ი. ალიევსაც[6].

ჰეროდოტესეული მატიენების შესახებ ცნობები გეოგრაფიული თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

პირველ ჯგუფში შევა ორი ცნობა, რომელთაგან ერთი დაცულია „ისტორიის" I წიგნში. კერძოდ, კაპადოკიელებზე საუბრისას ჰეროდოტე ამბობს: „მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი იყო მდ. ჰალისი, რომელიც მომდინარეობს არმენიის მთიდან კილიკიაზე, ხოლო შემდეგ რომ მიმდინარეობს, მარჯვნივ არიან მატიენები, მეორე მხარეს კი ფრიგიელები; ამ ქვეყნებს რომ ჩაუვლის, მიმდინარეობს ზემოთ ჩრდილოეთისაკენ და იქ საზღვრავს სირიის კაპადოკიელებს, ხოლო მარცხნივ პაფლაგონიელებს" (I. 72)[7].

უფრო ქვემოთ, ქსერქსეს ლაშქრის აღწერისას ჰეროდოტე გვაცნობებს: „...ლიგიები, მატიენები, მარიანდინები და სირიელები ისევე იყვნენ შეიარაღებულნი, როგორც პაფლაგონიელები. პაფლაგონიელებსა და მატიენებს წინამძღოლობდა დოტოსი, მეგასიდრეს ვაჟი, ხოლო მარიანდინებს, ლიგიებსა და სირიელებს დარიოსისა და არისტოპეს ვაჟი — გობრიოსი. ფრიგიელები პაფლაგონიელების მსგავსად შეიარაღებულნი ლაშქრობდნენ..."[8].

როგორც ვხედავთ, „ისტორიის" I, 72-ში მატიენებისა და სირიელი კაპადოკიელების ადგილსამყოფელი მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) რკალის შიგნით იგულისხმება, ხოლო ფრიგიელებისა და პაფლაგონიელებისა — მის გარეთ. ამავე დროს, რაკი ბერძენი ისტორიკოსი მდ. ჰალისთან მცხოვრებ ტომებს ამ მდინარის დინების მიმართულებით ჩამოთვლის უნდა ვიფიქროთ, რომ მატიენები და ფრიგიელები კილიკიელების (resp., მაზაკა — კაისერის ოლქის)[9] ჩრდილოეთითა და დასავლეთით სახლობდნენ, ხოლო სირიელი კაპადოკიელები და პაფლაგონიელები — მატიენების ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით.

„ისტორიის" VII, 72-ში პაფლაგონიელებთან მატიენების მეზობლობაზე უფრო გარკვევითაა ნათქვამი („პაფლაგონიელებსა და მატიენებს წინამძღოლობდა დოტოსი, მეგასიდრეს ვაჟი"). ამასთან, იქ ახალი მასალაა მოცემული მატიენების გეოგრაფიული გარემოცვის შესახებაც. როგორც ვხედავთ, მატიენებსა და სირიელ კაპადოკიელებთან ერთად VII, 72, 73-ში დამატებით მოხსენიებული არიან ლიგიები და მარიანდინები. გარდა ამისა, VII, 72—73 იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ იგი ადასტურებს I, 72-ის მითითებას ფრიგიელებთან მატიენების მეზობლობის შესახებ.

---

[5] И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ереван, 1968, გვ. 17, შენ. 19, შდრ. მისივე, История Мидии, М.-Л. 1956, გვ. 138 და შენ. 5.

[6] И. Алиев, История Мидии, Баку, 1956, გვ. 67, და შენ. 10.

[7] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 63—64.

[8] Herodotus, VII, 72, 73.

[9] H. Winckler, Die Reiche von Cilicien und Phrygien im Lichte der altorientalischen Inschriften, „Altorientalische Forschungen", Zweite Reiche, I, Lpz., 1898, გვ. 123 შმდ.; E. Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 76; ნ. ხაზარაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიიდან, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966, გვ. 34 შმდ.

ამგვარად, ზემომოტანილი ორი ცნობის შუქზე, მატიენების ეს გაერთიანება საძიებელია მდ. ჰალისის რკალის შიგნით, პაფლაგონიელების, სირიელი კაპადოკიელების და ფრიგიელების მეზობლად.

ბუნებრივია, რომ მატიენების ქვეყნის უფრო ზუსტი ლოკალიზაციისათვის ზემოჩამოთვლილი ტომების ადგილსაცხოვრისის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

პაფლაგონიელების, სირიელი კაპადოკიელებისა და ფრიგიელების შესახებ წერილობითმა წყაროებმა არაერთი საყურადღებო ცნობა შემოგვინახეს. ადრეული ხანის ვითარების ამსახველი წყაროების მონაცემებით, თავდაპირველად პაფლაგონიელების სამოსახლო ტერიტორიის ფართობი არცთუ ისე დიდი ყოფილა. ასე, მაგალითად, „ილიადას“ ავტორის ჩვენებათა მიხედვით, ტროელთა მოკავშირე პაფლაგონიელები სამხრეთ შავიზღვისპირეთში, მდ. პართენიოსსა (დღევანდელ კოჯა-ირმაკსა) და ეგიალს (დღევანდელ ჯილეს) შორის მდებარე ოლქში სახლებულან[10]. ფსევდო სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. IV ს-ე) მოწმობით კი, პაფლაგონიელების ქვეყანა აღმოსავლეთით ტეტრაკისამდე ვრცელდებოდა, ხოლო დასავლეთით — ჰერაკლეამდე (დღევანდელ ერეღლიმდე). ამავე ავტორის თანახმად, პაფლაგონიელების მეზობლები აღმოსავლეთით ასირიელები იყვნენ, ხოლო დასავლეთით — მარიანდინები[11]. აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს-ე) „არგონავტიკის“ მონაცემებითაც პაფლაგონია საძიებელია ერთი მხრით, ბითვინიელებისა, ხოლო მეორე მხრით, ასირიელების მეზობლად, მდ. ბილეოსის (დღევანდელ ენჯე-ირმაკის) აღმოსავლეთითა და ქ. სინოპეს (დღევანდელ სინოპის) დასავლეთით (Ap. Rhod., Arg., II, 790; IV. 300 და სხვ.). მიახლოებით ამავე ტერიტორიაზე (ტიოსსა[12] და არმენეს[13] შორის მდებარე ოლქში, ბითვინიელებისა და ხალიბების მეზობლად) ათავსებს პაფლაგონიას გვიანანტიკური ხანის ავტორი პომპონიუს მელაც (ახ. წ. I ს.), რომლის „დედამიწის აღწერილობამ“ ძველი ვითარების ამსახველი არაერთი ცნობა შემოგვინახა[14].

ძვ. წ. V ს-დან მოყოლებული წერილობით წყაროებში პაფლაგონიის აღმოსავლეთი საზღვარი არსებითად განსხვავებულად არის წარმოდგენილი: ჰეროდოტე (I, 6; 72)[15] და უფრო გვიანდელი ხანის რიგი ავტორები[16] ამ ქვეყნის აღ-

---

10 Il., II, 851—855. პაფლაგონიაში მდებარე გეოგრაფიულ პუნქტებს „ილიადას“ ავტორი ასეთი თანამიმდევრობით ჩამოთვლის: ენეტისი, კიტორი, სესამი, მდ. პართენიოსი, ერითინის მთა, ეგიალი და კრომნა. როგორც სტრაბონის, ფლავიუს არიანესა და გვიანდელი ხანის სხვა ავტორების საშუალებით ვგებულობთ, პონტოს ზღვის სანაპიროზე დასახლებული პუნქტების განლაგება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ასეთი იყო: მდ. პართენიოსი (დღევ. კოჯა-ირმაკი), ენეტისი, სესამი, ერითინის მთა, კრომნა (დღევ. კურუჯა-შილე), კიტორი და ეგიალი (დღევ. ჯილე). იხ მაგ., Strabo, XII, 3,9, და სხვ.

11 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 51.

12 ტიოსი (დღევ. ჰისარონოუ) მდ. პართენიოსის (დღევ. კოჯა-ირმაკის) შესართავთან მდებარეობდა.

13 არმენეს მდებარეობის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება. ჩვეულებრივ მას სინოპეს (დღევ. სინოპის) დასავლეთით ათავსებენ.

14 ალ. გამყრელიძე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, I, თბ., 1965, გვ. 27—29.

15 თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 60—64.

16 Strabo, XII, 3,9.

მოსავლეთ საზღვარს მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) ქვემო დინების გასწვრივ დებენ და, მაშასადამე, ქ. სინოპეს პაფლაგონიის საზღვრებში აქცევენ. პაფლაგონიის აღმოსავლეთით მდ. ჰალისის გაყოლებაზე ჰეროდოტე სირიელი კაპადოკიელების ქვეყანას ათავსებს, ხოლო სამხრეთით — დიდ ფრიგიას (I, 6: 72).

რაკი მდ. სანგარიოსის (დღევ. საკარია) ზემო და შუა დინების მომცველი ოლქი უხსოვარი დროიდან დიდი ფრიგიის ფარგლებში შედიოდა (იხ. ქვემოთ), ჰეროდოტესეული პაფლაგონიის სამხრეთი საზღვარი, დაახლოებით დღევანდელ ისქილიფ-ჩანკირი-ბოლუს ხაზზე უნდა გავატაროთ.

პაფლაგონიის დასავლეთით ჰეროდოტეს ბითვინიელებისა და მარიანდინების მიწები ეგულება.

პაფლაგონიის ქვეყნის ჰეროდოტესეული განსაზღვრის რეალურ ხასიათზე მიუთითებს სტრაბონის (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.) „გეოგრაფიაში“ შემონახული ცნობები. ასე, სტრაბონის თანახმად, პაფლაგონია იყოფოდა ზღვისპირა და შიდა ოლქებად (XII, 3,9). ზღვისპირა პაფლაგონიაში მდებარეობდა ამასტრია[17] (დღევ. ამასრა), ეგიალის სანაპირო (დღევ. ჯილესთან), კარამბისის კონცხი (დღევ. კერემპე), კინოლისი (დღევ. კინოგლუ), ანტიკინოლისი, აბონუტეიხოსი, არმენე და სინოპე (XII, 3, 10—12), ხოლო განგრა (დღევ. ჩანკირი) — პაფლაგონიის შიდა რაიონის ქალაქი იყო (XII, 3, 41). პაფლაგონიას აღმოსავლეთით ლევკოსირიელები ესაზღვრებოდნენ, სამხრეთიდან — ფრიგიელები, დასავლეთიდან — მარიანდინები და ბითვინიელები, ხოლო ჩრდილოეთიდან — ევქსინის პონტო (XII, 3,9).

როგორც ზემოთ დავინახეთ, მატიენებთან ტერიტორიულად დაკავშირებული სირიელი კაპადოკიელებიც პაფლაგონიელების უშუალო მეზობლები იყვნენ.

სირიელების განსახლების უძველესი სურათის ამსახველი წყაროების ერთი ჯგუფი მათ სამხრეთ შავიზღვისპირეთში, მდ. ჰალისის დასავლეთით მდებარე ოლქში ათავსებს და სინოპესაც (დღევ. სინოპს) სირიელთა (ასირიელთა) ქალაქად წარმოგვიდგენს. ასე, მაგალითად, აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს-ე) „არგონავტიკის“ თანახმად, ჩვენთვის საინტერესო ტომები კარამბისის (დღევ. კერემპე-ბურნუს) აღმოსავლეთითა და ირის-ჰალისის (დღევ. იეშილ-ირმაკ-ყიზილ-ირმაკის) დასავლეთით ბინადრობდნენ (II, 945—965). კალისთენეს (ძვ. წ. IV ს.), მოწმობით, სირიელები მდ. პართენიოსის (დღევ. კოჯა-ირმაკის) გაყოლებაზე კავკონებს ემეზობლებოდნენ (Strabo, XII, 3,5), ხოლო ფსევდო სკიმნოს ქიოსელთან[18] (ძვ. წ. II—I სს), სტრაბონთან[19], პლუტარქესთან[20] (ახ. წ. I ს.) და დიონისიოს პერიეგეტთან[21] (ახ. წ. II ს.) შემონახული

---

17 სტრაბონის მოწმობით, სახელწოდება „ამასტრია“ ოთხ ძველ დასახლებას — სესამს, კიტორს, კრომნასა და ტიეას ეწოდა. იხ. Strabo, XIII, 3, 10 და შმდ.; შდრ. Ill., II, 851—855.

18 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, გვ. 99.

19 Strabo, XII, 3,5.

20 პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, თბ., 1957, გვ. 80.

21 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, გვ. 159.

ძველი ცნობების შუქზე სირიელები ოდესღაც ქ. სინოპესა და მის შემოგარენში ბინადრობდნენ.

ასევე ძველი ვითარების ამსახველი უნდა იყოს ჰეროდოტესთან და ფსევდოსკილაქს კარიანდელთან (ძვ. წ. IV ს.) დაცული ის ცნობებიც, რომელთა შუქზე სირიელებს (ასირიელებს) ეკუთვნოდათ მდ. ჰალსის როგორც დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია:

ჰეროდოტეს ცნობით, სირიელები მდ. თერმოდონტიდან (დღევ. თერმე-სუდან) მდ. პართენიოსამდე ცხოვრობდნენ (I, 202). ფსევდო სკილაქს კარიანდელის ჩვენებით კი, ასირიელების მიწა-წყალი აღმოსავლეთით იასონიამდე (დღევ. იასუნ-ბურუნამდე) ვრცელდებოდა, რის შემდეგ ხალიბების ქვეყანა იწყებოდა, ხოლო დასავლეთით ტეტრაკისამდე ანუ პაფლაგონიელების ქვეყნამდე („პერიპლუსი“ 88—90)[22].

ჰეროდოტემ და ზოგიერთმა სხვა ავტორმა სირიელების ქვეყნის დასავლეთი საზღვრის აღწერილობის კიდევ ერთი, გვიანდელი, ვარიანტი შემოგვინახეს. ჰეროდოტესა და სტრაბონის თანახმად, სირიელებისა (ლევკოსირიელებისა) და პაფლაგონიელების საზღვარი მდ. ჰალისის ქვემო დინების გასწვრივ გადიოდა (Herodotus, I, 6, 72, 76 და სხვ.; Strabo, XII, 3, 9, 12). სკიმნოს ქიოსელისა და იმავე სტრაბონის მოწმობით კი ამისო ლევკოსირიელების ქალაქი იყო[23].

მდ. ჰალისის აღმოსავლეთით ძვ. წ. VI—V სს-ში სირიელების განსახლებაზე ზემომოტანილ მონაცემებთან ერთად ჰეკატე მილეტელის (ძვ. წ. VI ს.) ერთი ფრაგმენტიც უნდა ლაპარაკობდეს.

ლევკოსირიელებთან დაკავშირებით სტეფანე ბიზანტიონელი (ახ. წ. VI ს.) ჰეკატე მილეტელს ორგზის იმოწმებს: პირველად, ლევკოსირიელების ქალაქ თეირიას ხსენებასთან დაკავშირებით („თეირია, ლევკოსირიელების ქალაქი. ჰეკატე (ასახელებს „აზიაში“)[24], ხოლო მეორედ, ლევკოსირიელების მეორე ქალაქ ხადისიაზე საუბრისას („ხადისია ლევკოსირიელების ქალაქი. ჰეკატე „გენეალოგიების“ მეორე წიგნში [ამბობს]: „თემისკირა დაბლობია ხადისიადან თერმოდონტამდე“[25]).

ჰეკატესეული პირველი ფრაგმენტის მიხედვით საკმაოდ ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ სად ეგულება ბერძენ ავტორს სირიელების ეს ქალაქი. (სხვა ავტორებთან ქ. თეირიას ხსენებას არ ვხვდებით). ამ თვალსაზრისით, მეტ ინფორმაციას შეიცავს ჰეკატეს მეორე ფრაგმენტი. რადგან მასში „ხადისიასთან“ ერთად იხსენიება „მდ. თერმოდონტი“, რომლის იგივეობა დღევანდელ თერმე-

---

22 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, გვ. 51.

23 იქვე, გვ. 99; Strabo, XII, 3, 9; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 211.

24 St. Byz. s. Τείρια; FGH, ფრ. 201; იხ. აგრეთვე, RE, V, A I. 1934, გვ. 132; რადგან სირიელი კაპადოკიელების აღმნიშვნელი სახელწოდების ერთ-ერთი ვარიანტი — „ლევკოსირიელი“ ეფორეზე (ძვ. წ. IV ს.) ადრეულ წყაროებში არ გვხვდება, სავსებით სწორია გ. გოზალიშვილი, როდესაც იგი სტეფანე ბიზანტიელის მიერ ნახმარ ფორმას — „ლევკოსირიელი“ ჰეკატედან მომდინარედ არ მიიჩნევს. (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 125—126 და შენ. 3).

25 St. Byz., s. Χαδισία, FGH, ფრ 200; ВДИ № 1, 1947. გვ. 301; RE, III, II, 1899.

სუსთან საყოველთაოდ ცნობილია და „თემისკირას დაბლობი“, რომლის ადგილმდებარეობის დადგენა სტრაბონისა და სხვა ავტორების ცნობათა საფუძველზე ხერხდება. ასე, სტრაბონის ცნობებით, თემისკირას ანუ ამაზონთა დაბლობი პონტოსპირეთის იმ ოლქს მოიცავდა, რომელსაც მდინარეები თერმოდონტი (დღევ. თერმე-სუ) და ირისი (დღევ. იეშილ-ირმაკი) რწყავდნენ (I, 3,3)[26]. თემისკირას დაბლობი ორი ნაწილისაგან შედგებოდა, რომელთაგან პირველი შავი ზღვის პირას იყო განლაგებული, ხოლო მეორე — ქვეყნის შიგნით, პონტოს მთებამდე ვრცელდებოდა (XII, 3, 15)[27] და აღმოსავლეთიდან სიდენეს (დღევ. ბულემანთან) ოლქი ესაზღვრებოდა[28].

თუ თემისკირას დაბლობის მდებარეობის ამსახველ სტრაბონისეულ მონაცემებს ჰეკატეს მეორე ფრაგმენტს შევუდარებთ, დავინახავთ, რომ თემისკირას დაბლობის აღმოსავლეთ საზღვარზე (მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთით) ქ. ხადისიას მოთავსება სავსებით გამორიცხულია, რადგან ამ შემთხვევაში მდ. ირისი და ტერიტორია ამ უკანასკნელსა და მდ. თერმოდონტს შორის თემისკირას დაბლობის ფარგლებს გარეთ მოექცევა (როგორც დავინახეთ, სტრაბონის მოწმობით, მდ. ირისი, ისევე როგორც მდ. თერმოდონტი, თემისკირას დაბლობზე მოედინებოდა). აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჰეკატესეული ხადისია, მდ. ირისის (დღევ. იეშილ-ირმაკის) დასავლეთით მდებარეობდა, ამ უკანასკნელსა და მდ. ჰალისს შორის მდებარე ოლქში. ხადისიას ამგვარ ლოკალიზაციას, ზემოაღნიშნულის გარდა მხარს უჭერს აგრეთვე მენიპე პერგამონელის (I ს.) „პონტოს პერიპლუსის“ ერთი ადგილი, რომლის თანახმად, (როგორც სტეფანე ბიზანტიონელი იმოწმებს), ლიკასტიიდან ხადისიას დასახლებამდე და ამავე სახელწოდების მდინარემდე 150 სტადიონია (მიახლოებით 25 კმ.), ხოლო ხადისიადან მდ. ირისამდე (დღევ. იეშილ-ირმაკამდე) — 100 (მიახლ. 17 კმ)[29]. საგულისხმოა ისიც, რომ აპოლონიოს როდოსელი ხადისიას და ლიკასტიას თემისკირას დაბლობზე მცხოვრებ ამაზონებთან დაკავშირებით იხსენიებს (II. 996—1000)[30].

ჰალისისპირელი მატიენების მესამე მეზობელ ხალხს ფრიგიელები შეადგენენ, რომლებიც „ილიადას“ მეორე სიმღერის თანახმად ტროელთა მოკავშირეები იყვნენ, მათი სამშობლო, ჰომეროსის ცნობით, „შორეულ ასკანიაში“ მდებარეობდა (II, 862—863). ფრიგიის მდებარეობის წარმოსადგენად „ილიადა“ სხვა საგულისხმო მონაცემებსაც გვაძლევს: მესამე და მეთექვსმეტე სიმღერების სათანადო ადგილების მოწმობით, ფრიგიელები მდ. სანგარიოსთან (დღევ. საკარიასთან) ცხოვრობდნენ (III, 184—190; XVI, 715—719).

ფრიგიის ლოკალიზაციისათვის პოემაში არაპირდაპირი ხასიათის მონაცემებსაც ვპოულობთ. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ფრიგიის დასახელების შემცველ კონტექსტებში პოე-

---

26 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 78.

27 იქვე, გვ. 202.

28 იქვე, გვ. 93, 130—139, 214. თემისკირას დაბლობის სტრაბონისეულ ლოკალიზაციას აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ არსებული მასალაც ადასტურებს (იხ. Ap. Rhod., Arg., II, 965—1000).

29 St. Byz., s. *Χαδισία*.

30 იხ. აგრეთვე, თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, გვ. 51; შდრ. ალ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

მის ავტორი ხშირად იხსენიებს მეონიას (ლიდიას) (III, 461; X, 430, XVIII, 290—291), რომლის მეზობლობა დიდ ფრიგიასთან ასახულია ძვ. წ. V—IV საუკუნეებისა და უფრო გვიანდელი ხანის წერილობით წყაროებში[31].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფრიგიის აღმოსავლეთი საზღვარი ჰეროდოტეს მდ. ჰალისთან ეგულებოდა (I, 72). მითითებული ცნობის გარდა, ამ მხრივ, ქსერქსეს ლაშქრობის მარშრუტის ჰეროდოტესეული აღწერიდანაც საკმაოდ კარგად ჩანს, რომ კაპადოკიიდან ფრიგიაში მოსახვედრად აუცილებელი იყო მდ. ჰალისის გადალახვა (VII, 26). გარდა ამისა, ჰალისი სასაზღვრო მდინარის როლში გამოდის ე. წ. „სამეფო გზის" აღწერილობის შემცველ ნაწყვეტშიაც (V, 52)[32].

ჰეროდოტეს წარმოდგენაში ფრიგიის უახლოესი მეზობლებია: აღმოსავლეთიდან — კაპადოკია, ჩრდილოეთიდან — პაფლაგონია, სამხრეთ-დასავლეთიდან—კარია, ხოლო დასავლეთიდან — ლიდია. ლიდია-ფრიგიის სასაზღვრო პუნქტად ბერძენი ისტორიკოსი ქ. კირდრარას ასახელებს (VII, 30).

ფრიგიის ლოკალიზაციისათვის ჰეროდოტემ კიდევ რამდენიმე საგულისხმო ცნობა შემოგვინახა. კერძოდ, ქსერქსეს ლაშქრობის აღწერისას ბერძენი ისტორიკოსი კელენეს, ანავს და კოლოსს ფრიგიის ქალაქებად წარმოგვიდგენს (VII, 30). ამათგან კელენეს მდ. მეანდროსის (დღევ. დიდი მენდერესა) და მდ. კატარაქტას სათავეების სექტორში ათავსებს (VII, 26), ხოლო ანავს—ამავე სახელწოდების ტბასთან (დღევ. აჯი-გიოლთან)[33]. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ჰომეროსისაგან განსხვავებით, ფრიგიაზე საუბრისას ჰეროდოტე არც მდ. სანგარიოსს (დღევ. მდ. საკარიას) იხსენიებს და არც ამ უკანასკნელთან მდებარე რომელიმე პუნქტს. მიუხედავად ამისა, მისი ზოგიერთი არაპირდაპირი ხასიათის მონაცემი, უპირველეს ყოვლისა კი გორდიოსისა და მიდასის არაერთგზის მოიხსენიება (I, 14, 35 და სხვ.), რომელთაც ძველბერძნული ზეპირი და წერილობითი ტრადიცია სწორედ სანგარიოსთან მდებარე გორდიონ-მიდაეონთან აკავშირებს, გვაფიქრებინებს, რომ ბერძენ ისტორიკოსს მდ. სანგარიოსის ზემო და შუა დინების რაიონი ფრიგიის ტერიტორიად ჰქონდა წარმოდგენილი.

ისევე, როგორც ჰეროდოტე, ქსენოფონტიც ფრიგიას, ლიდიასა და კაპადოკიას შორის ათავსებს[34]. ამასთან იგი ახალ ცნობებსაც გვაწვდის ფრიგიის ლოკალიზაციისათვის. ასე, „ანაბასისის" ჩვენებით, იკონიონი (დღევ. კონია) ფრიგია-ლიკაონიის საზღვარზე მდებარეობდა (I, 2, 19). „საბერძნეთის ისტორიის" მიხედვით კი, მდ. სანგარიოსის სანაპიროსთან განლაგებული გორდიონი (დღევ. იასი-ჰუიუქი) ფრიგიელთა ქალაქი იყო (I, 4,1).

---

[31] იხ. მაგალითად, Herodotus, I, 72; V, 49; VII, 72. ჰომეროსისეული ფრიგიის ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით იხ. A. Körte, Gordion, Berlin, 1902, გვ. 13 და შმდ.; W. F. Albright, Some Oriental Glosses on the Homeric Problem, AJA, 54, 1950, გვ. 173.

[32] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 100.

[33] ანავის ტბა (დღევ. აჯი-გიოლი) სულ მცირე მანძილითაა დაშორებული იმ ტბიდან, რომელსაც გვიანანტიკური ხანის წერილობითი ტრადიციის თანახმად „ასკანია" ერქვა (იხ. Arr., Anab. Alex., I, 29,1) ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, ამ ასკანიას ხომ არ გულისხმობს „ილიადას" ავტორი, როდესაც ამბობს, რომ ფრიგიელები „შორეული ასკანიიდან" მოვიდნენო. იხ. III., II.862—863.

[34] Xenoph., Anab, I, 2,5; I, 9,7, XII, 8,25., Cyr., VII, 4,16; VIII, 6,7 და სხვ.

ფრიგიის ქალაქების რიცხვში ჰეროდოტეს მიერ ნახსენებ კოლოსსა და კელენესთან ერთად, ქსენოფონტი დამატებით ასახელებს პელტიოსს, კასტროპედიონს, ტიმბრიონს, ტირეიონს და ზემოთითებულ იკონიონ-გორდიონს[35].

ამგვარად, მოტანილი ცნობების შუქზე, დიდ ფრიგიას უჭირავს მცირე აზიის შიდა რაიონები მდ. მეანდროსისა (დღევ. დიდი მენდერესა) და მდ. სანგარიოსის (დღევ. საკარიას) ზემო და შუა დინებების სექტორებში. მისგან აღმოსავლეთით კაპადოკია და ლიკაონია მდებარეობდა, დასავლეთით — ლიდია, სამხრეთ-დასავლეთით — კარია, სამხრეთით — პისიდია, ხოლო ჩრდილოეთით — პაფლაგონია.

ფრიგიის ამგვარ ლოკალიზაციას გვიანდელი ხანის ავტორებიც ემხრობიან: სტრაბონის მოწმობით, ეფორე ამბობდა, რომ პისიდიელები, მისიელები, ხალიბები, ფრიგიელები და მილიები შუა ქვეყანაში მოსახლეობენო (Strabo, XIV, V, 23). თვით სტრაბონის ცნობებითაც, დიდი ფრიგია ის ქვეყანა იყო, რომელსაც ესაზღვრებოდნენ მისია, ლიდია, კარია, პისიდია, კაპადოკია, პაფლაგონია და ბითვინია. სტრაბონისათვის ცნობილია ძველფრიგიული ისეთი ქალაქები, როგორიცაა გორდიონი, მიდაეონი და კელენე (XII, 4; XIII, 15). დიდი ფრიგიის ლოკალიზაციისათვის სტრაბონს ახალი დეტალებიც შემოაქვს. ასე, მაგალითად, იგი იხსენიებს კარია-ფრიგიის სასაზღვრო ქალაქ კარურას (XII, 17). „გეოგრაფიიდან“ იმასაც ვგებულობთ, რომ თათას ტბა (დღევ. ტუზ-გიოლი) დიდი ფრიგიის მეზობელ ოლქში მდებარეობდა (XII, 5, 4), რომ აპამეა და ლაოდიკეა დიდი ფრიგიის ყველაზე მსხვილი ქალაქები იყო (XII, 8, 13—16) და ა. შ.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის შუქზე, ერთადერთი სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომელიც მატიენური ტომების ერთ ჯგუფს მოათავსებს მდ. ჰალისის რკალის შიგნით, დღევ. ჩორუმ-ზილე — ტოკატის სამხრეთითა და დასავლეთით (resp., დიდი კაპადოკიის უკიდურეს დასავლეთ ოლქში).

ზემომოტანილ მასალებთან ერთად, მატიენების ამგვარი ლოკალიზაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგიც: სტეფანე ბიზანტიონელის თანახმად, მატიენების ერთ-ერთი ქალაქი ჰიოპე, გორდიების მეზობლად მდებარეობდა[36]. მცირე აზიის ტოპონიმიკის შესწავლა კი ცხადჰყოფს, რომ „გორდ-“ ძირიანი გეოგრაფიული სახელები („გორდიონი“, „გორდუტეიხოსი“, „გორდორუნიოსი“, „გორდუკომე“, „მანე-გორდუსი“ და სხვ.)[37] დიდი ფრიგიის სწორედ იმ სექტორში იყო გავრცელებული, რომელიც პაფლაგონიას სამხრეთის მხრიდან ეკვროდა, ხოლო მდ. ჰალისის აუზს — დასავლეთიდან.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ შუა ჰალისთან ახლომდებარე ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს, დღევ. ნევშეხირის მახლობლად, დღევ. სოფ. Matchan-ის მიდამოებში, გვიანანტიკურ და ბიზანტიურ ხანაში „მატიანე“ ერქვა[38].

მატიენების ზემოწარმოდგენილი ლოკალიზაციის სისწორეზე, ჩვენი აზრით, პომპონიუს მელას (იხ. წ. I ს.) „დედამიწის აღწერილობაში“ შემონახული

---

[35] Xenoph., Anab., I, 2, 6—19; Hel., I, 4,1.

[36] St. Byz., ʽΥωπη, FHG, fr., 189; FGH, fr. 287.

[37] W. M. Ramsay, Historical Geography of Asia Minor, London, 1890, გვ.გვ. 210, 244, 246, 421—422.; იხ. აგრეთვე, St. Byz., s.s. Γορδίειον, Γορδίουτεῖχος.

[38] W. M. Ramsay, დასახ. ნაშრ., გვ. 282, 295.

ერთი ძველი ცნობაც ლაპარაკობს, სადაც მატიენები (მატიენების ფორმით) ტიბარანების (იგივე ტიბარენების) გვერდით იხსენიებიან[39] (ეს უკანასკნელნი იმავე პომპონიუს მელასა და უფრო ადრინდელი ავტორების — ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, ფსევდო სკილაქს კარიანდელის, სტრაბონისა და სხვათა მოწმობით, ქ. კოტიორადან (დღევ. ორდუდან) პონტოს მთებამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ[40]).

აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ძველი წყაროების თანახმად, ტიბარენები ემეზობლებოდნენ აგრეთვე კაპადოკიელ სირიელებსაც[41], რომლებიც, როგორც ჰეროდოტეს ცნობების (I, 72; VII, 72, 73) ანალიზმა გვიჩვენა, მატიენების მახლობლად ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ჰეკატე მილეტელი (ძვ. წ. VI ს.) მატიენებს მოსხების გვერდით ათავსებს[42]. ჰეროდოტეს „ისტორიის" (III, 94; VII, 78) მოწმობით კი, მოსხები ტიბარენების უახლოესი მეზობლები იყვნენ[43] და ეკავათ დღევ. ტოკატ-ყარაჰისარ-გუმუშხანეს სექტორი[44].

ამგვარად, ზემომოტანილი მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ მატიენების ერთი ჯგუფი ძვ. წ. VI—V სს-ში მდ. ჰალისის აუზში ცხოვრობდა, დღევ. ჩორუმ-ზილე-ტოკატის ხაზის სამხრეთით. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ამ ტომებს კილიკიელების მიწა-წყალი ესაზღვრებოდა, სამხრეთ-დასავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან (მდ. ჰალისის გაყოლებაზე) — ფრიგიელებისა და პაფლაგონიელებისა, ჩრდილოეთიდან — კაპადოკიელი სირიელებისა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — ტიბარენებისა და უკანასკნელთა სამხრეთით მცხოვრები მოსხებისა.

მატიენების შესახებ ჰეროდოტეს ცნობების მეორე ჯგუფს მდ. ჰალისის აუზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე გადავყევართ. „ისტორიის" I წიგნიდან ვგებულობთ, რომ მდ. არაქსი მატიენების ქვეყანაში იღებდა სათავეს (I, 202). დარიოსისეული მეთვრამეტე სატრაპიის აღწერილობიდან კი ირკვევა, რომ მატიენების ამ გაერთიანების მეზობლები სასპეირები და ალაროდიელები ყოფილან (ჰეროდოტე ამბობს: „მატიენებს, სასპეირებსა და ალაროდიელებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი. ესაა მეთვრამეტე სატრაპია" (III. 95)[45].

დაბოლოს, ჰეროდოტესეული ცნობების მესამე ჯგუფის მოწმობით, მატიენების ქვეყანაში გინდე (დღევ. დიალა) და ძაბატე მე-2 (დღევ. მცირე ზაბი) იღებდნენ სათავეს (I, 189, 202; V, 52), ხოლო თვით ქვეყანა არმენიასა და

---

39 ალ. გამყრელიძე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 23—25.

40 Pomp. M'el. Chor., I, 19, 106; ალ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29; შმდ.

41 იხ. ზემოთ, გვ. 126, და შმდ.

42 St. Byz., s. *Μόσχοι*; FHG, fr. 188; FGH, fr. 288.

43 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 18; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 105; ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ; „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 11 და შმდ.

44 Н. В. Хазарадзе, Гекатеевы матиены „Тезисы докладов V Всесоюзной сессии по древнему Востоку", Тб., 1971, გვ. 98—100.

45 თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 75.

კისიას შორის მდებარეობდა (V, 49,52)[46]. რადგან გინდედიალასა და ძაბატე-მცირე ზაბის სათავეების ადგილმდებარეობა კარგადაა ცნობილი[47], ამიტომ მითითებულ ცნობებში მოხსენიებული მატიენები ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთით უნდა მოვათავსოთ[48], კერძოდ, არმენიის[49] სამხრეთ-აღმოსავლეთითა და კისიის[50] ჩრდილოეთით.

მატიენების ამგვარი ლოკალიზაციის სისწორეზე გვიანანტიკური ხანის წერილობითი ტრადიციაც ლაპარაკობს. ამ მხრივ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ძვ. წ. I—ახ. წ. II საუკუნეების ავტორები (სტრაბონი, კლავდიოს პტოლემაიოსი)[51] ურმიის ტბას „მანტიანეს" (ვარიანტები — „მარგიანე", „მარტიანე") ეძახიან, ხოლო საკუთრივ მატიენებს (მატიანების ფორმით, არმენია-მიდიას შორის ათავსებენ[52].

---

[46] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 99—101.

[47] RE, ss. Γύνδης. Ζάβατος.

[48] შდრ. И. М. Дьяконов, Истори т Мидии, გვ. 138, შენ. 5.

[49] არმენიის მდებარეობის აღწერისას ჰეროდოტეს დარღვეული აქვს გეოგრაფიული პერსპექტივა: დიდი და მცირე ზაბისა (ძაბატე პირველისა და მეორეს) და დიალას (გინდეს) შუა დინების შემცველ ოლქებს ბერძენი ისტორიკოსი არმენიის ფარგლებში აქცევს, რაც სწორი არ არის. (იხ. Herodotus, V, 49, 52; შდრ. Xenoph., Anab., IV, 3).

[50] კისიის ლოკალიზაციისათვის ჰეროდოტე ერთ საგულისხმო ჩვენებას გვაძლევს. ამ უკანასკნელის თანახმად, მდ. ხოასპესთან (დღევ. მდ. კერხესთან) მდებარე ქ. სუზა კისიელთა მიწა-წყალზე მდებარეობდა (V, 52). საყურადღებოა სტრაბონის მონათხრობიც, ქ. სუზას უძველეს მოსახლეობას კისიელები ერქვა, ქ. სუზას დამაარსებლის ტიფონის მეუღლის კისიას პატივსაცემადო (Strabo, XV, 3,2), ხოლო სუსიდა (ქ. სუზას შემცველი „ქვეყანა") ბაბილონეთსა და პერსიდას შორის, ამ უკანასკნელის ჩრდილოეთით მდებარეობსო (Strabo, XV, 3, 4 და სხვ.),

[51] Strabo, II, 1, 14; XI, 8, 1; 8, 7, 14,8; შდრ. XI, 13,2; Cl. Ptolem. VI, 2,5; იხ. აგრეთვე, Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Петербург, 1908, გვ. 419 და შენ. 1.

[52] ჰეროდოტეს შემდეგდროინდელი ზოგი ავტორის ცალკეული მითითებიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ მატიენების ერთ ნაწილს ურმიის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ოლქი ეკავა. ასე, პოლიბიოსი (ძვ. წ. 205—123 წწ.) მატიანებს (resp., მატიენებს) კადუსიების გვერდით იხსენიებს (V, 44,9), ხოლო ამ უკანასკნელებს სხვა ავტორები კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრებ ტომებად წარმოგვიდგენენ (იხ., მაგალითად, Strabo, XI, 7, I; 8, 8 და სხვ.).

Н. А. БРЕГАДЗЕ

# ФАНТАСТИКА СКАЗКИ И ЭТНОГРАФИЯ

Грузинская сказка — блестящий пример народного фантастического творчества. Ряд вопросов, связанных с нею, изучен грузинскими фольклористами. Цель же данной статьи, исходя из положения, что в основе всякой фантастики лежит реальность[1], разъяснить с позиции данных народного быта, этнографии, возникновение лишь некоторых фантастических сюжетов. Точнее, показать какие данные религиозного мышления легли в основу осмысления явлений, встречаемых в сказке.

Разумеется, подобная постановка вопроса не нова[2], однако исследования этого порядка должны быть особенно интересны на нынешнем этапе развития науки, когда перед фольклористами стоит задача раскрытия связи сказочных образов с жизнью[3], когда все чаще и чаще дебатируются различные аспекты взаимоотношения этнографии и смежных или родственных дисциплин. Фольклор же — один из важнейших этнографических источников[4]. (В истории грузинской фольклористики также не раз ставился вопрос о фольклоре, как об определенном историческом и этнографическом источнике)[5].

Для разъяснения поставленного вопроса приведем два примера:

В грузинской сказке неоднократно происходит действие в подземелье, где средством передвижения, а также и выхода из подземелья на землю является баран[6]. В некоторых сказках баран заменен пегасом[7]. Что легло в основу возложения подобных функций на этих животных? С первого взгляда, относительно лошади это кажется естественным, поскольку она и на земле в течение долгого времени являлась почти единственным и главным средством передвижения, чего нельзя сказать о баране. Думается, что в данном случае в разъяснении поставленного вопроса поможет этнографический материал.

---

[1] А. М. Горький, Собрание сочинений, т. 27, М., 1953, стр. 105; Дм. Нагишкин, Сказка и жизнь, М., 1957, стр. 21, 45, 68, 122; Е. Б. Вирсаладзе, Грузинская сказка, «Избранные грузинские народные сказки» (на груз. яз.), Тб., 1949, стр. 16—17.

[2] В. Я. Пропп. Исторические корни волшебной сказки, Л., 1946, стр. 14, 19—20; 22; Е. М. Мелетинский, Герой волшебной сказки, М., 1958, стр. 8; Л. Г. Бараг, Сказочная фантастика и народные верования, «Советская Этнография» («СЭ»), 1965, № 5.

[3] Дм. Нагишкин, указ. труд, 68.

[4] К. В. Чистов, Фольклор и этнография, «СЭ», 1968, № 5.

[5] М. Чиковани, Грузинский фольклор (на груз. яз.), Тб., 1946, стр. 146—193, 309.

[6] Грузинские народные сказки, т. 1, под ред. М. Чиковани (на груз. яз.), Тб., 1938, стр. 138, 210; Избранные грузинские народные сказки, под ред. Е. Вирсаладзе (на груз. яз.), Тб., 1949, стр. 330, 476.

[7] Грузинские народные сказки, кн. 1, собранные Т. Разикашвили (на груз. яз.), Тб., 1951, стр. 47.

Прежде чем коснуться вопроса, вспомним, что попавшего в подземелье героя черный баран или пегас мчит в глубокие недра земли, белый же—помогает выбраться на землю. Представляется естественным, что именно черный баран (пегас) связан с глубокими недрами земли, поскольку мраку последней соответствует его цвет. Однако возникает вопрос — что могут иметь общего баран и лошадь с подземным миром? Подземелье ведь символ потустороннего мира, местопребывания покойников. Культ же мертвых, как известно, с древнейших времен связан с культами барана и лошади, о чем свидетельствует археологический материал[8]; этнографические же пережитки — жертвоприношение барана при поминках и похоронах[9], а также посвящение коня покойнику или симуляция этого обычая[10] — и поныне фиксируются в быту[11]. Возможно, об этом же говорят сохранившиеся в немалом количестве в Нижнем Картли древние надгробные памятники в виде баранов и коней, которым акад. Н. Я. Марр также приписывал культовое назначение[12].

Баран считается главнейшим, первостепенной важности жертвенным животным не только во время поминок, но и на празднествах и молениях, связанных с аграрными культами, что должно быть, свидетельствует о связи последних с культом барана. Тут же отметим, что со своей стороны, в быту зафиксирована связь между культами покойника и аграрными (солнца, земли)[13].

В тех же сказках, возвращение героя в наш мир возможно с помощью белего барана или пегаса. Т. е., выходит, что баран или пегас (уже белый) в данном случае рассматривается как имеющий связь не только с подземельем (что связывает его с культом покойника), но и с солнечным миром, что также покажется естественным, если вспомним о связи между культом солнца, с одной стороны, и культами барана и лошади, с другой стороны.

На последнюю указывают факты, засвидетельствованные как в религиях Древнего Востока, так и в грузинской этнографической действительности. Например, в быту грузин баран и агнец ассоциируются с солнцем[14]. С другой стороны, заслуживает внимания то обстоятельство, что жители горного района — Хеви, молятся скульптуре барана о свете

---

[8] Г. Гобеджишвили, Археологические раскопки в Советской Грузии (на груз. яз.), Тб., 1952, стр. 141; Археология Грузии (на груз. яз.), 1959, стр. 194.

[9] Сама библейская легенда, по которой человеческое жертвоприношение заменено заклатием агнца, является наследием язычества, поскольку в христианской религии символика барана (агнца) воспринята из язычества (см. Н. Покровский, Очерки памятников православной иконографии и искусства, СПб., 1894, стр. 27).

[10] См. Н. А. Брегадзе, К вопросу о характере одного из грузинских народных календарных праздников («Тедороба»), сборник «Вопросы этнографии Грузии» (Материалы по этнографии Грузии, т. XV), Тб., 1970, стр. 90—91.

[11] Связь между культами лошади и покойника фиксируется также в быту многих народов мира (см.: Эд. Тэйлор, Первобытная культура, М., 1939, стр. 145—146; В. Я. Пропп, указ. труд, стр. 155—156; Его же, Русские аграрные праздники, Л., 1963, стр. 123; Б. А. Калоев, Посвящение коня у осетин, М., 1964, стр. 4—5 и др.).

[12] Н. Я. Марр, Талыши, «Труды Комиссии по изучению племенного состава населения России», 4, Петроград, 1922, стр. 17—18.

[13] См. Н. А. Брегадзе, указ. труд, стр. 85—90.

[14] В. В. Бардавелидзе, Из истории древнейших верований грузин (Божество Барбар-Бабар), (на груз. яз.), Тб., 1941, стр. 78—79; И. Степанов, Поверия грузин телавского уезда, «Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа» («СМОМПК»), вып. 17, отд. 2, стр. 140—141; Г. Джапаридзе, Народные праздники, обычаи и поверия рачинцев, «СМОМПК», вып. 21, отд. 2, стр. 124.

очей своих[15]. Свет же очей, как известно, связывается с солнцем; именно Солнце-Барбар является божеством, дающим свет очей и исцеляющим от недуга глаз[16].

В древних религиях народов мира также видна связь между культами барана и солнца. Например, на петроглифах и фресках Северной Африки и Сахары обнаружены древнейшие изображения барана с солнечным диском. Сравнительно поздним является[17] изображение древнеегипетского бараноголового бога солнца — Атума. Этот последний — символ вечернего солнца. Вечернее же солнце в египетской, также как и в древневосточной и грузинской религиях, считается солнцем потустороннего мира, обители покойников, подземелья[18].

Индийский же бог огня — Агни — изображен сидящим на баране и на его знамени нарисован баран[19]. Огонь же связывается с солнцем. Притом, в Индии известны так называемые жрецы огня, выполняющие обряд жертвоприношения, дающий поклонникам право на небесную жизнь[20]. Сам же Агни по существу «бог-посредник («вестник») между двумя мирами, в огне отводящий умерших в поднебесье»[21]. Следовательно, сидящее на баране божество и его жрецы тоже связаны с потусторонним миром (если не в виде подземелья, то в виде небес или поднебесья), т. е. и тут видна связь между культами солнца, барана и покойника. Культ барана как бы и вправду является связующим звеном между двумя мирами — загробным и этим светом.

В верованиях грузин фиксируется также связь культа лошади не только с культом покойника (о чем выше было упомянуто вскользь)[22], но и с культом солнца.

Лошадь — посвященное солнцу культовое животное. Так считали древневосточные и античные народы[23], так было это и в Грузии. По понятиям дохристианских грузин, сын солнца, колхидский царь Аэт, получил от солнца в подарок коней, подобных ветру; самым огненным среди животных считается конь; а корень грузинского слова лошадь общий с корнями слов — жизнь и огонь[24], что со своей стороны, рассматривается в связи с солнцем. Интересные данные содержат и археологические материалы, в которых изображен стоящий перед алтарем конь[25].

---

15 С. Макалатия, Хеви (на груз. яз.), Тб., 1934, стр. 246.

16 В. В. Бардавелидзе, указ. труд, стр. 44—51, 54—59; Е. Б. Вирсаладзе, Барбол-Барбар в грузинском фольклоре (на груз. яз.), Вестник АН ГССР, 1955, г. XVI, № 2, стр. 167.

17 С. А. Козлов, Загадка происхождения народа фульбе», «СЭ», 1967, № 1, стр. 127.

18 Эд. Тэйлор, указ. труд, стр. 507; В. Нозадзе, «Вепхисткаосанис мзисметквелеба» (на груз. яз.), Сантяго де Чиле, 1957, стр. 10, 13, 20, 40 С. А. Токарев, Религия в истории народов мира. М., 1964, стр. 286; Н. А. Брегадзе, указ. труд, стр. 90.

19 Эд. Тэйлор, указ. труд, стр. 429.

20 Там же.

21 В. Я. Пропп. Исторические корни волшебной сказки, стр. 160.

22 См. также Н. А. Брегвадзе, указ. труд. стр. 90—91.

23 Ш. Амиранашвили, История грузинского искусства (на груз. яз.), Тб., 1944, стр. 75; В. Нозадзе, указ. труд, стр. 11, 12, 17, 21.

24 В. Нозадзе, указ. труд, стр. 101, 106.

25 Ш. Амиранашвили, указ. труд. стр. 75; Дж. Сонгулашвили, Материалы к истории культуры и быта грузинского народа (на груз. яз.), Тб., 1964, стр. 224—241.

Следовательно, возложение на барана или пегаса функции соединяющего подземный мир с нашим, исходит из религиозного мышления народа, из его поверий, которые со своей стороны, являются продуктом определенной эпохи. В связи с вышеотмеченным следует учесть еще одно обстоятельство, в частности, проникновение героя в подземелье (что вызвано изменой отрицательных персонажей и их желанием его гибели) подразумевает его смерть, т. е. приход в загробный мир. Подземелье — местопребывание покойников. Кроме того, ведь смерть по народным верованиям рассматривалась как продолжение жизни под землею. Поэтому то и встречаем в сказках подземные царства и миры. Впоследствии же возвращение того же героя в наш мир, должно быть, подразумевает его воскрешение, что опять-таки является отражением народных верований. Известно, что по древневосточным, а также грузинским, религиозным представлениям смерть рассматривалась как временное явление. Ведь сами же древневосточные аграрные божества — умирающие и воскресающие. (С этими последними слился и культ солнца[26]. О взаимосвязи же культов покойника и земли можно привести множество примеров[27]).

В том же аспекте можно рассмотреть и сюжет грузинских сказок, по которым героиня после гибели превращается в рыбу; из ости же этой рыбы, или же из могилы героини вырастает чинар (тополь), из которого впоследствии возрождается героиня[28]. Однако, в этом сюжете привлекает внимание не только то, что он опирается на определенное представление народа о жизни и смерти, но и следующее обстоятельство: трансформация героини именно в рыбу, из ости которой вырастает именно чинар. В этом дереве продолжается жизнь героини. Подконец, перевоплощенная в чинар, героиня возрождается. И в данном случае тоже, должно быть, имеем дело с древними народными верованиями, по которым рыба и чинар являются символами жизни и плодородия[29]. Поэтому то и в сказке выразителями бессмертия и возрождения даются эти представители фауны и флоры.

Таким образом, из краткого обраэа вышеприведенных примеров можно заключить:

1) Фантастические сюжеты, встречаемые в грузинских народных сказках, в некоторых случаях являются отражением распространенных в народе верований. Поэтому можно найти им объяснение на основе зафиксированного в быту этнографического материала.

Рассматривание барана и пегаса как средства передвижения в подземелье, или же средства выхода из подземелья в наш мир, опирается на представление народа о том, что они, как культовые животные солнца, имеют связь как с дневным царством последнего, нашим миром, так и с его ночным царством, загробным миром, с подземельем, с которым

---

[26] С. А. Токарев, указ. труд, стр. 286; В. Нозадзе, указ. труд, стр. 20.

[27] Г. С. Читая, Из этнографической поездки в Агбулагский район (на груз. яз.), «Вестник Гос. Музея Грузии», IV, 1928, стр. 227; Н. А. Брегадзе, указ. труд, стр. 88—89.

[28] Избранные грузинские сказки, под ред. Е. Б. Вирсаладзе, стр. 403, 384.

[29] Г. С. Читая, Мотив «Древо жизни в лазском орнаменте», «Известия Института языка, истории и материальной культуры», 1941, стр. 318—322; А. И. Робакидзе, К вопросу о некоторых пережитках культа рыбы (по материалам Триалетской этнографической экспедиции), «СЭ», 1948, № 3. В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 54—93.

связан также культ покойника, связанный со своей стороны с культами барана и лошади.

Тут же выявляется, распространенная в народе, символика красок, по которой черный баран или пегас связан с подземельем, белый же — с надземным миром.

По народным религиозным верованиям, рыба и чинар — символы плодородия и жизни. Поэтому то именно они являются в грузинских сказках выразителями бессмертия и возрождения.

2) Т. к. в основе некоторых фантастических сюжетов сказки лежат верования, возникшие на определенной ступени религиозного мышления[30], представляется возможным датировка времени возникновения этих сказок. Точнее, определение породившей ее эпохи. Поскольку вышерассмотренный материал является отражением мышления языческого периода, можно предположить, что дошедшие до нас, основанные на подобном материале сказки, соответственно, возникли в том же далеком прошлом, являются продуктом языческого времени.

———————

[30] Е. Б. Вирсаладзе, указ. труд, стр. 17.

## წიგნი ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების რევოლუციურ თანამეგობრობაზე

საქართველოს ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ისტორიულად ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. იგი ვლინდებოდა მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ კავშირში. ამ ურთიერთობის ისტორიის შესწავლას მეცნიერული საფუძველი ჩაუყარეს თვალსაჩინო ქართველმა ისტორიკოსებმა ივ. ჯავახიშვილმა და ს. ჯანაშიამ. ამ მუშაობას წარმატებით აგრძელებს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილება პროფ. ბ. ანჩაბაძის ხელმძღვანელობით.

განყოფილების თანამშრომლებმა შექმნეს და გამოაქვეყნეს მონოგრაფიები საქართველოს ურთიერთობაზე ყაბარდოსთან, ოსეთთან, დაღესტანთან. ისტორიულ წარსულში ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობაზე სათანადო დაკვირვებები გადმოცემულია განყოფილების მიერ გამოცემულ „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევებში" (I). მაგრამ ამ მხრივ დღემდე გაწეულ მუშაობას ერთგვარად ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ განყოფილება ძირითადად სწავლობდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობას საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. რაც შეეხება ურთიერთობას XIX საუკუნეში, განსაკუთრებით კი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, იგი თავისი დიდი მნიშვნელობისა და აქტუალობის მიუხედავად უკანასკნელ ხანებამდე არ შესწავლილა. დღეისათვის. ამ მხრივ, ფართო მუშაობა გაიშალა. ა. ლეჟავას მონოგრაფია „ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში" (გამომცემლობა „მეცნიერება", 1970 წელი, 166 გვერდი, ტირაჟი 1200) პირველია რომელშიც განხილულია ამ ხალხთა რევოლუციური თანამეგობრობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდში — დენიკინის კონტრრევოლუციურ ბანდებთან საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება კავკასიაში დაგვიანებით მოხდა. კავკასიის მშრომელებს დასჭირდათ ძალთა უკიდურესი დაძაბვა და რამდენიმე წლის მანძილზე მძიმე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოება შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სერიოზული გამოცდა იყო ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკისა, რომლის მიზანი იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების რევოლუციურ ძალთა შეკავშირება ძველი წყობილების დასამხობად და სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. ამ პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების მაჩვენებელი იყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა საბრძოლო რევოლუციური თანამეგობრობა ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში.

ა. ლეჟავას მონოგრაფიაში ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მოავრობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა შრომების, პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების გადაწყვეტილებათა, ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფო არქივების, პრესის, სამეცნიერო და მემუარული ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე გაშუქებულია ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აღნიშნულ საკითხს ავტორი ფართო გეგმით განიხილავს. იგი გვიჩვენებს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში შექმნილ მდგომარეობას, კლასობრივ ძალთა თანაფარდობას, რითაც აშკარავებს, ერთი მხრით, კავკასიაში არსებული მდგომარეობის მთელ სირთულეს, მეორე მხრივ კი იმ სიმძაფრეს, რაც აქ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას ახლდა.

ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციის ერთ-ერთ ძირითად ბაზად გადაქცევა. ეს მიზეზები იყო მხარის სამრეწველო განუვითარებლობა (ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგი) და მასთან დაკავშირებული მცირერიცხოვნება და სისუსტე პროლეტარიატისა; კაზაკთა მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რომლის ძირითადი (შეძლებული) ნაწილი საბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგ გამოვიდა; მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე, რაც ეროვნულ წინააღმდეგობათა კერად აქცევდა მხარეს. ამას ემატებოდა რელიგიური სიჭრელეც (ქრისტიანები და მაჰმადიანები). ყოველივე ეს მხარეს წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტად აქცევდა.

ა. ლეჟავას მრავალრიცხოვანი ფაქტები მოაქვს ქართველ ბოლშევიკ-რევოლუციონერთა— ნ. ბუაჩიძის, ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, ს. ქავთარაძის, ა. გეგეჭკორის, გ. სტურუას და სხვათა მოღვაწეობის შესახებ, ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში. მათ დიდი მუშაობა გასწიეს ჩრდილო კავკასიის მთიელი და რუსი მოსახლეობის ღარიბი ფენების დასარაზმავად კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

ნაშრომში ნაჩვენებია ის სოციალური და საგარეო ძალები, რომელთაც შექმნეს დენიკინის ე. წ. „მოხალისეთა არმია". მას უნდა დაემხო საბჭოთა ხელისუფლება და აღედგინა ბურჟუაზიისა და მემამულეთა ძალაუფლება. საგანგებოდ არის გაშუქებული ის თავისებური ურთიერთობა, რომელიც დენიკინელებსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის დამყარდა. ის ფაქტი, რომ დენიკინი არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ართულებდა მათ შორის ურთიერთობას. მაგრამ, აღნიშნავს ავტორი, მენშევიკური მთავრობის სიძულვილი რევოლუციისადმი იმდენად დიდი იყო, რომ მან გადასძლია წინააღმდეგობანი დენიკინთან და მოაქცია იგი იმ 14 სახელმწიფოს ბანაკში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას მის დასამხობად. ბოლშევიზმის წინააღმდეგ მათი თანამშრომლობა ამ კონტრრევოლუციურ ძალთა დამარცხებამდე გაგრძელდა. მენშევიკები თავშესაფარს აძლევდნენ დენიკინის განადგურებულ ბანდებს და ხელს უწყობდნენ უკან დაბრუნებაში. მათივე დახმარებით ინგლისელები საბრძოლო მასალას, სურსათს, ტანსაცმელს, სათბობს უგზავნიდნენ დენიკინელებს. გარდა იმისა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს ატარებდნენ, მენშევიკები აპატიმრებდნენ ჩრდილო კავკასიიდან ემიგრირებულ ბოლშევიკებს, ხშირ შემთხვევაში ხელთ უგდებდნენ მათ დენიკინელებს (გვ. 88—93).

ავტორმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ მაშინ როცა საქართველოს მენშევიკური მთავრობა დენიკინის ფაქტიურ მოკავშირეს წარმოადგენდა, ქართველი მშრომელები, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, გადაჭრით მოითხოვდნენ დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას. ამ მიმართულებით საქართველოს მუშათა კლასის მძლავრ საპროტესტო გამოსვლებსა და 1919 წლის შემოდგომაზე ფართოდ გაშლილ გლეხთა აჯანყებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში კონტრრევოლუციის განადგურების საქმეში. ნაშრომში სათანადო სისრულით არის გაშუქებული დენიკინის დამარცხებისა და ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის პროცესი.

მართალია, ა. ლეჟავამ თავის მონოგრაფიაში შესანიშნავად გადმოგვცა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის გმირული სურათები, მაგრამ მაინც მის ძირითად დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ ბრძოლაში ქართველ რევოლუციონერთა ღვაწლის წარმოჩენა. ზოგიერთი გამოჩენილი ქართველი რევოლუციური მოღვაწის ჩრდილო კავკასიაში საქმიანობის შესახებ ლიტერატურაში არსებობს სათანადო მასალები. ავტორმა ეს მასალები სისტემაში მოიყვანა და კონცენტრირებული სახით გვიჩვენა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ავტორის მიერ დღემდე უცნობ ქართველ რევოლუციონერთა სახელების გამომზეურება, რომელთაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური ძალების განადგურებასა და მხარეში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენაში. ბევრმა მათგანმა სიცოცხლეც შესწირა ამ საქმეს. ა. ლეჟავამ ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების 8 ათეულზე მეტი ასეთი მონაწილე გამოავლინა და ამით ჩვენს ისტორიოგრაფიას სასარგებლო სამსახური გაუწია.

ა. ლეჟავას მონოგრაფია როგორც მეცნიერულად, ასევე იდეურად გამართული ნაშრომია ჩვენი ქვეყნის ისტორიის რთული და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდის შესახებ. ამისდა მიუხედავად, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი აზრი გავუზიაროთ ავტორს ნაშრომში აღძრული ერთი საკითხის ირგვლივ. იგი წერს: „საქართველოს მენშევიკები დენიკინთან თანამშრომლობის მიუხედავად ხელს უწყობდნენ მის წინააღმდეგ დაღესტანსა და შავი-

ზღვისპირეთში პარტიზანულ მოძრაობას". ავტორის აზრით, მენშევიკური მთავრობა ფიქრობდა ამ რაიონების შეერთებას და რაც მთავარია, ბუფერული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც საქართველოს დაიცავდა დენიკინის არმიის შემოსევისაგან. იმ შემთხვევაში, თუ წითელი არმია დაამარცხებდა დენიკინს, ეს ბუფერული სახელმწიფო საქართველოს ააცილებდა საბჭოთა ხელისუფლებასთან უშუალო გამეზობლებას (გვ. 94).

ავტორის მსჯელობაში აქ უზუსტობაა. მენშევიკური საქართველო შავიზღვისპირეთის (სოჩის რაიონის) შემოერთებაზე მართლაც ფიქრობდა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ფიქრობდა თუ არა იგი დაღესტნის შემოერთებასაც (ეს ხომ მის ძალღონეს აღემატებოდა). ამასთან, ამგვარი მოძრაობა, დაღესტნის გარდა, ძლიერად იყო გაშლილი ჩეჩნეთშიც).

შავიზღვისპირეთსა და ჩეჩნეთ-დაღესტანში დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლას როცა პარტიზანულ მოძრაობას ეუწოდებთ, აქვე ხაზი უნდა გაეუსვათ იმ გარემოებას, რომ ის იყო სეპარატისტული, რეაქციული, რომელმაც დაღესტანსა და ჩეჩნეთში ნაციონალისტური ელფერი მიიღო. ამით მკითხველს გაუადვილდება განსხვავების დანახვა ამ მოძრაობასა და იმ ნამდვილად მასობრივ პარტიზანულ მოძრაობას შორის, რომელიც გაიშალა ჩრდილო კავკასიის ხალხებში და მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით.

დასასრულ, ვიზიარებთ რა ავტორის აზრს, რომ მის მიერ გამოვლენილ ქართველ რევოლუციონერთა სახელები მხოლოდ მცირე ნაწილია და ნამდვილად ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ასეულობით ქართველი მონაწილეობდა, გამოვთქვამთ სურვილს, რათა ავტორმა ამ მიმართულებით განაგრძოს მუშაობა — გამოავლინოს ახალი სახელები, ხოლო უკვე გამოვლინებულთა შესახებ მოიპოვოს ახალი მასალები. ამას არა მარტო მეცნიერული, არამედ პოლიტიკური და პატრიოტულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ა. ლექავას ნაშრომის რუსულ ენაზე გამოცემა, რათა ჩრდილოკავკასიელ მკითხველს შესაძლებლობა მიეცეს გაეცნოს მათი ბედნიერებისათვის მებრძოლ ქართველ რევოლუციონერთა მოღვაწეობას.

**გ. თოგოშვილი**

---

## ქართული მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული საკითხები

«ალპური მესაქონლეობა საქართველოში. აჭარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა» — ასე ეწოდება ისტორიის მეცნ. კანდიდატის ვ. შამილაძის საყურადღებო მონოგრაფიას, რომელიც პროფ. მ. გეგეშიძის რედაქტორობით ამ რამდენიმე ხნის წინ გამოსცა „მეცნიერებამ".

მონოგრაფია, ძირითადად, ავტორის მიერ წლების მანძილზე მოპოვებულ ახალ ეთნოგრაფიულ მასალებზეა აგებული და აჭარის მრავალმხრივ საინტერესო ყოფის, თავისებურებების თვალსაჩინო სურათს გადაშლის მკითხველის წინაშე. მასში საქმის ცოდნით არის გამოყენებული საარქივო დოკუმენტები და ლიტერატურული წყაროები, გათვალისწინებულია საქართველოს სხვა კუთხეებისა თუ კავკასიის ცალკეული ქვეყნების შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემები, ავტორი კარგად იცნობს საკითხთან დაკავშირებულ როგორც ძველ, ისე თანამედროვე ლიტერატურას და კრიტიკულად განიხილავს მას.

მონოგრაფია წინასიტყვაობისა და შესავლის გარდა სამი თავისაგან შედგება, თითოეული თავი ცალკე ქვეთავებად და პარაგრაფებად იყოფა.

წიგნის პირველი თავი «მსხვილფეხა საქონელი აჭარაში» (გვ. 49—79). იგი სამ ძირითად ქვეთავს მოიცავს: ა) «მეწველი საქონელი» (გვ. 50—60), ბ) «მუშა პირუტყვი» (გვ. 60—70) და გ) «საქონლის დაავადებანი და მკურნალობის ხალხური საშუალებანი» (გვ. 70—79).

მეორე თავიც — «მესაქონლეობა აჭარაში ბუნებრივი სამეურნეო ზონების მიხედვით» (გვ. 80—135) ასევე სამ ქვეთავად იყოფა: ა) «ბარული მესაქონლეობა» (გვ. 80—91), რომელიც თავის მხრივ ორი პარაგრაფისაგან შედგება: § 1 — «პირუტყვის საკვები ბაზა (გვ. 81—86) და § 2 — «შრომის ორგანიზაციის ფორმები ბარულ მესაქონლეობაში» (გვ. 86—91), ბ) «ყიშლური მეურნეობა» (გვ. 91—97) და გ) «მთური||ალპური მეურნეობა (გვ. 97—

134). ეს უკანასკნელი ოთხ პარაგრაფს აერთიანებს: § 1—«აჭარის ალპური საძოვრები» (გვ. 98—108), § 2 — «საძოვრების ბოტანიკური შემადგენლობის ხალხური დახასიათება» (გვ. 108—113), § 3 — «შრომის ორგანიზაციის ფორმები ალპურ მესაქონლეობაში» (გვ. 113—127) და § 4—«მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში» (გვ. 127—134).

ბოლო, მესამე თავი — «მსხვილფეხა მესაქონლეობის პროდუქტები აჭარაში» (გვ. 135—150) ოთხ ქვეთავად არის წარმოდგენილი: ა) «რძის პროდუქტები» (გვ. 135—146), ბ) «ხორცის პროდუქტები» (გვ. 146—148), გ) «ტყავის დამუშავების ხალხური წესები» (გვ. 148—150) და დ) «ვაჭრობა და აღებმიცემობა მესაქონლეობის პროდუქტებით» (გვ. 150—156).

წიგნს დართული აქვს სათანადო სამეცნიერო აპარატურა, ტაბულები (სულ 48 ერთეული, მათ შორის 6 ფერადი), რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. ახლავს აგრეთვე რედაქტორის ბოლოსიტყვაობა.

მრავალფეროვანი მასალის თანმიმდევრული შესწავლის საფუძველზე წიგნში ნათლად არის წარმოჩენილი აჭარაში არსებული მესაქონლეობის როგორც ლოკალური სპეციფიკა, ასევე მისი ზოგად-ქართული ხასიათი. ნაჩვენებია მესაქონლეობის შინაგანი სისტემა და დახასიათებულია ამ სისტემის შემადგენელი კომპონენტები სამეურნეო-მატერიალური, სოციალური და სხვა სფეროების მიხედვით. ნაშრომში ყურადღებას იქცევს ის მონაცემები, რომლებშიც თვალსაჩინოდ გამოსჭვივის ადგილობრივბუნებრივ სამეურნეო პირობებში მეურნეობის ამ დარგის უკეთ მოწყობისაკენ მიმართული ხალხური რაციონალური ხერხები, წესები, მეთოდები — ყველაფერი ის, რასაც საფუძვლად უდევს ადამიანის მრავალსაუკუნოვანი დაკვირვება. ცოდნა, და გამოცდილება ამ ხაზით. ნათლად ჩანს ადამიანის აქტიური შემოქმედებითი დამოკიდებულება შინაური საქონლის საბონიტეტო თვისებების სრულყოფისადმი, რაც შესაფერ გამოხატულებას პოვებდა ერთი მხრივ ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში, მეორე მხრივ კი მესაქონლეობის პროდუქტების ხარისხის გაზრდაში. აქ პირველ რიგში საგულისხმოა რძის პროდუქტების წარმოების მაღალი დონე (გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი აჭარული კარაქი). საყურადღებოა მესაქონლეობასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო მხარეების შესწავლა, როგორიცაა დასახლების თავისებურებანი, აგრეთვე მესაქონლეობის სამეურნეო-საწარმოო ბაზის სპეციფიკა ბარის, შუამთისა და მთის ზოლის პირობების მიხედვით, საძოვრების გეოგრაფიულ-ბოტანიკური დახასიათება და საქონლის საკვები ბალახეულის დიფერენცირებული ხალხური ღრმა ცოდნა, შინაგანი მომთაბარული მარშრუტები. სათანადოდ არის გაშუქებული ნაშრომში მესაქონლეობასთან დაკავშირებული სოციალური საკითხები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შრომის ორგანიზაციის ადგილობრივი ისტორიული ფორმები, აღნიშნული მასალების შესწავლის საფუძველზე მკვლევარი დაადგენს აჭარაში არსებული მესაქონლეობის ფორმების თავისებურებებს. გაარკვევს ადგილობრივი მომთაბარეობის ვარიაციულ სახეებს.

წიგნის სპეციალურ დანიშნულებასთან ერთად გამოყოფით გვინდა აღვნიშნოთ მისი ფართო კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. მესაქონლეობა როგორც მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა, წარმოაჩენს ადამიანის მრავალმხრივი საწარმოო საქმიანობის თავისებურებებსა და ყოფის კონკრეტულ სპეციფიკას. აქ პირველ რიგში იგულისხმება საწარმოო საქმიანობის ისტორიულობა და ტრადიციულობა, რაც, ჩვეულებრივ, მოცემულ კონკრეტულ გარემო პირობებში ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების ხანგრძლივ პროცესებს ასახავს. მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით შეფასება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ იგი უხსოვარი დროიდან საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა და ამასთან ამ დარგს ისტორიულ ეპოქებში ადამიანთა ცხოვრების ხასიათზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია, რომ ხშირად მესაქონლეობა, როგორც მეურნეობის ფორმა, განაპირობებდა ადამიანთა ერთ ადგილზე მკვიდრ, დამჯდარ ცხოვრებას ან ასეთი ცხოვრების მოძრავ ხასიათს, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში მომთაბარეობას ანუ ნომადობას უწოდებენ. ამ ორ დასახელებულ ფორმას შორის არსებითი განსხვავებაა. დამჯდარი, მკვიდრი ცხოვრება ყოფისა და კულტურის შესაბამის ტრადიციებს წარმოშობდა. მოძრავ ნომადურ ცხოვრებას კი იმავე ტრადიციების თვალთახედვით მკვეთრად განსხვავებული იერი ჰქონდა. ამიტომ, ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც ახლავს მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების კომპლექსურ-რეგიონალურ შესწავლას, რომელსაც შეუძლია შუქი მოჰფინოს ზემოაღნიშნული პრობლემის ზოგად და თეორიულ საკითხებს. ამ თვალსაზრისით, ვ. შამილაძის მონოგრაფია

უთუოდ სათანადო ყურადღებას მიიქცევს, რადგან მასში მესაქონლეობის კონკრეტულ-ლოკალურ საკითხებთან ერთად დასმული და გაშუქებულია მესაქონლეობის ზოგადი ფორმების სპეციფიკისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხები. ცხადია, ეს წიგნი პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს მესაქონლეობის იმ ერთ-ერთი უძველესი და ისტორიულად დაწინაურებული კულტურული ფორმის დაწვრილებითი შესწავლით, რომელსაც ზოგადი ტერმინოლოგიით ალპურ მესაქონლეობას უწოდებენ და რაც პირდაპირი მნიშვნელობით ერთ მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში შინაგანი, ვერტიკალური მომთაბარეობის პრინციპს ემყარება (იგულისხმება გეოგრაფიული ვერტიკალობის პირობები). მაგრამ ასეთ დროს მომთაბარეობა მკვიდრ, დამჯდარ ცხოვრებას არ გამორიცხავს, პირიქით ამ ტიპის მომთაბარეობა დამჯდარ ცხოვრებას მოითხოვს და მასვე უკავშირდება. ამ მოვლენის ძირითადი საზომი ისევ ადამიანის საწარმოო საქმიანობა და საწარმოო წესია. მომთაბარეობის აღწერილი ფორმის პირობებში ადამიანის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მასთან კავშირში მესაქონლეობა. ეს მოვლენა ვ. შამილაძის წიგნში სათანადოდ არის გაშუქებული და ახსნილი, აჭარაშიც ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებშიც, აგრეთვე, კავკასიაშიც, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა შეთანაწყობილი, სიმბიოზური ხასიათის მქონე იყო. ეს გარემოება კი, ცხადია, თავისებურ იერს აძლევდა ყოფასა და კულტურას, ისტორიულ-სამეურნეო ტრადიციებს.

იმავე კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ვ. შამილაძის ნაშრომს ღირსებას მატებს საკვლევად აღებული მოვლენების შესწავლისადმი ისტორიული მიდგომა: ყურადღებას იქცევს მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემების განხილვა და ახსნა ისტორიულ-არქეოლოგიური, ბუნებისმეტყველური და სხვა მასალების შუქზე. ავტორს მართებულად შეურჩევია დაკვირვების საგნად ძველი ქართული კულტურული მესაქონლეობის ისეთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი, როგორიცაა ანტიკური წყაროების მიხედვით ცნობილი და სახელგანთქმული კოლხური ძროხა, ამ რთული პრობლემის გაშუქება ცოტა ძნელი საქმეა, მაგრამ დღეს მეცნიერების ხელთ არსებული ოსტეოლოგიური, ეთნო-ზოოლოგიური და სხვა რიგის მონაცემები ამ საინტერესო და ამავე დროს საიდუმლოებით მოცული საკითხის დასმისა და შესწავლის შესაძლებლობას ქმნის. ვ. შამილაძის მონოგრაფია ამ საქმეში თავის წვლილს შეიტანს. მასში ხომ მდიდრად არის წარმოდგენილი და ახსნილი მესაქონლეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ხალხური ტრადიციები. ტრადიციულ, ემპირიულ ცოდნას კი შეუძლია ბევრ საინტერესო მხარეს მოჰფინოს შუქი. ამასთან კავშირში უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ ის უმდიდრესი ენობრივი მასალა, რომელიც ვ. შამილაძეს მესაქონლეობის ხალხური საწარმოო პროცესების შესწავლის დროს დიდი მონდომებითა და გულისყურით გამოუვლენია. აჭარის მესაქონლეობის ხალხურ ტერმინოლოგიაზე უბრალო დაკვირვებაც კი ნათელს ხდის მის სიძველეს და შინაარსობრივ მრავალფეროვნებას, რაც, ამავე დროს, კარგი დასტურია მესაქონლეობის ამ დარგში ხალხური შემოქმედებითი კულტურის მაღალი დონისა.

ბუნებრივია, ასეთ დიდ პრობლემაში შემავალი ყველა საკითხი ერთნაირი სისრულით ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. მაგრამ მაინც დასანანია, რომ ნაშრომში ვერ აისახა ის მონაცემები, რომლებიც ადამიანის სულიერ კულტურას უკავშირდებიან. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს რელიგიური მასალები, რომლებიც, როგორც წესი, შუქს ჰფენენ ხოლმე საწარმოო-მატერიალური და სოციალური ცხოვრების გარკვეულ მხარეებს. ეს მით უმეტეს უნდა ითქვას, რადგან ავტორი ქართულ საბჭოურ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დამკვიდრებულ და გამოცდილ მეთოდს — კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს — იყენებს, რომელიც თავისთავად გულისხმობს შესასწავლი საკითხებისადმი ყოველმხრივ მიდგომას.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის შეჯამების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, ვ. შამილაძის წიგნი, რომელიც აჭარაში მსხვილფეხა მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს, მაღალ შეფასებას იმსახურებს, როგორც ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის თვალსაზრისით, ასევე დასმული მრავალი საინტერესო საკითხის სწორად გადაწყვეტის მხრივ. ავტორი ახლებურად აყენებს ალპური||მთური მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიულ ჭრილში შესწავლის საკითხს. სამეურნეო-საწარმოო ცხოვრებისა და მასთან დაკავშირებულ სოციალურ ურთიერთობათა კვლევის შედეგად ადგენს აჭარაში მესაქონლეობის დარგის სიძველეს, მისი თვითმყოფობისა და ტრადიციულობის ესოდენ მნიშვნელოვან ფაქტს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ხალხის შრომითი ჩვევებისა და საწარ-

მოო გამოცდილების ის საუკეთესო ნაწილი, რაც საჯიშე-სანაშენო საქმიანობის, რძის მეურნეობის ტრადიციული ფორმებისა და საქონლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ხანგრძლივი დროის მანძილზე შემუშავებულა, შესაძლოა გარკვეული კორექტივებით კონკრეტული სამეურნეო დაგეგმის სადღეისო ამოცანებსაც დაუკავშირდეს.

**რევაზ თოდუა**

---

## Л. Г. Иоселиани, Гортинские законы

### Текст, перевод и комментарии (на грузинском и русском языках), Тбилиси, 1966.

Прошло уже восемьдесят пять лет с тех пор, как итальянский археолог Ф. Гальбгерр обнаружил в русле ручья, протекающего через деревню Апиой дека, на том месте, где некогда находилась древняя Гортина — наряду с Кноссом крупнейший из городов Крита, огромную надпись, вырезанную на стене круглого здания и состоящую из двенадцати столбцов текста, написанного способом «бустрофедон». Так были открыты «Гортинские законы» — этот, как принято говорить, monumentum in paucis insigne, не знающий себе равных в истории античной эпиграфики. Несмотря на сравнительно большой промежуток времени, отделяющий нас от открытия «Гортинских законов», содержащийся в них ценнейший исторический материал, значение которого далеко выходит за узко локальные рамки истории Крита в V в. до н. э., продолжает привлекать к себе самое пристальное внимание ученых. За восемьдесят пять лет надпись, найденная Гальбгерром, «выдержала» много изданий, была переведена на ряд европейских языков и породила огромную «экзегетическую» литературу. В нашей стране «Гортинские законы» были опубликованы впервые еще в 1888 г. С. В. Мирошниковым. Он же сделал и первый перевод надписи на русский язык, снабдив его краткими примечаниями[1]. Для своего времени перевод Мирошникова был сделан на достаточно высоком филологическом уровне. Однако в нем имелся и целый ряд дефектов, особенно в передаче специальных терминов. Уже в советское время появилось три новых перевода «Гортинских законов»: первый (неполный) в хрестоматии «Древний мир в памятниках его письменности» без указания фамилии переводчика[2], второй—в сборнике Г. Пригоровского «Греция»[3] и третий — в книге Л. Н. Казамановой «Очерки социально-экономической истории Крита V—IV вв. до н. э.»[4]. Последний, пятый по счету, перевод той же надписи опубликован недавно в Тбилиси. Издание, подготовленное Л. Г. Иоселиани, включает в себя полный греческий текст «Гортинских законов», вступительную статью (на грузинском языке), грузинский и русский переводы памятника, комментарии (также на двух языках) и словарь важнейших терминов. Книга сделана на высоком научном уровне и, как нам кажется, отве-

---

[1] Записки русского археологического общества, т. III, 1888.

[2] Составители: Д. А. Жаринов, Н. М. Никольский, С. И. Радциг и В. Н. Стерлигов, Часть II, Греция, М., 1921.

[3] М.-Л., 1925, Перевод сделан составителем сборника.

[4] М., 1964.

чает всем требованиям, предъявляемым к современному эпиграфическому изданию. Текст самой надписи воспроизведен по справедливо признанному образцовым изданию М. Гвардуччи в IV томе Inscriptiones Creticae[5]. Перевод «Гортинских законов», сделанный Л. Г. Иоселиани (мы говорим здесь только о русском переводе) превосходит все предыдущие переводы, включая и ближайший к нему по времени перевод Казамановой, по степени точности передачи смысла и стиля оригинала. Незначительные погрешности, встречающиеся в тексте перевода, не могут изменить сложившееся у нас в целом весьма благоприятное впечатление об этой работе молодой исследовательницы.

Комментарии, сопровождающие текст и перевод «Гортинских законов» в новом издании памятника, по глубине и тщательности разработки отдельных вопросов, затронутых в них, вполне могут претендовать на то, чтобы считаться самостоятельной монографией по социально-экономической истории Крита в V в. до н. э.[6]. «Гортинские законы» по справедливости считаются одним из самых трудных документов во всей греческой эпиграфике. Трудности в понимании текста надписи определяются как характером диалекта, на котором она составлена, так и спецификой запечатленных в ней общественных отношений, к которым далеко не всегда удается найти подходящие параллели в других источниках. В своих комментариях Л. Г. Иоселиани стремится прежде всего к максимально точному истолкованию каждой фразы, каждого термина, встречающегося в документе, — в этом, на наш взгляд, заключается основное достоинство проделанной ею работы. При этом автор не предлагает готовых однозначных решений трудных вопросов. Прежде чем подвести читателя к разгадке очередного темного места в надписи, она обстоятельно излагает уже существующие в науке точки зрения на данный вопрос, все аргументы pro и contra, выдвигавшиеся представителями противоположных взглядов в полемике по отдельным проблемам, и таким образом дает нам возможность самим убедиться в правильности принятого ею решения. В комментариях Иоселиани читатель найдет немало интересных наблюдений над отдельными сторонами общественной жизни древней Гортины, немало глубоких и оригинальных суждений общего характера. Укажем лишь на некоторые из этих суждений. Чрезвычайно интересна содержащаяся в комментариях характеристика института храмового убежища для беглых рабов или асилии (стр. 130 слл). Как отмечает здесь автор, в условиях примитивного рабовладельческого общества, сложившегося на Крите к V в. до н. э., институт асилии играл особо важную роль, позволяя господствующему классу, во-первых, «мирным путем» успокаивать недовольство порабощенного населения своим положением и, во-вторых, предотвращать его утечку за пределы полиса. «Возможно, — продолжает далее автор, — столь широкое распространение института асилии на Крите было одной из главных причин, по которой здесь, в указанный исторический период, не углубилась классовая борьба, как это было в Греции и Риме». С этим положением трудно не согласиться, особенно если вспомнить, что уже Аристотель отмечал «странное» спокойствие критских периеков, отсутствие у них склонности к мятежу, заметное в сравнении со спар-

[5] Roma. 1950.

[6] К сожалению, мы не смогли ознакомиться с обширным введением, предпосланным основой части книги, так как оно написано по-грузински, без перевода на русский язык.

танскими илотами (см. Polit. II, 1272 в 18). Подобно многим другим исследователям, Иоселиани подчеркивает своеобразие форм зависимости, существовавших на Крите в тот период, когда был составлен Гортинский кодекс, обращает внимание на свойственные этим формам черты патриархальности, отличающие их от классического рабства. Но в то же время в книге, как нам кажется, очень удачно подмечен ряд фактов, свидетельствующих о том, что в критской экономике действовала та же самая тенденция исторического развития, что и в других районах греческого мира, и что эта тенденция вела к постепенному перерождению местных категорий и групп зависимого населения в рабов классического типа. Симптомы такого перерождения достаточно отчетливо дают о себе знать уже в «Гортинских законах». Об этом говорит и амбивалетное во многих случаях употребление терминов Fοικεύς и δõλος и зафиксированная в статье о насилиях чрезвычайно низкая расценка личности войкея по сравнению с личностью свободного (пять драхм против ста статеров) и, наконец, существование таких социальных категорий, как упомянутая в стр. 11, II столбца ἐνδονθιδία δόλα, юридический статус которой не поддается точному определению и, скорее всего, занимает промежуточное положение между статусом войкеи и домашней рабыни в собственном значении слова (см. стр. 139, 143, 191). Законы, защищающие личность войкея и целостность его семьи, хотя и содержат в себе известный элемент патриархальности, в целом, как показывает автор книги, были направлены к тому, чтобы «обеспечить прочность экономической базы общества» и исполняли в общем те же самые функции, что и институт асилии, о котором было уже сказано (см. стр. 145).

Не меньший интерес представляют те разделы комментариев, в которых рассматриваются вопросы экономического уклада и социально-политической организации верхушки критского общества — сословия свободных граждан. Особо следует выделить занимающий в комментариях немало места скрупулезный анализ таких спорных терминов, как «старт», «гетерия», «войкия», «клер». В противовес утверждениям ряда исследователей, которые склонны были видеть в критских стартах подразделения фил, т. е. роды, Иоселиани, вполне убедительно, как нам кажется, доказывает, следуя в данном случае Кирстену, что старт, хотя и входил в состав филы, охватывал внутри нее всех взрослых военно-обязанных мужчин, так что каждой филе соответствовал только один старт, а не несколько. Вместе с тем автор, вступая в полемику, с Кирстеном, настаивает на преимущественно родовом характере как той, так и другой единицы общественного деления: «Несмотря на то, что филы на Крите имели военно-политическое значение, они, прежде всего, являются родовым институтом. Независимо от государственного характера филы, она должна быть рассмотрена, как один из важнейших пережитков первобытнообщинного строя, который придавал особый оттенок критскому рабовладельческому обществу VI—IV вв. до н. э.» (стр. 159—160)[7]. Подобно старту,

---

[7] Выражая принципиальное согласие с автором в этом вопросе, заметим, однако, что имеющийся в настоящее время эпиграфический материал позволяет проследить определенную эволюцию критских фил в течение V—IV вв. Так, судя по недавно опубликованной надписи конца IV в. из Аксоса, в это время филы здесь были объединениями не родового, а территориального характера (ср. G. Manganaro, Iscrizione opistographia di Axos, «Historia», XV, I, 1966).

гетерия, «являющаяся боевым содружеством представителей отдельных родов», «принадлежит филе и находится в кровно-родовой связи с ней» (стр. 188)[8].

Много внимания уделено в книге и таким важным разделам гортинского кодекса, как раздел о правах дочери-наследницы и раздел о усыновлении. Характеристика, которую дает автор последнему из этих двух институтов, на наш взгляд, выгодно отличается от большинства прежних его оценок, как правило, слишком односторонних. Один из ближайших предшественников Иоселиани английский историк Уиллетс считает, что главной целью усыновления в Гортине, как и в других греческих государствах, было обеспечение непрерывной мужской линии наследования семейного имущества[9]. В этом случае трудно было бы, однако, объяснить тот факт, что «Гортинские законы» (X, 48 слл). разрешают усыновление при наличии законных детей мужского пола[10]. Иоселиани, как нам кажется, указывает правильный выход из этого затруднения (стр. 189), замечая, что в том случае, когда у усыновителя уже есть родные дети, усыновление должно иметь своей целью просто увеличение числа членов семьи. Это стремление, в свою очередь, «может быть объяснено как сугубо хозяйственными, так и военно-политическими целями». В этой же связи автор вполне справедливо возражает Казамановой по мнению которой, усыновление при наличии законных детей использовалось на Крите как своеобразный способ порабощения, аналогичный фиктивному усыновлению в законах Хаммурапи и в некоторых других древневосточных сборниках законов. В отличие от фиктивного усыновления на Востоке в Гортине усыновление было, как указывает Иоселиани (стр. 190), «публично-правовым актом, в результате которого даже приемыш неграждансксго (несвободного) происхождения причислялся к гетерии усыновителя и, достигнув совершеннолетия, становился полноправным гражданином...».

Конечно, не все в работе Иоселиани может быть признано бесспорным и не подлежащим пересмотру. Определенный процент неясных или сомнительных суждений неизбежен в исследовании, предметом которого является столь сложный по содержанию и по форме документ, как «Гортинские законы». На некоторые из таких содержащихся в книге неясностей или неточностей нам хотелось бы теперь указать. Недостаточно обоснованным нам кажется категорический отказ автора признать, что по крайней мере некоторая часть сословия так называемых «апетеров» по происхождению принадлежала к чужеземцам. По мнению Иоселиани, вполне достаточно одного того факта, что «апетер упоминается в гортинских законах как субъект, на которого распространяется данное законодательство», чтобы считать «исключенными возможные гипотезы о том, что ἀπέταιροι были чужеземцами» (стр. 137). Однако, утверждая это, она забывает о том, что понятие «оседлого чужеземца», подвластного законам данного полиса», было хорошо известно греческому и вообще античному праву.

———————

[8] Определение гетерии можно было бы, по нашему мнению, сформулировать более четко. Ссылаясь на точку зрения Бюхелера и Цительмана, которые рассматривали гетерию как союз родов, занимающий, подобно афинской фратрии, промежуточное положение между филой и родом, автор никак не оговаривает свое отношение к этой гипотезе, хотя это не мешало бы сделать.

[9] R. F. Willets, Aristocratic Society in Ancient Crete, L. 1955, стр. 65.

[10] В Афинах существовал закон противоположного характера (см. Isaeus, II, 14; X, 9; Demosth. XLVI. 14).

Достаточно вспомнить афинских метеков или римских перегринов. Гортинских апетеров вполне можно представить себе, как аналогичную социальную прослойку, что не исключает, впрочем, наличия в их среде различных примесей местного происхождения. В противном случае вопрос происхождения этого сословия становится крайне неясным и сама Иоселиани на него никакого ответа не дает. Чересчур категоричным кажется нам и другое утверждение автора книги, согласно которому все свободные граждане Гортины были «совершенно освобождены от трудовых повинностей и могли посвятить себя военной и политической деятельности» (стр. 170—171, также 148, пр. 3). Конечно, в Гортине, как и в любом другом греческом городе, полноправные граждане были свободны от всякого рода повинностей, за исключением военной, и обязанности делать регулярные взносы в сисситии. Но это еще не означает, что никто из них никогда и ни при каких обстоятельствах не занимался физическим трудом. Ни о каком законе, который запрещал бы свободному человеку заниматься физическим трудом, как это было в Спарте, на Крите мы не знаем. Напротив, прямым подтверждением того, что многие из граждан работали сами, не довольствуясь тем, что, им давал труд рабов, может служить гортинская надпись (IC, IV, 74), относящаяся примерно к тому же самому времени, что и большой кодекс. В этой надписи среди других предметов, не подлежащих закладу, перечисляются ткацкий станок, железные инструменты, плуг, мельничные жернова и т. д. Все это, повидимому, принадлежит свободному человеку, отнюдь не рабу. Несколько натянутым кажется нам объяснение статьи, касающейся ребенка, родившегося от незамужней войкеи (IV, 18—23). Такой ребенок должен был принадлежать либо господину (пасту) отца войкеи, либо, если отца не было в живых, пастам братьев матери. Автор полагает, что в данном случае речь идет о двух разных семейных общинах. К одной из них принадлежит отец войкеи, к другой ее братья. Это странное обстоятельство автор объясняет тем, что переходы войкеев от одного господина к другому были в Гортине настолько распространенным явлением, что законодатель в данном случае принимает зависимость отца и его сыновей от различных семейных общин за норму, из которой он и исходит. Нам кажется, гораздо более простое объяснение этого места состоит в том, что пасты братьев войкеи сами являются братьями или просто родственниками, и на совместных началах владеют имуществом, доставшимся им в наследство от умершего отца. То, что земля с сидящими на ней войкеями не делилась при переходе по наследству, вытекает из IV, 30—44, той же надписи[11].

Указанные незначительные погрешности отнюдь не снижают высоких достоинств книги Л. Г. Иоселиани. Подводя итог, мы можем охарактеризовать ее как весьма значительный вклад в изучение социально-экономической истории дорийского Крита, да и всей Греции в целом. Работа Л. Г. Иоселиани, несомненно, должна привлечь к себе внимание многих историков античности. В то же время она может быть использована и как ценное пособие в академических целях.

Ю. В. АНДРЕЕВ

---

[11] К. И. Колобова, Войкеи на Крите, ВДИ, 1957, № 2, стр. 41, пр. 4.

# ქრონიკა და ინფორმაცია

## პროფესორ ვალერიან გაბაშვილის დაბადების 60 წლისთავი

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ვალერიან გაბაშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

ვალერიან გაბაშვილმა სამეცნიერო წრთობა მიიღო დიდი ქართველი ისტორიკოსების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით და მას შემდეგ, რამდენიმე ათეული წელია დაუღალავად ემსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების წინსვლის საქმეს.

პროფესორ ვ. გაბაშვილს ახასიათებს მეცნიერული კვლევის მაღალი კულტურა და ფართო დიაპაზონი. სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ფეოდალური ხანის საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკვანძო პრობლემებზე. ამ ნაშრომებში ქართული თუ უცხოური პირველწყაროების მონაცემების ყოველმხრივი ანალიზისა და მარჯვე ინტერპრეტაციის საფუძველზე, უახლესი სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით, მოცემულია ფართო მეცნიერული განზოგადებანი, ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი მრავალი საყურადღებო საკითხი.

დიდია ვალერიან გაბაშვილის დამსახურება აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა კადრების აღზრდის საქმეში. მეოთხედი საუკუნის მანძილზე კითხულობს იგი სპეციალურ სააღმოსავლეთმცოდნეო დისციპლინებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ამზადებს ასპირანტებს. მისი ხელმძღვანელობით დაიწერა ბევრი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ქართველ აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სკოლის მეთაური, პროფესორი ვალერიან გაბაშვილი შემოქმედებითი ძალებით არის აღსავსე. მას ძალიან ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს და იმედია, კიდევ არაერთ მნიშვნელოვან გამოკვლევას შესძენს ქართულ ისტორიოგრაფიას.

„მაცნეს" ისტორიის, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს ვალერიან გაბაშვილს დაბადების 60 წლისთავს, უსურვებს მას ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხევრძელობას და კვლავაც დიდ წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

# ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი 1970 წელს

გასული წლების მსგავსად 1970 წ. ინსტიტუტი განაგრძობდა მუშაობას საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, მატერიალური კულტურის, ყოფის და სულიერი კულტურის ისტორიის ფართო პრობლემატიკაზე.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ინსტიტუტის განყოფილებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განმაზოგადებელ ნაშრომებს საქართველოს ისტორიის საკვანძო, პრობლემურ საკითხებზე. საგანგებო ყურადღება ექცეოდა საკვლევი თემების მეცნიერულ აქტუალობას.

საანგარიშო წლის დამლევს ინსტიტუტის კოლექტივის მრავალწლიანი შრომის შედეგად დაიბეჭდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის I და V ტომები. აღნიშნული ნაშრომი არის ცდა, გააშუქოს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ცალკეული საკითხები თანამედროვე ისტორიული მეცნიერების დონეზე. ძნელია სათანადოდ შევაფასოთ ამ დიდი სამუშაოს მნიშვნელობა, რომელშიც ჩაბმული არიან ინსტიტუტის საუკეთესო ძალები.

საანგარიშო წელი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო წელი იყო. ამ თარიღის ჯეროვნად შესახვედრად დასახული ღონისძიებანი საანგარიშო წელს ინსტიტუტმა პირნათლად შეასრულა. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა ინსტიტუტის სამეცნიერო სესია. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 1970 წ. დაბეჭდილ პროდუქციაში ღრმად და ნათლად არის წარმოდგენილი ლენინიზმის იდეების სიცოცხლისუნარიანობა, ნაჩვენებია უდიდესი მნიშვნელობა ვ. ი. ლენინის თეორიული შრომებისა საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში.

პრობლემაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორია“ წარმატებით მუშაობდა საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. ი. კაჭარავა).

ამ თვალსაზრისით შესწავლილ იქნა საკითხები: „პოლიტიკური პარტიების ბრძოლა სოციალური რევოლუციის საკითხის გამო (ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომიის საკითხი 1900—1907 წწ.)“; „საქართველოს მუშათა კლასის მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა (1900—1914 წწ.)“; „საქართველოში ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კრახი (1920—1921 წ.წ.)“; „საქართველოს გლეხობის რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი“. კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებაში დამუშავდა თემა — „საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა (1917 წ. თებერვალი-ოქტომბერი)“.

პრობლემას „სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა სსრკ-ში“ მიეძღვნა სპეციალური ნაშრომი: 1970 წელს დასრულდა მუშაობა თემაზე „საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორია“. შესწავლილ იქნა საქართველოს კვების მრეწველობის, ქიმიური, ელექტროტექნიკური, საფეიქრო მრეწველობის ისტორიის ზოგი საკითხი.

განყოფილებაში დამუშავდა აგრეთვე თემები: „საქალაქო ცხოვრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროისათვის“; „საქართველოს სამრეწველო-ტექნიკური ინტელიგენციის ისტორიის ზოგიერთი საკითხი (1928—1932 წწ.)“, „მუშათა და გლეხთა კლასების კავშირის შემდგომი განმტკიცება სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში (1933—1937 წწ.)“.

საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში მიმდინარეობდა მუშაობა თემაზე „ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. ელმავალმშენებელი ქარხნის მუშათა საწარმოო და საზოგადოებ-

რივი ყოფა“. საწარმოს სპეციფიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ის თავისებურებანი, რომელნიც განსაზღვრულ გავლენას ახდენენ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის ყოფაზე, მათი კულტურის დონეზე.

ინსტიტუტი კვლავ განაგრძობდა მუშაობას. დიდი სამამულო ომის ისტორიის შესასწავლად. შესწავლილ იქნა სოციალური და რაოდენობრივი ცვლილებები საქართველოს მუშათა კლასში საქართველოს ქალაქების ინდუსტრიალიზაციის ზრდა ომის პერიოდში; ქართული კულტურა და მეცნიერება სამამულო ომის პერიოდში; ქართველი პარტიზანების მონაწილეობა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში (1943—1945 წწ.), კავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა (1944—1945 წწ.).

კვლავაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობოდა საქართველოში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიის შესწავლას. გამოკვლეულია, როგორი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა არსებობდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1933—1937 წწ., გაშუქებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის საკითხები (1951—1958 წწ.).

რამდენადაც საანგარიშო წელი ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელი იყო, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გამოკვლევები: „საქართველოს მშრომელების ბრძოლა ხალხთა მეგობრობის ლენინური პროგრამის განხორციელებისათვის სოციალისტური მშენებლობის პერიოდში“ და „ამიერკავკასიაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების ისტორიული მნიშვნელობა“.

ინსტიტუტი მუშაობდა ასევე ისტორიის ანტიკომუნისტური, ბურჟუაზიული დამახინჯების კრიტიკის თვალსაზრისით. საანგარიშო წელს განხილულ იქნა ინგლის-ამერიკულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს აღდგენითი პერიოდის ისტორიის დამახინჯებანი.

საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდის შედეგების აქტუალურ პრობლემას.

საქართველოს სსრ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყოფასა და კულტურაში მომხდარ ცვლილებებს საანგარიშო წელს კვლავაც წარმატებით სწავლობდა ინსტიტუტის სოციალურ კვლევა-ძიებათა ლაბორატორია (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი მ. გეგეშიძე). ლაბორატორიამ, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზოლის მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიური განვითარების კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლის მიზნით, გამოიკვლია სვანეთი.

თემა დამუშავდა ფართო სოციალური ინფორმაციის საფუძველზე, რაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისა და ადგილობრივი წერილობითი დოკუმენტური მასალის მონაცემებს ასახავს. შესწავლილ იქნა სათანადო ისტორიულ-ლიტერატურული, ეკონომიკური, სტატისტიკურ-დემოგრაფიული მასალა. თემის შესწავლილი ასპექტებია: სვანეთის სამეურნეო-ეკონომიური განვითარების თავისებურებანი და სამეურნეო აქტივიზაციის შესაძლებლობანი; მოსახლეობის მოძრაობა-გადაჯგუფების სპეციფიკა და მიგრაციული პროცესების სოციალური მიზეზები, შედეგები; მოსახლეობის სტრუქტურა პროფესიული და სოციალური ჯგუფების მიხედვით; ოჯახის განვითარების პროცესი; ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აქტივობა; ქალის სოციალური სტატუსი; კულტურის განვითარების პერსპექტივები.

დამუშავების პროცესშია თემა: ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხები. შემზადებულია პროგრამა, მოპოვებულია ნაწილობრივი სოციალური ინფორმაცია.

ძველი ისტორიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი აკად. გ. მელიქიშვილი), გრძელდებოდა მუშაობა მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებზე. ნაშრომში „ხეთების სამეფოს სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა“, განხილულია ხეთების საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის საკითხები (თავისუფალთა კლასი, მონები, საშუალო ფენები, მმართველი წრეების შემადგენლობა, მეფე და მისი ხელისუფლების ხასიათი). ცალკე შესწავლილია ტერმინი „მონა“ ძველხეთურ წყაროებში. გამოკვლეულია რომ ეს ტერმინი იხმარებოდა სხვა სოციალური წრეების წარმომადგენელთა აღსანიშნავადაც; დამუშავდა ახალბაბილონური სამეფოს რელიგიისა და კულტურის საკითხები, აგრეთვე აქადის დინასტიის ეპოქის სამეურნეო ტექსტები; შესწავლილ იქნა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რაიონების კულტურულ-ეკონომიური კავშირები ურარტულ სამყაროსთან.

მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ნაშრომში გაშლილია მსჯელობა ცალკეული პოლიტიკური და ეთნიკური გაერთიანების საზღვრების შესახებ. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემატიკას I ათასწლეულის II ნახევარში ეხება აქვე შესრულებული გამოკვლევა „მოსხების ქვეყანა“.

ნაშრომში — „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ლიტერატურაში“, წარმოდგენილია ანალიზი ბერძენ-რომაელი მწერლების ცნობებისა ისტორიული კოლხეთის შესახებ. ძველი ისტორიის განყოფილებაში დამუშავდა ნაშრომი, სადაც შესწავლილია საკითხების წრე, რომელიც განეკუთვნება გეოგრაფიული გარემოს როლს ისტორიულ პროცესში, კერძოდ უძველეს (პირველყოფილ-თემურ, ძველ აზიურ და ანტიკურ) საზოგადოებებში. აქვე V ს-ის საისტორიო და ლიტერატურული ძეგლის „შუშანიკის მარტვილობის“ შესწავლის შედეგად გამოკვლეულ იქნა V ს. ქართლის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა.

საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისისა და განვითარების საკითხს შეისწავლის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. მ. დუმბაძე). საანგარიშო წელს განყოფილებაში დამუშავდა გამოკვლევები „მიწისმფლობელობის ფორმები ადრეფეოდალურ საქართველოში“; „საქართველოს ეკონომიური განვითარება XIII ს-ში“; „XII ს-ის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში“. აქვე შესწავლილ იქნა „ქართული მმართველობის გადმონაშთები აღმოსავლეთ საქართველოში XIX ს. პირველ მესამედში“; „ხიზნური მიწათმფლობელობა რეფორმამდელი ხანის საქართველოში“. განყოფილებაში დაიწერა აგრეთვე საყურადღებო გამოკვლევები ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის სხვა საკითხებზე.

ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ შესწავლილი იქნა ნაშრომებით—„ამიერკავკასიის ხალხების ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ V—VII სს-ში“ და „აღმოსავლეთ საქართველოს ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XVIII ს. 70-იანი წლებიდან XIX ს. დამდეგამდე“. მრავალწლიანი გამოკვლევა— „ეკლესიის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა ფეოდალურ საქართველოში“ 1970 წელს შეივსო მორიგი ნაშრომით — „ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში“.

განყოფილებაში მომზადდა აგრეთვე რამდენიმე პოპულარული ხასიათის ნარკვევი საქართველოს ისტორიიდან.

კაპიტალიზმის გენეზისის, მისი განვითარების პრობლემებს ინსტიტუტში იკვლევს საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. ი. ანთელავა). საანგარიშო წელს მიმდინარეობდა შესწავლა იმ ცვლილებებისა, რაც მოხდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით.

შესწავლილ იქნა კლასობრივი ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში 1865—1917 წწ., განსაკუთრებით თბილისში; დასრულდა ხუთწლიანი ნაშრომი — „საქართველოს ქალაქების თვითმმართველობა (1875—1917 წწ.)“.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების თვალსაზრისით გამოკვლეულ იქნა გლეხთა საგადასახლებო მოძრაობა XIX ს-ის საქართველოში. XVIII ს-ის II ნახევრის ფეოდალურ მიწათმფლობელობაში მომხდარი ცვლილებების ხასიათის გასარკვევად შესწავლილია იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძის ცნობები. მდიდარი საარქივო წყაროების გამოყენების საფუძველზე გამოკვლეულია გლეხური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები 1864—1917 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის ხაზით დამუშავდა თემა „ადრინდელი ქართული განმანათლებლობა და დავით ბაგრატიონის მსოფლმხედველობა“ შესწავლილია ხომლელისა და პ. უმიკაშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი და სხვა.

დამუშავდა აგრეთვე გამოკვლევა — „1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში“. შესწავლილი იქნა გლეხთა კლასობრივი მოძრაობა XIX საუკუნის 50-იანი წწ. საქართველოში.

ისტორიული მეცნიერების ისტორიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი პროფ. პ. რატიანი) საანგარიშო წელს შესწავლილ იქნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების პ. იოსელიანისა და ა. ცაგარელის ცხოვრება და მოღვაწეობა; გაშუქებულ იქნა XIX ს-ის საქართველოს

გლეხთა მოძრაობის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში; ლენინური მოძღვრების შუქზე გაკრიტიკებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიის ზოგიერთი მცდარი შეხედულება საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების საკითხზე.

განყოფილებაში დაიწყო დამუშავება რამდენიმე წელზე გაანგარიშებული თემისა — „ვ. ი. ლენინი და ქართული ისტორიული მეცნიერება".

ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილება (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. კანდიდატი რ. კიკნაძე) კვლავაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას ქართული საისტორიო წყაროების რუსულად და უცხო ენებზე მეცნიერული თარგმნის განსახორციელებლად. ამ მეტად საჭირო საშურ საქმეში ჩაბმული არიან როგორც ინსტიტუტის განყოფილებათა, ისე თბილისის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლები.

საანგარიშო წელს დასრულდა საქართველოს ისტორიის ქრესტომათიის (უცხოური წყაროები) შედგენა. ქრესტომათია ამ ტიპის პირველი კრებულია ჩვენში. იგი მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის დამლევამდე. წყაროების დიდი ნაწილი ამ ქრესტომათიაში პირველად ქვეყნდება ქართულად, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას.

დიდი სამუშაო შესრულდა ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის მოსამზადებლად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად დასაბეჭდად მომზადდა „ერთიანობის ხანის" (XI—XV სს.) ქართული ისტორიული საბუთები.

გრძელდებოდა მუშაობა „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის" სახელმძღვანელოსა და „ქართლის ცხოვრების სიმფონიის" შედგენაზე; წარმოებდა როგორც საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების შესწავლა (ქათიბ ჩელები, ზაქარია აქულისელი), ასევე მუშაობა ქართული საისტორიო თხზულებების უცხოური წყაროების გამოსავლენად.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი გ. პაიჭაძე) დაიწყო შესწავლა საბჭოთა საქართველოს კულტურული ურთიერთობისა სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან. 1970 წ. შესწავლილ იქნა ლიტერატურული ურთიერთობანი XX ს-ის 20-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე. განყოფილებაში დამუშავდა აგრეთვე შემდეგი თემები: „ქართველი სტუდენტები ხარკოვისა და ოდესის უნივერსიტეტებში XIX ს. დასასრულსა და XX ს. დამდეგს"; „XVII ს. საქართველოს ისტორიის მასალები რუსეთ-ირანის ურთიერთობათა ფონდში"; „პუშკინი, გრიბოედოვი და პირველი რუსული გაზეთი საქართველოში". საანგარიშო წელს განყოფილებაში გამოსაცემად მომზადდა „1783 წლის რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი".

კავკასიის ხალხების ისტორიის განყოფილებამ (ხელმძღვანელი პროფ. ზ. ანჩაბაძე) 1970 წელს შეისწავლა ამიერკავკასიის ხალხების ერთობლივი ბრძოლა თურქ-ირანელთა დალექთა შემოსევების წინააღმდეგ, საერთო ღონისძიებანი რუსეთისა და ამიერკავკასიის კავშირურთიერთობათა განსამტკიცებლად. შესწავლილია ეკონომიური და კულტურული კავშირი დასავლეთ საქართველოს მთიელებისა ჩრდილო კავკასიის მეზობელ მთიელ ხალხებთან XIX ს-ში; საქართველოს კულტურული კავშირ-ურთიერთობა ცენტრალური იმიერ-კავკასიის ხალხებთან X—XII ს-ში; ჩრდილო კავკასიის მთიელთა პოლიტიკური როლი საქართველო-ირანის ურთიერთობაში XVI—XVIII სს.

შესწავლილია ადიღეველთა კულტურის თვითმყოფადობა და მისი კავშირი მეზობელ კავკასიურ სამყაროსთან, რუსეთის კულტურასთან დაახლოების ტენდენციები. გამოკვლეულია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის როლი 1787—91 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში.

აქვე სრულად იქნა შესწავლილი საგლეხო რეფორმის ისტორია სვანეთში. გამოკვლეულ იქნა ე. წ. „თავისუფალი სვანეთის" კლასობრივი სტრუქტურა.

ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. ი. ტაბაღუა) მუშაობდა როგორც საკუთრივ ევროპის, ასევე ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალების საფუძველზე დამუშავდა თემა „საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობანი XVIII ს-ს პირველ მეოთხედში"; ამავე განყოფილებაში დაიწყო შესწავლა თემისა „ინგლისის კოლონიური პოლიტიკა და ნაციონალურ-განმათავისუფლებლური მოძრაობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ეტაპზე"; შესწავლილია პოლონელი პატრიოტების მოღვაწეობა საქართველოში XIX ს. I ნახევარში. დამუშავდა აგრეთვე XVII—XVIII სს. და XIX ს. პირველი მეოთხედის იტალიური ეპისტოლარული მასალები და სხვ.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასის შესადგენად, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების გამოსაკვლევად მუშაობას განაგრძობდა ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. დ. მუსხელიშვილი). დაწყებულია სამუშაო საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლად XIX ს. ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში. შეგროვილია მასალები ოჯრიბის, სამცხის, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიის დასადგენად. ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების თანამშრომლებმა აწარმოეს საექსპედიციო სამუშაოები შიდა ქართლში, ზემო იმერეთში, ჯავახეთში და სხვ.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ინსტიტუტში არქეოლოგიის ხაზით.

საქართველოში ქვის ხანას ამავე სახელწოდების განყოფილება სწავლობს (ხელმძღვანელი პროფ. ა. კალანდაძე). ქვედა პალეოლითის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო ნაშრომია „წონის მღვიმე“, რომელიც მიჩნეულია კავკასიის მაღალმთიანი ზოლის ყველაზე ადრეულ ნამოსახლარად, ახლად აღმოჩენილი ქვედაპალეოლითური ნაშთების შესწავლის საფუძველზე გამოკვლეულია საქართველოს ზღვისპირეთის ქვედაპალეოლითური ნაშთების გეოლოგიის ზოგიერთი საკითხი. გაირკვა, რომ მცდარია ქვედაპალეოლითური ნაშთების ტერასული დათარიღების მეთოდი. აღმოჩენის უმეტეს ადგილებში ნაშთები გადაადგილებულია და ამდენად მათი ასაკობრივი თანხვდომა მეოთხეულის ტერასებთან გამორიცხულია. როგორც ირკვევა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ექსპედიციას იორ-ალაზნის შუამდინარეთის ქვედაპალეოლითური ნაშთების შესწავლის თვალსაზრისით. აქ ქვედაპალეოლითელი ადამიანი ფართოდ ყოფილა განსახლებული მოკიდებული ზედა პლეისტოცენის პერიოდიდან.

ენგურ-ცხენისწყლის აუზის ქვედაპალეოლითური კულტურის შესწავლით დადგენილია გვიანი ზედაპალეოლითური კულტურის ლოკალური (მთის) ვარიანტი; შესწავლილ იქნა საკაჟიასა და ხერგულის კლდეში მოპოვებული მასალა: სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მეზოლითური ადამიანის სამეურნეო ყოფა შესწავლილია მღვიმურ ნაბინარევში (ცძანი, ზურტაკეტი) აღმოჩენილი მასალის საფუძველზე; დარკვეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად კულტურული ფენების სტრატიგრაფიულმა ურთიერთმიმართებამ გამოავლინა ენეოლითური და ნეოლითური კულტურების საინტერესო ურთიერთკავშირი.

ადრერკინის ეპოქას კავკასიაში სწავლობს ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განყოფილება (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. გ. გობეჯიშვილი). განყოფილების თანამშრომელთა გამოკვლევებით საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია კულტურის ძეგლები მიწათმოქმედი ტომებისა მოკიდებული ძვ. წ. V—IV ათასწლეულიდან, რაც გაცილებით წინ უსწრებს ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურას. ამასთანავე შესწავლილია „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ახალი ძეგლები, რასაც თან ახლავს მათი ქრონოლოგიური დანაწევრიანების წარმატებული ცდა; პირველად იქნა დახასიათებული და შესწავლილი ზღვისპირეთის ბორცვოვანი დასახლებანი, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, რკინის მადნის დამუშავების შედეგად წარმოიქმნენ.

ზემოთ აღნიშნული ასპექტით შესწავლილ იქნა ადრერკინის კულტურა სამხრეთ საქართველოში, ადრებრინჯაოს სამაროვანი სამშვილდეში; IV—III ათასეულის კულტურული ძეგლები დასავლეთ საქართველოში და სხვ. განყოფილებაში შესწავლილია აგრეთვე გვიანბრინჯაოს ხანისა და ადრერკინის პერიოდის ნამოსახლარების კულტურათა ლოკალური თავისებურებანი.

ანტიკური პერიოდის არქეოლოგიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი პროფ. ა. აფაქიძე) დასრულდა ხუთწლიანი თემა „ანტიკური ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლები საქართველოში“. ნაშრომი უხვადაა ილუსტრირებული ნახაზებითა და ჩანახატებით, ფოტოებით;

განყოფილების თანამშრომლები განაგრძობენ მუშაობას ბიჭვინტის, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვრის მეცნიერული განზოგადებისათვის. შესწავლილია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭელი. ამავე ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის თავდაცვითი ნაგებობანი.

შესწავლილ იქნა: „ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები“, „საქართველოს ადრეანტიკური ხანის თავსამკაული“. გრძელდება შესწავლა ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მასალებისა.

შ უ ა ს ა უ კ უ ნ ე ე ბ ი ს ე პ ო ქ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ე ბ ი ს ა და ს ა წ ა რ მ ო ო კ ე რ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ინსტიტუტის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფი-

ლებამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. გ. ლომთათიძე). საანგარიშო პერიოდის ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ახალი მასალების გამოჩენა ადრეული შუა საუკუნეების მცხეთის ისტორიის შესასწავლად. (მარტაზისხევის სამაროვანის მასალები). გამოვლინდა საკმაოდ მაღალი დონე ადრეული შუა საუკუნეების მცხეთის ხუროთმოძღვრული მშენებლობისა; დაისვა საკითხი მცხეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგი საკითხის გადასინჯვისა.

საანგარიშო პერიოდში არსებითად გაიზარდა ჩვენი ცოდნა ადრეფეოდალური ხანის ქალაქის ბოლნისის შესახებ; განათხარი მასალის შესწავლის საფუძველზე ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიაში გამოიყო ორი საფეხური ადრეფეოდალური ხანისა; კუხეთის რუსთავის ნუმიზმატიკური მონაპოვარის შესწავლის საფუძველზე დაზუსტდა ნაქალაქარის ისტორიის ზოგი საკითხი.

დასავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლთაგან საინტერესოა ვანში გათხრილი ციხე—სულორი, რომელიც ელინისტური პერიოდის ნამოსახლარზეა აგებული; აგრეთვე მდ. ენგურის პირას, ფახულანთან „ნოჯიხურზე“ შესწავლილი შუაფეოდალური ხანის საყდრის და სხვა ნაგებობათა ნაშთები.

რეგიონალურად იქნა შესწავლილი კახეთი (პანკისის ხეობა); ერწო-თიანეთი, თორი-ლიკანი (ბორჯომის ხეობა) და ეგრის-ლაზიკა (დასავლეთი საქართველო).

შუა საუკუნეების პერიოდის ხელოსნობისა და სახელოსნო ნაწარმის შესწავლამ გამოავლინა სამჭედლო საქმის მაღალი დონე, მინისა და ფაიანსის ადგილობრივი წარმოება.

არქეოლოგიის სექტორში დამუშავდა საინტერესო გამოკვლევა „საქართველოს ტერიტორიაზე გეომაგნიტური ველის არქეომაგნიტური მეთოდით გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი“. აგებულია წინასწარული ხასიათის, საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით ერთადერთი მრუდი, რომელიც ასახავს გეომაგნიტური ველის ცვალებადობას უკანასკნელი 1700 წლის მანძილზე. ამდენად საშუალება გვეძლევა დავათარიღოთ არქეოლოგიური ძეგლები არქეომაგნიტური მეთოდით.

საანგარიშო პერიოდში წინ წავიდა საქართველოს არქეოლოგიური რუკების შედგენის სამუშაო. შედგენილია ვანის რაიონის არქეოლოგიური რუკის პირველი ვარიანტი. მომზადდა მასალები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური რუკის შესადგენად, აგრეთვე მასალები დიღმის ხეობის არქეოლოგიური რუკისათვის.

ინსტიტუტის არქეოლოგიური სექტორი ატარებდა ორ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ექსპედიციას. ეს არის ვანისა (ხელმძღვანელი პროფ. ო. ლორთქიფანიძე) და დიღმის ხეობის (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. რ. აბრამიშვილი) ექსპედიციები. მოპოვებული მასალების შემდგომი მეცნიერული დამუშავება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგადი არქეოლოგიის, საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის უძველეს კულტურათა და გარესამყაროს კავშირურთიერთობათა მრავალი ასპექტის გაშუქებაში.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ბიჭვინტის (ხელმძღვანელი პროფ. ა. აფაქიძე), კახეთის (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. კ. ფიცხელაური), ენგურის (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. გრიგოლია), ახალციხის (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი ტ. ჩუბინიშვილი) ექსპედიციები.

შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილებამ გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით განაახლა ვარძიის ქვაბოვანის შესწავლა. მოსინჯულია ციხე-სამოსახლო ხორნაბუჯი (რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე). ამავე განყოფილებამ ჩაატარა დაზვერვითი ექსპედიცია წალკის რაიონში დარანის შესასწავლად.

საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი აკად. გ. ჩიტაია) 1970 წელს გრძელდებოდა მუშაობა „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის“ შესადგენად. მომზადებულია „ატლასის“ საცდელი ნაკვეთის ნაწილი — „მიწათმოქმედება“ (შესავალი ნაწილი, 15 კარტოგრამა და ილუსტრაციები).

საანგარიშო პერიოდში დასრულდა თემა „შეფარდებითი ქრონოლოგიის პრობლემა ეთნოგრაფიაში“. შრომაში ნაჩვენებია შეფარდებითი ქრონოლოგიის პრობლემის გაგების ძირითადი მომენტები ისტორიულ პერსპექტივაში, კრიტიკულად არის შეფასებული საზღვარგარეთის ეთნოგრაფიაში ქრონოლოგიის საკითხის გადაჭრის პრინციპები.

კომპლექსურად იქნა შესწავლილი თემა — „კულტურის ისტორია და ხალხური საწარმოო ტრადიციები“. გამოვლენილია საინტერესო მასალა ხორბლის უძველესი ქართული ჯიშებისა და მათი სახელწოდებების ახლებურად გააზრებისათვის. შესწავლილია მემინდვრეობის უძველესი დარგები, ემპირიული ცოდნა-გამოცდილება მემინდვრეობის ხალხურ კულტურაში და

სამეურნეო კულტურების გავრცელება გეოგრაფიული ზოგადობის მიხედვით. სპეციალურად არის შესწავლილი მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის იარაღები მესხეთში. დადგენილია სამიწათმოქმედო იარაღების ტიპოლოგია.

საგანგებოდ ისწავლებოდა ქართული ინტენსიური სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობა-მეღვინეობა და ღვინის დაყენების ხალხური წესები დასავლეთ საქართველოში. ანტიკური ხანისა და გვიანდელი ევროპული მეღვინეობის მონაცემების ქართულთან შეპირისპირების საფუძველზე დადგენილია ქართული მეღვინეობის ზოგიერთი ტიპოლოგიური თავისებურებანი.

1970 წელს საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში შესწავლილ იქნა აგრეთვე საკითხი: „საქართველოს ხელოსნური წარმოების ცენტრები“. ნაშრომში დახასიათებულია ხელოსნობის განვითარებული დარგები: ხარაზობა, მეუნაგირეობა, თერძობა და სხვ.

ქართული სოფლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ XIX ს. მეორე ნახევარში მთის ქართულ სოფლებში ცხოვრება უკვე კაპიტალისტურ საწყისებზე ვითარდება. საოჯახო საქორწინო ურთიერთობათა შესწავლის დროს სპეციალურად იქნა გამოკვლეული მზითვის ადგილი საქორწინო ინსტიტუტში. საანგარიშო წელსაც გრძელდებოდა მრავალწლიანი სამუშაოს — საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის საკითხების — დამუშავება.

პრობლემით — რელიგიისა და ათეიზმის ისტორია, დამუშავდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრები (პროფ. ვ. ბარდაველიძე). სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტების შესწავლისათვის საინტერესო იყო გამოკვლევები, რომლებიც მიეძღვნა „ამანათისა“ და „ჯვარისყმობის“ ყოველმხრივი გამოკვლევის საკითხს. ასევე ცალკეა შესწავლილი სამარხები და სამარხის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. აგრეთვე გადმოცემები ჯვარ-ხატების დაარსებაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ (ხელმძღვანელი. პროფ. ა. რობაქიძე). კომპლექსურად შეისწავლა დიგორისა და ურუხის ხეობის ოსთა განსახლების არეში ფეოდალურ ციხე-სიმაგრეთა თავისებურებანი, საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპები. გამოკვლეულ იქნა წოვა-თუშების განსახლება. აღნიშნული საკითხები იხილებოდა ქართულ და ჩრდილო-კავკასიურ მასალასთან ურთიერთშედარების საფუძველზე. ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განხილულია ოსეთში მიკვლეული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ასახავენ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას, მათ პატივისცემას მიცვალებულთა კულტის მიმართ.

ცალკეა შესწავლილი ურუხის ხეობაში მცხოვრებ ოსთა საოჯახო ყოფა, მათი ნათესაობის სისტემა. ურუხის ხეობის მოსახლეობის ეთნოგრაფიული მდგომარეობის სურათს სრულყოფს შესწავლა მიწათმოქმედების და მესაქონლეობის საკითხებისა. ამრიგად, ეს ხეობა კომპლექსურად, ამომწურავად არის შესწავლილი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში ანთროპოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. მ. აბდუშელიშვილი) აგრძელებდა კავკასიის უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებათა შესწავლას. ჰემატოლოგიურ, ოდონტოლოგიური და დერმატოგლიფიკური გამოკვლევების საფუძველზე შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეთნო-ტერიტორიალური კარტოსქემები. მოპოვებულია ახალი პალეოანთროპოლოგიური და კრანიოლოგიური მასალა კახეთის სხვადასხვა რაიონებში, ბორჯომის ხეობაში. ამ წელს განყოფილებამ დაიწყო პალეოპათოლოგიური მასალების შესწავლა. „ეთნოგრაფიული ატლასისათვის“ მომზადდა რუკა საქართველოსა და კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელების მინიშნებით.

1970 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა სამეცნიერო მონოგრაფიების, სტატიების, საჟურნალო და საგაზეთო წერილების სახით 200-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნეს, მათ შორის:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I და V. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ამ ტომებში გამოკვლეულია საქართველოს ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე (ტ. I) და XIX ს. 30—90-იან წლებში (ტ. V). პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის გვერდით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული კულტურის საკითხებს.

2. კრებული — საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“. კრებულში დაბეჭდილი სტატიები აშუქებენ საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ისტორიას. ნაჩვენებია საქართველოს კომუნისტური პარტიის როლი საქართველოში სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

3. ავტორთა კოლექტივი — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, გამომცემლობა „მეცნიერება“. გაშუქებულია ფეოდალური საქართველოს ისტორიის ბევრი საყურადღებო საკითხი. კერძოდ, ახლებურად არის დასმული საკითხი კახეთში სათავადოთა სისტემის არსებობის შესახებ გვიანფეოდალურ ხანაში.

4. მ. გაფრინდაშვილი, კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ზოგიერთი საკითხი ვ. ი. ლენინის შრომებში, გამომცემლობა „მეცნიერება“. შრომაში განხილულია ვ. ი. ლენინის შეხედულებანი მსოფლიო და რუსეთის კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების საკითხებზე. დახასიათებულია აღნიშნული საკითხების შესწავლის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია. აგრეთვე მოცემულია განმანათლებლური, რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალისტური კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ცალკეული წარმომადგენლების მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ლენინური გაგება.

5. მ. ნათმელაძე, საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1921 — 1941 წწ.), I, „მეცნიერება“. პირველწყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ფართოდ არის გაშუქებული მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის საკითხები; ნაჩვენებია ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები, რაც მოხდა მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში.

6. ი. ტაბაღუა, ვ. ი. ლენინი საფრანგეთში, „მეცნიერება“. შრომაში აღწერილია ვ. ი. ლენინის საფრანგეთში 1909—1912 წწ. ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები, გადმოცემულია მისი შეხედულებები საფრანგეთის მდიდარი რევოლუციური ტრადიციების შესახებ.

7. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“. მონოგრაფიულადაა შესწავლილი საქართველოს ისტორიული პროვინციის, ჰერეთის ისტორია, დასმულია საკითხი ჰერების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

8. უ. სიდამონიძე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, „მეცნიერება“, შესწავლილია ისტორიული აზროვნების განვითარების ისტორია ქართული ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნისა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ. განხილულია როგორც ქართული მარქსისტული, ასევე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია.

9. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, II, „მეცნიერება“. ნაშრომი მიზნად ისახავს, გააცნოს მკითხველთა ფართო წრეს 1964—1968 წწ. არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარი, რაც განეკუთვნება ანტიკურ და წინარეანტიკურ ეპოქებს. ნაშრომი მნიშვნელოვანია საერთოდ იბერიის სამეფოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

10 გ. ლორთქიფანიძე, ძველი კოლხიდის ისტორიისათვის, „განათლება“. ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე ნაშრომში შესწავლილია კოლხეთის ისტორიის პრობლემები ძვ. წ. II—I სს-ში.

11. ა. ბენდიანიშვილი, სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში, „მეცნიერება“. შრომაში ლენინური მოძღვრების საფუძველზე შესწავლილია საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების დონე. დადგენილია როგორი იყო ის სოციალურ-ეკონომიური და იდეურ-პოლიტიკური წანამძღვრები, რაც წინ უძღოდა სოციალისტურ რევოლუციას.

12. ა. ლეჟავა, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, „მეცნიერება“. გაშუქებულია რთული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ. ნაჩვენებია ა. გეგეჭკორის რაზმის ბრძოლა ბიჩერახოველთა წინააღმდეგ. გაშუქებულია აგრეთვე XI არმიის როლი დენიკინელთა განადგურების საქმეში.

13. Г. Пайчадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII в., „საბჭოთა საქართველო“ ახალი საარქივო მასალების საფუძველზე გაშუქებულია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა XVIII ს. I ნახევარში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის.

14. რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, „მეცნიერება". მონოგრაფიულად არის შესწავლილი 1951 და 1962 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მდ. იორზე სიონის ნაქალაქარის ადრეფეოდალური საკულტო ნაგებობანი, შუასაუკუნეების სამარხები.

15. Т. Чубинишвили (თანაავტორი—Кушнарёва)—Древние культуры Южного Кавказа, изд. „Наука", Ленинград.

16. Ш. Хантадзе, Академик Марий Броссе, „მეცნიერება". ნაჩვენები არის ის დიდი ღვაწლი, რაც აკად. მ. ბროსეს მიუძღვის ქართველოლოგიის წინაშე. წიგნს დართული აქვს მ. ბროსეს შრომების ბიბლიოგრაფია.

17. მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერო მუსიკა, „მეცნიერება". ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მუსიკალურ-თეორიული ანალიზის საფუძველზე პირველად არის მონოგრაფიულად, ყოველმხრივად შესწავლილი ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი.

18. ვ. ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, „მეცნიერება". ნაშრომში დღემდე უცნობი ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე აღწერილია, როგორც გადმონაშთის სახით შემონახული ისტორიულად არსებული მოხევეების საოჯახო თემი (დიდი ოჯახი), ასევე ოჯახის გაბატონებული ფორმა — ინდივიდუალური ოჯახი. განხილულია ოჯახის შემადგენლობა, ეკონომიური საფუძვლები, მმართველობის სისტემა და საკუთრების ხასიათი.

საანგარიშო წელს ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მრავალი სამეცნიერო სესიისა და კონფერენციის მუშაობაში.

ინსტიტუტის 11 თანამშრომელი ესწრებოდა ისტორიულ მეცნიერებათა XIII საერთაშორისო კონგრესს, რომელიც ჩატარდა 1970 წ. 16—23 აგვისტოს მოსკოვში. კონგრესზე კამათში გამოვიდნენ პროფესორები მ. ლორთქიფანიძე და ო. ლორთქიფანიძე.

ეკონომიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც წინ უსწრებდა ისტორიულ მეცნიერებათა კონგრესს, მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის ხუთმა თანამშრომელმა. კონგრესზე საინტერესო მოხსენებით წარსდგნენ ო. ლორთქიფანიძე და დ. მუსხელიშვილი.

პროფ. გ. გეგეშიძემ წაიკითხა მოხსენება სოციოლოგთა VII მსოფლიო კონგრესზე (1970 წ., სექტემბერი, ვარნა, ბულგარეთი).

ქალაქ ლვოვში ჩატარებულ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ საველე კვლევა-ძიებათა შედეგებისადმი მიძღვნილი საკავშირო სესიის მუშაობაში ინსტიტუტიდან მონაწილეობა მიიღო შვიდმა თანამშრომელმა.

გარდა აღნიშნულისა, ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში ჩატარებული დიდი სამამულო ომის დამთავრების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონგრესის მუშაობაში.

ინსტიტუტის XIX სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ვ. ი. ლენინის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, წაკითხულ იქნა 16 მოხსენება (თეზისები დაბეჭდილია).

ინსტიტუტში ჩატარდა აგრეთვე XIX სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1969 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. სესიაზე გამოტანილი 32 მოხსენებიდან ინსტიტუტის თანამშრომლებმა წაიკითხეს — 22.

საანგარიშო წელს კვლავაც გრძელდებოდა ინსტიტუტის კონტაქტები საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან.

საქართველოს უახლესი პერიოდის ისტორიის განყოფილების სტუმარი იყო ამერიკელი პროფესორი უაილდმენი, რომელიც მუშაობს საბჭოთა კავშირის ისტორიის საკითხებზე. შუასაუკუნეების ისტორიის განყოფილებას ეწვია ამერიკელი პროფესორი ნ. გარსოიანი, რომელმაც ინსტიტუტში წაიკითხა საინტერესო მოხსენება აშშ-ში კავკასოლოგიის და ბიზანტოლოგიის განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. არქეოლოგიის სექტორში სტუმრად იყვნენ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის არქეოლოგები: გამელ მაჰრიზი, ჰასან ბაქრი; ერაყელი არქეოლოგები: ჰამიდი და ფავზი რაშიდ მუჰამედი. არქეოლოგიის სექტორის წამყვან მუშაკებთან მეცნიერულ საუბრებში დაისახა მეცნიერული ინფორმაციის გაცვლის, მეცნიერული კონტაქტების გაცხოველების პერსპექტივები. სამეცნიერო ურთიერთობის გაცხოველების საკითხი ასევე ერთ-ერთი მთავარი იყო საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების სტუ-

მრებთან: ინდოელ მეცნიერთან ბერმანთან, პოლონელ მეცნიერ პეტრაშეკთან მეცნიერულ საუბრებში. უცხოელი ეთნოგრაფები გაეცნენ საქართველოს ეთნოგრაფიის მიღწევებს. იყვნენ საქართველოს რაიონებში. 1970 წ. იანვარში კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ისტ. მეცნ. დოქტორი თ. ჩიქოვანი ბულგარეთში ქ. ველიკო-ტირნოვოს პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიაში.

ძველი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გ. გიორგაძე გერმანელი კოლეგების მიწვევით, წლის ბოლოს თვენახევრიანი მივლინებით გაემგზავრა ბერლინში, სადაც მუშაობას აწარმოებდა წინააზიური მუზეუმის ფონდებზე.

1970 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე ინსტიტუტის ერთმა თანამშრომელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 12-მა საკანდიდატო.

**ჯუმბერ ოდიშელი**

## ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით, სამოცი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. 1907 წელს, როგორც ცნობილია, ქ. თბილისში ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც ჩვენი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შეგროვების მოვლა-პატრონობისა და შესწავლის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. ამ „საზოგადოებამ" იმთავითვე მიიპყრო თანამედროვეთა ყურადღება; მის მუშაობაში მოწინავე ქართველი ინტელიგენცია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველმა წარმატებებმა ქართული კულტურის ენთუზიასტთა ერთსულოვანი ამოქმედება გამოიწვია არა მარტო დედაქალაქში, არამედ პერიფერიებშიც. პირველ რიგში თბილისს ქუთაისი გამოეხმაურა. 1912 წელს აქ დაარსდა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. მის დაარსებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქუთაისში მომუშავე ქართველ ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ იოსებ ოცხელი, ტრიფონ ჯაფარიძე, გრიგოლ გველესიანი, სილოვან ხუნდაძე, კონსტანტინე ჯორჯიკია და სხვ.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების უმთავრესს მიზანს ჩვენი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შეკრება, დაცვა და პოპულარიზაცია შეადგენდა. მართალია, ეს „საზოგადოება" ნივთიერად ცუდ პირობებში იმყოფებოდა. მაგრამ მან მაინც ენერგიულად მოკიდა ხელი ამ ეროვნულ საქმეს; „საზოგადოების" გარშემო თავი მოიყარეს მოწინავე ადამიანებმა, სიძველეთა მოყვარულებმა, ცალკეულმა ენთუზიასტებმა...

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამოქმედო ზონა მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და პირველ წლებში ამ მხარეში დიდძალი მასალა იქნა გამოვლენილი და შეკრებილი. „საზოგადოებამ" არაერთი ძეგლი გადაარჩინა განადგურებასა და დაზიანებას. მას ამ საქმეში აქტიურ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი რწმუნებულები და აქტივისტები. არსებობის პირველსავე წლებში „საზოგადოებამ" თავი მოუყარა საინტერესო ძეგლებს, რაც ქუთაისის მუზეუმის მყარი საფუძველი გახდა. ამ ძეგლებიდან აღსანიშნავია ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა ხასიათის მასალები. 1912-დან 1915 წლამდე „საზოგადოების" მიერ ჩატარებული მუშაობა შეჯამებულია ანგარიშში, რომელიც 1916 წელს დაიბეჭდა. ამ წლებში გამოვლენილი და შეკრებილი იქნა 1000-მდე სხვადასხვა სახის სამუზეუმო დანიშნულების ნივთი.

1919 წელს ქუთაისში გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე, მისი მდიდარი პირადი არქივი და ბიბლიოთეკა, მისივე ანდერძით ქუთაისის

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა, რამაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა მისი კოლექციები. რა თქმა უნდა, „საზოგადოების“ მუშაობა სამუზეუმო მასალების შეგროვებით არ ამოიწურებოდა. იგი ამასთან ერთად სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც აწარმოებდა.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება 1921 წლამდე არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმე სახელმწიფო ზრუნვის საგანი ხდება და ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების ბაზაზე ყალიბდება უკვე სახელმწიფო დაწესებულება — ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმი (1922 წლის 1 დეკემბერი). ამიერიდან იწყება შეგროვილი მასალების აღრიცხვა და სამუზეუმო წესით დამუშავება, შედგენილ იქნა საინვენტარო დავთრები და სხვ. 1923 წლის 10 ივნისს გაიხსნა დამთვალიერებელთათვის მუზეუმის პირველი ექსპოზიცია. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ახალი მასალების შეგროვებასა და კულტურის ძეგლთა დაცვას ექცეოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქუთაისის მუზეუმს რთული და მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა დაეკისრა — დასავლეთ საქართველოს მაზრებში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვა. უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმმა შეძლო თავი გაერთმია ამ რთული საქმისათვის.

1923—1924 წლებში მუზეუმმა ჩაიბარა ქალაქ ქუთაისის, გელათისა და მოწამეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული ნივთები; გელათის სამონასტრო ანსამბლი, როგორც შესანიშნავი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი, გამოცხადდა სახელმწიფო ნაკრძალად და დაექვემდებარა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს. 1924 წელს ქუთაისელმა პედაგოგმა პეტრე ჭაბუკიანმა ქალაქის ახლოს, თეთრამიწაზე, ნეოლითელი ადამიანის სადგომი აღმოაჩინა. მან აქ შეაგროვა და ქუთაისის მუზეუმს ჩააბარა სამეურნეო და სამონადირეო იარაღების დიდი კოლექცია.

1925—1926 წლებში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის დავალებით ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების სიძველეებს სწავლობდა და აგროვებდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ინსპექტორი გიორგი ბოჭორიძე. მან ზემოხსენებულ მაზრებში აღრიცხა ისტორიული ძეგლები და სიძველეები, ხოლო შეკრებილი მასალის დიდი ნაწილი ქუთაისის მუზეუმს ჩააბარა. ოციან-ოცდაათიანი წლები ქუთაისის მუზეუმისათვის შეგროვებით მუშაობის დარგში მეტად ნაყოფიერი ჩანს. რევოლუციამდელი პერიოდის ამსახველი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ წლებშია შეკრებილი. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მუშაკებმა, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში მუშაობდნენ მუზეუმში: ტრიფონ ჯაფარიძემ, პეტრე ჭაბუკიანმა, გიორგი კოკოჩაშვილმა, ევსევი ნიკოლაძემ, ქეთევან სანიკიძემ, კონსტანტინე მექველიამ, მინაგო გოგსაძემ და სხვებმა ამავე პერიოდში სამუზეუმო მასალების შეგროვების საქმეში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი მუზეუმის რწმუნებულებსა და აქტივისტებს, რომლებიც დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოქმედებდნენ. მათი რიცხვი ძალზე დიდია, მაგრამ მაინც უნდა დავასახელოთ გიორგი ტყეშელაშვილი (ვანი), მიხეილ ჩინჩალაძე (ხარაგოული), მიხეილ ხეცაძე (ჩხარი), პავლე აბაშიძე (ზესტაფონი), ვასილ ამაშუკელი (ქუთაისი) და მრავალი სხვა.

ქუთაისის მუზეუმს სხვადასხვა დროს ფონდებით დაკომპლექტებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში დახმარებას უწევდნენ ქართული კულტურისა და მეცნიერების ცნობილი მოღვაწეები — აკადემიკოსები — გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, კორნელი კეკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია, პროფ. ვ. დონდუა, ვუკოლ ბერიძე, ს. კაკაბაძე და სხვ.

ქუთაისის მუზეუმის ფონდების გამდიდრების მთავარ საშუალებად სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციები ითვლებოდა, რომლებიც სისტემატურად ეწყობოდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. აღსანიშნავია ისიც, რომ რევოლუციამდელი პერიოდის ამსახველი მასალების შეგროვებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი მასალების შეგროვების საქმეს.

ქუთაისის მუზეუმში 70 ათასზე მეტი სამუზეუმო მნიშვნელობის საგანია დაცული; მათგან 68 ათასი ძირითად ფონდს მიეკუთვნება. ეს მასალები შუქს ჰფენენ ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე. ამჟამად მათი მნიშვნელობა ძალზე დიდია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და მახლობელი ქვეყნების ისტორიისა და კულტურული წარსულის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია იმ მასალების

გათვალისწინების გარეშე, რომლებიც ქუთაისის მუზეუმშია დაცული. მრავალფეროვანი და დიდმნიშვნელოვანი ფონდებით ქუთაისის მუზეუმი ითვლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მნიშვნელოვან ბაზად, სადაც სისტემატურად მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებიდან მოვლინებული ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები, ფილოლოგები, ეკონომისტები და სხვ. ამ მასალებით დაინტერესებული არიან საზღვარგარეთელი ქართველოლოგები.

ქუთაისის მუზეუმში დაცულ მასალებიდან უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია არქეოლოგიური ძეგლების მდიდარი კოლექციები. დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრებით და შემთხვევით აღმოჩენილი ქვის, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, მინის, ძვირფასი ქვებისა და ლითონის სამკაულები, აქ არის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკა. ამ ძეგლებიდან უნდა გამოვყოთ ქუთაისის მახლობლად საკაჟიისა და წყალწითელას გამოქვაბულებში და თეთრამიწის მაღლობზე მოპოვებული პალეოლითური და ნეოლითური კულტურის ძეგლები; არქეოლოგიურ ფონდში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრინჯაოს ხანისა და ანტიკური პერიოდის კოლხური კულტურის დამახასიათებელ ძეგლებს. ამ ძეგლებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს კოლხური საბრძოლო ცულები და სარტყლის ბალთები. კოლხური ცულები შემკულია ფანტასტიკურ ცხოველთა გამოსახულებებითა და გეომეტრიული სახის ორნამენტებით. ხოლო კოლხური ბალთების სამკაულს თავთავისებური ჩარჩო, ხვეულ-რელიეფური ორნამენტები და ფანტასტიკურ და რეალურად არსებულ ცხოველთა გამოსახულებანი შეადგენს. აქ ინახება უნიკალური ძეგლი — ბრინჯაოს ითიფალური ქანდაკება (ძვ. წ. 1 ათასწ.), რომელიც შიშველი მამაკაცის გამოსახულებას წარმოადგენს; უაღრესად საინტერესოა ვერცხლის სამკაული, რომელიც დაფარულია ანტიკური პერიოდის საბრძოლო სცენების გამოსახულებებით. აქ დაცულია ელინისტური ხანის სამარხეული ინვენტარი, რომელიც მოპოვებულია სხვადასხვა დროს, როგორც არქეოლოგიური გათხრებით, ასევე შემთხვევით — მიწის დამუშავების დროს. ქუთაისის მიდამოებსა და ვაკე-იმერეთის სხვადასხვა სოფლებში. ქვევრ-სამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია ფართო მოხმარებისა (თიხის ჭურჭელი, სასმისები, შავლაქიანი ჭურჭელი და სხვ.) და მაღალი მხატვრული ოსტატობით ნაკეთები ფუფუნების საგნები (ოქროსა და ვერცხლის ნივთები, მინისა და ფერადი ქვების სამკაულები). ქვევრ-სამარხების ინვენტარში გვხვდება, აგრეთვე იმპორტული ნაკეთობანიც.

გარკვეული ადგილი უჭირავს ნუმიზმატიკურ კოლექციებს, რომლებიც რამდენიმე ათას ერთეულს შეიცავს, მათ შორისაა ოქროსა და ვერცხლის მონეტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლხური დრაქმები. რომლებიც ძვ. წ. VI—III საუკუნეებშია მოჭრილი. აქ ინახება ძვ. წ. მე-5 საუკუნის უნიკალური ნომინალი — დრაქმა, საყურადღებოა ოქროს სტატერი ლისი მახის გამოსახულებით, ძვ. წ. პირველი საუკუნის ოქროს კოლხური სტატერები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ნუმიზმატიკურ ფონდში ქართულ მონეტებს გარდა დაცულია პართული, რომაული, ბიზანტიური და აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნის იშვიათი მონეტები. მუზეუმში დაცულია, აგრეთვე საქართველოს ფეოდალური ხანის მონეტებიც. ამ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საქართველოსა და აღნიშნული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის.

ქუთაისის მუზეუმის ფასდაუდებელ განძს შეადგენს ხელნაწერთა ფონდი. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები. სულ 700-ზე მეტი ხელნაწერი წიგნია დაცული, მათ შორისაა ისეთი ხელნაწერები, რომელთა მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით მეტად დიდია. მათი მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების კულტურის ისტორიის შესწავლისათვის X საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნის ჩათვლით. ეს ხელნაწერი წიგნები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან არის შემოსული მუზეუმში. ამ ძეგლებიდან მეცნიერული ღირებულებითა და რაოდენობრივი სიმდიდრით გელათური ხელნაწერი წიგნები გამოირჩევიან.

ძველი ქართული დამწერლობის თვალსაზრისით დიდად საყურადღებოა სახარება-სამოციქულო (№ 176)[1], შესრულებული ეტრატზე ასომთავრული შრიფტით XI საუკუნის დასაწყისში.

ხელნაწერთა ფონდს ამდიდრებს ბერძნულ ენაზე დაკარგულად მიჩნეული მეტაფრასული ტექსტების ქართული თარგმანი. კერძოდ, შვიდი თვის (თებერვლიდან აგვისტომდე) აგიოგრაფიული საკითხავები, რომლებიც XI საუკუნის ბიზანტიელ მწერალს და ფილოსოფოსს იოანე ქსიფილინოსს გაუმეტაფრასებია. ი. ქსიფილინოსის ეს უზარმაზარი შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე დაიკარგა, აკად. კ. კეკელიძის აზრით უთარგმნიათ ქართულად დემეტრე I-ის დროს გელათის აკადემიაში, ხოლო XVI საუკუნეში იმავე გელათში მთელი წლის საკითხავები გადაუწერიათ ხუთ წიგნად, რომლებშიც 1912 წელს აკად. კ. კეკელიძემ ი. ქსიფილინოსის ანდერძი აღმოაჩინა[2].

ამ ძეგლის აღმოჩენით, აღნიშნავს აკად. ა. ბარამიძე, გადალახულ იქნა ის დაბრკოლება, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში იყო შექმნილი ი. ქსიფილინოსის კრებულის დაკარგვის გამო. გამოირკვა, რომ ს. ლოღოთეტის დაწყებული საქმე 100 წლის შემდეგ ი. ქსიფილინოსს გაუგრძელებია. კ. კეკელიძის ამ აღმოჩენამ მაშინ „დიდი სენსაცია გამოიწვია, როგორც რუსეთის ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში"[3]. ი. ქსიფილინოსის ჰაგიოგრაფიული კრებულის ცალკეული ტექსტები მეტ-ნაკლებად დაცულია კიდევ მუზეუმის 10 ხელნაწერ წიგნში (№№ 6, 7, 8, 18, 30, 33, 35, 40, 43), ზოგი ეტრატზე დაწერილი, ზოგი ქაღალდზე (XIII—XVIII სს). მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით ამ ძეგლებსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ.

ხელნაწერთა ფონდში დაცულია XI საუკუნის დასაწყისში ქართველი მწერლის ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი ეგზეგეტიკური ნაშრომი იოანე ოქროპირისა — „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ" (2 წიგნი) და „თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ (1 წიგნი). სამივე ხელნაწერი წიგნი (№№ 19, 20, 21) დიდტანიანია, ეტრატზეა შესრულებული და თარიღიანია. № 19 ხელნაწერი 1047 წელს ეკუთვნის, № 20—1048 წელს, ხოლო № 21—1053 წელს. ეს ხელნაწერები საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აქ არის მოცემული ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ძეგლების უძველესი ქართული ტექსტი. ერთ ხელნაწერს (№ 20) დართული აქვს ექვთიმე ათონელის მამის იოანეს ვრცელი ანდერძი, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ მან თავისი შვილი ექვთიმე განსწავლა ბერძნული ენიდან ქართულად წიგნების გადმოსათარგმნად.

ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანია XIII საუკუნის ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი (№ 22). წიგნში შეტანილია მეტად საყურადღებო ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები. ამ ხელნაწერში მოთავსებულია XI საუკუნის შესანიშნავი ქართველი მეცნიერისა და პოეტის ეფრემ მცირის მიერ ბერძნული ენიდან ქართულად გადმოთარგმნილი მხატვრული ძეგლი — „ასმუხლედი" — გრიგოლ ნაზიანზელოსა. ამ თარგმანს გარდა ხელნაწერში შეტანილია XII საუკუნის პოეტის იოანე შავთელის აკროსტიხული ლექსი „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი", რომელიც წარმოადგენს ლიტურგიკული წესით დაწერილ სამადლობელ იამბიკოს ღვთისმშობლის პატივსაცემად.

ქართული მწერლობის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე, ეფრემ მცირის ეგზეგეტიკური ნაშრომი „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ" (№ 29). ამ ნაშრომში ეფრემ მცირეს გიორგი მთაწმინდელის მიერ გადმოთარგმნილი „დავითნისათვის" დაურთავს ეგზეგეტებისაგან გაკეთებული ახსნა-განმარტებანი ისე ოსტატურად, რომ კომპოზიციურად ორიგინალური სახე მიუცია. ეს ნუსხა XIII საუკუნეშია გადაწერილი.

ხელნაწერთა ფონდში ინახება XII საუკუნის ფილოსოფოსის არსენ იყალთოელის მიერ გელათში ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი დიდი „სჯულის კანონის" ოთხი ხელნა-

---

[1] ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობანი შედგენილი ევსევ ნიკოლაძის მიერ გამოცემულია ორ ტომად. პირველი ტომი, აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით დაიბეჭდა 1953 წელს, ხოლო მეორე ტომი — ჩვენი რედაქციით — 1964 წელს; ამ სტატიაში ხელნაწერი წიგნები მოგვყავს „აღწერილობათა" ნუმერაციით.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 158.

[3] ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, თბილისი. 1959, გვ. 17.

წერი წიგნი (№№ 17, 25, 26, 405). აქედან ორი ნუსხა (№№ 17, 25) გადაწერილია XIII საუკუნეში. ამ ნუსხებში დაცულია „სჯულის კანონის“ ძველი ქართული ტექსტი. მომდევნო ორი ნუსხა XVIII საუკუნეშია გადაწერილი. აქვეა არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული — „დოგმატიკონი“, რომელშიც თავმოყრილია ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი დოგმატიკურ-ფილოსოფიური და პოლემიკური ძეგლები (№№ 15, 23, 24). მათ შორის № 23 ხელნაწერი წიგნი ეტრატზეა დაწერილი XIII საუკუნეში, ხოლო № 24—XIV საუკუნისაა, ორივე ნუსხაში მოცემულია „დოგმატიკონის“ ძველი ქართული ტექსტი. № 15 ხელნაწერს დართული აქვს მინაწერი, რომლითაც დავით აღმაშენებელი იძლევა ცნობას იმის შესახებ თუ როგორ მუშაობდა არსენი „დოგმატიკონზე“ შიომღვიმის მონასტერში. აქ ინახება XII საუკუნის დიდი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ ბერძნულიდან ქართულად გელათის აკადემიაში გადმოთარგმნილი ოისიპოს ფლავიოსის „წიგნი ჰურიისა“-ის ყველაზე ძველი ნუსხა (№ 10), რომელიც XVI საუკუნეშია გადაწერილი. ამ ფონდში დაცულია VI—VII საუკუნის ბიზანტიელი მწერლის მაქსიმე აღმსარებლის ნაშრომის ქართული თარგმანი (№ 14). აქვე ინახება საქართველოს ლიტურგიკული პრაქტიკის მიერ სპეციალურად შემუშავებული საღვთისმეტყველო წიგნების კრებული — „გულანი“. სულ დაცულია 4 ნუსხა (№№ 16, 38, 440, 596). მათ შორის №№ 16 და 596 ხელნაწერები გადაწერილია გელათში, პირველი XVII საუკუნეში, ქუთაისის მთავარეპისკოპოსის სვიმონ ჩხეტიძის შეკვეთით, ხოლო მეორე XVI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის შეკვეთით. მოცულობით (№ 16 ნუსხა 2406 გვერდს შეიცავს), დამწერლობით და მასში ჩართული აკროსტიხული იამბიკოებით ქუთაისის მუზეუმის „გულანის“ ხელნაწერები უაღრესად საყურადღებო ძეგლებია.

როგორც ვხედავთ ჩამოთვლილი ხელნაწერი წიგნების უმრავლესობა გელათის მონასტრიდანაა შემოსული და მათი გაცნობით ცხადი ხდება ის კულტურულ-მწიგნობრული და მეცნიერული საქმიანობა, რომელიც გაჩაღებული იყო გელათის აკადემიაში XII—XIV საუკუნეებში. გასაგები ხდება თუ რატომ ამბობდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის შესახებ, რომ იგი „არს წინამდებარე ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“. ეს ძეგლები საპატიო ადგილს იკავებენ მსოფლიო ლიტერატურულ ძეგლებს შორის. უაღრესად საინტერესოა XVI—XIX საუკუნეების ხელნაწერი წიგნებიც. ისინი შეიცავენ მდიდარ მასალებს ქართულ-რუსული პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ. თუ საერთოდ ვიმსჯელებთ მუზეუმში დაცული ხელნაწერი წიგნების შინაარსეულ მხარეზე, ცხადი გახდება ამ ძეგლების მნიშვნელობა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისათვის.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ ხელნაწერთა მნიშვნელობა. 700 ხელნაწერი წიგნიდან უმრავლესობას აქვს საინტერესო მინაწერები, რომლებიც ძვირფას და სრულიად ახალ ცნობებს შეიცავენ ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.

ხელნაწერთა ფონდს ამდიდრებს ვეფხისტყაოსნის 8 ხელნაწერი, მათ შორის სამი (№№ 205, 215, 383) XVII საუკუნეში გადაწერილი. აქვეა XVIII საუკუნის ქართველი მწერლების სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის შრომების ხელნაწერები და მრ. სხვა.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი წიგნების ფონდი ხასიათდება არა მარტო თვისობრივი და რაოდენობრივი სიმდიდრით, არამედ დარგობრივი სიმრავლითაც. აქ, ინახება ჰაგიოგრაფიული, ბიბლიური, აპოკრიფული, ეგზეგეტიკური, დოგმატიკურ-პოლემიკური, ფილოსოფიური, ჰომილეტიკური, საღვთისმსახურო, იურიდიული, ისტორიული, საერო და სასულიერო პოეზიის, სამედიცინო და სხვა დარგის ხელნაწერები.

ხელნაწერთა ფონდში დაცულია XV—XIX საუკუნეების ისტორიული დოკუმენტების არქივი, რომელიც რამდენიმე ათას ერთეულს შეიცავს. ამ დოკუმენტებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის. აქვეა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა — კირილე ლორთქიფანიძის, გიორგი მაიაშვილის, დიმიტრი ნაზარიშვილის, ალექსანდრე გარსევანიშვილის და სხვათა პირადი არქივები, რომლებიც რამდენიმე ათეულ ათას ერთეულს შეიცავს. ამ არქივებში ბიოგრაფიულ და საზოგადოებრივ-კულტურის საკითხებთან ერთად დაცულია მიწერ-მოწერა ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან და სხვ. აქვეა ამ მოღვაწეთა ნაწარმოების ავტოგრაფები. ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისათვის ამ მასალებს უდიდესი

მნიშვნელობა აქვთ; მათ ქართული ლიტერატურის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს და მართლაც უკვე 40 წელიწადზე მეტია, რაც ეს მასალები ქართული კულტურის ისტორიკოსთა საკვლევ სფეროშია მოქცეული.

ქუთაისის მუზეუმს ამშვენებს ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ოქრომჭედლობის ძეგლები, აქ დაცულია შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები, ამიტომაც ქუთაისის მუზეუმი ძველი ქართული ოქრომჭედლობის ძეგლების ერთ-ერთ უმდიდრეს განძსაცავად ითვლება. აქ თითქმის ყველა დროის ძეგლია დაცული დაწყებული X-დან ვიდრე XIX ს-მდე. ეს ფონდი რამდენიმე ათას ერთეულს შეიცავს. ზოგიერთი მათგანი შეტანილია გამოჩენილი ქართველი ხელოვნებათმცოდნეების, აკადემიკოსების გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილისა და სხვათა გამოკვლევებში. ამ ძეგლებზე დაყრდნობით ნათელი წარმოდგენა იქმნება იმ პროცესზე, რაც განიცადა ქართულმა ოქრომჭედლობამ შუა საუკუნეებში. ეს ძეგლები თავიანთი ტექნიკური შესრულებითა და სიუჟეტურ-მხატვრული გადაწყვეტით საპატიო ადგილს იკავებენ მსოფლიო ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშების გვერდით[4]. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი. უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს სტავროთეკა, რომლის გამოსაღებ ხუფზე წარმოდგენილია გრიგოლ ნეოკესარიელ სასწაულთმოქმედი ასომთავრული წარწერით. ძეგლის დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა. აკად. შ. ამირანაშვილი მას V ს-ით ათარიღებს[5]. აკად. გ. ჩუბინაშვილი მას X ს-ის ძეგლად თვლის[6]. მათგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა სტავროთეკას შესახებ აკად. გ. წერეთელმა[7]. ფიგურების მკაფიო პლასტიკური გამოსახვისა და მათი ერთიანი მოცულობითობის თვალსაზრისით აღსანიშნავია საწერობელი და ვერცხლის მთავარანგელოზთა ხატი, რომლებიც X საუკუნეს მიეკუთვნებიან და აგრეთვე, შორაპნისა და მოწამეთის ხატები, რომლებიც XI ს-ით თარიღდებიან. ძალზე საინტერესოა ფრაგმენტულად დაცული ხონის წმიდა გიორგის ხატი (XI ს), რომელიც აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ნათელ წარმოდგენას იძლევა ქართული ჭედური პლასტიკის საუკეთესო დროის შესახებ. ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ ვერცხლით მოჭედილი ხატი სოფელ სხვავადან (XI ს.), ჯვარცმის ხატი სოფელ ხონჭიორიდან (ორივე ამბროლაურის რაიონშია), რომელსაც მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული ტიხრული მინანქარი ამკობს, ოქროს ხატი ვარდან დადიანისეული (XII—XIII სს.) და მრ. სხვ. ამ პერიოდში ქართველი ოქრომქანდაკებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ჭედური შემოქმედების დეკორატიულ-ორნამენტალურ მხარეს. ამას ნათლად ადასტურებს მუზეუმში დაცული ძეგლები.

XI—XII სს-ში ოქრომქანდაკებლობის გარდა დიდი წარმატება ხვდა ხელოვნების სხვა დარგებსაც. მუზეუმში დაცულია XII ს-ის კედლის მხატვრობის იშვიათი ნიმუშები, რომელთაგან განსაკუთრებით ვანის ფრესკის დეტალები (ორიგინალი) გამოირჩევა. აქ უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ფრესკებზე წარმოდგენილი მკაფიოდ გამოკვეთილი სახეები. ქართული ქანდაკების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა XI ს-ის ძეგლი — წმიდა გიორგის მარმარილოს ქანდაკება. იგი წარმოადგენს თეთრი მარმარილოს დაფას, რომლის ზედაპირზე გამოკვეთილია წმიდა გიორგის გორელიეფი. ეს ძეგლი სპეციალისტების დასკვნით ადასტურებს აღნიშნულ პერიოდში ქართული პლასტიკის მიერ აღებულ მიმართულებას, კერძოდ მის მისწრაფებას, რათა შეექმნათ „მოცულობრივად და სივრცობრივად გააზრებული ნაწარმოები“. ყურადღებას იპყრობს XI ს-ის დეკორატიული ხელოვნების ძვირფასი ძეგლი—ჩუქურთმიანი ხის კარი სოფელ ლაშედან ეს არის მაღალმხატვრულად და ტექნიკურად სრულყოფილი ნაწარმოები.

ეთნოგრაფიულ ფონდში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ხალხური ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშებს (XVII—XIX სს.) ასეთებია ვერცხლით მოჭედილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჭურჭელი, სასმისები, კულები, აზარფეშები, სურები, სევადითა და გრეხილით შემკული ქამრები, ხმლები, ხანჯლები და მრავალი სხვა. საინტერესოა, რომ ქართული ხალხური ოქრომჭედლობის ოსტატები აგრძელებდნენ იმ საუკეთესო

---

[4] იხ. ამის შესახებ, გ. ჩუბინაშვილის „Грузинское чеканное искусство“, 1959.

[5] История грузинского искусства, გვ. 131, 1950.

[6] Грузинское чеканное искусство, გვ. 421.

[7] მისი აზრით თარიღი აქეთ უნდა გადმოიწიოს (თუმცა არც ისე გვიან როგორც ამას გ. ჩუბინაშვილი ფიქრობს), „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, გვ. 41, 1960.

ტრადიციებს, რომლებიც საქართველოში შემუშავდა ადრეულ საუკუნეებში. ამავე ფონდს ამკობს ქართული ხალხური ტანსაცმლისა და ქარგულობის ძვირფასი ნიმუშები, ხეზეკვეთილობის მშვენიერი ძეგლები და საქართველოში გავრცელებული მუსიკალური ინსტრუმენტები.

ეთნოგრაფიულ ფონდში ათასობით ნივთია დაცული, რომლებიც ნათელ სურათს იძლევა ჩვენი ხალხის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ამ ძეგლებს განუზომელი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობისა და კულტურული ცხოვრების შესასწავლად.

მუზეუმის მრავალრიცხოვან და მდიდარ ფონდებს შორის გარკვეული ადგილი უჭირავს მინერალურ და პალეონტოლოგიურ კოლექციებს, ეპიგრაფიკულ და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლებს. მუზეუმში დაცულია ფოტოსურათების, ფოტონეგატივების, ტექნიკური ნახაზებისა და ისტორიული რუკების ფონდები.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუზეუმში იმ მასალებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა საზოგადოების ისტორიას. ეს არის ნივთიერი, დოკუმენტური და ფოტომასალები ქუთაისისა და მუზეუმის სამოქმედო ზონის რაიონების წამყვანი საწარმოებისა და მათი მოწინავე ადამიანების შესახებ. ამ განყოფილებაში დაცულია საინტერესო მასალები, რომლებიც ასახავენ მშრომელი ხალხის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. აქ შეიძლება ნახოთ საბჭოთა ხელისუფლების პირველი პერიოდის პლაკატები, აფიშები, ლოზუნგები, კედლის გაზეთები, ჯილდოები, სამეურნეო იარაღები და სხვ. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდი სამამულო ომის ამსახველ მასალებს.

ქუთაისის მუზეუმს სისტემატური კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, მისი ფონდები დიდი ხანია, რაც ქართული კულტურის ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრშია. ამ ძეგლების შესწავლისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდება და ფართოვდება.

მუზეუმთან მოქმედებს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი 20 ათას ერთეულს შეიცავს. ბიბლიოთეკაში დაცულია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მრავალი წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, ასე, მაგ., აქ ინახება გაზეთების „დროების", „ივერიის", „შრომის", „კვალის", ჟურნალების — „ცისკრის", „საქართველოს მოამბის", „აკაკის კრებულის", „იმედის", „ივერიის" და სხვათა სრული კომპლექტები.

ქუთაისის აღმოსავლეთით 11 კმ დაშორებით მდებარეობს მუზეუმის ფილიალი — ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — გელათის ისტორიულ-არქიტექტურული ანსამბლი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XII ს-ში საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ინიციატივით. აქ დაცულია XII ს-ის მონასტრის არქიტექტურული ანსამბლი (მთავარი ტაძარი, წმიდა გიორგისა და წმიდა ნიკოლოზის ეკლესიები, გელათის აკადემიის შენობა, სამრეკლო, დავით აღმაშენებლის საფლავი, ქვის გალავანი და სხვ.).

მთავარ ტაძარში დაცულია XII ს-ის მოზაიკა და მონუმენტური ფერწერის ნიმუშები (XII—XVIII სს.).

მუზეუმის მეორე ფილიალია მგზნებარე რევოლუციონერის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებლის ალექსანდრე წულუკიძის სახლ-მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

ქუთაისი არის მშობლიური ქალაქი დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილისა, რომლის ბინაში გახსნილია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სახლ-მუზეუმი. ეს არის ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის მესამე ფილიალი.

1943 წელს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გელათის ფილიალით მიეკუთვნა მეორე კატეგორიის ჯგუფს.

ომისშემდგომ წლებთან მუზეუმის კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი მასალების შეგროვების საქმეს, აგრეთვე ფონდების სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებას, რესტავრაციას და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. გადაიდგა ნაბიჯი გელათის ძეგლ-მუზეუმის კეთილმოწყობისათვის, მუზეუმის ინიციატივით იწყება გელათის აკადემიის შენობის არქეოლოგიური შესწავლა, 1946 წელს ამ საქმეს ხელს კიდებს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი. ჩატარებული მუშაობის შედეგად გელათის სამონასტრო არქიტექტურულ კომპლექსში დადგინდა სპეციალური ნაგებობა, რომელიც გელათის ცნობილ აკადემიას ემსახურებოდა. ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმტკიცდა, როდესაც შესწავლილ იქნა ხსენებული ნაგებობა არქიტექტურული თვალსაზრისით (აკად. გ. ჩუ-

ბინაშვილი). 1948 წელს დაიბეჭდა პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევა გელათის აკადემიის შესახებ, ხოლო 1949 წელს მ. გოგსაძემ გამოაქვეყნა „ნარკვევები გელათის ისტორიული ძეგლის შესახებ".

1948 წელს მუზეუმი მოთავსებულ იქნა ახლანდელ ბინაში (თბილისის ქ. № 1), სადაც გახსნილ იქნა ახალი გამოფენა. 1950 წელს მუზეუმში მოეწყო ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

1951 წლის 14 დეკემბერს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ქუთაისის მუზეუმი შეყვანილ იქნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის უწყებაში. აკადემიის სისტემაში ყოფნის დროს მუზეუმმა 1952 წლის ივლისში მოაწყო მხარის შემსწავლელი ექსპედიცია მაიაკოვსკის რაიონში და დაიბეჭდა მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ტომი. 1954 წელს მუზეუმი გელათის ფილიალით გადაეცა საქ. სსრ კულტურის სამინისტროს.

1957—1959 წლებში მუზეუმმა სამჯერ მოაწყო მხარის შემსწავლელი ექსპედიცია, იმერეთის რაიონებში.

ქუთაისის მუზეუმის სამოქმედო ზონა მოიცავს იმერეთის რაიონებსა და ქალაქებს. ამასთან ერთად იგი დამტკიცებულია სამოქმედო ზონაში შემავალ სამხარეთმცოდნეო მუზეუმების მეთაურ მუზეუმად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციული წარმოებისა და მეთოდური დახმარებისათვის.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქუთაისის მუზეუმის საქმიანობა. სისტემატური ხასიათი მიიღო მხარის შემსწავლელმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა ექსპედიციებმა. სამოქმედო ზონაში არ დარჩენილა არცერთი რაიონი, რომელშიც მუზეუმს ექსპედიცია არ მოეწყოს. ამასთან ერთად ამ პერიოდში ქუთაისის მუზეუმი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. ამ ექსპედიციებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრეს მუზეუმის ფონდები ძველი და ახალი ისტორიის ამსახველი მასალებით. სულ უკანასკნელ ათწლეულში მუზეუმის ფონდებს შეემატა 16000 ერთეული ექსპონატი. ნივთიერ მასალებთან ერთად ექსპედიციების შედეგად შეგროვდა დიდძალი დოკუმენტური და ზეპირსიტყვიერი მასალა.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მუზეუმში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. აქ დაცული მასალების საფუძველზე მომზადდა რამდენიმე ნაშრომი, რომელთა შორის ნაწილი ბეჭდური სახით არსებობს. 1964 წელს დაიბეჭდა მუზეუმში მომზადებული ხელნაწერთა აღწერილობის მეორე ტომი. მეცნიერ მუშაკებმა მოამზადეს შრომების კრებული, „მასალების" სახელწოდებით, რომლის პირველი და მეორე ნაწილი უკვე დაბეჭდილია. ეს კრებული მიზნად ისახავს მუზეუმში დაცული მასალების პოპულარიზაციას. აღსანიშნავია, რომ კრებულის პირველ წიგნში დღიურების სახით დაიბეჭდა აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი — „ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის". მუზეუმმა ორჯერ მოამზადა და გამოსცა „ქუთაისისა და მის ღირსშესანიშნაობათა" გზამკვლევი, ამჟამად ეს უკანასკნელი იბეჭდება რუსულ ენაზე; ორჯერ დაიბეჭდა მუზეუმის ექსპოზიციების გზამკვლევი, მომზადებულია გზამკვლევი გელათის ძეგლების შესახებ რუსულ და ინგლისურ ენებზე და სხვ.

ყოველწლიურად ტარდება მუზეუმში სამეცნიერო სესიები, რომლებზედაც ძირითადად ჯამდება წლის განმავლობაში მუზეუმის მეცნიერ მუშაკების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. სულ 1961 წლიდან 1970 წლამდე 11 სამეცნიერო სესია ჩატარდა, რომლებზედაც წაკითხულია 74 მოხსენება. საქართველოს ძველი და ახალი ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. აღსანიშნავია ის, რომ სესიებზე მუზეუმის მუშაკებთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ქართული ხელოვნების ისტორიის, რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა, ქუთაისის პედაგოგიური, საქართველოს პოლიტექნიკური და სხვა ინსტიტუტების თანამშრომლები.

ქუთაისის მუზეუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კადრების მომზადებისა და მათი სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ საქმეში მუზეუმს აქტიურ დახმარებას უწევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, პირველ რიგში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

გარკვეული ადგილი ეთმობა ფონდების აღრიცხვის, კლასიფიკაციის, პასპორტიზაციის, კატალოგიზაციის, რესტავრაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის სხვა სამუშაოებს.

მუზეუმს აქვს შემოსულობათა და ცალკეული ფონდების დარგობრივი დავთრები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახლად შემოსულ ნივთზე სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას. ამ მიზნით პრაქტიკაში დანერგილია აქტების, სამეცნიერო პასპორტების, კარტოთეკების წარმოება. არქივების დიდ უმრავლესობას შედგენილი აქვს აღწერილობანი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მუზეუმი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში. აქ მოწყობილია რევოლუციამდელი პერიოდისა და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი ექსპოზიციები.

ისტორიის რევოლუციამდელი პერიოდის ექსპოზიციაში ნაჩვენებია ველოვნული წყობილების ჩამოყალიბება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კოლხური ანტიკურ პერიოდში, შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, მატერიალური და სულიერი კულტურა, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა XVIII ს-ის მეორე ნახევარში, იმერეთი XIX ს-ში, კულტურა და განათლება რევოლუციამდელ პერიოდში.

საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მშრომელი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, სოციალიზმის მშენებლობა ომამდელ პერიოდში, სამამულო ომის წლები, მრეწველობისა და კულტურის განვითარება ომის შემდგომ პერიოდში.

მუზეუმის ექსპოზიციებს ათეულ ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს. აქ ტარდება თემატიკური და მიმოხილვითი ლექციები, ღია გაკვეთილები, შეხვედრები ღვაწლმოსილ ადამიანებთან და სხვ. ეწყობა მოძრავი გამოფენები და კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის სხვადასხვა ღონისძიებანი. მუზეუმში ყოველწლიურად 3500 ლექცია-კონსულტაცია იკითხება.

მუზეუმის სამეცნიერო-კვლევით, შეგროვებით, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერი თანამშრომლები პეტრე ვაჭრიძე, რუსუდან აბესაძე, ლონდა ჯიქია, ციალა ზვიადაძე, იაკობ ფუტკარაძე, მადონა ნიჟარაძე და სხვ.

აღსანიშნავია, ის რომ ქუთაისის მუზეუმმა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ ორჯერ მოიპოვა კულტურის საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების დიპლომები.

აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექტივს გარკვეული წვლილი შეაქვს ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების გამოვლენის, შეგროვების, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

**მ. ნიკოლეიშვილი**

---

# არქეოლოგიური გათხრები დილმის ხეობაში

## (ძირითადი შედეგები და მიზნები)

დილმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი სამუშაო ობიექტია დილმის მასივსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული კულტურის მრავალფენიანი ძეგლი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ტერიტორია დასახლებული ყოფილა ენეოლით — ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული ფეოდალური ხანის ჩათვლით.

ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი მდებარეობს დილმისწყლის მარცხენა ნაპირზე, თრელიგორებად წოდებული ერთ-ერთი (სამხრეთი) ბორცვის აღმოსავლეთი ფერდის ძირში. ექსპედიციამ აქ გამოავლინა სტრატიგრაფიული თვალსაზრისით ურთიერთმონაცვლე მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის შემცველი რამდენიმე კულტურული ფენა. ქვედა ფენას უკავშირდება ხაროსებური ორმოები, რომლებშიც აღნიშნული კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელთან ერთად საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა მცენარეული ჩანართების შემცველი კერამიკაც. ეს ფენა ადრე ბრინჯაოს ხანის საწყის პერიოდს

განეკუთვნება, შესაძლოა—ენეოლითიდან ადრე ბრინჯაოზე გარდამავალ ხანასაც კი, ამის დამამტკიცებელი უნდა იყოს ქვედა ფენის ორმოებში მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული კერამიკისა და მცენარეული ჩანართების შემცველი თიხის ჭურჭლის თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოვლენა. მცენარეული ჩანართებიანი კერამიკა ამიერკავკასიაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ენეოლითურ ძეგლებზე გვხვდება.

ამჟამად არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღნიშნული ნასახლარის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოვლენილი. ამ ძეგლის მრავალფენიანობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მისი შემდგომი კვლევა-ძიება საშუალებას მოგვცემს ერთი მხრივ თვალი გავადევნოთ ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის განვითარებას დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე, მეორე მხრივ — გაირკვეს ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამ საკითხის შესწავლა მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გარდამავალი პერიოდის ძეგლების არასაკმარისი შესწავლილობის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება დამაჯერებლად გაირკვეს, არის თუ არა მათ შორის გენეტიკური კავშირი.

თრელიგორეები განსაკუთრებით მჭიდროდ ჩანს დასახლებული გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანაში. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად დადასტურდა, რომ ამ ეპოქაში ათეისებული ყოფილა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ 1,5 კმ-ის მანძილზე გაჭიმული თრელიგორეებად წოდებული ყველა ბორცვი. ჯერჯერობით გათხრები ტარდება ორ ცენტრალურ ბორცვზე. გაითხარა 50 სათავსი. დასახლება ტერასულადაა განლაგებული. სათავსები წარმოადგენს ნახევრად მიწურებს. შენობები რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაგები, საცხოვრებელი ოთახები შელესილია თიხით. ნაგებობებს ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდათ. ბანი ეყრდნობოდა კედელს მიბჯენილ თიხით შელესილ სვეტებს. იატაკი, როგორც წესი, თიხატკეპნილია, ზოგიერთ შემთხვევაში კი — ნაწილობრივ ფილაქვებითაა მოგებული. ყველა საცხოვრებელ კომპლექსში აღმოჩნდა პურის საცხობი — სამზარეულო ღუმელი, რომელიც ოთახის უკანა კუთხეშია მოთავსებული. ღუმელს ეკვრის თიხით შელესილი ბაქანისებური შემაღლება და სხვადასხვა ფორმის სამსხვერპლო-საკურთხეველი. ზოგიერთი სათავსის შუა ნაწილში ღუმელს გარდა აღმოჩნდა კერა. სამეურნეო დანიშნულების სათავსები ზოგჯერ უშუალოდ ეკვრის საცხოვრებელ ოთახს.

თრელიგორეებზე დადასტურებულია რამდენიმე სამშენებლო პერიოდი. აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი ატარებს ხანძრისა და ნგრევის კვალს, რაც მტრის შემოსევით უნდა აიხსნას. აღნიშნული დასახლება თავის არსებობას წყვეტს ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის.

თრელიგორეების აღმოსავლეთით — დიღმის ველზე არსებობს ნასახლარის სინქრონული სამაროვანი. იგი რამდენიმე ათეულ ჰექტარზე ვრცელდება. გაითხარა სხვადასხვა ტიპის სამარხი. უმეტესი მათგანი ქვაყრილიანი ორმოსამარხია. გამოვლინდა აგრეთვე რიყის ქვით ნაგები ოთხკუთხა ფორმის აკლდამები და ჯარგვალის ტიპის დასაკრძალავდარბაზიანი სამარხები. ყველა სამარხი ინდივიდუალურია. ქვაყრილიანი ორმოსამარხები გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის ყველა ეტაპზეა გავრცელებული. არსებული მასალების მიხედვით წარჩინებულ პირთათვის განკუთვნილი დასაკრძალავდარბაზიანი სამარხები. ჩნდება ძვ. წ. აღ. VIII ს-ში, ინვენტარის სიუხვითა და მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევა დასაკრძალავდარბაზიანი სამარხი № 1(19). სამარხი 5 მეტრის სიღრმეზე ჩაჭრილ ქვაბულშია გამართული. მისი ფართობი 70 კვ. მ. აღწევს. სამარხში აღმოჩნდა 100-მდე თიხის ჭურჭელი, რამდენიმე ათეული ბრინჯაოსა და რკინის ნივთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ბიკონუსისებურ ჭვირულ სადგარზე მდგარი ღეთაების ქანდაკება წარჩინების ნიშანი), ცხენის თავის სკულპტურული გამოსახულებანი (შტანდარტისთავები), წყვილ-წყვილად განლაგებული ცხენის აკაზმულობები (სხვადასხვა ტიპის 14 ლაგამი, ბრინჯაოსა და რკინის საკისრე რგოლები და მათთან დაკავშირებული ზარაკები, ბრინჯაოს სამკერდულები, ბრინჯაოს შუბლსაფარი ფირფიტები და სხვ.), თიხის სასმისები და ჯერძები, მარნები და სხვ., ბიკონუსური ფორმის ორმხრივ გახვრეტილი თიხის შავპრიალა ორნამენტირებული ჭურჭლები, მოჭიქული თიხის სასმისები და სხვ. მიცვალებული შეჭურვილი ყოფილა ბრინჯაოს ჩაჩქანით, ხელშუბითა და ისრისპირებით.

დიღმის ველზე გამოვლინდა აგრეთვე ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები. ელინისტური ხანის ქვევრსამარხები და ორმოსამარხები, რომაული და ფეოდალური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები.

ინვენტარის სიმდიდრით გამოირჩევა: ახ. წ. აღ. III ს-ის წარჩინებული მეომრის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა: რკინის გრძელი მახვილი, სატევარი, შუბისპირი, დანები, სამფრთიანი ისრისპირები, ვერცხლის აბზინდები, ოქროს ორწილადი სამაჯური და რკინის ორი ბეჭედი სარდიონის თვლებით. ერთ მათგანზე გამოსახულია ათენა პალადა, ხოლო მეორეზე — მაღალფეხიანი სასმისი მარადიული ცეცხლით. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ავგუსტუსის ვერცხლის ორი დენარი და სხვ. აქვე აღმოჩნდა ცხენისა და ძაღლის მთლიანი ჩონჩხი და მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

თრელიგორეები და დიღმის ველი, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დასახლებული ჩანს ფეოდალურ ხანაშიც. გამოვლენილია ადრეფეოდალური პერიოდის ნასახლარები და მარნები.

მოპოვებული მასალა მოწმობს, რომ დიღმის ხეობის მოსახლეობა გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანაში ინტენსიურად მისდევდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწათმოქმედების მაღალი დონის მაუწყებელი ისეთი დარგის განვითარება, როგორიცაა მევენახეობა. ამის დამადასტურებელია ნასახლარზე და სამაროვანზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ღვინის სასმისები და ქვევრები.

დიღმის ხეობაში გამოვლენილია ფეოდალური ხანის საკმაოდ რთული საირიგაციო სისტემა. დღემდე შემორჩენილია ამ ხანის კაშხალები, აკვედუკები და კლდეში გაჭრილი არხები. როგორც ჩანს, დიღმის ველი უძველესი დროიდან ირწყვებოდა. გეოკლიმატური პირობების გამო, აღნიშნულ ტერიტორიაზე ესოდენ მაღალ დონეზე მდგარი მიწათმოქმედების არსებობა მორწყვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

დიღმის ხეობის დაწინაურებას ხელს უწყობდა აგრეთვე მესაქონლეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები. დიღმის ხეობას აქვს თავისი საკუთარი როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დიღმის ხეობაში გადიოდა თრიალეთის საზაფხულო საძოვრებთან დაკავშირებული ე. წ. ცხვრის გზა.

დიღმის ხეობის და თრიალეთის ურთიერთობის ამსახველი უნდა იყოს ტოპონიმები თრელები და თრიალეთი რომლებიც საერთო ძირიდან უნდა მომდინარეობდნენ[1].

თრელიგორეების მოსახლეობის დაწინაურებას ხელი შეუწყო, აღნიშნული ბორცვების სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელმა მდებარეობამ. თრელიგორეები ერთი მხრივ კეტავდა დიღმის ხეობასა და თრიალეთისკენ მიმავალ გზას, მეორე მხრივ — კონტროლს უწევდა მტკვრის ხეობაზე გამავალ მაგისტრალურ გზას, რომელიც ანტიკურ ხანაში „მსოფლიო სავაჭრო გზის" ერთ-ერთ მონაკვეთს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ცნობილ მრავალრიცხოვან ძეგლებს შორის თრელიგორეების დასახლება გამოირჩევა თავისი გრანდიოზულობით. რკინის ხანაში თრელიგორეებზე არსებული მოსახლეობის დაწინაურებაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი დასაკრძალავდარბაზიანი სამარხები, რომლებიც ინვენტარის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან საქართველოში გამოვლენილ წარჩინებულ პირთა სინქრონულ სამარხებს შორის.

საყურადღებოა, რომ დიღმის ველის გვიანბრინჯაო—ადრერკინის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან მსგავსების გარდა ატარებენ ინდივიდუალურ ნიშნებსაც. ასე, მაგალითად, თრელიგორეების სამაროვანზე ამ დროისათვის გავრცელებულ ჩვეულებრივ ორმოსამარხთა გვერდით დადასტურებულია სამარხთა განსაკუთრებული ტიპები. რიგ შემთხვევაში გვხვდება დაკრძალვის განსხვავებული წესიც. ინდივიდუალურ ნიშნებს ატარებს აგრეთვე აქ აღმოჩენილი ნივთების ერთი ნაწილი.

აღნიშნული ძეგლი ტერიტორიულად მცხეთასა და ძველ თბილისს შორის მდებარეობს. დიღმის ველი ანტიკურ ხანაში დიდი მცხეთის ერთ-ერთი სამეურნეო ერთეული უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ შემდეგში მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თბილისის გაქალაქებაში, რადგან თბილისი, როგორც მსხვილი დასახლებული პუნქტი, ვერ იარსებებდა მის მახლობლად მდებარე ამ მძლავრი ეკონომიური ერთეულის გარეშე: დიღმის ხეობა, გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით, თბილისის ერთ-ერთ ძირითად მასაზრდოებელ რაიონს წარმოადგენდა.

---

1 როგორც ცნობილია, ტოპონიმ „თრიალეთს" უკავშირებენ აგრეთვე კიმერიულ თუ თრაკიულ ერთ-ერთ ტომს — თრერებს. აღნიშნული მოსაზრების მართებულობის დასადგენად ჯერჯერობით არ არის მოპოვებული საკმარისი არქეოლოგიური მასალა.

დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია ამჟამად მუშაობს იმ ტერიტორიაზე, სადაც გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს საკმაოდ დიდ ფართობზე, რომელიც დიღმისწყლის მარცხენა ნაპირიდან საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით 1 კმ-ზე ვრცელდება და მოიცავს დაახლოებით 90 ათას კვ. მ. ფართობს. მთელი ეს ტერიტორია დატვირთულია არქეოლოგიური ძეგლებით და გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოებისას მათ დანგრევა-განადგურება მოელით, ამიტომ, ბუნებრივია, ექსპედიცია თავის სამუშაოებს ძირითადად აღნიშნულ ფართობზე აწარმოებს.

დიღმის ხეობის ძველ დასახლებათა განვითარების მეტ-ნაკლებად სრული შესწავლისათვის ექსპედიციამ, ცხადია, კვლევა-ძიება უნდა ჩაატაროს გზის მშენებლობისათვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც.

გამოვლენილმა ძეგლებმა ექსპედიციის წინაშე დასახა რიგი პრობლემებისა, რომელთა გადასაწყვეტად გადაუდებლად უნდა ჩატარდეს როგორც დაზვერეითი, ისე გათხრითი სამუშაოები. ასე, მაგალითად, ექსპედიციამ უნდა დაადგინოს ნასახლარებისა და სამაროვნების გავრცელების საზღვრები, გამოავლინოს ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანი, ანტიკური და ფეოდალური ხანის ნასახლარები, შეძლებისდაგვარად დაადგინოს დიღმის ხეობაში აღმოჩენილი სხვადასხვა პერიოდის ძეგლებს შორის არსებული კავშირ-ურთიერთობა.

აღნიშნული საკითხების შესწავლა საშუალებას მოგვცემს დიღმის ხეობის მაგალითზე გავარკვიოთ ხეობის, როგორც სოციალურ-ეკონომიური ერთეულის განვითარების ისტორია და კავშირურთიერთობა მსგავს ერთეულებთან სხვადასხვა ეპოქაში.

**როსტომ აბრამიშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე რამიშვილი**

---

# ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი V საკავშირო სესია

ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი კონგრესები, სესიები, კონფერენციები თუ სიმპოზიუმები ხშირად ეწყობა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანი და წარმომადგენლობითია ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი საკავშირო სესიები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში, ტრადიციულად, ყოველ 2—3 წელიწადში ერთხელ იმართება. უკანასკნელად ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილ IV საკავშირო სესიაზე, რომელიც 1968 წ. 5—9 თებერვალს ლენინგრადში გაიმართა, მიიღეს გადაწყვეტილება მორიგი სესიის 1971 წ. მოწვევის შესახებ. იმავე სესიაზე შეიქმნა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ეთხოვა როგორც სესიების, ისე სესიებს შორის პერიოდის თემატიკური თუ დარგობრივი შეკრებების (კონფერენციები, სიმპოზიუმები და ა. შ.) ორგანიზაცია — კოორდინაცია და ხელმძღვანელობა.

გადაწყდა, რომ ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი V საკავშირო სესია ჩატარდეს ქ. თბილისში 1971 წლის გაზაფხულზე. ამგვარი არჩევანი იმითაც იყო განპირობებული, რომ თბილისი იქცა საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად, მას აღმოსავლეთმცოდნეობის მდიდარი ტრადიციები გააჩნია და ორიენტალისტთა მრავალრიცხოვანი, მაღალკვალიფიციური კადრები ჰყავს.

სესიის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაივალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ, რომელმაც შექმნა სესიის საორგანიზაციო კომიტეტი (თავმჯდომარე აკად. გ. მელიქიშვილი, მდივანი გ. გიორგაძე).

საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი V საკავშირო სესია მოეწვია 1971 წლის აპრილში, ხოლო მისი პროგრამა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ძველი ისტორიითა და ფილოლოგიით შემოეფარგლა.,

* * *

ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილმა V საკავშირო სესიამ მუშაობა დაიწყო 1971 წლის 6 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში.

პირველ პლენარულ სხდომაზე სესიის მონაწილეებს მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა. იგი შეჩერდა იმ დიდ მიღწევებზე, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობამ მოიპოვა როგორც საერთოდ, ისე უკანასკნელ პერიოდში, საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მიესალმა სესიის მონაწილეებს და ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი V საკავშირო სესია გახსნილად გამოაცხადა.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება.

გ. მელიქიშვილმა, (თბილისი) თავის მოხსენებაში „ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური დახასიათებისათვის", შეაჯამა მის მიერ უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. მან უარჰყო ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა ბუნების 30—50-იან წლებში შემუშავებული ტრადიციული გაგება და მიუთითა, რომ ძველაღმოსავლური საზოგადოების დახასიათება უნდა მოხდეს როგორც ტიპოლოგიურ, ისე სტადიალურ საფუძველზე. მისი აზრით, კლასობრივი საზოგადოების ტიპოლოგიური დახასიათების ძირითად კრიტერიუმად აღებული უნდა იქნეს განსხვავებანი კლასობრივ ურთიერთობათა ხასიათში („ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობანი", „წარმოების საშუალებათა მფლობელისა და უშუალო მწარმოებლის ურთიერთობანი"), ხოლო სტადიალური კლასიფიკაციის საფუძვლად მათი დაშორება ამოსავალი, ე. ი. პირველყოფილი თემური პირობებიდან (კერძო საკუთრებისა და კლასობრივი ანტაგონიზმის განვითარება), ან სიახლოვე საზოგადოებრივი განვითარების მომდევნო (განვითარებულ უკლასო) საფეხურთან. მომხსენებელმა მიუთითა, რომ კლასობრივი საზოგადოებანი ტიპოლოგიურად შეიძლება იყვნენ როგორც საზოგადოებანი, რომელთაც შეიძლება მივუყენოთ ცნებები „წარმოების აზიური წესი", „მონათმფლობელური საზოგადოება", „ფეოდალური საზოგადოება" და „კაპიტალისტური საზოგადოება". კლასობრივი საზოგადოების სტადიალურ განვითარებაში, მომხსენებლის სიტყვით, გამოიყოფა როგორც აღმავალი (ადრეკლასობრივი და განვითარებული კლასობრივი) ისე დაღმავალი (გვიანკლასობრივი) საფეხურები. განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე ტიპიურია ისეთი საზოგადოებანი, სადაც გაბატონებული კლასი ახორციელებს ორგანიზატორულ ფუნქციებს მეურნეობის, სამხედრო საქმის თუ კულტის სფეროში. მოხსენებაში ხაზგასმული იყო, რომ ძველაღმოსავლური საზოგადოებები, როგორც წესი, ტიპოლოგიურად წარმოადგენდნენ წინაფეოდალურ, ხოლო სტადიალურად ადრეკლასობრივ საზოგადოებებს. უკანასკნელ დრომდე გავრცელებული შეხედულება ამ საზოგადოებათა მონათმფლობელურ (resp. ადრემონათმფლობელურ) ბუნებაზე, მომხსენებლის აზრით, მოკლებულია საფუძველს და უარყოფილი უნდა იქნეს.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ტ. ჩუბინიშვილის მოხსენება „სამხრეთ კავკასიისა და წინააზიის კულტურათა ურთიერთობა ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში". მოხსენება აგებულია უახლეს მონაცემებზე, რომელიც მოპოვებულია როგორც კავკასიაში, ისე წინა აზიის სხვა რაიონებში. მომხსენებელმა მიუთითა, რომ ძვ. წ. IV—III ათასწლეულთა მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში შეინიშნება მთელი რიგი ახალი მოვლენები: წინაურდება მეტალურგიული წარმოება, მორწყვასა და მოხვნაზე დაფუძნებული ბინადარი მიწათმოქმედება, ჩნდება ლითონის სხმული (ბრინჯაო). ეს არის ბრინჯაოს ხანის დასაწყისი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურაშია ასახული. შუამდინარეთის დაწინაურებულ ზოლში ამ დროს სწრაფად ირღვევა პირველყოფილი თემური წყობა და იქმნება პირველი ადრეკლასობრივი საზოგადოებანი დამახასიათებელი ქალაქ-სახელმწიფოებით, „საქალაქო რევოლუციით", განვითარებული მეტალურგიით, მეთუნეობით, მორწყვა-მოხვნაზე დაფუძნებული მიწათმოქმედებითა და მარტივი ხატოვანი დამწერლობით. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ნივთიერი კულტურისა და სამეურნეო საქმიანობის იმ ელემენტებზე, რომლებიც ამიერკავკასიამ წინააზიის დაწინაურებულ რაიონებს შესთავაზა და, პირიქით, რაც წინააზიის დაწინაურებულმა რაიონებმა ამიერკავკასიის უძველეს მოსახლეობას, მის კულტურას მისცეს.

* * *

6 აპრილს საღამოს დაიწყო სექციების მუშაობა. სულ შექმნილი იყო 4 სექცია: ეგვიპტოლოგიის (ხელმძღვ. მ. კოროსტოვცევი), ასირიოლოგიისა და სემიტოლოგიის (ხელმძღვ. მ. დანდამაევი და ი. ამუსინი), ძველი მცირე აზიის (ხელმძღვ. თ. გამყრელიძე), ურარტუსა და ძველი კავკასიის (ხელმძღვ. ბ. პიოტროვსკი).

**ეგვიპტოლოგიის სექციამ** იმუშავა 7 აპრილს. სულ ჩაატარა 2 სხდომა და მოისმინა 6 მოხსენება. სექციის სხდომებზე წაკითხული იყო როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიული ხასიათის მოხსენებები. ძველეგვიპტური ფილოლოგიის საკითხებს მიეძღვნა მოხსენებები: მ. კოროსტოვცევის (მოსკოვი) „მარტივ წინადადებათა კლასიფიკაცია ეგვიპტურ ენაში", ა. კონდრატოვის (ლენინგრადი) „ეგვიპტური იეროგლიფიკა და გაშიფვრის სტატიკური მეთოდები", ს. ხოჯაშის (მოსკოვი) „ძველეგვიპტური ძეგლების პუბლიკაციის ერთიანი პრინციპი", ნ. პეტროვსკის (ლენინგრადი) „ძველეგვიპტური თავსართი". ამავე სექციაზე მოსმენილ იქნა კიდევ ორი საინტერესო მოხსენება, რომლებიც ძველი ეგვიპტის ყოფასა და კულტურულ-ისტორიულ კავშირებს ეხებოდა: გ. ყორანაშვილის (თბილისი) „ძველი ეგვიპტე და ანტიკური საბერძნეთი (ცივილიზაციების შედარებით-ისტორიული შესწავლის ცდა)". ი. სტუჩევსკის (მოსკოვი) „რამესიდების ეპოქის ძველი ეგვიპტის სამეფო მიწათმოქმედთა საგადასახადო ექსპლუატაციის ხასიათის შესახებ".

პროგრამის გარეშე სექციამ მოისმინა წ. სემპერის მოხსენება ეგეიპტოლოგიურ კვლევა-ძიებაში ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენების სფეროების შესახებ.

**ასირიოლოგიისა და სემიტოლოგიის სექციაზე** წასაკითხად წარმოდგენილი მოხსენებები თემატიკური მრავალფეროვნებითა და საკითხების გადაჭრისადმი მიდგომის სიახლით ხასიათდებოდა. ისინი ეხებოდნენ როგორც შუმერული და სემიტური ფილოლოგიის, ისე სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის, აგრეთვე ძველი ხელოვნების და სამართლის საკითხებს. მოხსენებები შეეხებოდა როგორც ძველი შუამდინარეთის (შუმერი, ასურეთი, ბაბილონი), ისე სირია-პალესტინისა და არაბეთის ნახევარკუნძულის წარსულს. სექციების სხდომები გრძელდებოდა 6-დან 9 აპრილამდე. სულ მოსმენილ იქნა 19 მოხსენება. ფილოლოგიურ-ლინგვისტურ თემატიკას მიეძღვნა მოხსენებები ა. ვაიმანისა (ლენინგრადი) „პროტოელამურის პროტოშუმერულთან კავშირის შესახებ", ი. კანევასი (ლენინგრადი) „შუმერული ენის სივრცობრივი თავსართები", ჯ. შარაშენიძისა (თბილისი) „მანიშტუშუს ობელისკის თარგმანისათვის", ა. ლუნდინისა (ლენინგრადი) „საბეიური სამიჯნო წარწერები ჯარ ალ-ლაბი ბადან" და სხვ. ფილოლოგიური თემატიკისადმი მიძღვნილი მოხსენებების გვერდით წარმოდგენილ იქნა ნარკვევები, რომლებშიც ძველი ყოფის, მეურნეობის, პოლიტიკური ორგანიზაციის თუ კულტურის ცალკეული საკითხები იყო გაშუქებული. ამგვარი თემატიკიდან საყურადღებო იყო შემდეგი მოხსენებები მ. გელცერი (ვილნიუსი) „ქამიდ-ელ-ლოზი — ძველსირიული ქალაქი-სახელმწიფო კუმიდა", მ. დანდამაევი (ლენინგრადი) „გიმილლუ, ეანნას ტაძრის მონა ურუქში (ძვ. წ. VI ს.)", გ. სარქისიანი (ერევანი) „გვიანბაბილონური პერიოდის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ბერლინის წინააზიური მუზეუმის გამოუქვეყნებელი დოკუმენტების მიხედვით", ი. ამუსინი (ლენინგრადი) „კუმრანი და familia dei-ას შესახებ ახალი აღთქმის მოძღვრების კრისტალიზაცია", კ. სტარკოვა (ლენინგრადი) „მოძღვრება მეფის შესახებ კუმრანის თემში", ი. ვაინბერგი (დაუგავპილსი) „პალესტინის სამოქალაქო-სატაძრო თემი აქემენიანთა სახელმწიფოში (მმართველობისა და თვითმმართველობის საკითხები)", ი. შიფმანი (ლენინგრადი) „პალესტინის საზოგადოებათა საქალაქო წყობა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ელინისტური ცივილიზაციის ახლოაღმოსავლური სათავეების საკითხისათვის)", ვ. იაკობსონი (ლენინგრადი) „არათავისუფალი ადამიანები ასურეთში", ე. სემეკა (მოსკოვი) „საირიგაციო ტიპის მეურნეობის მქონე ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა ტიპოლოგიური დახასიათებისათვის (ძველ ცეილონთან შედარებით)" და ა. შ.

სექციის სხდომებზე ხდებოდა აზრთა საქმიანი გაზიარება. კამათში მონაწილეობა მიიღო ასირიოლოგიისა და სემიტოლოგიის ოცზე მეტმა სპეციალისტმა. ფართო განხილვის საგანი გახდა ლენინგრადელი ასირიოლოგის ა. ვაიმანის მოხსენება „პროტოელამურის პროტოშუმერულთან კავშირის შესახებ". კამათში მონაწილეობა მიიღეს თ. გამყრელიძემ, ვ. იაკობსონმა, მ. გელცერმა, მ. დანდამაევმა და სხვ. დიდი ინტერესი გამოიწვია ა. ვაიმანის მეორე მოხსენებამაც „მუდმივი სიდიდეები შუმერისა და ბაბილონის ეკონომიკაში", რომელიც სტანდარტების, ნორმებისა და ექვივალენტების უძველეს სახეობათა შესწავლას მიეძღვნა.

**ძველი მცირე აზიის სექცია** მუშაობდა 7 და 8 აპრილს. სექციის სხდომებზე წაკითხულ მოხსენებაში ასახული იყო ძირითადი შედეგები იმ კვლევა-ძიებისა, რომელიც უკანასკნელ წლებში წარმოებდა ძველი მცირე აზიის ხალხებისა და ქვეყნების (ხეთების, ხურიტების, ლიდიელების, ფრიგიელების, ლუვიელების, აღმოსავლეთ ეგეიდის და სხვ.) ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოგენეზის, ფილოლოგიის, რელიგიისა და მითოლოგიის, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის, საგარეო-ეკონომიური და კულტურული

კავშირების თუ სხვა პრობლემებისა და საკითხების შესასწავლად. ფილოლოგიური ხასიათის საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს: ი. დუნაევსკაიამ (ლენინგრადი) „ხათური ზმნის პრეფიქსალურ მაჩვენებელთა იერარქია“, ვ. ივანოვმა (მოსკოვი) „ხეთური და ლუვიური ლურსმული ტექსტების Lulahhi და Ḫappiru, როგორც სოციალურ რანგთა და ღვთაებათა ჩამოთვლის დამამთავრებელი ელემენტები“, ნ. ნოზაძემ (თბილისი) „ხურიტულ ენაში დამოკიდებული განსაზღვრებითი წინადადებების წარმოების საკითხისათვის“, ვ. ნეროზნაკმა (მოსკოვი) „მცირეაზიური და პალეობალკანური ონომასტიკური იზოგლოსები როგორც ძველი ენობრივი კავშირების პრობლემა“ და სხვ.

ძველი მცირე აზიის ხალხების ცხოვრების სხვადასხვა მხარეების შესწავლას მიეძღვნა მოხსენებები: გ. გიორგაძისა (თბილისი) „ხეთური ლურსმული ტექსტების „მონებისა და მონა ქალების თაეები“. ე. გრანტოვსკისა (მოსკოვი) „არიელები და წინა აღმოსავლეთი ძვ. წ. II ათასწლეულში (პრობლემისადმი სუბიექტური და ობიექტური მიდგომის შესაძლებლობანი)“, გ. კელერმანისა „ჰომეროსისეული ტროას მოსახლეობა ლინგვისტური მონაცემების მიხედვით“, ვ. არძინბასი (მოსკოვი) „ხათური წარმომავლობის საკარისკაცო ტიტულები და შესატყვისი თანამდებობის პირთა ფუნქციები“, გ. დოვგიალოსი (მინსკი) „ხეთური ზოგიერთი რიტუალური და მითოლოგიური ტექსტი ეთნოგრაფიის შუქზე (ტერმინ rabî Simmiltim-ის ეტიმოლოგიისათვის)“, ნ. ხაზარაძისა (თბილისი) „ჰეკატეს მატიენები“, ლ. გლუსკინასი (ლენინგრადი) „ლიდია-დელფოსის ურთიერთობათა ეკონომიური საფუძველი ძვ. წ. VII — VI სს-ში“, ი. სვენციცკაიას (მოსკოვი) „დამოკიდებულების სახეები ელინისტურ მცირე აზიაში“, ნ. ბენდუქიძის (თბილისი) „მცირე აზიისა და კავკასიის მითოლოგიის საერთო მოტივები“ და სხვ.

ძველი მცირე აზიის სექციაზე წაკითხული მოხსენებების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ვ. ივანოვმა, თ. გამყრელიძემ, ი. დუნაევსკაიამ, გ. გიორგაძემ, ა. ვაიმანმა ზ. ანჩაბაძემ, მ. გელცერმა, ვ. იაკობსონმა, მ. ანდრონიკაშვილმა, ი. ალიევმა, ო. ჯაფარიძემ, ნ. ხაზარაძემ, ი. ამუსინმა, ი. სვენციცკაიამ და სხვ. აზრთა გაზიარების დროს გამოთქმული იყო კონკრეტული თუ საერთო მეთოდოლოგიური ხასიათის არაერთი საყურადღებო მოსაზრება ძველი მცირე აზიის ხალხების ყოფისა და კულტურის საკითხებზე.

ქართველთმცოდნეობა ადრიდანვე იყო დაინტერესებული ძველი მცირე აზიის მეცნიერული შესწავლით. ეს გასაგებიცაა: ამ რაიონის ხალხთა ენების, ისტორიისა და კულტურის მეცნიერული სურათის დადგენა დიდად წასწევს წინ საქართველოსა და კავკასიის უძველესი ისტორიის რიგი კარდინალური საკითხების შესწავლას. ამის გამოცაა, რომ თანამედროვე ქართველოლოგია და ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა აქტიურად მონაწილეობს ძველი მცირე აზიის ხალხების ენებისა და ყოფის კვლევაში.

**ურარტუსა და ძველი კავკასიის სექცია** მუშაობდა 6-დან 9 აპრილამდე. აქ წაკითხული მოხსენებების თემატიკა მოიცავდა როგორც ურარტუს, ისე საერთოდ ძველი კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ყოფისა და კულტურის ცალკეულ მხარეებს. ურარტოლოგიური ხასიათის საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს: ი. იუსიფოვმა (ბაქო) „გაურკვეველი წარმომავლობის ზოგიერთი კომპონენტის შესახებ“, ა. მარტიროსიანმა (ერევანი) „მასალები ქალაქ არგიშტიხინილის სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურაზე“, ვ. გვახარიამ (თბილისი) „ერგატიული კონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი ურარტულში“, ს. ხოჯაშმა (მოსკოვი) „საბეჭდავთა ანაბეჭდები, ხელოსნის ნიშნები და ტევადობის აღნიშვნები ერებუნის ურარტულ კერამიკაზე“, კ. ოჰანესიანმა (ერევანი) „ერებუნის არქიტექტურული მოხატულობა“, და სხვ.

ძველი კავკასიისადმი მიძღვნილი მოხსენებები გამოირჩეოდა ქრონოლოგიური და თემატური მრავალფეროვნებით. საერთო-კავკასიურ თემატიკას მიეძღვნა მოხსენებები კ. კუშნარიოვასი (ლენინგრადი) „ხელოსნობის ორგანიზაციისათვის ძველ კავკასიაში“, ი. ხლოპინისა (ლენინგრადი) „ჰეროდოტეს პაკტიები და მათი ლოკალიზაცია“.

კავკასიის ალბანეთის ძველი ისტორიის საკითხების გაშუქებას მიუძღვნეს თავისი მოხსენებები ს. კაშკაიმ (ბაქო)) „ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგის მანას სამეფოს ოლქების ხელოსნური წარმოების შესახებ“, კ. ალიევმა (ბაქო) „კავკასიის ალბანეთის საზღვრების შესახებ“, ა. ფაზილიმ (ბაქო) „არქეოლოგიური გათხრები თახთ-ე სულეიმანში და მისი მნიშვნელობა ზოროასტრიზმის შესწავლისათვის“, ი. ალიევმა (ბაქო) „კავკასიის ალბანეთის შესახებ სტრაბონის ზოგიერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის“.

ძველი არმენიის ისტორიული გეოგრაფიისა და ნივთიერი კულტურის შესწავლას მიეძღვნა ნ. არუთინიანისა და ვ. ხაჩატურიანის (ერევანი) მოხსენება „ისუვა, იშუა, ცუპა“ და გ. ტირაციანის (ერევანი) მოხსენება „არმავირის (არმენია) მოხატული კერამიკა“.

ურარტუსა და ძველი კავკასიის სექციაში წარმოდგენილი მოხსენებების მნიშვნელოვანი ნაწილი აშუქებდა ძველი საქართველოს მოსახლეობის ყოფის, მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა მხარეს. მოხსენებები წაიკითხეს: მ. ხიდაშელმა (თბილისი) „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურარტულ სამყაროსთან ურთიერთობის ხასიათის შესახებ“, თ. მიქელაძემ (თბილისი) „ძველი კოლხიდის ისტორიის პერიოდიზაციისათვის“, ო. ლორთქიფანიძემ (თბილისი) „ძველკოლხური ცივილიზაცია ძვ. წ. I ათასწლეულში (საზოგადოება, კულტურა, ხელოვნება)“, მ. ინაძემ (თბილისი) „კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის დროისა და მისი პოლიტიკური წყობის შესახებ ძველბერძენ ავტორთა ცნობებით“, ი. ბრაშინსკიმ (ლენინგრადი) „სინოპა და კოლხიდა. ძვ. წ. IV—II სს. კოლხიდაში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქების ეკონომიური გავლენის საკითხისათვის“, დ. ხახუტაიშვილმა (თბილისი) „ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის“.

მოხსენებების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბ. პიოტროვსკიმ, გ. მელიქიშვილმა, ნ. არუთინიანმა, ა. მარტიროსიანმა, ა. ეაიმანმა, ო. ლორთქიფანიძემ, ე. გრანტოვსკიმ, ი. იუსიფოვმა, ი. ალიევმა, ი. ბრაშინსკიმ და სხვ. გამოთქმული იყო არაერთი საყურადღებო დაკვირვება ძველი კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების (ურარტელების, კოლხების, არმენების, ალბანების, იბერებისა და სხვათა) ყოფისა და კულტურის ცალკეულ მხარეზე, წინაამოსავლეთის ამ საინტერესო რაიონის ისტორიულ და ეთნიკურ გეოგრაფიაზე, ნივთიერ და სულიერ კულტურაზე, მეზობელ მხარეებთან ეკონომიურ თუ კულტურულ ურთიერთობაზე და ა. შ.

* * *

9 აპრილს შედგა დასკვნითი პლენარული სხდომა. მოსმენილ იქნა 2 მოხსენება.

აკად. ბ. პიოტროვსკიმ (ლენინგრადი) მოხსენება „ტუტანხამონის სამარხის საუნჯეები; ასახული ძველეგვიპტელ მხატვართან“ დაფუძნებული იყო მკვლევრის მიერ წარმოებული უახლესი კვლევა-ძიების მონაცემებზე. მოხსენებაში ფართოდ იყო წარმოდგენილი შესაბამისი საილუსტრაციო მასალები, გარკვეული იყო მხატვრის პროფესიული სტილის თავისებურებანი, მოცემული იყო მისი ახლებური ინტერპრეტაცია. ტუტანხამონის სამარხის საუნჯეები კიდევ დიდხანს იქნება ეგვიპტური სიძველეების მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. ფარაონის სამარხის უნიკალური ინვენტარი და უბრწყინვალესი კედლის მხატვრობა საშუალებას იძლევა ფართო და მრავალმხრივი თემატიკით კვლევა-ძიებისათვის. ამის საუკეთესო ილუსტრაცია იყო ბ. პიოტროვსკის მოხსენება.

ამავე სხდომაზე დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი მოსკოველი აღმოსავლეთმცოდნის ვ. ივანოვის მეორე მოხსენება „ხეთურ ტექსტებში ასახული ჯგუფებს შორის კომუნიკაციის ერთი (ასიმეტრიული) ტიპის შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ბაქოელ აღმოსავლეთმცოდნეს ი. ალიევს, რომელსაც წინადადება შემოაქვს, რომ ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი VI საკავშირო სესია მოწვეულ იქნეს ბაქოში. სესია იღებს წინადადებას და ამტკიცებს მომავალი სესიის მასპინძელი ქალაქის კანდიდატურას.

სხდომაზე მოისმინეს სექციების ხელმძღვანელთა ანგარიშები. სესიას შესაბამისი სექციების მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ პროფ. მ. კოროსტოვცევი (ეგვიპტოლოგიის სექცია), პროფ. გ. სარქისიანი (ასირიოლოგიისა და სემიტოლოგიის სექცია), პროფ. თ. გამყრელიძე (ძველი მცირე აზიის სექცია), აკად. ბ. პიოტროვსკი (ურარტუსა და ძველი კავკასიის სექცია).

სესიაზე სულ მოსმენილ იქნა 63 მოხსენება, რომლებიც თემატიკურად შემდეგნაირად ნაწილდება: ეგვიპტოლოგია — 8, ასირიოლოგია და სემიტოლოგია — 19, ძველი მცირე აზია — 14, ურარტუ და ძველი კავკასია — 22. სამეცნიერო ცენტრებმა სესიაზე გამოგზავნეს მოხსენებები: ლენინგრადმა — 20, მოსკოვმა — 14, ბაქომ — 5, ერევანმა — 5, მინსკმა — 1, ვილნიუსმა — 1, დაუგავპილსმა — 1 და თბილისმა — 16.

**დურსუნ ხახუტაიშვილი**

# პროფესორ ვ. დონდუას სახელობის კაბინეტში

მიმდინარე წლის 19 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფ. ვარლამ დონდუას ხსოვნას.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გ. მელიქიშვილმა. მან დაახასიათა პროფ. ვ. დონდუას მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა და ხაზი გაუსვა მის განსაკუთრებულ დამსახურებას ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე. გ. მელიქიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ მეცნიერის სურვილის თანახმად, მისმა მემკვიდრეებმა, დამ — მარიამ დუბენკო-დონდუამ და ძმისშვილებმა — თამარ და გურამ დონდუებმა, მისი მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა უსასყიდლოდ გადმოსცეს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, სადაც დაარსდა ვ. დონდუას სახელობის კაბინეტი.

ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. კიკნაძემ დამსწრეთ გააცნო პროფ. ვ. დონდუას არქივის შესწავლის შედეგები და განსვენებული მეცნიერის ხსოვნის უკვდავსაყოფი ღონისძიებები. ვ. დონდუას ხსოვნას ეძღვნება მისივე თაოსნობით დაარსებული კრებულის „ქართული წყაროთმცოდნეობის" მესამე მონაკვეთი, რომელსაც მიმდინარე წელს გამოსცემს „მეცნიერება". ამ კრებულში იბეჭდება განსვენებული მეცნიერის მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეთა ნაშრომები. აქვე ქვეყნდება აგრეთვე ვ. დონდუას დაბეჭდილი შრომების ბიბლიოგრაფია. მომავალ 1972 წელს გამოიცემა პროფ. ვ. დონდუას „საისტორიო ძიებათა" მეორე ტომი, რომელშიც შევა როგორც გამოქვეყნებული, ისე ჯერ დაუბეჭდავი ნაშრომები. 1972 წელსავე დაიბეჭდება ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა", რუსულ ენაზე თარგმნილი ვ. დონდუას მიერ. დასაბეჭდად მზადდება აგრეთვე თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების რუსული თარგმანი, რომელიც 1938 წ. გამოქვეყნდა ლენინგრადში და დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. მიმდინარე წელს წყაროთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფი ადგენს „საქართველოს ისტორიის ქრესტომათიას" რუსულ ენაზე, სადაც ფართოდ იქნება გამოყენებული პროფ. ვ. დონდუას მიერ შესრულებული თარგმანები ქართული აგიოგრაფიული, იურიდიული თუ საისტორიო ძეგლებისა.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს და საინტერესო მოგონებები გაუზიარეს დამსწრეებს პროფ. ვ. დონდუას მეგობრებმა და კოლეგებმა აკადემიკოსებმა აკაკი შანიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა და სერგი ჯიქიამ.

სამეცნიერო საბჭოს სხდომის შემდეგ შედგა პროფ. ვ. დონდუას სახელობის კაბინეტის გახსნა.

მრავალი წლის მანძილზე სათუთად ნაგროვებ ამ მდიდარ ფონდში დაცულია ერთი წიგნი: დ. ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართულისა ენისა. ქართულ-რუსული ლექსიკონი". ადრე ეს ლექსიკონი ყოფილა პ. კარბელაშვილის კუთვნილება. ვ. დონდუას ამ წიგნზე ასეთი წარწერა გაუკეთებია: „ახლა მე და სამომავლოდ ისევ სხვას — ...ვ. დ." საბედნიეროდ პროფ. ვ. დონდუას. მემკვიდრეებმა სასხვისოდ არ გახადეს მისი წიგნები და გარდაცვალების შემდეგ გადმოსცეს მის მშობლიურ ინსტიტუტს.

ვ. დონდუას პირადი ბიბლიოთეკა შეიცავს 6099 საბიბლიოთეკო ერთეულს. აქედან 5537 წიგნია ქართულ, რუსულ, სომხურ და ევროპულ ენებზე, ხოლო 562 ჟურნალი.

ბიბლიოთეკა მდიდარია კავკასიოლოგიური და მეტადრე ქართველოლოგიური ლიტერატურით. მრავლადაა XVIII საუკუნეში და XIX ს. დასაწყისში გამოცემული წიგნების, მაგ.: 1.: Риторика в пользу молодых девиц, которая равным образом может служить и для мужчин, любящих словесные науки, сочиненная Г. Гальяром, СПб., 1797; 2. განპსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტს — თარგმნილი ლათინთა ენისაგან რუსულს ზედა ენასა გ. ა. წელსა 1787. სანკტპეტერბურღი; 3. Баумайстер—„Метафизика", СПб., 1830; 4. Иконологический лексикон или руководство к познанию живописного и разного художеств медалей, эстампов и проч. перевод с французского, СПб., 1763; 5. ნაკაზი ანუ მცნება მისის იმპერატორობის დიდებულებისა (რუსული სამართალი), СПб., 1770; გადმოთარგმნილი ქართულ ენაზე გ. ჩუგუნოვისგან 1830, 6. Ф. Ростопчин—О пожаре Москвы, М., 1823. 7. მოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა ტიმოთესგან ქართლის მთა-

ვარ—ეპისკოპოსისა. 1852 (წინასიტყვაობა პლატონ იოსელიანისა); 8. დიდმოურავიანი თქმული სააკაძისა იოსებ თბილელისაგან დმატებით სხუათაცა თხზულებათა, 1851 და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით მდიდარია ეს ფონდი XVIII საუკუნის ისტორიისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ლიტერატურით. მაგ.: 1. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., СПб., 1861. გამოცემა მ. ბროსესი; 2. 3. Авалов—Присоединение Грузии к России, СПб., 1901; 3. ზ. ჭიჭინაძე—გერმანელი დოქტორი იაკობ რეინეგსი მეფე ერეკლეს კარზედ რუსთაგან და მინისტრად დანიშნული საქართველოში. ტფ. 1920; 4. პლ. იოსელიანი—ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1895; 5. Ф. Кишмишев—Последние годы Грузинского царства, Тб., 1848, 6. ა. ორბელიანი—ალა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ-ძე ჯ. ორბელიანისა. გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბიდან", ტფ., 1895 და სხვ.

აქვეა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ისეთი სამაგიდო წიგნები, როგორიცაა „ქრონიკების I და II ტომები, ვახუშტი ბაგრატიონის — საქართველოს გეოგრაფია (1904 წ.), მისივე „საქართველოს ისტორია" (დ. ბაქრაძის გამოცემა, ნაწ. I 1885); ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი" (პ. უმიკაშვილის გამოცემა, ტფ., 1886), „ქართლის ცხოვრება" მ. ბროსეს და დ. ჩუბინაშვილის გამოცემები როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენებზე. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფ. 1906); ანა დედოფლისეული ნუსხა (თბ., 1942); ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების" I და II ტომები. ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი" და მისივე „ძველი საქართველო" და მრავალი სხვა პუბლიკაცია ქართული საისტორიო ძეგლებისა.

დიდი სიყვარულით უგროვებია ჩვენი საუნჯე „ვეფხისტყაოსანი", დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: შოთა რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი — რუსულად барсова кожа, პოემა დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ლვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტპეტერბურგი, 1841; აგრეთვე გ. დ. ქართველიშვილისეული გამოცემა ზიჩის მხატვრობით. 1903 წ. გამოცემული დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. ს. კაკაბაძის 1926 და 1927 წწ. გამოცემები. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ 1937 წ. 1937 და 1966 წლების საიუბილეო გამოცემები და სხვ.

მრავლადაა ბიბლია, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნები, ქართულ, რუსულ, სომხურ და ევროპულ ენებზე.

კავკასია, კერძოდ საქართველო, ძველთაგანვე იზიდავდა უცხოელ მოგზაურებს. განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი XVII, XVIII და XIX საუკუნეებში. ამ პერიოდიდან მოყოლებული ევროპელებს რუსი მოგზაურები და სამხედრო მისიით გამოგზავნილი პირებიც ემატებიან. მათ დღიურებს, ჩანაწერებს თუ ჩანახატებს დიდი მნიშვნელობა აქვთ აღებული ხანის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. პროფ. ვ. დონდუას ფონდში დაცულია შარდენის, ლამბერტის, სოკოლოვის, ზისერმანის, ზუბოვის, დიუბუა დე მონპერეს და სხვათა თხზულებები.

მნიშვნელოვანი გამოცემებია ფილოლოგიის, ფოლკლორის და სახალხო განათლების დარგში. მაგ.: პლატონ იოსელიანის—პირველი დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა (1840); ს. დოდაშვილი — ქართული ღრამატიკა. შეყვანილება (1830), დ. ჩუბინაშვილი — შემოკლებული ღრამატიკა. შემოკლებული ლექსიკონით და სხვ. ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი" და „დედა ენა", „ეთერიანი", „ბეჟანიანი", „ყარამანიანი" და სხვა მრავალი. ამ პატარა წერილში ძნელია აღინუსხოს ყველა ის მნიშვნელოვანი გამოცემა, რომლებიც განსვენებულ მეცნიერს წლების განმავლობაში საგულდაგულოდ უგროვებია.

ქართული კულტურის თუ მწერლობის ბევრ მოღვაწეს, ზოგს როგორც მეგობარს და ზოგს როგორც მოწაფეს, მიურთმევია თავისი წიგნი საგულისხმო წარწერით. მაგ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით (თბ., 1938). „ჩვეირფას დოც. ვარ. დონდუას ივ. ჯავახიშვილისაგან". ს. კლდიაშვილი — „ახლობელი და შორეული" (თბ. 1964): „ბ-ნ ვარლამ დონდუას იმ დიდი სიყვარულით და პატივისცემით, რომელიც ყოველთვის მქონდა თქვენდამი. ს. კლდიაშვილი".

დ. გვრიტიშვილი — „ივანე ჯავახიშვილი" (თბ., 1968) „დიდი ივანეს გულწრფელ მეგობარს, ქართული ისტორიოგრაფიის მოჭირნახულეს, პროფ. ვ. დონდუას პატივისცემითა და

სიყვარულით 15/X—68 წ. დ. გვრიტიშვილი". თ. სახოკია — „მოგზაურობანი" (თბ., 1950): „ჩემს კარგ ვარლამ დონდუას სიყვარულის ნიშნად".

პროფ. ვ. დონდუას ბიბლიოთეკის ფონდში ძნელად მოიძებნება წიგნი, რომ არ ჰქონდეს მფლობელის მინაწერი, რომელიც ხშირად ან ავტორს შეეხება, ან წიგნის რომელიმე ადგილს განმარტავს, ანდა უბრალოდ წარსულის მოგონებებს უკავშირდება. აი, მაგ.: აკაკი — „პატარა კახი (თბ., 1890) — ეს წიგნი შევიძინე ბუკინისტურ მაღაზიაში) ცოცხალი მოწმეა მსახიობთა სასცენო მუშაობისა, მათ ხელში ნაწვალები". სად და ვის არ შეუსრულებია ამ გმირთა როლი. ჩემს პატარა ბიჭობაში ლევან ქვაბულიძის როლში გამოვსულვარ დათეშიძეების ოჯახში მათ ცნობილ „გორაზე" ქუთაისს. ჩემი ძმებიც, კარპეზი და მერე დათიკო, აგრეთვე თამაშობდნენ კახსაც კი. კარპეზის („კახი") ამპლუა უფრო იყო ი. ჭ-ძის „შვილი" („დედა და შვილი"). მახსოვს მისი „შვილი" ქუთ. ქართ. სათავადაზნაურო სკოლის დარბაზში, ჯაიანის შენობაში. სცენა გამართული იყო დერეფანში. უფროსები იდგნენ ან ისხდნენ, პატარიკები წინ იატაკზე ვისხედით, გატაცებული ვუმზერდით სცენას. შემსრულებელი მოწაფეები გუნია-მესხიშვილი-აბაშიძეები გვეგონა. თავს დაგვტრიალებდა ი. ოცხელი. რა კარგი იყო!)".

აი კიდევ ერთი საინტერესო მინაწერი: „Мои воспоминания 1840—1844 гг. князя А М. Дондукова-Корсакова, СПб., 1902". „შესანიშნავი დოკუმენტია. გული მწყდებოდა, რომ შიგ არ ჩანან ადგილობრივი გმირები. ავტორს ისინი უჭირისუფლოდ დარჩენია". წიგნი შეეხება რუსეთის დამპყრობლურ ომებს კავკასიაში. ავტორი ვრცლად აღწერს რუსი ოფიცრების ბრძოლას მთიელების წინააღმდეგ და როგორც პროფ. ვ. დონდუა გულისტკივილით შენიშნავს, „უჭირისუფლოდ დარჩენია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადგილობრივი გმირები.

თუ რა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა პროფესორ ვ. დონდუას თითოეული წიგნის შეძენა ჩანს ერთი ასეთი მინაწერიდან: „სიჭაბ. — სიყრმითვე მქონდა ბაირონის შეძენის წადილი და დღეს ორმოცდახუთად აღვისრულე მე იგი. ვ. დონდუა".

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წიგნი სანიმუშოდ არის მოვლილი. პატარა წიგნაკ-ბროშურაც კი საგულდაგულოდ არის დაკაზმული და მაგარ ყდაში ჩასმული.

პროფ. ვ. დონდუას კაბინეტის სახით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. ჩვენი ვალია თვალისჩინივით გავუფრთხილეთ ამ საუნჯეს და ისე მოუაროთ წიგნებს, როგორც ბატონი ვარლამი უელიდა მათ.

**ნინო ზუკაკიშვილი**

# კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

რამინ რამიშვილი

## უკეთ დავიცვათ ჩვენი კულტურის ძეგლები

ისტორიული ძეგლების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს საბჭოთა ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1917 წ. ნოემბერში, ახალ რუსეთში შეიქმნა „მუზეუმებისა და ძეგლთა დაცვის კოლეგია“. შემდგომ ისტორიული ძეგლებისადმი ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა: 1918 წ. აპრილში ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოიცა დეკრეტი ისტორიული ძეგლებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვისა და მოვლა-პატრონობის თაობაზე, ხოლო 1924 წ. 7 იანვარს საბჭოთა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც „ყოველი ნაპოვნი განძი თუ არქეოლოგიური მნიშვნელობის ცალკეული ნივთი“ სახელმწიფო-სახალხო საკუთრებად ცხადდებოდა. სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წ. ოქტომბრის დადგენილებამ არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლთა დაცვის თაობაზე საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის იურიდიული საფუძველი, რომელზედაც დაფუძნებულია მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის საბჭოთა კანონმდებლობა.

ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეში დიდი მუშაობა ტარდება მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც ძეგლთა დაცვის საკითხების შემუშავებისას ყოველთვის ითვალისწინებენ ამა თუ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ძეგლთა დაცვის ხაზით დიდი შრომაა გაწეული საქართველოშიც. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა სისტემატურ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ისტორიულ ძეგლთა მოვლა-პატრონობას და დაცვის სწორ ორგანიზაციას.

1921 წ. აპრილში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა მუზეუმების, სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის ქვეგანყოფილება. მაშინ საქართველოს ხელისუფლება ამზადებდა ნიადაგს, რომ ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი საგანძური სახალხო საკუთრებად გამოცხადებულიყო. მაგრამ ინ დიდი გარდაქმნების ხანაში (1922—23 წწ.) საქართველოს ზოგიერთ რაიონში ისტორიული ძეგლების მიმართ დაშვებულ იქნა უხეში შეცდომები. ამ მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება მალე მიაქცია. 1923 წ. 21 მარტს შეიქმნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელმაც შეადგინა და დაუგზავნა საქართველოს ცალკეული რაიონების ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს ცირკულიარი, რითაც სასტიკად იკრძალებოდა ისტორიული ძეგლების დაზიანება და საეკლესიო ფასეულობათა დატაცება.

1923 წ. მაისში გამოიცა კანონი ძველი ძეგლების დაცვის შესახებ, ხოლო 1923 წ. 12 ნოემბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო

დადგენილება საქართველოში სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის შესახებ, რის შემდეგაც ისტორიული ფასეულობის თავმოყრა მუზეუმებს უნდა ეტვირთათ.

1924 წ. 4 ივნისს გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება „სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ", რომლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიული ფასეულობანი ყველა შემთხვევაში სახელმწიფო მუზეუმებში დაგროვილიყო.

1924 წ. 20 სექტემბერს განათლების სახალხო კომისარიატში შეიქმნა „სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება", რომელიც შეუდგა ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლთა აღრიცხვას.

შემდგომ წლებში საბჭოთა ხელისუფლება, ერთი მხრით, კვლავ განაგრძობდა ისტორიულ ფასეულობათა შეგროვებას, ხოლო, მეორე მხრივ, თანდათანობით აფართოებდა სამუზეუმო ქსელს. ამასობაში თბილისის უნივერსიტეტის ბაზაზე და მუზეუმებში წარმოებდა დიდი სამეცნიერო მუშაობა და გადარჩენილ ძეგლთა სისტემატიზაცია, რომელსაც სათავეში უდგნენ ცნობილი მეცნიერები: ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი და სხვები.

უდიდესი ბიძგი ისტორიული ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეს მისცა 1937 წელს რუსთაველის იუბილესათვის მზადებამ. გაითხარა და წესრიგში მოიყვანეს არაერთი ისტორიული ძეგლი, მოეწყო სპეციალური გამოფენები, გაძლიერდა ძეგლთა დაცვის პროპაგანდა.

საქართველოს მთავრობისა და პარტიის ისტორიული ძეგლებისადმი ყურადღების შედეგია ისიც, რომ საბჭოთა კავშირში ძეგლთა დაცვის საზოგადოება პირველად საქართველოში დაარსდა. ამ დიდ წამოწყებას შემდგომ ბევრი მიმდევარი გაუჩნდა და ახლა მსგავსი საზოგადოება თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაშია ჩამოყალიბებული. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი დიდი გამოხატულებაა ის, რომ თბილისში შეიქმნა ქართული ყოფისა და მატერიალური კულტურის ღია მუზეუმი, რომელიც ოფიციალურად მალე გაიხსნება.

ძეგლთა დაცვის საკითხების მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ემსახურება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სპეციალურ დაწესებულებათა ფართო ქსელი, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის მეთოდური საბჭო, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, აკად. ი ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ბათუმის, სოხუმის და ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მუზეუმები, აგრეთვე მხარეთმცოდნეობის მრავალი მუზეუმი. გარდა ამისა, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის საქმეს პრაქტიკულად ემსახურება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველო, რომელსაც ჰყავს ძეგლთა მცველების მომზრდილი შტატი, აქვს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო. ძეგლთა დაცვის და მოვლა-პატრონობის საქმე ევალებათ აგრეთვე რაიაღმასკომებთან არსებულ კულტურის განყოფილებებს. რაც შეეხება ძეგლთა დაც-

ვის საზოგადოებას, რომლის წევრთა რიცხვმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა, მას გააჩნია ორგანიზაციათა საკმაოდ ვრცელი ქსელი რესპუბლიკაში და აქვს სპეციალური ჟურნალი „ძეგლის მეგობარი", რომელიც მოწოდებულია პირველ რიგში ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები გააშუქოს. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია ცხოვლად ეხმაურება ძეგლთა დაცვის პრობლემებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისტორიულ ძეგლთა და ფასეულობათა დაცვის საქმე ჩვენში მაღალ დონეზე დგას. მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე არ არის. მრავალი პირველხარისხოვანი ისტორიული ძეგლი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ცუდ მდგომარეობაშია. ბუნებრივია, ისმის საკითხი, რა იწვევს ამას და რა უნდა გავაკეთოთ, რომ თავი დავაღწიოთ ისტორიულ ძეგლთა დაცვის საქმეში არსებულ ხარვეზებს.

საქართველოში არსებული ისტორიული ძეგლების და სხვა ფასეულობათა მდგომარეობის საკითხი, რა თქმა უნდა, მარტო სამეცნიერო წრეებისა და სპეციალურ დაწესებულებათა საქმე როდია. იგი აღელვებს და აინტერესებს ჩვენი საზოგადოების ფართო ფენებს და ხშირად კვლევითი დაწესებულებების თუ სხვადასხვა რედაქციების მისამართით გამოგზავნილ წერილებში გამოსჭვივის მშრომელთა სამართლიანი შეშფოთება და გულისტკივილი არა მარტო ზოგიერთი ისტორიული ძეგლის მდგომარეობის, არამედ საერთოდ ძეგლთა დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამოც.

მრავალწლიანი საველე-არქეოლოგიური მუშაობის გამოცდილებამ, განსაკუთრებით კი ძეგლთა დაცვის საკითხებზე სპეციალურმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ძეგლების დაზიანებას მრავალი სერიოზული მიზეზი იწვევს, რომელთა გამოაშკარავება და სწორი ანალიზი, ვფიქრობთ, ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ძეგლთა დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განვიხილოთ თითოეული მიზეზი ფაქტიური მასალის ჩვენებით: 1. ყველაზე დიდი რაოდენობით ისტორიული ძეგლები ძველ ნასახლარებზეა.

მიტოვებულ ნაგებობათა ნგრევა ძველ ნაქალაქარებზე თუ ნასოფლარებზე, ციხე-სიმაგრეებსა თუ ეკლესიებზე ხდება საუკუნეთა მანძილზე. იგი ძალზე ნელი პროცესია, მაგრამ მუდმივმოქმედი და საბოლოოდ, რა თქმა უნდა, იწვევს ძეგლების გარდაუვალ დაზიანება-ნგრევას. მაგრამ ასეთი ნგრევისას ძეგლი ყველაზე უფრო დიდხანს ინარჩუნებს პირვანდელ სახეს და თავის დამახასიათებელ ნიშნებს. ამასთან, ნაგებობათა თანდათანობითი ნგრევის შედეგად ჩამოყრილი ქვები იქვე, ძეგლის გარშემოა ხოლმე მიმოფანტული, რაც საჭიროების შემთხვევაში აადვილებს მის რესტავრაციას. თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა ასე, ბუნებრივი ნგრევისას ჩამოცვენილ ქვებს ძეგლის სიახლოვეს მცხოვრებნი სამშენებლოდ იყენებენ. მაგალითისათვის გამოდგება აწყურის დიდებული ტაძრის ბედი. ამ ძეგლის პერანგის უამრავი ქვა და ჩუქურთმიანი დეტალი ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოიყენა საცხოვრებელი სახლების კედლების, ბუხრების, ბოსლების და სხვათა მშენებლობაზე. ასეთივე ბედი ეწია თიანეთის ცხრაკარას და ციხეს, ვანის ნაქალაქარს და სვანეთის არაერთ ძეგლს.

ბუნებრივი დაზიანების დროს ისტორიული ძეგლების ყველაზე უფრო საშიში და ულმობელი მტერია მცენარეები, რომლებიც ხშირად ამოიზრდე-

ბიან ხოლმე ნაგებობათა ბზარებში, კედლებზე თუ საძირკვლებში და სპობენ მთელ შენობებს და ხუროთმოძღვრულ კომპლექსებს. ასეთ მდგომარეობაში ჩვენში უამრავი ძეგლია. მაგალითისათვის დავასახელებთ კვეტერას, სადაც ასწლოვანი ხეები ზედ სასახლის და ეკლესიის კედლებზე იყო ამოზრდილი. საბედნიეროდ კვეტერას შიდაციხე ამ მცენარეებისაგან გაიწმინდა, მაგრამ თვით ნაქალაქარი კვლავ სავალალო მდგომარეობაშია და მრავალი ბურჯი თუ სხვა ნაგებობა ახლაც ზიანდება.

ანალოგიურ მდგომარეობაშია არაერთი ძველი ნაგებობა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში და განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, სადაც მცენარეული საფარი სწრაფად ვითარდება. მაგალითად სულ ამ ბოლო წლებში გათხრილი ბიჭვინთის ნაქალაქარის მრავალ უბანზე უკვე საკმაოდ ხშირი ტყებუჩქი ამოიზარდა და ხელს უწყობს უძველეს ნაგებობათა ნგრევას. ძეგლებზე გაზრდილ მცენარეებთან ბრძოლაში დიდ იმედებს ვამყარებდით ჰერბიციდების გამოყენებაზე, მაგრამ ჯერჯერობით პრაქტიკული ნაბიჯები საამისოდ არ გადადგმულა. ისტორიული ძეგლების კედლებზე მცენარეების მოსპობას ჰერბიციდების საშუალებით მიმართავენ არაერთ ქვეყანაში. მაგალითად, როგორც გაირკვა ინდოეთში ძეგლების შეწამვლა 3—4 წელიწადში ერთხელ ტარდება და ეფექტურ შედეგს იძლევა.

2. ყველაზე დიდ ზიანს ისტორიულ ძეგლებს აყენებს მათი ნგრევა სამშენებლო მასალის მოპოვების მიზნით. ცნობილია, რომ სამშენებლო მასალის მოპოვება საკმაოდ ძვირადღირებული და შრომატევადი საქმეა და ამიტომაც ჩვენი წინაპრები მიმართავდნენ მიტოვებული ნაგებობიდან სამშენებლო მასალის ხელახლა გამოყენებას. ამის ერთი შედარებით გვიანდელი მაგალითია ბახტრიონის ციხე, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის ისტორიაში. ეს უზარმაზარი თავდაცვითი კომპლექსი, სადაც გადაწყდა თითქმის მთელი გვიანფეოდალური საქართველოს ბედი, მოგვიანებით, როდესაც საქართველოზე სამხედრო თავდასხმების საშიშროება მოისპო თითქმის მთლიანად იქნა დანგრეული და გაზიდული საკუთარი სახლების მშენებლობაზე. სოფლად მშენებლობის უმაგალითო ტემპებმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისტორიულ ძეგლთა ნგრევას და ამ გზით სამშენებლო მასალების მოპოვებას. ასეთი შემთხვევები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არაერთგანაა აღრიცხული. მაგ., თიანეთში, სადაც ცხრაკარას ნაშთების ნგრევა კვლავ გრძელდება; სოფ. თარანში, სადაც დინამიტით ააფეთქეს შუა საუკუნეების ხიდის ბურჯი და მასალა სამშენებლოდ წაიღეს; სოფ. მერეთში ძველი კოშკების მასალა სასილოსე ჰებისათვის გამოიყენეს; მცხეთაში ბრწყინვალე არქეოლოგიური ძეგლი, ბაგინეთის სვეტებიანი სამეფო დარბაზიც კი არ დაინდეს და მოსახლეობას თანდათანობით გააქვს ქვები, ხოლო სვეტის ბაზები კი, როგორც გაირკვა, ხელსაფქვავის ქვებისათვის დაუხერხიათ. პროფ. ა. აფაქიძის ცნობით, უმოწყალოდ ანგრევენ ბიჭვინთის ნაქალაქარსაც, მის კოშკებს, არქეოლოგთა მიერ გათხრილ 2000 წლის წინანდელ ქუჩას, წყალსადენს, ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებულ ნაგებობებს, ძველ მოზაიკას. ნანგრევ ქვას სამშენებლოდ ეზიდებიან. სამწუხაროდ, ეს ხდება იქ, სადაც ძეგლთა დაცვის საზოგადოებას გააჩნია პატარა მუზეუმი (ბიჭვინთის ტაძარში) და ჰყავს სპეციალური მცველი.

ასეთი რამ ხდება ბევრგან, მაგრამ განსაკუთრებულ გულისტკივილს იწვევს ზემო სვანეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომლებიც მასიურად ინგრევა სწორედ სამშენებლო მასალის მოპოვების მიზნით.

სამშენებლო მასალის მოპოვებისას სხვაგანაც მრავალი ძეგლი ინგრევა. მაგ., 1950—52 წწ. ჭიათურის რაიონში, სოფ. წირქვალში დაანგრიეს ეკლესია. გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს კერძო მშენებლებმა კელასურის დიდ კედელს, რომლის ცალკეული მონაკვეთები თვალსა და ხელს შუა გაქრა. დაინგრა ქსნის ერისთავების რეზიდენცია ახალგორში. ბედიის ტაძრის ჩუქურთმიანი ლოდების ნაწილი გამოიყენეს საწყობის ასაგებად. სოფ. ჭუბურისხინჯში ერთმა გლეხმა სახლი აიშენა შუასაუკუნეთა ძეგლიდან აღებული ქვებით. ამავე მიზნით გამოიყენეს შერვაშიძეთა სასახლის კედლები სოფ. ლიხნში. სოფ. ალისუბანში (ჩხართან) დაანგრიეს ეკლესია, სადაც შემონახული იყო იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის წარწერა, მიძღვნილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი. იქ აღებული ქვებით აშენებდნენ სასოფლო კლუბს. მაგრამ ჩხარის მოსწავლეთა ჩარევით ჩუქურთმიანი ქვები სკოლის ეზოში გადაიტანეს. სოფ. დაღეთში (თეთრიწყაროს რ-ნი) დაანგრიეს ხუროთმოძღვრული კომპლექსი და ქვები ბოსლისა და საწყობის ასაგებად გამოიყენეს.

3. დიდ ზიანს განიცდიან ისტორიული ძეგლები იმის გამოც, რომ მათ ხშირად იყენებენ სრულიად შეუფერებელი, პრაქტიკული მიზნებისათვის ან უშუალოდ მათ ნაფუძვარზე აშენებენ თანამედროვე დანიშნულების ნაგებობებს და სხვ.

ძეგლებისადმი ამგვარი დამოკიდებულება შეინიშნებოდა ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სრულიად მართებულად გაშლილი ანტირელიგიური კომპანიის დროს ზოგჯერ გადაჭარბებას, ხოლო ზოგჯერ აშკარა თვითნებობას ჰქონდა ადგილი. ამ დროს განსაკუთრებით დიდი ზიანი განიცადეს ეკლესიებმა. რა თქმა უნდა, დანაშაული გაცილებით ნაკლები იქნებოდა, რომ ამ კამპანიის დროს მხოლოდ მოქმედი ეკლესიების ლიკვიდაციით შემოფარგლულიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოქმედ ეკლესიებს ბევრგან ზედ მიაყოლეს კარგახნის მივიწყებული ისეთი ძეგლებიც, რომლებსაც მხოლოდ ისტორიული ღირებულება-ღა ჰქონდათ შერჩენილი. ასე დაიღუპა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ყველაზე უფრო ძველი ძეგლი ე. წ. „ჰერეთის კვადრატი", რომელიც აკად. გ. ჩუბინაშვილს IV ს-ით აქვს დათარიღებული. ააფეთქეს ბოჭორმის ფრესკებით დამუშავებული ეკლესიის გუმბათი, ხოლო კვეტერაზე რატომღაც აფეთქებულ იქნა X ს-ნის დიდი კოშკიც. გარდა ამისა, შედარებით უკეთ დაცულ ეკლესიებს იყენებდნენ სამეურნეო დანიშნულებისათვის და შიგ დაიწყეს საწყობების და სხვა დაწესებულებათა გამართვა. ასეთ მოვლენას ხელისუფლება ებრძვის, მაგრამ ზოგიერთ ისტორიულ ძეგლში კიდევ არის შემორჩენილი ფერმა თუ საწყობი, წისქვილი თუ საწვავის შესანახი ბაზა. ამგვარი შემთხვევები მთლიანად უნდა აღმოიფხვრას და ყველა ისტორიული ძეგლი უნდა გავათავისუფლოთ ამ შეუფერებელი „მოვალეობისაგან".

ბოლო დროს გახშირდა აგრეთვე მიდრეკილება იმისკენ, რომ რესტორან-სასადილოთა ისედაც ხშირი ქსელი გაზარდონ ისტორიული ძეგლების ბაზაზე. მაგ., არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სოხუმში დაანგრიეს სოხუმის ციხის გალავნის ნაწილი კოშკებითურთ და კაფე-რესტორანი ააგეს. ხოლო, როგორც

პროფ. ი. ცინცაძე შენიშნავს, ისტორიული ძეგლებისადმი პატივისცემა იმით გამოხატეს, რომ რესტორანს „დიოსკურია“ დაარქვეს. სამწუხაროდ, იგივე ბედი ეწია ბათუმის ციხესაც.

ფიტარეთელი მოქეიფეები სხვაგვარად მოიქცნენ. მათ გადაწყვიტეს გრილი, საზაფხულო საქეიფო ადგილი შიგ ეკლესიაში მოეწყოთ, გაიყვანეს ელექტროხაზი, ხოლო დამჯერი კოჭების ჩასამაგრებლად რამდენიმე ადგილას ამოამტვრიეს კარიბჭის ბრწყინვალე ჩუქურთმა და შემდეგ თაბაშირის ხსნარით დაამაგრეს შიგ სათანადო დეტალები.

გარდა ზემოთქმულისა, ისტორიულ ძეგლებს იყენებენ ხოლმე კინოგადაღებების დროსაც და ხშირად ძეგლებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ. ამაზე უკვე იყო მსჯელობა და თითქოს ამ „იაფფასიანი დეკორაციების“ გამოყენება მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ კიდევ გვაქვს მსგავსი შემთხვევები და, რაც მთავარია, ძველი შედეგები მთლად აღმოფხვრილი არ არის. მაგალითად, სოფ. მარტყოფის თავზე „ღვთაების“ ეკლესიას საკმაოდ დიდი ხნის წინ, როცა იღებდნენ ფილმ „ბაში-აჩუკს“ გაუკეთეს ხელოვნური დეტალები, ჩუქურთმები და ცრუ სახურავი, რომლებიც გადაღების დამთავრების შემდეგ ზედვე დარჩა. დღესაც მისი ნახევრადდამწვარი ნაშთები საშინლად ამახინჯებენ ძეგლს.

4. ისტორიული ძეგლები ზიანდება აგრეთვე სამშენებლო მოედნებზეც. დღეს ყველასათვის ცნობილია, თუ რა გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობა წარმოებს ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში, სოფლად თუ ქალაქად. და თითქმის იშვიათია რომელიმე შედარებით მცირე სამშენებლო მოედანიც კი, რომ იქ რაიმე ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი არ აღმოჩნდეს.

ახალმშენებლობათა მესვეურები, როგორც წესი, დიდ ყურადღებას იჩენენ აღმოჩენილი ძეგლებისადმი, ცდილობენ შეასრულონ სსრკ მინისტრთა საბჭოს და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებანი. ამ მხრივ შეიძლება სამაგალითოდ დავასახელოთ: წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქჰიდროენერგომშენის, საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს, ენგურჰესმშენის, ალაზნის დიდი სარწყავი სისტემის მშენებლობის და სხვათა ხელმძღვანელები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ დაღუპვისაგან გადარჩენილიყო მრავალი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. ბევრი არქეოლოგიური ძეგლი გადარჩა საკოლმეურნეო მინდვრებზეც არხების თხრის და, განსაკუთრებით, ღრმადხვნის დროს (ხაიში, კლდეეთი, გამდლისწყარო, მელაანი, ერწო და სხვა). მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არასაკმარისია. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალმშენებლობათა ტერიტორიაზე აღმოჩენილ სიძველეებს ამა თუ იმ ობიექტის ხელმძღვანელი, არც კი აქცევს ყურადღებას და არ ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ ჩვენი მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. მაგალითად, დიღომში დიდი სახლის მშენებლობის დროს დაინგრა სამაროვანი, რომლის მხოლოდ ნაშთს მიუსწრეს არქეოლოგებმა. ასეთი რამ, სხვაგანაც არაერთხელ იქნა შემჩნეული (წალკა, სიონი და სხვ.). სწორედ ეს მოვლენა იყო გათვალისწინებული, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტში ამ რამდენიმე წლის წინ შემოღებულ იქნა სპეციალური კურსი სახელწოდებით „ისტორიულ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა დაცვის საფუძვლები“, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სამშენებლო, კომუნალური მეურნეობის და ხუროთმოძღვრულ ფაკულტეტებზე იკი-

თხება. ამ კურსის მეშვეობით ახალგაზრდა მშენებლებს ეძლევათ ცოდნის ის მინიმუმი, რაც აუცილებელია ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის გამოცნობისა და მისი პირველადი დაცვისათვის. სასურველია ლექციათა მსგავსი კურსი შემოღებულ იქნეს სხვაგანაც.

მაგრამ არიან ისეთი მშენებლებიც, რომლებიც სრულიად შეგნებულად არ „ამჩნევენ" ისტორიულ ძეგლებს, ცდილობენ „გარეშეთაგან" არავინ შეატყოს ძეგლის აღმოჩენის ფაქტი და ჩქარობენ ისე წარმართონ ობიექტის მშენებლობა, რომ ისტორიული ძეგლის შესწავლამ არ შეაფერხოს მშენებლობის „მაღალი ტემპი". რა თქმა უნდა, ასეთი „სპეციალისტები" ორმაგ დანაშაულს ჩადიან და მათი საქციელი ჭეშმარიტად გაკიცხვის ღირსია. მაგალითად, ქ. სიღნაღში ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის დროს ქვაბულში აღმოჩნდა ძველ ნაგებობათა მეტად საყურადღებო ნაშთები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიღნაღის ისტორიის ადრეული ეტაპის შესასწავლად, მაგრამ სამუშაოთა მწარმოებელმა ისინი სასწრაფოდ ამოავსო ბეტონის ხსნარით, რათა არქეოლოგებს „ხელი არ შეეშალათ" მშენებლობისათვის და აქ გათხრები არ წამოეწყოთ.

კოლხეთის დაბლობზე, იქ სადაც ნაჭაობარ ადგილებში საფუძველი ეყრება ახალ საბჭოთა მეურნეობებს და სადაც მშენებლობათა ტემპები ჭეშმარიტად გრანდიოზულია, მრავალ ძეგლს სრული განადგურება მოელის. კერძოდ, ზემძლავრი ბულდოზერებით ხდება სავარგულების მოშანდაკება, რის დროსაც მთლიანად ისპობა უძველესი გორანამოსახლარები, რომლებიც შეიცავენ ძვირფას მასალებს კოლხური კულტურის შესასწავლად. რა თქმა უნდა, ჩვენ ხელს ვერ შევუშლით ამ დიდ და საშვილიშვილო მშენებლობას, მაგრამ სასურველია არქეოლოგიური ძეგლების ერთი მონაკვეთის მაინც ხელუხლებლად დატოვება, ხოლო დანარჩენების სასწრაფო შესწავლა, თორემ ორიოდე წლის შემდეგ უკვე გვიან იქნება.

დიდი დანაშაული ჩაიდინეს ახმეტის რაიონში ილტოს მარმარილოს კარიერების მშენებლებმა რომლებმაც დინამიტით ააფეთქეს ძველი ციხისა და ეკლესიის ნაშთები და ამით „გზა გაუხსნეს" არც თუ დიდი წარმადობის მქონე კარიერს. აქვე შეიძლებოდა დაგვესახელებინა ქუთაისის გელათის მაგალითი, სადაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებული საგზაო ხრეშის მოპოვებამ გარკვეული საფრთხე შეუქმნა ქართული ხუროთმოძღვრების დიდებას — გელათს.

მშენებელთა დაუდევრობის გამო სამუდამოდ დაიღუპა ივრის სიონის კამხალთან მდებარე ორსართულიანი სასახლის და ციხესიმაგრის ნაშთები, რომელიც ქვაბულიდან ამოღებული მიწის სქელი ფენით დაფარეს. ასევე მიწის ფენით დაიმარხა 1963 წელს გზის გაყვანის დროს კაზრეთის ეკლესიის სიახლოვეს მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაშთები, თვით ეკლესია კი უპატრონოდ არის მიტოვებული. სარესტავრაციო სახელოსნომ მართალია იქ გარკვეული სამუშაოები ჩაატარა (აზომვა, ძეგლის გასუფთავება), მაგრამ საქმე შუა გზაზე შეჩერდა და ძეგლის გადასარჩენად ფაქტიურად ჯერჯერობით არაფერია გაკეთებული.

5. დიდად ზიანდებიან ისტორიული ძეგლები არქეოლოგიური გათხრების შემდეგ. თითქოს პირიქით უნდა იყოს. ძეგლი ითხრება, იწმინდება და ხდება მისი სრული გამომზეურება, ე. ი. მიწისზედა ძეგლების დიდ მწკრივს კიდევ

ერთი ემატება მაგრამ ზოგიერთი მიზეზის გამო სხვაგვარად ხდება. როგორც ცნობილია, არქეოლოგიური გათხრა და ძეგლების აღდგენისა და მოვლის საქმე სხვადასხვა ორგანიზაციების ხელშია და მათი საქმიანობის დაგეგმვა სხვადასხვა ინტერესებიდან გამომდინარეობს. მეტი წილი არქეოლოგიური ძეგლები გათხრების დამთავრების ან შეწყვეტის შემდეგ რჩება უმეთვალყურეოდ და შეიძლება ითქვას, უპატრონოდ. ცნობილია, რომ მიწის წიაღში მრავალი საუკუნის ყოფნის შემდეგ ყველა აღმონაჩენი, მათ შორის სამშენებლო ქვაც, ჰაერისა და ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებით სწრაფად იცვლის ნირს და ზიანდება. გამოცდილება გვკარნახობს, რომ არქეოლოგიური გათხრით აღმოჩენილი ძეგლი უნდა დაკონსერვდეს და გამაგრდეს მაშინვე, გადაუდებლად, თორემ ხშირად სულ რამდენიმე დღე საკმარისია იმისათვის, რომ ის გამოუსწორებლად დაზიანდეს.

მაგალითად, დავით გარეჯაში სარესტავრაციო სამუშაოების დროს არქეოლოგიური გათხრაც ჩატარდა. კერძოდ, ლავრის გაწმენდისას ზედა ეზოს სამხრეთით კლდეში გამოვლინდა დიდი ზომის დარბაზული ეკლესია და დიდი მარანი. ამ ეკლესიაში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ალებასტრით შესრულებულმა კანკელის ქვედა ნაწილმა, რომელიც იშვიათი ორნამენტით და სვეტებს შორის მხატვრობით იყო შემკული. აღმოჩენიდან სულ რაღაც ორ კვირაში აღარ დარჩა არა თუ ჩუქურთმა ან მხატვრობა, არამედ თვით კანკელის ნასახიც კი. იგივე ბედი ეწია იმავე დავით გარეჯაში „უდაბნოს" სამონასტრო კომპლექსში მიწის ამოწმენდის შემდეგ გამოვლენილ კედლის ნახატებს, რომლებიც ისე ჩამოცვივდა, რომ მათი წესიერი ფიქსაციაც კი არ იყო ჩატარებული.

არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ძეგლების სასწრაფო კონსერვაციის აუცილებლობაზე მეტყველებენ სხვა ფაქტებიც. მაგ., ბიჭვინთა, ძველი კოლხური კულტურის შესანიშნავი კერა და ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, იმის გამო, რომ თხრის პროცესშივე არ მაგრდებოდა, საშინლად დაზარალდა. ჩაიშალა და მოისპო არაერთი ისედაც ცუდად მოღწეული კედელი.

დიდად დაზარალდა გათხრების შემდეგ უნიკალური და ერთადერთი ძეგლი ძველი ქართული საერო ხუროთმოძღვრებისა — ბაგინეთის სამეფო დარბაზი. ვერაფრით ვერ მოხერხდა, რომ იქ ჩატარდეს საკონსერვაციო სამუშაოები და ძეგლის დაცვა სათანადოდ მოგვარდეს.

მსგავსი სურათია უჯარმაშიც. ამ დიდებული ძეგლის არქეოლოგიური გამოკვლევა შუა გზაზე შეწყდა, ხოლო იმის გამო, რომ მიწის სქელი ფენისაგან გათავისუფლებული კედლები თავის დროზე არ გამაგრდა, ახლა, როგორც პროფ. ირ. ციციშვილი აღნიშნავს, შიდაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უკვე დანგრევის პირასაა მისული და შესაძლებელია ძეგლი გამოუსწორებლად დაზიანდეს.

ასევე განადგურდა ადრეფეოდალური ხანის ახლად გათხრილი საყურადღებო ძეგლი — „ლამაზგორის" ეკლესია (ბოლნისთან). ახლა მნახველი ვერც კი შეატყობს, რომ სულ რამდენიმე წლის წინ იმ ადგილზე წარმოებდა ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიება და აღმოჩენილი იყო საკმაოდ მოზრდილი ხუროთმოძღვრული, ჩუქურთმით დამუშავებული ძეგლი. ვფიქრობთ, ამ საკითხს ესაჭიროება სასწრაფო მოგვარება. ალბათ ყველაზე სწორი იქნება, თუ ძეგლთა დაცვის სამმართველოში გამოიყოფა სპეციალური ფონდი ამ მიზ-

ნისათვის და გამთხრელთა და რესტავრატორთა საქმიანობა ისე დაიგეგმება, რომ ძეგლის გამაგრება მაშინვე, გათხრის დამთავრებისთანავე იწყებოდეს.

ამასთანავე განათხარი ძეგლების ბედ-იღბალზე უნდა ზრუნავდეს ყველა. პირველ რიგში ექსპედიციის ხელმძღვანელები და მეტ ინიციატივას იჩენდნენ მათ გასამაგრებლად საჭირო სახსრების მოპოვებაში.

მრავალრიცხოვან ობიექტებს შორის, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში იქნა შესწავლილი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, თითქმის არცერთი არ არის მომზადებული და დაცული სანახაობრივი თვალსაზრისით. უცხოეთის ბევრ ქვეყანაში არაერთი ისეთი განათხარი ძეგლია ცნობილი (ბულგარეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, იტალიაში, მახლობელი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში), რომლებიც გათხრის შემდეგ სრულ წესრიგშია მოყვანილი და მნახველს შეუძლია ადგილზევე „წაიკითხოს" მისი შინაარსი და გაეცნოს ძეგლის თავისებურებას.

ის ცალკეული ნაგებობანი, რომლებიც ჩვენ საჩვენებლად გვაქვს მომზადებული, არასაკმარისია. ახლა მეცნიერების თანამედროვე დონეზე ყველა პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლი მთლიანად უნდა მზადდებოდეს საჩვენებლად. უნდა ხდებოდეს მისი სათანადო კონსერვაცია და ყველაზე უფრო მომგებიანი კუთხით ჩვენება. ამით ჩვენ დიდად შევუწყობთ ხელს კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციას.

6. ხშირად საკმაო ზიანს აყენებენ ისტორიულ ძეგლებს ტურისტებიც. ყველასათვის ნათელია ტურიზმის პროგრესული მნიშვნელობა და დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობაც წარმოებს მის განსავითარებლად. მაგრამ აქაც დიდი სიფხიზლე და აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაა საჭირო. სარგებლობენ რა ძეგლის მცველებისა და ექსკურსიის მძღოლთა უყურადღებობით, ტურისტები ყველა საშუალებით ცდილობენ „უკვდავჰყონ" თავიანთი სახელები და ძეგლის კედლებზე უამრავ წარწერებს ტოვებენ, რაც იწვევს არა მარტო ძეგლების დამახინჯებას, არამედ გამოუსწორებლად ზიანდება კედლის მხატვრობა, ჩუქურთმები და წარწერები. ასეა შერყვნილი ატენის, მცხეთის ჯვრის, სამთავროს ტაძრის, ბიჭვინთის, ილორის, ბედიის, ხორნაბუჯის, წმინდა შიოს ეკლესიის, თბილისის ნარიყალასა და სხვათა კედლები. მაგ., ბორჯომის ხეობაში სოფ. დაბის დარბაზული ტიპის ეკლესიის პორტალის შუბლის ქვაზე 1333 წლის საკტიტორო წარწერა ისეა დაფარული ახალი ნაჯღაბნებით, რომ მისი წაკითხვა უკვე შეუძლებელია. კიდევ უფრო დიდ ზიანს აყენებენ ძეგლებს ტურიზმის კერძო მოყვარულები, რომლებიც განუკითხავად დათარეშობენ ძეგლებზე და ტოვებენ უამრავ მინაწერებს, სადაც ხშირად შეიძლება სრული მისამართებისა და თანამდებობების ამოკითხვაც კი. მაგრამ ის, რაც ამ რამდენიმე წლის წინ ჩაიდინეს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტებმა დავით გარეჯაში, აჭარბებს ყველაფერს.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საშინლად დააზიანეს ზემოხსენებული ინსტიტუტის პრაქტიკანტმა სტუდენტებმა (ისინი პრაქტიკას გადიან ხოლმე უდაბნოს მეცხოველეობის ფერმაში). მათ ნახშირითა და საღებავებით საკუთარი სახელები დააწერეს უნიკალურ ფრესკებზე, გამოსახულებათა პირისახეზე და მკერდზე. ასე დაზიანდა დიმიტრი თავდადებულის ერთადერთი პორტრეტული გამოსახულება, რომელიც დავით გარეჯაშია შემორჩენილი. როდესაც აღნიშნული ამბავი გახმაურდა, ინსტიტუტის დირექ-

ციამ ითხოვა, არ გამოქვეყნებულიყო სტუდენტთა სახელები იმ პირობით, რომ ისინი დააფინანსებდნენ დაზიანებული ფრესკების გაწმენდას. რა თქმა უნდა, ასეთი დათმობა შეცდომა იყო, მით უმეტეს, რომ ინსტიტუტს თითიც არ გაუნძრევია დაზიანებული შედევრების აღსადგენად.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული გულისყურის გამოჩენა მართებთ ძეგლის მცველებს, რომელთა უმრავლესობაც, სამწუხაროდ ადგილებზე არასათანადოდაა შერჩეული და აშკარად ვერ უძლევება დაკისრებულ საქმეს. მაგ., დავით გარეჯის უდაბნოს ახლა 4 მცველი ჰყავს, მაგრამ ფაქტიურად ეს უზარმაზარი კომპლექსი ტურისტებისაგან მაინც არ არის დაცული.

ასეთივე მჯღაბნელებმა ძალიან დააზიანეს კასპის რაიონში ახალქალაქის ზემოთ მდებარე ფავნისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობა (X—XII სს.), სადაც საერო პირები არიან გამოხატული.

7. ისტორიული ძეგლების დაზიანებისა და განადგურების ზემოთ დასახელებული ფაქტების გვერდით არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო სამწუხარო და თავისი შედეგებით ყველაზე უფრო საშიში. ეს გახლავთ ისტორიული ძეგლებისა და ფასეულობათა შეგნებული, წინასწარგანზრახული დაზიანება, გადასხვაფერება. ასეთი ფაქტები რაოდენობრივად შედარებით ნაკლებია.

ძეგლების შეგნებული მტრები და წინასწარგანმზრახველი ბოროტმოქმედნი სხვადასხვა მიზნებით ხელმძღვანელობენ. ზოგს ამოძრავებს, რელიგიურ შეხედულებათა გადმონაშთები, ზოგს კი სხვა რამ გრძნობა. რა თქმა უნდა, ეროვნული საუნჯისადმი ასეთი დამოკიდებულება და „ქვენა" გრძნობების გამომჟღავნება სრულიად შეუფერებელია ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის და ამდენად ისინი, ვინც ისტორიულ ძეგლებს შეგნებულად სპობენ, ორმაგ გაკიცხვას და სასჯელს იმსახურებენ. დავასახელებთ ორიოდე მაგალითს:

დმანისის რაიონში სოფ. ჰამამლოში აღმართული იყო ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მდგარი, თითქმის ორი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარი, რომელიც შემკული იყო ბრწყინვალე ჩუქურთმით. იგი განვითარებულ შუა საუკუნეებს ეკუთვნოდა, რაზედაც პირველ რიგში მიუთითებდა კვარცხლბეკზე ამოკვეთილი ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. და აი, ეს შესანიშნავი ისტორიული ძეგლი, ქართული მხატვრული ქვაზეკვეთილობის ძვირფასი ნიმუში, თავისი საყურადღებო წარწერით, დღეს აღარ არსებობს. იგი დაიღუპა ჩვენი თანამედროვეების ხელით, სოფლის შუაგულში, დღისით და ისიც თანამედროვე ტექნიკის, ბულდოზერის, გამოყენებით. ჯვრის დამსხვრეული ნაწილები ბოროტმოქმედებმა იქვე შორიახლო მიწაში ჩაფლეს, ხოლო კვარცხლბეკის ფუძის ნაშთზე შემორჩენილი წარწერა მთლიანად ამოტეხეს. შემდეგ, როდესაც სპეციალურმა კომისიამ ჰამამლოში ჩადენილ ბოროტმოქმედებას ფარდა ახადა და დააგროვა სრულიად ეჭვმიუტანელი მასალა, ვიმედოვნებდით, რომ დამნაშავეები პასუხს აგებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდარა.

იმავე სოფ. ჰამამლოს მახლობლად, მთის ფერდობზე იყო ბოლნისის ფერადი ტუფით ნაგები შუა საუკუნეთა ნაგებობა, მაგრამ ახლა ძეგლი და მისი შემოგარენი მთლიანად დარბეულია. ძალაყინებითა და ფეთქებადი მასალით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა რამდენიმე დღე „იშრომეს". ნაღმითაა აფეთქებული ეკლესიაში შესასვლელის ზედა ნაწილი, ხოლო ძალაყინებით

ჩამოყრილი ქვები ან წაღებულია, ან კიდევ ადგილზევეა დამსხვრეული. სრულიად შემთხვევით გადარჩა სამშენებლო ორსტრიქონიანი წარწერა, რომელშიც თამარ მეფეა მოხსენიებული. არქეოლოგმა ვ. ჯაფარიძემ ეს ძვირფასი ეპიგრაფიკული ძეგლი შემთხვევით იპოვნა და თბილისში წამოიღო. .

გარდა ამისა, იქვე მდებარე ვრცელი სასაფლაო, სადაც ქართულ-წარწერიანი ლოდები ბლომად ელაგა, მთლიანად გავერანებულია.

სოფ. სამიშლოდან არც თუ ისე შორს მდებარეობს კიდევ ერთი ძველი ნამოსახლარი, რომელსაც დარას საყდრები ეწოდება. აქ წყლის გაყვანის დროს დაანგრიეს ისედაც დაზიანებული შუა ფეოდალური ხანის ეკლესია და ქვები წყალსადენის ტრასის მშენებლობაზე გამოიყენეს.

დაახლოებით ასეთივე სურათია საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეშიც.

* * *

როგორც ვხედავთ, ისტორიულ ძეგლთა დაზიანება და ნგრევა-განადგურება მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. ამასთან, რაც დრო გადის, ძეგლთა დაცვის საკითხი სულ უფრო და უფრო რთულდება და შრომატევადი ხდება.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სპეციალური დაწესებულებების, მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტების, ძეგლთა დაცვის საზოგადოების წინაშე უამრავი პრობლემა იჩენს თავს. ამ პრობლემებიდან შევეხებით რამდენიმეს, შედარებით უფრო მნიშვნელოვანს.

1. ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია მათი აღრიცხვა და პასპორტიზაცია. ეს საკითხი კარგა ხანია დღის წესრიგში დგას და ამ მიმართებით ბევრი რამაა გაკეთებული (განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ), მაგრამ ძირითადი საქმე ჯერ კიდევ წინ გვიდევს. საქმე ისაა, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ვეღარ შემოვიფარგლებით მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ძეგლების დაცვა-შესწავლით. საჭიროა ყველა მათგანის, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ძეგლის მოვლა და შესწავლა, რითაც უფრო სრულყოფილად წარმოვაჩენთ ჩვენი ერის კულტურულ მემკვიდრეობას.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ იურიდიულად და პრაქტიკულად დაიცვას ძეგლები, საჭიროა მათი ოფიციალურად აღრიცხვაზე აყვანა, თორემ სხვაგვარად ძეგლთა დაცვის ორგანიზაციები მრავალ სიძნელეს წააწყდებიან. თუ ზუსტად არ გვეცოდინება, რამდენი და როგორი ძეგლი გაგვაჩნია და მომავალში რა მოცულობის სამუშაოები გვიძევს წინ, ჩვენი ყველა მცდელობა, დავიცვათ ძეგლები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, წარმატებით ვერ დაგვირგვინდება.

საქართველოს მიწა-წყალზე, უამრავი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლია გადარჩენილი და მათი აღრიცხვა ერთი რომელიმე დაწესებულების ან კოლექტივისათვის თითქმის შეუძლებელია. ჩვენი აზრით, ძეგლთა პასპორტიზაცია საერთო საქმედ უნდა ვაქციოთ, რათა რაც შეიძლება შემჭიდროვებულ ვადებში მოვახერხოთ ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა აღრიცხვა და მოკლე აღწერა ძეგლის საერთო მდგომარეობის ჩვენებით.

ამ უკანასკნელ ხანებში სსრკ მთავრობის დადგენილებით დაიწყო მზადება ისტორიულ ძეგლთა მრავალტომიანი კორპუსების მოსამზადებლად, სადაც საქართველოს რამდენიმე ტომი დაეთმობა. ეს საპატიო, მაგრამ უაღრესად რთული საქმე თავისთავად გულისხმობს ჩვენი ძეგლების სრულ პასპორტიზაციას.

საველე-პრაქტიკული საქმიანობა გვიჩვენებს, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ბევრი ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ძეგლია აღსარიცხი. იშვიათია რაიონი, რომ იგი ამ თვალსაზრისით რაიმე სიახლეს არ შეიცავდეს (მაგ., პანკისის ხევი, გაღმა მხარე კახეთში, შიდა ქართლის ხეობები, მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა და სხვ.) ამიტომაც ძეგლთა აღრიცხვა-პასპორტიზაცია საშური და გადაუდებელი საქმეა.

2. როგორც ითქვა, ისტორიული ძეგლები და ფასეულობანი საბჭოთა კავშირში საერთო-სახალხო საკუთრებადაა გამოცხადებული. მათი ხელყოფა კანონით ისჯება. კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით სახელმწიფოს მიერ აღრიცხვაზე აყვანილი კულტურის ძეგლების წინასწარგანზრახვით მოსპობის, დანგრევისა ან დაზიანებისათვის დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ორ წლამდე, ერთ წლამდე იძულებითი მუშაობით, ან ჯარიმით 200 მანეთამდე.

რადგანაც ისტორიული ძეგლები დღეს მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო ზიანდება, ძეგლთა დაცვის თანამედროვე ეტაპზე სასურველია არსებული კანონის შემდგომი სრულყოფა და მისი დიფერენცირება, რათა გათვალისწინებულ იქნეს ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები.

კერძოდ, მიზანშეწონილია უფრო მკაცრი სასჯელი იქნეს გათვალისწინებული ძეგლების წინასწარგანზრახვით დაზიანებაში შემჩნეულ პირთა მიმართ. კარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ ფულადი ჯარიმის ოდენობა კანონით წინასწარ კი არ იყოს დაწესებული, არამედ მისი რაოდენობა ძეგლისადმი მიყენებული ზარალის მიხედვით განისაზღვრებოდეს და ეს ჯარიმა საკმარისი იყოს ძეგლისათვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად. ასეთი ღონისძიების გატარება უთუოდ ხელს შეუწყობს ისტორიული ძეგლების უფრო მტკიცე დაცვას.

3. ისტორიულ ძეგლთა დაცვის თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ფართო ფენებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ისტორიული ძეგლების მნიშვნელობაზე ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას.

ისტორიული ძეგლებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, შეუძლებელია მათი მოვლა-პატრონობა და დაცვა მხოლოდ ოფიციალურ მცველებს დაეკისროთ. ჯერ ერთი, მცველთა რაოდენობა არსებული მოთხოვნილების მინიმუმსაც არ აკმაყოფილებს, მაგრამ მათი რიცხვი ათჯერაც რომ გაიზარდოს, მაინც არ იქნება საკმარისი, თუ მათ მხარს არ დაუჭერს ჩვენი მთელი მოსახლეობა და განსაკუთრებით სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობა.

ჩვენი ისტორიული ძეგლები, ისევე როგორც მთელი კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე თავგამოდებული ქომაგი სწორედ ახალგაზრდობა უნდა იყოს და ამიტომაც სწორედ მათ უნდა ჩავუნერგოთ სიყვარული ამ დიდი მემკვიდრეობისადმი, რომელსაც არაერთი თაობის ნიჭი, ენერგია და სიცოცხლე

შეეწირა. ისტორიული ძეგლებისადმი დამოკიდებულებაში კარგად ჩანს თვით ამ ძეგლების მფლობელი ხალხის კულტურული დონე და მოქალაქეობრივი სახე. ამიტომ ყოველ კუთხეში, ყოველ სოფელში, მოსახლეობა ფხიზლად უნდა დარაჯობდეს ისტორიულ ძეგლებს და იცავდეს მათ ხელყოფისაგან. ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ სასოფლო საბჭოებს. მათ ზუსტად უნდა ჰქონდეთ აღრიცხული თავიანთ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლები და იცავდნენ, როგორც სახალხო საკუთრებას. ისტორიული ძეგლების ხელყოფის ან დაზიანების შემთხვევაში, არსებული კანონის საფუძველზე, ვფიქრობთ, სწორედ ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა აღძრან ხოლმე სარჩელი დამნაშავეთა წინააღმდეგ.

დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ძეგლებისათვის საშეფო საქმიანობასაც. ყველა დიდ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან ფაბრიკა-ქარხანას, უმაღლეს სასწავლებელს და სკოლას უნდა ჰქონდეს საშეფოდ აღებული ერთი ძეგლი მაინც, რომელსაც მიაქცევს ყურადღებას, დაიცავს, მოაწყობს შაბათობებს და ხელს შეუწყობს ძეგლის სიცოცხლის გახანგრძლივებას. ამ მხრივ მისაბაძია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ინიციატივა. მათ მთელ უნივერსიტეტში ჩამოაყალიბეს სტუდენტთა სარესტავრაციო რაზმები, რომლებშიც 1000-მდე სტუდენტია გაერთიანებული და უზარმაზარ სარესტავრაციო სამუშაოს ასრულებენ რუსეთის ფედერაციის მასშტაბით. ასეთი წამოწყება ჩვენც გვქონდა უნივერსიტეტში, მაგრამ რატომღაც იგი აღარ განვავითარეთ. ორგანიზაციები, რომლებიც პატრონობენ ძეგლებს, ჩვენც არაერთი გვაქვს (თბილისში, თელავში და სხვაგან), მაგრამ ამ საქმეს არ აქვს მასიური ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტები, ისტორიკოსები, ძეგლის მოყვარულები და მეგობრები, ძალიან ცოტას წერენ ცენტრალური და რაიონული გაზეთების ფურცლებზე ისტორიული ძეგლების შესახებ, არ იქმნება პოპულარული **ლიტერატურა ამ საკითხებზე.**

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველო აგერ უკვე 20—25 წელია ატარებს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა მოვლისა და პატრონობის მძიმე უღელს, ზოგჯერ წარმატებით და ზოგჯერაც საგრძნობი ხარვეზებით.

სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს სპეციალურმა სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნომ მეცნიერებათა აკადემიის კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოსთან მჭიდრო კონტაქტში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი აღადგინა. წლების მანძილზე აღდგენილი ან შეკეთებულია ისეთი ძეგლები, როგორიცაა: წრომი, სამწევრისი, წირქოლი, ჯვარპატიოსანი სოფ. ქსოვრისთან, ალავერდი, ნეკრესი, იყალთო, გურჯაანის ყველაწმინდა, ძველი შუამთა, გელათის კარიბჭე, გეგუთი, ანჩისხატი, ერელაანთ საყდარი მატანთან, როსტომის აბანო თბილისში, ვარძიის სამრეკლო. კეთილმოწყობილია მცხეთის ჯვრის მიდამოები, გელათის ეზო. აღდგენილია წილკანი. მუშაობა მიმდინარეობს სვეტიცხოველზე, უფლისციხეში, წილკანში, პატარა ონში, დავით გარეჯში, ატენში, ბაგრატის ტაძარზე, გელათის სამრეკლოზე და სხვ. გარდა ამისა, რთული და მძიმე სამუშაოები შესრულდა ვაკის პარკის ტერიტორიაზე თიანეთის სიონის ბაზილიკისა და აკლდამის გადმოსატანად და აღსადგენად. გასუფთავდა და გამაგრდა ფრესკები ატენში, ვარ-

ძიაში, ყინწვისში, წალენჯიხაში, გელათში, მარტვილში, მანგლისში, ნეკრესში და სხვა. გარკვეული სამუშაო აქვს ჩატარებული სამმართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა გამოვლენის, პასპორტიზაციისა და აღრიცხვის საქმეში.

აღნიშნულ დაწესებულებას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მატერიალური კულტურის დაცვის საქმეში, მაგრამ მის მუშაობას ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. კერძოდ, მოგვარებული არ არის წარწერიანი ფირნიშების ძეგლებზე დროულად მიტანა და მიმაგრება. მართალია, ფირნიშების დამზადება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მათი უქონლობა დიდ ზიანს აყენებს ისტორიულ ძეგლებს.

სათანადო კონტროლი არ ეწევა ძეგლის მცველების საქმიანობას. ზოგჯერ ძეგლის მეთვალყურედ ინიშნება ისეთი პირი, ვინც სრულიად არ არის დაინტერესებული მისი ბედ-იღბლით და მიღებული გასამრჯელო მისთვის მხოლოდ შემოსავლის დამატებითი წყაროა. თითქმის არაფერი კეთდება ძეგლის მცველების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, არ ეწყობა მათთვის მოკლევადიანი შეკრებები, ძეგლების მოვლის კულტურის ამაღლების მიზნით.

სამმართველოს სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო ზოგჯერ ძალიან აჭიანურებს რემონტს. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ ატენის სიონს გადააძრეს ძველი სახურავი და მისი ლორფინებით შეცვლას შეუდგნენ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. გაჭიანურდა კვეტერის რესტავრაცია და ეკლესიის გადახურვა.

არის შემთხვევები, როდესაც სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო სარემონტო სამუშაოებს უხარისხოდ ასრულებს. მაგ., ამ რამდენიმე წლის წინ მთლიანად გამოუცვალეს სახურავი ოზაანის ამაღლებას (წ. წყაროს რ-ნი), რისთვისაც სპეციალურად გამოწვეს ღარიანი კრამიტი. მაგრამ სამუშაო იმდენად ცუდად შეასრულეს, რომ დღეს, რესტავრაციიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ, ძეგლი ფაქტიურად უსახურავოდ დგას და ინგრევა. 1970 წელს მთლიანად დაიშალა სამხრეთი შესასვლელი, ხოლო გუმბათის ყელში მსხვილი ბზარი გაჩნდა. ყოველივე ამის შედეგად ილუპება არა მარტო IX საუკუნით დათარიღებული საყურადღებო ხუროთმოძღვრული ძეგლი, არამედ შიგ დაცული უძველესი კედლის მხატვრობაც. ახლა ძეგლი ისევ შესაკეთებელია და საქმე საორხელოდაა გამხდარი. ასეთივე მდგომარეობაშია სვანური კოშკები და ეკლესიებიც. ახლად შეკეთებული ან გამოცვლილი სახურავები იშვიათად ძლებენ 3—5 წელზე მეტს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს, ისტორიული ძეგლების შემდგომ ბედ-იღბალზე.

სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს აშკარად არ ჰყოფნის სპეციალისტები, საქმის მცოდნე და ძეგლების ბედით დაინტერესებული ხუროთმოძღვრები, აკლია მექანიზმები და ტრანსპორტი.

5. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1959 წელს საქართველოში ძეგლთა დაცვის საზოგადოების დაარსებას, რომელმაც თავისი არსებობის 10—11 წლის მანძილზე ძალიან დიდი საქმის გაკეთება მოასწრო. მისი წევრების რიცხვი ნახევარ მილიონს აღემატება. საკუთარი სახსრებით საზოგადოებამ აღადგინა: სვეტიცხოვლის კარიბჭე, გრემი, ხობი, წალენჯიხა, შემოქმედი; 1968 წ. დააფინანსა არქეოლოგიური სამუშაოები და ძეგლის აღდგენა კვეტერაზე, ქვათახევში, წულუკიძეში და სხვ. დიდი და საშვილიშვილო საქმეა ჟურნალ „ძეგლის

მეგობრის" გამოცემა, რომლის 23 ნომერი უკვე გამოქვეყნებულია. ფართო საზოგადოებამ შეიყვარა ეს შინაარსიანი და საქმიანი ჟურნალი. სასურველია მისი ყოველთვიურ ჟურნალად გადაქცევა და ტირაჟის გაზრდა, რითაც უთუოდ გაუმჯობესდება ისტორიულ ძეგლთა დაცვის პროპაგანდა.

საქართველო მდიდარია ეპიგრაფიკული ძეგლებით, უამრავი სამშენებლო თუ სხვა ხასიათის წარწერები ასობითაა მიმოფანტული სხვადასხვა ძეგლებზე, მაგრამ ჯერჯერობით არ გვაქვს მათი სრული პუბლიკაცია. დროთა სვლას კი წარწერებისათვის დიდი ზიანი მოაქვს. ამიტომ საჭიროა მათი საგულდაგულოდ დაცვა, შეგროვება და გამოქვეყნება, აგრეთვე ესტამპებისა და პირების გადაღება. სამწუხაროა, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, არ აქვს ქართული წარწერების პირები. ძალზე უიმედო მდგომარეობაშია სასაფლაოს ქვებიც. იქნებ ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ მთელი თავისი სახსრები ამ მიმართებით ხარჯოს და ამით ხელი შეუწყოს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების თავმოყრას, რათა შემზადდეს ნიადაგი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის გამოსაცემად.

6. ქართული ძეგლების ერთი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის გარეთ მდებარეობს. ამგვარი ძეგლები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: 1) მეზობელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე და 2) უცხოეთში არსებული ძეგლები.

მეზობელ რესპუბლიკებს შორის ყველაზე მეტი ქართული ისტორიული ძეგლი თანამედროვე საინგილოს მიწა-წყალზეა (აზერბაიჯანის სსრ, კახის, ბელაქნისა და ზაქათალის რაიონები). ეს მხარე უძველესი დროიდან, განსაკუთრებით ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომაც ასე ჭარბადაა ამ მხარეში ვახტანგისა თუ არჩილ მეფის სახელებთან დაკავშირებული ადრექრისტიანული ხანის ძეგლები. კახის პატარა ალავერდი, მადლის ეკლესია, ლექართის მრგვალი ტაძარი, ყუმისა და ბახთალის ეკლესიები, ზემო ფიფინეთის კოშკური ტიპის საცხოვრებელი და ქურმუხის კათედრალური ტაძარი წარმოადგენენ ტიპიურ ქართლ-კახური ხუროთმოძღვრების ნიმუშებს და ამიტომაც ამ ძეგლების მოვლა-პატრონობაში და დაცვა-რესტავრაციაში აზერბაიჯანისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების შეთანხმების საფუძველზე ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა.

საკმაო რაოდენობითაა ქართული ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ამ უკანასკნელ ხანს ჩვენმა ძეგლთა დაცვის სამმართველომ დიდი ალდგენითი მუშაობა ჩაატარა მდ. ასის ხეობის სათავეებში (ჩეჩნეთ-ინგუშეთი) მდებარე ქართული ეკლესიის ტხაბა-ერდის შესასწავლად და გასამაგრებლად. აქ აღმოჩენილი ქართული წარწერები და სხვა მასალა საყურადღებოა ჩრდილო კავკასიასთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის.

რაც შეეხება ძეგლების მეორე რიგს, ისინი უფრო მიუწვდომელნი არიან ჩვენთვის. მაგალითად, თურქეთის საქართველოს ძეგლები, მთლიანად გამოვარდნილია ჩვენი კვლევის სფეროდან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პალესტინის ქართული ძეგლები, სადაც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ მიაკვლია ჯერჯერობით ყველაზე ძველ ქართულ წარწერას. ახლა იმ რაიონში შექმნილი ვითარების გამო შეუძლებელია კორბოს მიერ წამოწყებული ძეგლის ბოლომდე გათხრა, მაგრამ ქართული ძეგლები ხომ სხვაგანაც არსებობენ მაგ., ათონის ივერთა მონასტერი — საბერძნეთში, პეტრიწონის ქართული მონასტერი ბულგარეთში და სხვ.

ამათგან ჩვენს აკადემიას შეუძლია ბულგარეთში მდებარე ქართულ ძეგლებს მაინც მიაქციოს ყურადღება, გამოაცოცხლოს ის კარგი ტრადიცია, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ 1945 წელს ჩაეყარა (იგულისხმება ნ. ბერძენიშვილის, ა. შანიძის და ოთ. გიგინეიშვილის სამეცნიერო მივლინება ბულგარეთში).

ბულგარეთის აკადემიასთან შეთანხმების საფუძველზე შეიძლებოდა მოგვეწყო ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია ბოჩკოვოში, რაც უდავოდ ახალ მასალებს გამოავლენდა ქართული კულტურის უძველესი კერის პეტრიწონის მონასტრის შესახებ.

ასეთია ჩვენი შენიშვნები ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

იმედია ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სპეციალური ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები, ძეგლთა დაცვის საზოგადოება და მთელი მშრომელი მოსახლეობა ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად და ზუსტად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის ყველა მითითება ძეგლთა დაცვის რთულ, მაგრამ საპატიო საქმეში.